F 949
1974

usybkg

1974

2

ზურაბ წერეთელი. „რუსული ზღაპრები“ ბავშვთა კუთხე ადლერში

მსოფლიო ლიტერატურის
ორთვიური
ალმანახი

საქართველოს მწერალთა
კავშირის ორგანო



2 • მერანი თბილისი • 1974

შინაარსი

პროზა

ვასილ შუკშინი. იგნახა ჩამოვიდა. მოთხრობა. რუსულიდან თარგმნა ჯუმბერ თითმერიამ 3

კარელ ჩაპეკი. მკვლელობა ქოხში. მოთხრობა. ჩეხურიდან თარგმნა ელენე ერისთავმა 12

მიხას სტრელცოვი. ჰეი, ივანოვიჩ, ძველო დონჟუანო! მოთხრობა. ბელორუსულიდან თარგმნა გიორგი ბაქანიძემ 19

ფრანც კაფკა. არაბები და ტურები. მოთხრობა. გერმანულიდან თარგმნეს ლ. ნაროუშვილმა და თ. ჯავახიშვილმა 42

ალექსეი ტოლსტოი. ტრაგიკოსი. მოთხრობა. რუსულიდან თარგმნა ედიშერ გიორგაძემ 45

ფრანსუაზ საგანი. სალამი, სევდავ! რომანი. ფრანგულიდან თარგმნა ნუნუ ქადეიშვილმა 52

ვალენტინ კატაევი. წყარო უკვდავებისა. მოთხრობა. რუსულიდან თარგმნეს თამარ ჩიჯავაძემ და შოთა ნიშნიანიძემ 125

ტალი ვაიდარი. შეხედე—ეს შენ ხარ! მოთხრობა.
ლატვიურიდან თარგმნა უშანგი სახლთხუციშვილმა 190
უილიამ ფოლკნერი. ქალაქი. რომანი.
თარგმნა რევაზ თვარაძემ 197
კნუტ ჰამსუნი. სიყვარულის მონებები. მოთხრობა.
თარგმნა გრიგოლ ჩიქოვანმა 277
ისა ჰუსეინოვი. შხამი. მოთხრობა. აზერბაიჯანულიდან
თარგმნა ზეზვა მედულაშვილმა 283

პოეზია

ჯორჯ გორდონ ბაირონი. ლექსები. ინგლისურიდან
თარგმნა თამარ ერისთავმა 17
ვლადიმერ მაიაკოვსკი. შარვლიანი ღრუბელი. პოემა.
თარგმნა ვახტანგ ჯავახაძემ 114
სერგეი ესენინი. კაჩალოვის ძალლს. ლექსი. რუსულიდან
თარგმნა არნო ონელმა 270
ალექსეი სურკოვი. სამი საქმრო. ლექსი.
თარგმანი მისივე 271
ნიკოლოზ ზაბოლოცკი. წეროები. ლექსი.
თარგმანი მისივე 272
ალექსანდრე მეჟიროვი. *** (მე ყოველ დილით...) ლექსი.
რუსულიდან თარგმნა ოთარ მამფორიამ 273
დიმიტრი კედრინი. ფირფიტა. ლექსი.
თარგმანი მისივე 273
სილვა კაპუტიკიანი. *** (წახვედი...) ლექსი.
თარგმანი მისივე 274
ტუდორ არგეზი. დაკარგული ფურცლები. ლექსი.
თარგმნა გივი ალხაზიშვილმა 275
მიხაი ემინესკუ. ძილი ნებისა. ლექსი.
თარგმნა თედო ბექიშვილმა 276
ივანე ნატი. ლაშქრობა. ლექსი.
თარგმნა მედეა კახიძემ 276
ანტიკური საგალობლები. ძველბერძნულიდან
თარგმნა ლიანა ასლამაზიშვილ-კვირიკაშვილმა 289

ლიტერატურული მემკვიდრეობა. კრიტიკა. პუბლიცისტიკა

აკაკი ურუშაძე. მარკუს ტულიუს ციცერონი. 294
ციცერონის წერილები. თარგმნა რუსუდან ქებულაძემ 295
მიხეილ კვესელავა. ამედეო მოდილიანი 307
უცხოური იუმორი. თარგმნა ბეჟან ასათიანმა 312
სხვადასხვა ამბები 314
ჩვენი ავტორები 318

ვასილ შუკშინი

იგნატა ჩამოვიდა

მოთხრობა

რუსულიდან თარგმნა ჯუმბერ თითმერიამ

აგვისტოს პირზე, ერთ მშვენიერ დღეს ბაიკალოვებს შვილი ჩამოუვიდათ. იგნატი ახოვანი და მოხდენილი ჯენელი იყო, შავი პოლონური კრეპის კოსტუმიც შვენოდა. ორივე ხელში ჩემოდნები ეჭირა. ჭიშკარს ფეხი წაჰკრა, გააღო. იგნატი შედგა, მშობლიური ეზოს კუთხე-კუნჭულებს თვალი მოავლო და მხიარულად აროხროხდა:

— ე-ჰე-ჰე! გამარჯობათ, ხალხნო!

მის ზურგს უკან მდგარმა ახალგაზრდა სხვიერმა ქალმა უსაყვედურა:

— უფრო ხმადაბლა ვერ იტყვი? ეს ყვირილი რაღაა, თუ კაცი ხარ!

— არაფერია, — დაიქუხა იგნატმა, — ახლა ნახე, რა გაეხარდებათ!..

სახლიდან დიდხელებიანი ჯირკუტანა მოხუცი გამოვიდა, ერთი ჩაიქვიქვინა, სახელოთი თვალი მოისრისა, ხომ არ მეჩვენებაო:

— იგნაშა! — წამოიძახა მან და შვილისკენ წამოვიდა.

იგნატმა ჩემოდნები მოისროლა და მამას გადაეხვია. მათ ძველებურად, სამჯერ გადაკოცნეს ერთმანეთი. მოხუცმა ერთხელაც მოისრისა თვალი.

— როგორ მოხდა?..

— მოხდა...

— რა ხანია არ ყოფილხარ?.. ბარე ხუთი წელი იქნება. დედა ვერა გვყავს კარგად. სახსრებში ამტვრევს, მარა, რას ამტვრევს...

მამა და შვილი ერთმანეთის ცქერით ვერ ძღებოდნენ, ქალი ვილას ახსოვდა. იგი იდგა და გულისყურით შესცქეროდა ბერიკაცს.

— ეს ცოლი თუა? — იკითხა მოხუცმა.

— ჰო, ცოლია, — გამოერკვა იგნატი. — გაიცანი.

ქალმა მოხუცს ხელი გაუწოდა. იმანაც ფრთხილად ჩამოართვა.

— ლუსია.

— არა უშავს, — თქვა მოხუცმა, როცა რძალი აათვალიერ-ჩაათვალიერა.

— მართლა? — ბრიყვული სიამაყით დაცდა იგნატს.

— შინ შევიდეთ, აქ რალას ვუდგევართ! — ბერიკაცი წინ წავიდა.

— მე როგორ დავუძახო, ა? — ჩუმად ჩაეკითხა ლუსია ქმარს.

იგნატი ჩაბჟირდა:

— გესმის, მამაჩემო! როგორ დავუძახოო, გესმის, არ იცის!..

მოხუცმა გაიცინა.

— მამად გეკუთვნი, მგონია... — მოხუცი კიბეზე ჯეელუარად ავიდა და წინკარში მთელი ხმით გასძახა: — დედაკაცო, ვინ გვესტუმრა, თუ იცი!

ქოხში იწვა ცხვირკეხიანი, გარუჯული და დაძარღვული დედაბერი, იგნატი დაინახა და ტირილი აუვარდა.

— იგნაშა, შვილო... ჩამოხვედი...

შვილმა დედა დიდხანს კოცნა და ჩემოდანს მიუტრიალდა. მისმა ძლიერმა, ბუბუნა ხმამ ქოხი გააყრუა:

— თავშალი ჩამოგიტანე, თივთიკისაა, აბა! მამაჩემო, შენ კი, აჰა, ჩექმები ჩამოგიტანე! ესეც მარუსკას, ეს კიდევ ვასკას... ისე, როგორა ხართ, რასა იქმთ?

მოხუცები შვილს თვალს არ აშორებდნენ — იგი ჩემოდნებში ფართიფურთობდა — და, როგორც წესია, მოწყალედ ილიმებოდნენ.

— რა გვიჭირს, ესაა, დედა ვერაა კარგად... — მამამ გრძელი ხელი ჩექმისაკენ წაიღო, ფრთხილად ასწია, თითით მოსინჯა, ტყავი მოჭმუჭნა — ჩინებული ქრომი იყო. — არაა ცუდი საქონელი... კაი დღეს დააყრის ვასკა... რალა დროს ჩემი ასეთი ჩექმებია!

— არა, ეგ შენ უნდა გეცვას. აი, ეს კაბა მარუსკასთვისაა. — იგნატმა ყვეელაფერი ამოალაგა და ტაბურეტზე ჩამოჯდა, ტაბურეტი საწყალობლად აჭრიჭინდა. — აბა, მითხარით, როგორ ცხოვრობთ? როგორ მომენატრეთ, რომ იცოდეთ!

— მოგენატრეთ... რომ მოგნატრებოდით, ადრეც ჩამოხვიდოდი...

— საქმეები გვაქვს, მამაჩემო.

— საქმეები აქვს!.. — მამამ რატომღაც ახალგაცნობილ რძალს ახედა უკმაყოფილოდ. — კაი ერთი, საქმე, თორე...

— გეყოფა, ჰო, — თქვა დედამ, — ღმერთს არ აწყენინო, ხომ ჩამოვიდა...

იგნატს ერთი სული ჰქონდა, ვიდრე თავის ამბებს გადმოალაგებდა. ეტყობოდა, მოხუცს არცთუ დიდად ეპიტნავებოდა შვილის საქმეები და იგნატმა შეპასუხების შემთხვევა ხელიდან არ გაუშვა. იგი ცირკში ჭიდაობდა. ქალაქში კარგი ბინა ჰქონდა, მეგობრები და ფული არ აკლდა, ცოლს კი — თვითონ ხედავთ...

— რა საქმეო, ამბობ შენცა... — წამოიწყო იგნატმა, ფეხი ფეხზე გადაიდო და მამას ალერსიანად მიაჩერდა. — აბა, როგორ აგიხსნა! ჩვენა, რუსები, ძვალმაგარი ხალხი ვართ! შეხედავ, მაგრამ რას შეხედავ!.. — იგნატი წამოდგა და ბოლთის ცემა დაიწყო. — საკენიანი მხრები და კაი ჯიშიანი ულაყივით გულმკერდი აქვს — მთას წააქცევს, მაგრამ ცარიელი ჯანი რად გინდა, რა,

იმასაც გამოყენება უნდა, ჩემო ძმაო! ტექნიკა უნდა შეიმუშავო, შეჯიბრებაში უნდა გამოხვიდე — აბა! ამის თავი ვისა აქვს! ერთი გაბედე! ისე, კაცმა რომ მიგიშვას, დათვს დაეჭიდები! ჩვენს ხალხში ველურობა ჯერაც ბევრია, ფიზიკური კულტურის ინჩიბინჩი არ ესმით, შავი ჭირივით ეზარებათ, აბა! გუშინდელივით მახსოვს, სკოლაში ფიზკულტურა სულ ფეხზე არ გვეკიდა?!.. — ბოლო სიტყვაზე იგნახამ ცოლს შეხედა.

ერთხელ, როგორლაც, იგნახას ფიქრად აეკვიატა: რუსი ხალხი მიუტევებლად უსულგულოდ ეკიდება ფიზიკურ კულტურასო, ეს სადღაც ვიღაცისათვის შეუჩივლია და კვერიც დაუკრავთ. მას აქეთ დღეს არ გაუშვებდა, რომ თავისი გულისტკივილი ვინმესთვის არ გაეზიარებინა.

ცოლს, ეტყობა, ეგ ამბავი მობეზრებული ჰქონდა, მოეწყინა და ფანჯარაში იხედებოდა.

— ... აბა, ასეა, მამაჩემო! გინდა ასე იფიქრე და გინდა ისე, მაგარი საქმე მაკისრია, შესაძლოა ვასკაზე მაგარიც კი...

— ეგრე იყოს, — მხარი მისცა მამამ. დაფანტულად უგდებდა ყურს. — დედაკაცო, დასალევი არაფერი გვაქვს? ერთი დუქანში მივიდე...

— მოიცა, — შეაჩერა იგი იგნატმა. — დუქანში რა გინდა?

ჭკუის დამრიგებლობაში ჭიპმოჭრილმა იგნატმა საქმის ბოლომდე მიყვანა განიზრახა: ბარემ ახლავე უნდა ავხსნა — საჭიროა რუსმა კაცმა ეს უხეირო წესიც დააგდოს, თორემ რა გამოდის, ხელის ჩამორთმევა და დუქანში გაქცევა ერთია! ვის რად სჭირდება, თუ ღმერთი გწამს?

მაგრამ მამამ ერთი ისეთი შემოხედა, რომ იგნატი შეცბა, ხელი ჩაიქნია, ჯიბიდან სქელი საფულე ამოიღო და მაგიდაზე დააგდო:

— ფული აგერაა.

მამამ დაბანჯგვლული წარბები წყენით ასწია:

— იგნახა, ნუ მიჰქარავ, შენა, გესმის! სტუმრად მოსულხარ, დაჯე და იყავი შენთვის. ჯიბეგახვრეტილები ხომ არა გგონივართ?

იგნახამ გაიცინა.

— კარგი, ჰო, გავიგე! შენ ისევ ისეთი ხარ, მამაჩემო!

... ისხდნენ და სვამდნენ.

მოხუც ბაიკალოვს გრძნობა მოერია, ხელისგულები თავზე შემოიჭდო და წაუმღერა:

Зачем сидишь до полуночи
У растворенного окна,
Ох, зачем сидишь...

აქ გაწყვიტა, თავი ხელებში ჩარგო. ერთხანს ასე იჯდა. შემდეგ წრფელად, სევდიანად ამოთქვა:

— იგნახა, ბიჭო, მალე წავიღებ წერილს, ვატყობ. მორჩა, აბა! — და ერთი გულიანი გინებაც მიაყოლა.

იგნახას ცოლი გაწითლდა და ფანჯრისკენ შებრუნდა. იგნახამ მამას საყვედურით შეჰხედა:

— მამა!..

— შენა კი, იგნაშკა, გადასხვაფერებულხარ, — მამამ შვილის საყვედური არაფრად ჩაუგდო. — შენ, ცხადია, ამას ვერ ამჩნევ, აი, მე კი ვხედავ...

იგნატი მამას სავსებით ფხიზელი თვალით მისჩერებოდა და გულისყურით ისმენდა მის უცნაურ ლაპარაკს.

— ჩექმა ხომ მომიტანე... მადლობელი ვარ, შვილო... კარგი ჩექმაა...

— სადღაც უკაკუნებ, მამაჩემო, — თქვა იგნატმა, — ჩექმა რა შუაშია...

— ნუ დამძრახავ, თუ დავთარი ამერია, გადავყრუვდი კაცი. ეგ არაფერი. ვასკა მოვა საცაა, შენი ძმა... მაგარი ბიჭი დადგა! ხომ ტვინი წაიღე ე მავ ფიზკულტურით, შენ ეგ ფეხზე არ გაგაჩერებს. შენ ვასკას რას უზამ... სად შენა და სად ეგა!..

იგნატმა მფარველურად თუ თავმდაბლურად გაიცინა:

— ვნახოთ, ვნახოთ, მამაჩემო.

— ცოტაც ხომ არ დაგველია? — მოხუცი ქეიფის გუნებაზე იდგა.

— არ იქნება! — თავი მოიკლა იგნატმა.

— აი, რა ქმარი გყავს, ნახე, — თავმომწონედ მიუბრუნდა მოხუცი თავის რძალს. — ჩვენი ჯილაგია — ნამდვილი ბაიკალოვია. არაო, ხომ თქვა, სიტყვა სიტყვაა. მოკვდება და თავისას გაიტანს. მეც ასეთი ვიყავი! საცაა ვასკა მოვა, მარუსკაცა გვყავს. მაგი შენზე ლამაზი იქნება, თუმცა, რა გითხრა და, შენსავით ჩაჭრელაჭრულებული არ არის, ჰო...

— კაცო, რა ენად გაიკრიფე, — აქაქანებული ქმრის დაშოშმინება სცადა იგნახას დედამ. — მთლად გამოშტერდა ეს უბედური. რაებს როშავს ერთი! თქვენ მაგას ყურს ნუ ათხოვებთ.

— შენ მანდ იწექი შენთვის, — თავი მოიფხუკიანა მოხუცმა. — გაიგე, ავადა ხარ. მე აქ ხალხს ველაპარაკები, ეს კი ნეტა რას გვეჩრება, კაცო!..

ლუსია ადგა, კამოდთან მივიდა და პატეფონის ფირფიტებს დაუწყო თვალიერება. ეტყობა, ქალი უხერხულად გრძნობდა თავს.

იგნახაც წამოდგა... პატეფონი ჩართეს, „გრუშჩიცა“ დაუკრეს.

დუმდნენ. უსმენდნენ.

უფროსი ბაიკალოვი ფანჯარაში იყურებოდა და რაღაც გულისგამაწვრილებელზე ფიქრობდა.

სალამოვდებოდა.

ვარდისფერი, ნელთბილი მზის სხივები ირეკლებოდა ფანჯრებიდან. ქუჩაში საქონელმა ჩაიარა და ბული დააყენა. ბაიკალოვების ძროხა ჭიშკარს მოადგა, რქით ურდულის ამოგდება სცადა, მაგრამ აუცდა. იდგა და ზმუოდა. მოხუცი უყურებდა მას და ადგილიდან არ იძვროდა. უქეიფოდ იყო კაცი. რა ხანია ამ დღეს ელოდა — სიხარულით ცა გამეხსნებაო, ეგონა, ახლა კი იჯდა და ფიქრობდა, ნეტა რატომ არ ვგრძნობ უსაშველოდ დიდ სიხარულსო. რაღაც სხვანაირი შვილი ჩამოუვიდა, ნამდვილად; რა მოხდა ასეთი... ჩამოვიდა კაცი, საჩუქრები ჩამოიტანა. ყველა შვილი ასე არ იქცევა! რას ერჩი! მაგრამ, მომკალი, თუ გინდა, მაინც რაღაც...

მარიაც მოვიდა. ძალიან ჰგავდა იგნატს — მასავით აშვეტილი იყო.

ძმა რომ დაინახა, სახე გაუნათლდა.

— გამარჯობა შენი, ერთი მოიხედე, მოიხედე, მზეთუნახავო! — აბუხუნდა იგნატი და მოურიდებლად აათვალიერ-ჩაათვალიერა დაქალებული და, — ეს გასათხოვარი არ გვყოლია!

— კარგი ერთი, — თავდაჭერილად მიუგო მარიამ და რძალთან მივიდა.

ამ ამბავს ნაღველშემდგარი მოხუცი ბაიკალოვი თვალმოჭუტული შეჰყურებდა.

— ვასკა საცაა მოვა, — თქვა მან. მოხუცი წრიალებდა, ვერ გაეგო, უმცროსი შვილის მოსვლას ასე სულწასული რატომ ელოდა.

ახალგაზრდებმა პატეფონი მეორე ოთახში გაიტანეს. იგნატმა წითელი ღვინო და დასაყოლებელი წაიმძღვანა და იმათ მიჰყვა.

— იქ დავლევ, მარიასთან, თორე რა ხანია არ მინახავს...

— დალიე, შვილო, ეგ არ გავნებს, პირიქით, მოგიხდება კიდეც, — მშვიდად მიუგო მამამ.

იგნატის ყოფილი ამხანაგ-მეგობრები მოვიდნენ. ის დიდი სიხარული და ზეიმი თითქოს ახლა მაინც უნდა ჩამომდგარიყო, მაგრამ რომ არ ჩანდა! მოდიოდნენ, მოხუცს ხელს ართმევდნენ და აქედანვე სახეგაბადრულნი პატეფონიან ოთახში გადიოდნენ. მალე იქ ერთი გნიასი დადგა. იგნატის ძლიერ ბანსა და ქალების კირკიცს პატეფონის ხრინწიანი ხმაც ერთვოდა. იგნატის ორი ძმაკაცი დუქანში გაიქცა და არაყი და რამერუმეები მოიტანეს.

„საცაა ვასკაც მოვა“, — მოხუცი ლოდინით დაილია. ვერა და ვერ დაიბუდა გულში დიდმა, ნალოლიავებმა სიხარულმა.

ბოლო-ბოლო, ვასკაც მოვიდა — ეს ერთი ძვალმაგარი, შუბლგახსნილი, მზით გამომწვარი, ზორბა ყმაწვილკაცი იყო. გამოხედვა მამისა ჰქონდა — პირქუში ჩანდა, მაგრამ თვალებში სიკეთე ედგა.

— იგნაშკა ჩამოვიდა, — შეაგება მამამ.

— ვიცი, მითხრეს, — თქვა ვასკამ, გაიღიმა და აწეწილი ქერა თმა გადაიქნია. კუთხეში რალაც რკინის ნაჭრები მიალაგა და წელში გაიმართა.

მოხუცი ადგა, და იგნატისთვის უნდა ეთქვა ვასკა მოვიდაო, მაგრამ შვილმა შეაჩერა:

— მოიცა, მამი, ცოტა წყალს მაინც გადავივლებ, თორემ რას ვგევარ, უხერხულიც კია.

— კარგი, ჰო, — დაეთანხმა მამა. — თორემ ის რომ ნახო, ისეა ჩაკოხტაპრუწებული, არტისტი გეგონება.

ამ დროს ოთახიდან იგნატი და მისი ცოლი გამოვიდნენ.

— ძამია, ძამიკო! — ილრიალა იგნატმა და ხელები გაშალა, — ვასკა! — ადგილს მოწყდა.

ვასკა გოგოსავით გაწითლდა, გაიცინა და ადგილზე ფეხი ძლივს მოინაცვლა.

იგნატი გადაეხვია.

— მოგთხუპნი, გესმის! — ვასკა ცდილობდა ძმის მკლავებიდან გათავისუფლებას, მაგრამ ვერ ახერხებდა.

— არაფერია! ეგ მუშაკაცის ჭუჭყია, ძამია. მოდი, ერთი გაკოცო, შე შეჩვენებულო, შენა. როგორ მომენატრე, ბიჭო!

ძმებმა ერთმანეთი გადაკოცნეს.

მამა შეჰყურებდა თავის ვაჟებს და ღაწვებზე ცრემლი ჩამოსდიოდა. ცრემლი მოიწმინდა და ცხვირიც ერთის ამბით დააცემინა.

— იგნახამ საჩუქრები მოგიტანა, ვასკა, — ხმამაღლა თქვა და ჩემოდნებს მისწვდა.

— კარგი ერთი, მამაჩემო, ეგ რა საჩუქრებია! აბა, რა უნდა გააკეთო? აჰა, დაიბან, არა? ჩქარა ოლონდ, გაიგე? ახლა მე და შენ დავლევთ. არა, ხედავ, რა ხალხი ვართ ბაიკალოვები? — იგნატმა ცოლს ძმისკენ ოდნავ წაჰკრა ხელი. — გაიცანით ერთმანეთი.

ვასკა უარესად გაწითლდა, ვერ გადაეწყვიტა, ამ გაკრიალებული ქალისთვის დასვრილი ხელი გაეწოდებინა თუ არა. ლუსიამ თვითონვე ჩამოართვა ხელი და მაგრად მოუჭირა.

— ეგ დიდი მორცხვი გვყავს, — თქვა მამამ.

ვასკამ მჯილში ფრთხილად ჩაახვევლა და ჩუმად, მოწყვეტით გაიცინა. მიწა გასკდომოდა და შიგ ჩავარდნილიყო, ის ერჩია.

— მამი... შენც იტყვი, რალაცას...

— წადი, დაიბანე, — უთხრა მამამ.

— ჰო, წავედი, ახლავე მოვალ.

ვასკა წინკარში გავიდა. იგნატიც მიჰყვა.

— წამო, ძველებურად დაგისხამ წყალს...

მამაც ქუჩაში გავიდა.

კატუნზე ჩავიდეთო, გადაწყვიტეს, — სულ ახლოს, ზედ ბოსტნებთან ჩამოდიოდა.

— ვიბანაოთ? — იკითხა იგნატმა და მაგარ მკერდზე ხელისგული დაიბრაგუნა.

ოდნავ თვალსაკიდ, დაკლაკნილ ბაწარა ბილიკს მიუყვებოდნენ, ბილიკი ახალ ამოფეთქებულ კარტოფილზე, ბოსტან-ბოსტან ვადიოდა.

— როგორ ცხოვრობთ, ა, ხალხნო? — ბუხუნებდა მამასა და ძმას შორის ტორტმანით მიმავალი იგნატი.

ვასკამ კვლავ მოწყვეტით გაიცინა. რალაცნაირად უცნაურად კი იცინოდა, თითქოს ასლოკინებს და რცხვენიაო. ძმის ჩამოსვლა ძალიან უხაროდა.

— არა გვიშავს.

— კარგად ვცხოვრობთ, — წამოიძახა მამამ. — ქალაქელებს არაფერში ჩამოვუვარდებით.

— აგაშენათ ღმერთმა, — გრძნობამორეულად თქვა იგნატმა. — ვასილ, შენზე ამბობენ, ჯანს რა უყოს, არ იცისო... ასეა?

ვასილმა ახლაც გაიცინა.

— ჯანი არა ერთი!.. ჯანი ვინ მომაშავა. შენ რასა იქმ, როგორ ცხოვრობ?

— როგორ ცხოვრობო! დიდებულად! დიდებულად ვცხოვრობ, ხალხნო! ჩემი ცოლი როგორ მოგწონთ, ა? რას იტყვი, მამი?

— რა უჭირს. მე მაგ საქმის დიდი ოსტერი ვყოფილვარ, შვილო, ისე კი თითქოს არა უშავს...

— კაი ქალია! — შეაქო იგნატმა. — კაი ადამიანია.

— ოლონდ, ეს არის, ძაან გამოპრანჭულია. აბა, რა საჭიროა? — იგნატმა ყურისწამლებად გადაიხარხარა.

— ჩვეულებრივად აცვია! ოლონდ ქალაქის ყაიდაზე, ცხადია. ამ მხრივ თქვენ ჩამორჩით, — გაუეცინა გატეხილი სჯობია.

— შენ, იგნატ, რას ლრიალებ ერთი, თუ კაცი ხარ, — გული მოუვიდა მოხუცს, — ჭკუასთან მწყრალად ხომ არა ხარ? იცინის აქა!..

— მიხარია და იმიტომ ვიცინი.

— უხარია ამას... ჩვენც გვიხარია, მაგრამ შენსავით კი არ ვთახთახებთ და ვხვიხვინებთ! ვასკას არ უხარია, როგორა ფიქრობ?

— ცოლი როდის მოგყავს, ვასკა? — ჰკითხა იგნატმა ძმას.

— ჯარს მოიხდის და მერე... — უპასუხა მამამ.

— შენა... ნაწილში რომ მიხვალ, მაშინვე სექციაში ჩაეწერე, — ურჩია უფროსმა ძმამ. — მეც ასე არ დავიწყე? თავიანი მწვრთნელი შემხვდა. სად აალწევ, რა იცი...

ვასკა უსმენდა და იდუმალად იღიმებოდა.

მდინარეზე ჩავიდნენ.

იგნატმა სხვებს დაასწრო, გაიხადა, ლამაზი, ნავარჯიშევი სხეული გამოაჩინა, წყალი ფეხის წვერით მოსინჯა და ჩუმად შეიცხადა:

— უ-უჰ, უჰ!

— რა იყო? — ვასკამაც გაიხადა, — ცივია?

— დამენახე ერთი, — იგნატი მივიდა ძმასთან, წაუთაქ-წამოუთაქა და გასაყიდი ულაყივით ყველა მხრიდან შეათვალიერა. ვასკა მორჩილად იდგა, გვერდზე იხედებოდა, ტრუსს ისწორებდა და იცინოდა.

— არის, — დაასკვნა იგნატმა, — ხომ არ მოგვესინჯა, ჰა?

— მოგცლია, ერთი! — ვასკამ თავი უკმაყოფილოდ გადაიქნია.

— რა დაგემართა, ვასკა? მოდი, დაეჭიდე! — მამა უმცროს შვილს საყვედურით შეცქეროდა.

— გეყოფათ ახლა, რა მოგვივიდათ, მართლა და მართლა, — ჯიუტად, დინჯად თქვა ვასკამ. — რა ძალა გვადგას, რომ არ ვილლაბუცოთ აქა? ხალხს სეირი ვაყურებინოთ?

— ფუი! — გაბრაზდა მამა. — იგნატ, შეასმინე ერთი, თუ ლმერთი გწამს... გასათხოვარ გოგოსავით რა ყველაფრისა რცხვენია!

— რისა უნდა გრცხვენოდეს? ჩვენ რომ მიჭიავებული ხალხი ვიყოთ, კიდევ ჰო...

— ელაპარაკე ერთი ამას!..

ვასკა მოიღუშა და წყლისკენ წავიდა. იმწამსვე ჩაიყურყუმალავა და ვეება ხელები მთელი ძალით აამუშავა. მის ირგვლივ წყალი დგაფუნებდა.

— მაგარი ჯეელია! — ალტაცებით წამოიძახა იგნატმა.

— აბა, რა გითხარი!

გაჩუმდნენ და ვასკას თვალი გააყოლეს.

— შენ კი წაგაქცევდა.

— ვერ გეტყვი, — ერთხანს ფიქრის შემდეგ მიუგო იგნატმა. — ძალა ჩემზე მეტი აქვს, თქმა არ უნდა.

ალრენილმა ბერიკაცმა ქვიშაზე გადააფურთხა.

იგნატი მცირე ხანს შეყოვნდა და მერე ისიც წყალში შევიდა.

მამა წყალს დაუყვა, იქით მიდიოდა, სადაც ვასკა უნდა გამოსულიყო.

როდესაც ვასკა ნაპირზე გამოვიდა, ისინი რალაცაზე ჩუმად და გაცხარებით შელაპარაკდნენ. მამა თავისას იჩემებდა, გულთან ხელიც მიიდო, ვასკა კი თავისას ბუტბუტებდა. როცა მათთან იგნატი მიცურდა, გაჩუმდნენ.

იგნატი წყლიდან ამოვიდა და, ფიქრმორეული, შორეულ ცისფერ მთებსა და მდინარეზე მიმოფანტულ კუნძულებს გაჰყურებდა...

— დალოცვილი კატუნი, — წაიჩურჩულა მან.

ვასკამ და მოხუცმაც კატუნს გააყოლეს თვალი.

გალმა ნაპირზე მუხლს ზემოთ კარგა მალალზე კაბაკაპიწებული ქალი ჩაცუცქულიყო და ცოცხით თეთრეულს ზეპავდა. მისი შიშველი მრგვალი მუხლისთავები თვალის მომჭრელად თიმთიმებდნენ.

— კაბა ჩამოიწიე, შენ მანდა, გესმის! — დაუყვირა ბერიკაცმა.

ქალმა თავი ასწია, ბაიკალოვებს ერთი კი მოხედა და თეთრეულის ზეპვა განაგრძო.

— რა უტიფარია, შენი ჭირიმე! — ალტაცებით ალმოხდა მოხუცს, — ფეხებზე არ ვკიდივართ!

ძმები ჩაცმას შეუდგნენ.

იგნატს ზარხოშმა გაუარა. რალაც მოიწყინა.

— რა ცხვირი ჩამოუშვი, ა? — ჩაეძია ვასკა. ის პირიქით, გადასარევ გუნებაზე იდგა.

— რა ვიცი, აბა... არაფერია...

— ბოლომდე უნდა დაგელია. — ჩაერია მოხუცი. — ერთნახევარიც კი არ გამოგივიდა.

— დასწყევლოს ღმერთმა. ყურადღებას ნუ მიაქცევთ. ჩამოვსხდეთ, გავაბოლოთ...

შემთბარ ქვებზე ჩამოსხდნენ... დიდხანს დუმდნენ და სწრაფ ტალღებს ჩასცქეროდნენ, მათ დუდუნსა და ფართიფურთს აყურადებდნენ.

მზე გალმა, კუნძულებს იქით გადასულიყო. სიწყნარე ჩამოვარდნილიყო. მხოლოდ ტალღები თქაფუნებდნენ, მდინარე ქაფქაფებდა და ამიტომ სველ საბანაკზე ცოცხის ტყაპატყუპი ახლა უფრო მკვეთრად ისმოდა.

სამი კაცი მდინარეს ჩაჰყურებდა და თვითეული თავისი გულის ფიქრს გაჰყოლოდა.

იგნატი მიყუჩდა. როხროხი და ხორხოცი შეწყვიტა.

— რაო, ვასკა? — ჩუმად იკითხა მან.

— არაფერი! — ვასკამ წყალში კენჭი ისროლა.

— ისევა ხნავ?

— ვხნავ, აბა!

იგნატმაც მოისროლა კენჭი. გაჩუმდნენ.

— კარგი ცოლი გყავს, — თქვა ვასკამ, — ლამაზია.

— ჰოო? — იგნატი გამოცოცხლდა, ცნობისმოყვარედ, მხიარულად მიაჩერდა ძმას და გაურკვევლად ჩაილაპარაკა: — რა ვიცი, რა, მამას კი არ მოსწონს და...

— არ მომწონსო, როდისა ვთქვი! ერთი შენა, ყური გამოიბერტყე...

მოხუცმა უკმაყოფილოდ შეხედა იგნატს. — კაი ქალია. ეგ არი, ჩემი აზრით, ცოტა ფოეფოე კი უნდა იყოს!

იგნატმა გადაიხარხარა.

— შენ, მამაჩემო, გამოსული ბიჭი გვყევხარ! ეგეთი სიტყვებიც არა სცოდნია!

მამა წყლისკენ შეტრიალდა, კარგა ხანს დუმდა — გულნატკენი ჩანდა. შემდეგ ვასკას მოუტრიალდა და დაბოლმილმა უთხრა:

— ტყუილად არ დაეჭიდე მაგას შენ...

— რას გადამეკიდე, ერთი! — გაოცდა ვასკა. — რა ეშმაკი შეგიჯდა?..

— ბერიკაცი ალრეენილია, — თქვა იგნატმა. — რალაცა არ მოსწონს, ვხედავ...

— რა, რა არ მომწონს? — აიფხორია ბერიკაცი.

— არ ვიცი. აი, გულით რომ რალაც ვერა ხარ, ხომ ვხედავ.

— ხედავ და ხედავდე, რა! შენ ძაან ჭკვიანი გახდი რალაც, მეტისმეტი გჭირს, კაცმა რომ თქვას... ყველაფერი იცი, ყველაფერს ხედავ... რა ხარ ამისთანა?

— კარგით, კაცო! — ჩაერია ვასკა, — რას ატყდით, სამაგისო დრო ნახეთ, რალა!

— დაიკარგოს ერთი! — ბერიკაცმა ცხვირი დააცემინა და ქისა მოიძია. — ჩამოვიდა აქა, ბაქიბუქით აგვიკლო, საჩუქრებიც ჩამოგვიტანა ბიჭმა!.. არ შეგვშალა ჭკუაზე!..

— მამაჩემო, ვერ იტყვი, რა გინდა?

გაოცებული იგნატი ფეხზე წამომდგარიყო. ვასკამ შეუმჩნევლად გვერდში მუჯლუგუნი ჰკრა — დაჯე, მოეშვი. იგნატი ჩამოჯდა და ვასკას მიაჩერდა — რა მოხდაო, თვალით ეკითხებოდა. ვასკა წამოდგა, შარვლიდან სილა ჩამოიფერთხა და მამას მიჰხედა:

— წავიდეთ, მამი...

— შენა, ფული თუ გაქვს? — ჰკითხა მამამ.

— მაქვს, წამოდი...

ბერიკაცი წამოდგა და არც მოუხედავს, ისე დაადგა ბოსტნის კვალს.

იგნატი და ვასკა ზურგში მიყვებოდნენ.

— რა უნდა, კაცო? — ეტყობოდა, იგნატი უკვე შეაფიქრა მამის უგუნებობამ.

— ისე... დიდხანს გელოდა. ახლავე გაუვლის. წაუმღერეთ რამე შენ და მაგან, — ვასკამ გაიღიმა.

— რა წავუმღერო, რა! სულ გადამავიწყდა. შენ და ეგა მღერიხართ ხოლმე?

— გეხუმრები. მეც არ ვიცი, რა ბზიკმა უკბინა... გაუვლის.

ბოსტნის კვალს დუმილით მიყვებოდნენ. იგნატი მამის მოკუზულ ზურგს თვალს არ აცილებდა და რატომღაც იმაზე ფიქრობდა, მამილოს მარჯვენა მხარი მარცხენაზე დაბალი ჰქონიაო, — ადრე ეს არ შეემჩნია.

კარელ ჩაპეკი

მკვლელობა ქოხში

მოთხრობა

ჩეხურიდან თარგმნა ელენე ერისთავმა

ადექით, ბრალდებულო, — თქვა სასამართლოს თავმჯდომარემ, — თქვენ ბრალი გედებათ სიმამრის, ფრანტიშეკ ლებედუს მკვლელობაში; ძიების დროს თქვენ თვითონ აღიარეთ, რომ მას სამჯერ დაარტყით ცული თავში მოსაკლავად. გრძნობთ თავს დამნაშავედ?

ლონემიხდილი გლეხი აკანკალდა:

— არა, — ძლივს ამოილუღლუღა ენის ბორძიკით.

— თქვენ მოჰკალით?

— კი.

— გრძნობთ თავს დამნაშავედ?

— არა.

სასამართლოს თავმჯდომარე დიდად მომთმენი ადამიანი იყო.

— მომისმინეთ, ვონდრაჩეკ, — უთხრა მან, — ნათელი გახდა, რომ თქვენ ადრეც გიცდიათ მისი მოწამვლა: ყავაში თაგვების საწამლავი ჩაგიყრიათ. ეს მართალია?

— კი.

— აქედან ჩანს, რომ მის მოკვლას დიდი ხანია ოცნებობდით. მიხვდით, რას ვამბობ?

გლეხმა მხრები უხალისოდ აიჩეჩა.

— ეგ იმ ორნჯას გულისთვის, — ენის ბორძიკით უპასუხა, — მან ის ორნჯა გაჰყიდა. ვეუბნებოდი, მამა, მაგ ორნჯას ნუ გაჰყიდით, კურდღლებს ვიყიდი-მეთქი.

— მოითმინეთ! — შეაჩერა სასამართლოს თავმჯდომარემ, — იონჯა იმისი იყო თუ თქვენი?

— იმისი იყო, — წაიბურტყუნა ბრალდებულმა, — მაგრამ იონჯა რაში სჭირდებოდა? მე ვეუბნებოდი, მამა, ის მინდორი მაინც მომეცით, იონჯა რომ გითესიათ, ის კიდევ მეუბნებოდა: — როცა მოვკვდები, ეგ მარჟენკას დარჩება, ჩემს ცოლს და მერე, როგორც გინდა, ისე მოიქეცითო, შე მშიერ-მწყურვალოო.

— ამიტომ გინდოდათ მისი მოწამვლა?

— ჰოოდე.

— იმიტომ, რომ თქვენ გლანძლავდათ?

— არა, იმ მინდვრის გამო... ასე ამბობდა, ის მიწა უნდა გავყიდოო.

— ადამიანო, — წამოიყვირა თავმჯდომარემ, — ის მინდორი ხომ მისი იყო? რატომ არ შეეძლო გაეყიდა?

ბრალდებულმა ვონდრაჩეკმა საყვედურით გადახედა თავმჯდომარეს.

— იმ მინდორს ხომ გვერდით ჩემი დარგული კარტოფილის ვიწრო კვალიც ჩასდევს, — უხსნიდა სასამართლოს თავმჯდომარეს, — მე ის მიწა იმიტომ ვიყიდე, რომ მერე მის ნაკვეთთან შემეერთებინა, იმან კი მითხრა, შენ მიწასთან მე რა საქმე მაქვსო, მე ის იუდალს უნდა მივყიდოო.

— მაშ თქვენ იმასთანაც მოგდიოდათ ჩხუბი? — შეეკითხა სასამართლოს თავმჯდომარე.

— ჰოო, — დაუდასტურა დალონებულმა ვონდრაჩეკმა, — ეს იმ თხის გულისთვის...

— რომელი თხის გულისთვის?

— თხა გამომიწველა. ვეუბნებოდი, მამა, ან მაგ თხას დაანებეთ თავი, ან ის მინდორი, რუს რომ ჩასდევს, ჩვენ მოგვეცით-მეთქი, მაგრამ მან ის მინდორი იჯარით გასცა.

— ფულს რას უშვრებოდა? — შეეკითხა ერთ-ერთი ნაფიცი ვექილი.

— რას უზამდა! — დალონებული პასუხობდა ბრალდებული, — ზანდუკში ინახავდა. როცა მოვკვდები, თქვენ დაგრჩებათო, მაგრამ სიკვდილს არ აპირებდა, თუმცა სამოცდაათ წელს იყო გადაცილებული.

— როგორც ამბობთ, თქვენს უთანხმოებაში დამნაშავე სიმამრი იყო ხომ?

— კი, იყო, — უპასუხა ჩაფიქრებულმა ვონდრაჩეკმა, — არაფრის მოცემა არ უნდოდა. ამბობდა, სანამ ცოცხალი ვარ, ჩემს სახლში რიგის მიმცემი მე ვარო, მორჩა და გათავდაო. ვეუბნებოდი, მამა, ძროხა რომ იყიდო, იმ მინდორს მოგიხნავ, არ გაჰყიდო-მეთქი. მაგრამ ის მაინც თავისას გაიძახოდა, როცა მოვკვდები, თუგინდ ორი ძროხა იყიდეო, მე ჩემს მიწას იუდალს მივყიდიო.

— მომისმინეთ, ვონდრაჩეკ, — მკაცრი ხმით მიმართა თავმჯდომარემ, — თქვენ იმ ფულისთვის ხომ არ მოჰკალით, ზანდუკში რომ ჰქონდა?

— ის ფული ძროხისთვის იყო გადადებული, — ჯიუტად თქვა ვონდრაჩეკმა. — ასე გვეგონა, როცა მოკვდება, იმ ფულით ძროხას ვიყიდით-მეთქი. ამისთანა ქოხის პატრონი უძროხოდ როგორ უნდა ვყოფილიყავით, ხომ ასეა? ნაკელი საიდან უნდა მომეტანა?

— ბრალდებულო, — დაკითხვაში ჩაერია სახელმწიფო პროკურორი, — ჩვენ აქ ძროხაზე კი არა, ადამიანის სიცოცხლეზე ვლაპარაკობთ. რად მოჰკალით თქვენი სიმამრი?

— ეგ იმ მიწის გულისათვის.

— ეს რა პასუხია!

— მას იმ ნაკვეთის გაყიდვა უნდოდა.

— ფული ხომ თქვენ დაგრჩებოდათ მისი სიკვდილის შემდეგ?

— კი, მაგრამ სიკვდილს არ აპირებდა. — უპასუხა განაწყენებულმა ვონდრაჩეკმა. — ბატონებო, ისეთი თავნება კაცი რომ არ ყოფილიყო, ჩემს სიცოცხლეში არაფერს დავუშავებდი. ამაზე მთელი სოფელი დამემოწმება. მამასავით ვუყურებდი, ხომ ასეა? — ვონდრაჩეკი დამსწრეებს შეეკითხა. დარბაზი — მისი ნახევარი ვონდრაჩეკის თანასოფლელებს ეკავა — თანხმობის ნიშნად ახმაურდა.

— ჰოდა, — გაისმა თავმჯდომარის მედიდური ხმა, — ამიტომ გინდოდათ მისი მოწამვლა, ხომ?

— მოწამვლაო! — ჩაიბურტყუნა ბრალდებულმა, — მას არ უნდა გაეყიდა იონჯა, ბატონებო, აქ ყველა დამემოწმება, იონჯა ხომ შინ უნდა დარჩეს? აბა, ეს როგორი მოვლა-პატრონობაა, აბა?!

ხალხი თანხმობის ნიშნად ახმაურდა.

— მე მომმართეთ, ბრალდებულო! — დაუყვირა თავმჯდომარემ, — არა და, თქვენს სოფლელებს დარბაზიდან გავაყვანინებ. გვიამბეთ, როგორ მოჰკალით.

— ჰოდა, — ყოყმანით დაიწყო ვონდრაჩეკმა, — კვირადღეს დავინახე, კიდევ იმ იუდალს ელაპარაკებოდა. მაგრამ, ვუთხარი, ის მიწა არ უნდა გამიყიდო-მეთქი. აბა, სულ შენ არ გეკითხები, შე აყლაყუდაო, მითხრა. მაშინ ვთქვი, ეს უკვე ნამეტანია-მეთქი. შეშის დასაპობად წავედი.

— იქ ეს ცული გქონდათ?

— ჰო.

— განაგრძეთ.

— სალამოზე ცოლს ვუთხარი, წადი და თან ბავშვებიც დეიდასთან წაიყვანე-მეთქი. მან მაშინვე ლრიალი მორთო. რასა ლრიალებ, ვნახავ, ჯერ კიდევ რამეს ვეტყვი-მეთქი. მერე ის თვითონ შემოვიდა ჩვენთან ქოხში და მეუბნება: ეგ ჩემი ცულია, აქ მომეო! მე ვუთხარი: შენ მე თხა გამომიწველე-მეთქი. ამაზე იმ ცულის წართმევა მოინდომა. ჰოდა, მეც ავიღე ცული და დავარტყი.

— რატომ?

— ეგ იმ მიწის გულისათვის

— საერთოდ რატომ დაარტყით?

ვონდრაჩეკმა მხრები აიჩეჩა: — ეეჰ, ბატონებო, ჩვენებური კაცი მძიმე საქმეს არის მიჩვეული.

— მერე?

— მერე დასაწოლად წავედი.

— გეძინა?

— არა, ვანგარიშობდი, რა დამიჯდებოდა ის ძროხა... მერე იმ ნაკვეთს გავცვლი იმ პატარა გზისპირა კვალში და კვლებიც გვერდიგვერდ მოვლენ.

— სინდისი არ გაწუხებდათ?

— არა. მე ის მაწუხებდა, რომ ის კვლები გვერდიგვერდ არ იყო და ბო-

სელი შესაკეთებელი მქონდა, და ისიც ორას კრონამდე მაინც დამიჯდებოდა. სიმამრს ოთხთვალაც არ ჰქონდა. მე ვეუბნებოდი, მამა, ღმერთმა ცოდვები გაპატიოთ, მაგრამ ეს მოვლა-პატრონობა არ არის. მიწის იმ ორ ნაკვეთს გაერთიანება ხომ უნდა, ეს ხომ ნათელია-მეთქი.

— მოხუცი ადამიანის არავითარი შებრალება არა გქონდათ? — დაუყვირა თავმჯდომარემ.

— მას ხომ იმ მიწის მიყიდვა უნდოდა იუდალისთვის! — ენის ბორძიკით თქვა ბრალდებულმა.

— მაშ თქვენ ის ანგარების მიზნით მოჰკალით?

— ეგ მართალი არ არის, — თავს იმართლებდა აღელვებული ვონდრაჩეკი. — ეგ იმ მიწის გულისთვის, ის ორი კვალი რომ გაერთიანებულიყო!

— გრძნობთ თავს დამნაშავედ?

— არა.

— მოხუცი ადამიანის მოკვლა თქვენთვის არაფერია?

— აკი ვამბობ, ეს იმ მიწის გამო მოხდა-მეთქი, — წამოიყვირა აქვითინებულმა ვონდრაჩეკმა, — ეს განა მკვლელობაა! ღმერთო ჩემო! ამას ხომ ყველა მიხვდება, ბატონებო, ეს ხომ ოჯახში მოხდა! უცხოს ხომ ამას არ ვუზამდი, მე არავისთვის არაფერი მომიპარავს... აბა, იკითხეთ ვონდრაჩეკზე რამე... მაგათ კი, როგორც მკვლელი, დაიჭირეს, როგორც მკვლელი, — კნესოდა ვონდრაჩეკი, მას სინანული ახრჩობდა.

— არა, — შეუსწორა მას დალონებულმა თავმჯდომარემ, — როგორც მამის მკვლელი. ვონდრაჩეკ, თქვენ იცით, რომ ასეთ შემთხვევაში სიკვდილით დასჯაა დაკანონებული?

ვონდრაჩეკი ცხვირს იხოცავდა, თან სრუტუნებდა.

— ეს იმ მიწის გულისთვის მოხდა, — თქვა ბედს დამორჩილებულმა ვონდრაჩეკმა.

ამის შემდეგ პროცესი კიდევ გრძელდებოდა: დაკითხეს მოწმეები, გამოვიდნენ დამცველები...

* * *

ვიდრე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო გავიდოდა ბრალდებულ ვონდრაჩეკის დანაშაულის განსასჯელად, თავმჯდომარე კანცელარიის ფანჯრიდან ჩაფიქრებული იყურებოდა.

— ერთობ სუსტი იყო დაცვა, — ბუზღუნებდა სასამართლოს ნაფიცი მსაჯული. — სახელმწიფო პროკურორიც არაფერს გამოდევნებია და არც დამცველს მაინცდამაინც არაფერი უთქვამს. მოკლედ, სურათი ნათელია. საქმე აქ არაფერია.

სასამართლოს თავმჯდომარე ღელავდა.

— ნათელი სურათია, — თქვა და ხელი ჩაიქნია.

— მომისმინეთ, ბატონო კოლეგებო, ამ კაცს თავისი თავი ისეთივე მართალი ჰგონია, როგორც თქვენ, ან მე. მე ვფიქრობ, ეს იგივე იქნებოდა, რომ გაგვესამართლებინა ყასაბი იმისათვის, რომ ძროხა დაჰკლა, ან თხუნელა, მი-

წას რომ თხრის. მე ისიც კი მგონია, რომ ეს ჩვენ სულაც არ გვეხება, მიმიხ-
ვდით? მე ვამბობ, მართლმსაჯულებას-მეთქი.—სასამართლოს თავმჯდომარემ სუ-
ლი მოითქვა, მანტია გაიხადა, — ცოტა უნდა შევისვენო. იცით, მე მგონია, მას
ნაფიც მსაჯულთა სასამართლო გაათავისუფლებს, ეს უაზრობაა, მაგრამ ალ-
ბათ გაათავისუფლებს, იმიტომ... მე თქვენ ერთ რამეს გეტყვით: მე გლეხის
სისხლი მაქვს და როცა იმ კაცმა თქვა, ორ კვალ მიწას გაერთიანება უნდაო...
მე მინახავს ორი კვალი მიწა და ვიგრძენი... თუ ვინმე უნდა გაგვესამართლე-
ბინა.... მიმიხვდით? რომელიმე ღვთისნიერი კანონით... მიწის ის ორი კვალი
უნდა გაგვესამართლებინა და იცით, რას ვამჯობინებდი, რომ გაგვეკეთებინა?
ყველას მერჩია ავმდგარიყავი, ბერეტი მომეხადა და მეთქვა: ბრალდებული
ვონდრაჩეკ, ღვთის გულისთვის, რადგან დაღვრილი სისხლი ზეცას
შეჰღაღადებს, იმ ორ კვალში ლენცოფა დათესე; ლენცოფა და კუნელი.
სიკვდილამდე თვალწინ გექნება ის შემზარავი ანეული... კარგი იყო მენახა,
ამაზე რას იტყოდა სახელმწიფო პროკურორი. ბატონო კოლეგა, ზოგჯერ
ღმერთმა უნდა განსაჯოს; იცით, მას შეუძლია დიდი და საშინელი მსჯავრი
დასდოს სალმრთო სჯულის სახელით, მაგრამ ჩვენ ეს არ ძალგვიძს. ვნახოთ,
რა განაჩენს გამოიტანს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო!

ხვნეშით, უხალისოდ იცვამდა სასამართლოს თავმჯდომარე მანტიას.

— აბა, წავიდეთ! შემოვიდეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო!

სპარტაკ ცინცაძე

სურათები სერიიდან **„ჩემი სოფელი“**

დათოვლილი ზვინები

შემოდგომა

ჯორჯ ბორლონ ბაირონი

ლექსები

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ერისთავმა

დღეს შემისრულდა ოცდათექვსმეტი

მისოლონგი, 22 იანვარი, 1824

დრო არის, გულო, დაიცხრო ვნება,
თუ სხვის გულს ველარ გაუჩენ დარდებს!
არვის ვუყვარვარ? — მომეცი ნება,
რომ მე მიყვარდეს.

გულმკერდს უშრეტი ცეცხლი მიდაღავს, —
გულის ვულკანი არ არის მცხრალი,
მაგრამ ვერ ვანთებ ვერვის ჩირაღდანს
ამ ცეცხლის ალით.

ტკბილი იმედი, სიმწარე აზრთა,
შიში და ეჭვი ვერავის ვანდე,
და სიყვარულის უსიტყვო განცდა
ბორკილად მადევს.

მაგრამ ამ ფიქრებს აქ რისთვის ვამხელ,
სადაც ბრძოლების გუგუნში ახლა
დიდება მოსავს გმირების სახელს,
ან გმირთა საფლავს.

ჰა, ხმალი, დროშა და ბრძოლის ველი,
აქ საბერძნეთის დიდება ელავს,
ვერ დაიტევდა გმირი სპარტელიც
უმეტეს ღელვას.

აღსდექი, სულო! როგორც ერთთავად
მთელი ელადა აღსდგა და იბრძვის,
აღსდექ! ძარღვებში გიდუღს ძველთაგან
მეომრის სისხლი.

F 371

მიხას სტრელცოვი

ჰეი, ივანოვიჩ, ძველო დონჟუანო!

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ბელორუსულიდან თარგმნა გიორგი ბაქანიძემ

ორნი იყვნენ ტელეფონის ჯიხურში და ორივე მძულდა. ვიდექი და ვიცდიდი, მაგრამ მისხალ ყურადღებას არ მაქცევ-დნენ. ამ საღამოს მძულდა ყველა, ვინც კი ჩვიდმეტი წლისა იყო. დარეკვაზე ფიქრიც კი არ ღირდა. უფრო მეტად ის მაცოფებდა, ასე რომ ვყურყუტებდი ჯიხურთან და კარს მიღმაც ეს წვინტლიანი ლაწირაკები ბლოდნენ. ორივეს უჩვეულოდ ქათქათა პერანგი და ვიწრო, გატკეცილი შარვალი ეცვა, საკინძე ჩაეხსნათ, მოუჩანდათ კოხტად შეკრეჭილი ჯიუტი კეფები. ველარ მოვითმინე, ჯიხურის მინაზე მუშტი ავაბრაგუნე და ვუყვირე: — ეი, თქვენ! მოათავეთ ახლა, გაიგეთ!

ვინ მოგაქცია ყურადღება! ერთს, კაფანდარას, შავტუხას, ბარე ორი კაცის საყოფი ცხვირ-პირი რომ ჰქონდა, საერთოდ ფეხებზე ვეკიდე. მეორემ, ჩემკენ უფრო ახლოს, ჯიხურის მინაზე მხრით მიყრდნობილმა ქერა აყლაყუდამ, მარტოოდენ უხალისოდ მიმოატარა მზერა, პირიდან სიგარეტი გამოიღო, თავისივე ფეხებში ჩააწიტა და ყასიდად ყურადღებიანი, ყეყეჩური სახე მიიღო, თითქოს ვერაფერი გაეგო, აზრზეც არ იყო. ზედაც არ შემომხედა. ძალიან კი მინდოდა. ერთი მომედო იმის ლაწირაკულ სიფათში, მაგრამ ისევ მოცდა გადავწყვიტე. ჰოი, კატილინა, ბოროტად რად იყენებენ ჩემს მოთმინებას?

— მისმინე, ლიუს! ჩააწყე საქმე, რომ დედაშენმა შუხური არ ატეხოს. ფირფიტები მაქვს — ჭკუას დაკარგავ! აბა როგორ — წყალი არ გაუვა. გუდ ბაი! ლიონკას არ მივცე ყურმილი? კეთილი. სალუტ! როდის მოვათრიო ჩემი მოკვდავი გვამი?

ახლა კი ველარ მოვითმინე: ერთი, ორი, სამი! — სამჯერ ვხეთქე ჯიხურის

მინას. თვალებითაც ლამის შევჭამე ორივე. ცოტათი მოვიდნენ აზრზე. ქერამ მხრები აიჩეჩა და შავტუხას შეხედა. შავტუხა უკვე ყურმილს ჰკიდებდა. ამთავრებდნენ, ზურგებს ისწორებდნენ ჯიხურში და, თითქოს უბრძანესო, ორივე დამოუკიდებელი კაცის იერს იღებდა. თვალს არ ვაცილებდი. გამოვიდნენ ჯიხურიდან, გაუყვნენ ქვაფენილს. ქერამ ახლალა მომხედა და წაიღიღინა:

...ჯერ კი ყველაფერს პირიქით ვხედავთ:
მარტო შავ კატას არა აქვს ბედი.

ეჰ, თქვე ლლაპებო, თქვე ცინგლიანებო... რაც მართალია, მართალია, ჩვიდმეტი წლის ასაკში არ ვიყავი ამათნაირი. მხოლოდ მესამე კურსზე მოვუშვი თმა — სწორედ მაშინ შემოდიოდა გრძელი თმა მოდაში, და ავიწიე ქურთუკის საყელო — ესეც კარგ ქცევად ითვლებოდა.

იმ დროს ბიჭებს დღითიდღე კატასტროფულად უვიწროვდებოდათ შარვლები, სამაგიეროდ მხრები ხალვათად ჰქონდათ გაგანიერებულ პიჯაკებში. თუმცა ეს მე ალარ მეხებოდა. გრძელი თმა — კიდევ ჰო. აწეული საყელოც — ჯანი გავარდეს. ისე, სიტყვამ მოიტანა და, მე მაშინ ფრანგულ რომანებს ვკითხულობდი. ემილ ბლონდე, ლუსიენ რიუბამპრე... გალანტური საუკუნე, ენამახვილობა და სკეპსისი... „გაცრუებული ოცნებანი“. „რა მცირე გზა არის გავლილი, რა ბევრი დაგროვდა შეცდომა“. არაფერი იყო შავნალვლიანობაზე ტკბილი საცთური. მრავალტანჯული გმირები ეპილოგში ბუხრის მოალერსე ცეცხლთან იყრიდნენ თავს. ჩამოშვებულ ფარდებს მიღმა ღმუოდა შემოდგომის ცივი ჭალიკონი. ბუხარი იყო ჯილდო ხანგრძლივი თმენისა, საფასური გარდასულ რეულობათა და ფათერაკთა. და ვინმეს უთუოდ პირველს უნდა დაეწყო: „გახსოვს?“ და მეტი — არაფერი. ბუხარში სასიამოდ, თანაბრად გუზგუზებდა ცეცხლი, მას ვერას აკლებდა სარკმლის მიღმა ავად მობორიალე შემოდგომის ქარი... აჰ, დავიბენი, როგორც ვიბნეოდი იმა წლებში, მაგრამ იმას ვამბობდი, ღმერთი, რჯული, არ ვიყავ ამათსავით დიდგული და უგვანო პიკონი!

ყველაზე უფრო ალბათ ის მაბოროტებდა, სწორედ ამათნაირ ბიჭბუჭებს შეეძლოთ მისთვისაც დაერეკათ. „მოსმინე, ლორიკ, ჩვენ ახლა, მე და ედიკა, შენთან მოვხანხალდებით. სადღეგრძელოები ჩვენი, შარაფი — შენი. მოგილოცავთ — ამას რად უნდა ბევრი ჭიჭინი. ცხრამეტი წლისა — აწი დედაბერი ხარ, არაფერი შეგეშლება. აბა, ჰე და აბა, ჰო!“ ყველაზე ცუდი ის იყო, რომ მე ვერაფერს შევცვლიდი, ვერც ვუშველიდი. თავს უსუსურად ვგრძნობდი თვალაუხელელი კნუტივით. სხვის კართან ატუზული მათხოვარი ვიყავ. ჩემი ოცდაათი წელი მძიმე ტვირთად მაწვა მხრებზე. ვერაფერი საქმეა — ზედმეტი ათი წელი. შემეძლო მეც ვმჯდარიყავი იქ სხვებთან ერთად, მაგრამ აი, ახლა აქ ვარ და რატომლაც ტელეფონით ვურეკავ. რატომ? კვლავ მიმიწვევენ და ხელახლა უარს ვიტყვი. იგი განაწყენდება, მით უმეტეს ახლა, როცა სტუმრებმა უკვე თავი მოიყარეს; ადგება და ჩემს ჯიბრზე ვილაც ედიკთან იცეკვებს მთელი საღამო. „სულელი ხარ, — ვუთხარი ჩემს თავს, — შენ იქ უნდა იყო. მაგიდასთან უნდა იჯდე. მალლამხედ ღმერთად უნდა მოევლინო იმ ქალაფშუტა სატირებს. დაიცვა ნორჩი ნიმფა. შენ მათზე კარგი ხარ. მთელი ათი წლით“.

ტელეფონის ჯიხურში მთელი დღის მანძილზე გამთბარი სალებავის

მხუთავი სუნი იდგა. მონეტას რომ ყლაპავდა, ავტომატმა ყრუდ შემომილრინა. ფოლადის ჯაჭვით აპარატზე უშნოდ ჩამოკიდებული ყურმილი განურჩევლად თბილი იყო ყველასათვის. ღილაკს თითი დავაჭირე, ავტომატი თვითონ ჩაირთო ზრიალით. გატყდა სიჩუმე, და მერმე საშინელი, უბოლოოდ მდუმარე სიცარიელე გაიხსნა. ცოტა ხანიც, და რაღაც აჩქამდა, მოისმა ხმა:

— ვერა ფიოდოროვნა გისმენთ. ვინ ლაპარაკობს?

რა ახალგაზრდული ხმაა. ნუთუ დედამისია?

— ლარისა მინდა. სთხოვეთ, გეთაყვა, ლარისას.

მესმოდა რაღაც ხმაური, ხმები, მუსიკის ნაწყვეტები. რადიოლაა თუ ტელევიზორი? რატომღაც მინდოდა ტელევიზორი ყოფილიყო.

— თქვენ ამ საღამოს ჩვენთან უნდა მოსულიყავით? დაიგვიანეთ?

რა ხმა იყო — მტკიცე, დაჯერებული, ყმაწვილი ქალისა! ლარისამ ერთხელ მითხრა, დედაჩემი ეწევაო. ამბობენ, თამბაქოს წევა ქალებს ხმას უუხეშებსო. ეტყობა, ჭორია.

— არა, არ დამგვიანებია. არ ვიცოდი, წვეულება თუ გქონდათ. ლარისა შინაა?

— გოგონებს გაჰყვა მალაზიაში, ნაყინი უნდათ. ბიჭები გაგზავნეს, მაგრამ ალარ გამოჩნდნენ. ალბათ მალე მოვა... რა გადავცე?

— არაფერი. ალბათ მოგვიანებით დავრეკავ.

ტყუილი ვთქვი. მიხვდა, არ უნდა ეკითხა, ვინ რეკავდა. თუმცალა სულ ერთია, მაინც არ მიცნობდა. ერთხელ ვნახე ქალაქში და ისიც შემთხვევით. ლარისას ახლდა. წამოწეული, მრგვალი ნიკაპი ჰქონდა, მოკუმული ბაგე. მკაცრი მზერა. ამასთან ერთად რაღაცნაირი ბავშვური დაბნეულობა, რაღაც ისეთი, ლამის სიბრალულს რომ იწვევდა. ლარისამ მითხრა, მამაჩემი ეჭვიანობს დედაზეო. ლარისა, დედაშენს უთხარი, თავის თეფშს უყუროსო, — უთქვამს ერთხელ სტუმრად ყოფნისას.

— კარგად ბრძანდებოდეთ, — ვთქვი და მოულოდნელად დავამატე: — ვერა ფიოდოროვნა.

მხიარული ნათქვამი გამომივიდა, სინაზეც არ აკლდა ჩემს ხმას. არა, ყურმილის დაკიდებაა საჭირო. მორჩა.

— იქნებ გადავცე ლარისას, რომ...

ყურმილი ჩამოვკიდე.

გამოვედი ჯიხურიდან. რატომღაც ცოტათი თავი მიბრუოდა. თითქოს სილრმიდან ამოვყვინთე წყლის ზედაპირზე. რწევა-რწევით მხვდებოდა ქუჩა; სახლები, ადამიანები, ხეები გარდუვალ, ზუსტ სიცხადეს იმოსდნენ და დგებოდნენ თავთავიანთ ადგილებზე. ვიდექი და ვფიქრობდი, შემდგომ ამისა რა მექნა. თავში ულიმლამოდ მიბრუნავდა რაღაც ამის მსგავსი: „ეჰ, ქენკა, ქენკა. ივანოვიჩ, თვალისჩინო! შენგან არ დადგა მორალურად მყარი უცოლო კაცი — მოგიწევს კვლავ დონჟუანობაზე გადასვლა“.

არაფერი მრჩებოდა შინ წასვლის მეტი.

საღამო დგებოდა და მოდენილ ბინდში ქუჩას ყოველ წამს უცვლიდა იერს ფანრების სინათლეები, მერხევი ჩრდილები, უცნაური მდუმარება ტროლეიბუსთა; ლურჯ მინებს მიღმა როგორღაც შენელებულად, უაზროდ იძროდნენ, უხმოდ იცინოდნენ და ბრმად იმზირებოდნენ ადამიანები. მესმოდა

ლაპარაკის ნაწყვეტები, ფოთოლთა შარიშური. ჩამოდგა სიგრილე, მერმე კი საკვირველი სინაზითა და სიტკბოებით ფშვენდა ჯერაც თბილი ასფალტი, ნელსურნელებანი, მტვერი, ვილაცის მიერ დაგდებული ნაყინი. უსასოო სითანაბრით იწვოდნენ ნათურები, თითქოს თვითონაც არ სჯეროდათ თავიანთი შუქისა. ნათურებქვეშ ცაცხვის ფოთლები უამურად ცივი, მწვანე სინათლით გაჩახჩახებულიყო, და ასევე ცივად გადადიოდა ფერი-ფერში ქალაქის თავზე შიშნეულად ყვითელი, იისფერი, იასამნისფერი ზეცა.

გულშიაც სიობლე, სიცივე მედგა.

გადავედი იმ მხარეს, საცა ნაკლები ხალხი და მაღაზიის ვიტრინები იყო. ცაცხვების სევდიანი თაღის ქვეშ მბჟუტავმა ნათურებმა წამიყვანეს შინ, გამოცარიელებული ბინისაკენ, სადაც არაფერი მელოდა, გარდა 'მარტოობისა, მხოლოდ ორჯერ შევჩერდი სიგარეტის მოსაწევად ტროლეიბუსის გაჩერებაზე მდგარ ხალხში, კვლავ წავეხეტე და სადღაც „გასტრონომის“ სიახლოვეს წამოვეწიე ორ ლაწირაკს, კონსერვის ცარიელ ქილას რომ მიახრიგინებდნენ, აქაო და ბურთს ვთამაშობთო. კვლავ მომეძალა სიბოროტე. ვიცოდი, ეს სულელური, ფუჭი სიბოროტე იყო, რომ არავინაა ბრალეული და ვერც ვერავინ უწამლებდა ჩემს სატკივარს, მაგრამ მაინც გულს ვასკდებოდი, ყოველ შემხვდურს ყინჩად ვუმზერდი, თითქოს მათი სიავკაცე რამ მცოდნოდეს. მერმე ორი წყვილი მიდიოდა ჩემ წინ. ერთ მათგანს, აწოწილსა და ბეჭებში წახრილს, მომალლოდ შეკრეჭილი თავი აელირა, ხელები ზურგზე დაეწყო და მოჟამული მიაბიჯებდა კაი ახტაჯანა გოგოს გვერდით. მეორე, ხუჭუჭთმიანი, ცოტათი ბოშას რომ მოჰგავდა და გარუჯულ კისერზე პატარა ფოსო აჩნდა, გაუჩერებლად ოხუნჯობდა, ყრუდ ხარხარებდა, დროდადრო, თითქოს უნებურად, მოლივლივე ტაფტის კაბაზე ხელს ავლებდა თავის ქერა, ზორბა გოგოს, ის კი ზარმაცად აბრუნებდა ხოლმე მხარს, ხელზე სცემდა კადნიერს, ხოლო ვაჟი უკვე ქედზე ადებდა ხელს და ეკითხებოდა: „ასე ხომ შეიძლება?“ — და კვლავ ხარხარებდა. ჰო, რა იდილია იყო! დალახვროს ღმერთმა, — ყველაფერს გულისგულამდე ვხედავდი, იმასაც ვხედავდი, როგორ დარჩებოდნენ ერთად პირისპირ და, მერწმუნეთ, სიამოვნებით მივცემდი ჩემს ცარიელ ბინას ამ ქალიშვილსა და ამ ლიზღ ჯელელს, ოღონდ კი ასე კადნიერი დარჩენილიყო ბოლომდე.

ქუჩის ბოლოს მე მარცხნივ შევუხვიე, იმათ გზა განაგრძეს. ჩემი ქუჩა ქვემოთ, პარკისკენ ეშვებოდა. აქ ნეონის ლამპიონები ანათებდნენ მკრთალად და მეტი სიმყუდროვე და სიბნელე იყო. უკვე შინ ვიყავი. შევერიე გვირაბის ბინდს, ბრახუნით გავიარე მის მაღალ თაღებქვეშ, შევალაჯე ეზოში, სადარბაზო უკან მოვიტოვე და ლიფტისკენ ავუყევი საფეხურებს. უცნაური გულგრილობა დამეუფლა. სიბრაზე განქარდა. უკვე არაფერი მეწადა. ხომალდი მიადგა ნაპირს და აწ მის ფერდს ზანტად ეხლებოდა ტალღები. მინანავებდა მარტოობა. ლიფტში შევედი და ულონოდ დავაჭირე თითი ღილაკს. ჩაქრა და კვლავ აინთო შუქი. ლიფტი ზემოთ ადიოდა და მარტო ვიყავი. სიგარეტს მოვუკიდე. არ ვიცოდი, ხშირად თუ ემართება ადამიანს ასეთი რამ. განსაკუთრებით იმას, ვინც დიდი მონდომებით სწავლობდა ბავშვობისას, ვინც ისწრაფვოდა შეეცნო ყოველივე, ძალიან ცოტას კი მოქმედებდა. ამიტომაც ვერაფერს მიალწია ცხოვრებაში. თუმცა, ბოლოს და ბოლოს, რაიმეს მილწევაც დიდი არაფერია. მე, ეტყობა, ამისთვის არასოდეს ვიკლავდი თავს. სხვა რამ მსურდა. ერთხელ, ერთ პატარა მდინარეზე თევზაობისას, ვინმე მეთევზეს

გადავეყარე. იგი იმასვე იქმოდა, რასაც მე: ანკესი ეკავა და თევზის მოლოდინში ილაჯს იწყვეტდა. განსხვავება მარტოდენ ის იყო, რომ იგი თევზს იჭერდა, მე კი — ვერა. ასე რატომ ხდებოდა, ძნელი გასაგები იყო. თევზი თავისით მიდიოდა მისკენ. ძველი, გამოხუნებული ლაბადა ეცვა იმ კაცს, თავზეც დიდი ვერაფერი კეპი ჰქონდა დაკოსებული, ფეხიც ბრეზენტის უბრალო ფეხსაცმელებში ჩაედგა. ბდღვრიალებდა მკბენარა მზე, მას კი სულაც არ აწუხებდა ხვატი. ფეხი რომ არ დამსველებოდა, შარვლის ტოტები ავიკეცე, მისთვის კი თითქოს სარკოვანი პარკეტი იყო იგი წყალი. სრულიად მშრალი ჰქონდა თავისი ბრეზენტის ფეხსაცმელები. წნულ კალათზე რაღაც ფლასი შემოეხვია, იღებდა იქიდან მოხარშულ კარტოფილს, ზედ ხელისგულს აფარებდა და ისე ჭრიდა პატარ-პატარა კუშტულებად, მერმე, თითქოს მდინარეს აკურთხებსო, საიდუმლო ჟესტით ფანტავდა ნაპირზე ამ წვრილ-წვრილ ნაჭრებს. ამის შემდეგ გაირინდებოდა წყლიდან ზედ ნაპირთან ამოჩხორილ ლოდზე ფეხმორთხმული, და იცდიდა. რა არ ვუთვალთვალე, ვერა და ვერ დავუდარაჯე იმ წამს, როცა მის სატყუარას თევზი მიეტანებოდა და კენკვას უწყებდა, — მხოლოდ თევზს ვხედავდი, უკვე მის ხელში მოფართხალეს, და მის შავ, მოწკურულ, უძირო თვალებს ვხედავდი, ამ თვალებში ჩაბუდებულ შემზარავ, ჩაციებულ მზერას...

ვერაფერი გამეგო. ბოლოს, როცა გავიგე, ჩემთვის ნათელი გახდა, რომ მთავარია არა მიღწევა, არა შედეგი, რაც, თუ გახყენებულად შევხედავთ, უბრალოდ შედეგია და მეტი არაფერი, — მთელი საქმე მდგომარეობდა თვით ჩვენს შესაბამისობაში ამ შედეგთან, მიზნისა და შედეგის შესაბამისობაში. ჩვეულებრივი ჭიჭყინა იმ მეთევზისათვის ჩვეულებრივი ჭიჭყინა იყო, მაგრამ მის ხელში აფართხალებული შეიძლება ოქროს თევზად ქცეულიყო. და მაინც, უწინარეს ყოვლისა, იგი იყო მხოლოდ ჭიჭყინა. ყისმათი კი არა, მხოლოდ ჯილდო მოთმინებისა წილ. ეს მოთმინებაც არ ამცირებდა ადამიანს, ისევე, როგორც არ ამცირებდა გახუნებული ლაბადა, გაქუცული ქუდი და ბრეზენტის ფეხსაცმელები. თავდაპირველად მთავარი იყო არა შედეგი, არამედ სავსება წინათგრძნობისა. მე ვჩქარობდი, ვნერვიულობდი, შედეგზე ვფიქრობდი და ვერ ვამჩნევდი, როგორ ყრუვდებოდა ჩემი შინაგანი ხმა, წარმატება რა თანდათან მეჩვენებოდა სასწაულად და თევზიც — ხელთუქმნელ ოქროს თევზად. მაგრამ ვერც ჭიჭყინა დავიჭირე და ვერც ოქროს თევზი.

არა, მე მჭირდება, ძალიან მჭირდება სწავლა მოთმინებისა.

ახალი სიგარეტი უკვე შინ მოვწიე, სამზარეულოში. მიყვარდა ეს სამზარეულო, — მილა დიასახლისობდა აქ. სხვისი ცოლი, ქმრიანი ქალი, ვინაც იმის ცდაში იყო, ამ ბინაში შინაურად მეგრძნო თავი, მარტო უბრალო დამქირავებელი არ ვყოფილიყავი. სამზარეულოში მთელი სიგრძე-სიგანით იშლებოდა მილას არაჩვეულებრივი ნიჭი. სამზარეულო იყო ბინის ემბლემა, თუ გნებავთ — სული მისი. მილაც იდეალური მეუღლე გახლდათ. ასეთი ცოლის პატრონმა კაცმა არასოდეს არ იცის სამზარეულოს პრობლემა — პირდაპირი და გადატანითი აზრითაც. მას შეუძლია თუნდაც ასი კაცი იწვიოს და ასევე დაპურდება. მთლად ყეყეჩი თუ არაა, არც ენა მოუბრუნდება იმაზე, რომ ცოლს დაბალი განათლება აქვს, რომ მალალ ინტელექტუალურ სფეროებსა და სამზარეულოს შუა დიდი უფსკრული ძევს. არც იმას იტყვის, ჰაერივით

მჭირდება ოჯახში ინტელექტუალური სჯა-ბაასი. ისე კი მილასთან პროდუქტების ფასებზე ლაპარაკი ჩემთვის უფრო საინტერესო იყო, ვიდრე მის კანდიდატ ქმართან ჯდომა და კიბერნეტიკაზე მსჯელობა.

ვუჯექ სამზარეულოში მაგიდას, და უნებურად თვალში მომხვდა სამი დღის წინ მიღებული დეპეშის გაწკაპული სტრიქონი. ავიღე და ერთხელაც გადავიკითხე: „რატომ არ წერ რა მოხდა სტანისლავი მილა". მახსოვს, იმ დღეს ელეთმელეთი მომივიდა ამ ფამილარული „სტანისლავის" წამკითხავს — ჩვენ არასოდეს მიგვიმართავს ერთმანეთისათვის სახელით, მამის სახელის გარეშე. მილა — სხვა საქმეა: მასთან თქვენობით ვლაპარაკობდი, მაგრამ, მადლი უფალს, „ლიუდმილა პეტროვნა", „ევგენი ივანოვიჩი" და ამდაგვარი კომედიები არ დაგვიწყია. ისევ მომეჩვენა, რომ საჭირო იყო დეპეშის სხვაგვარად, ვთქვათ, ასე წაკითხვა: „როგორ არიან თევზები აქვარიუმში? ჩემს განაწესს თუ ასრულებ?" „ვერ მოგართვით! — გავიფიქრე, — იმდენი ჭკუა კიდევა მაქვს, ახალი, წვრილად დაკეპილი ხორცით არ ვკვებო თევზები, როგორც დამავალა თქვენმა მოწყალებამ. მაგ საშხრეთული მზის ქვეშ ბარემ ერთ ექვს კილოს მაინც დაიკლებდი, რომ გაცოდინა, რა მალე ვნახე გზა მალალი- „ბუნებისაკენ" და შენი თევზები განმტვირთავ სახელმწიფო დიეტაზე გადავიყვანე. სალუტ, სტანისლავ მამაშენოვიჩ, გაგამხნევოს სასიამო ახალმა ამბებმა".

მეჭირა ქალალდი და ვცდილობდი წარმომედგინა, როგორ გამოგზავნეს დეპეშა. მე სულელმა როგორ ვერ ვიაზრე, რომ დეპეშა მილამ გამოგზავნა? რასაკვირველია, მან განგებ დაწერა თავის წინ სტანისლავ 'მამამისოვიჩის სახელი, აჩვენა ქმარს და, როგორც იცის ხოლმე, დაარწმუნა, სწორედ ასეა საჭიროო, ასე ეამება მარტოხელა საწყალ, უბედურ უცოლო კაცსაო. იქნებ სტანისლავ მამამისოვიჩს გულიც კი აუჩუყდა და დეპეშის მთელი ისტორიაც კაცთმოყვარეობის უმაღლეს აქტად ჩათვალა.

ეჰ, მილა, მილა, დიდებულო მილა, ქმრიანო მანდილოსანო! დასტურ ახლა ვიგრძენი, როგორ მაკლია არსებითად ის ერთადერთი ქალი, ვინც მჭირდება და ვისაც ვჭირდები. მაგრამ ამას ჩვენ, ცხადია, არ გავუმხელთ ერთმანეთს. ისიც კმარა, რომ ვიცით. საჭირო არაა, გამოგვცვალოს ამის თქმამ. დაე, დარჩეს ჩვენში შესაძლებლობად, რასაც ხორცშესხმა არ უწერია. რომ მომენდომებინა, მილასაგან ყველაფერს მივიღებდი, მაგრამ რა საკადრისია ბიჭობა გამოიჩინო ისეთი ქმრის წინაშე, ვინაც ცოლის გულისათვის ჩუმ-ჩუმად ბალანს იპარსავს მკერდზე. ამ ამბავს როგორლაც მივხვდი და მას მერმე, როდესაც მილაზე ვფიქრობ, გული უნებური ნაღველით მევსება. ახლა კი... ამ წუთას მიყვარდა მილა, ისე მიყვარდა, ჩემივე გულისცემას ვისმენდი. მომინდა, რომ სადღაც იქ, დასასვენებელ სახლში, მილასაც ჩემზე ეფიქრა ახლა, და დარწმუნებული ვიყავი, ამ ღამეში, ამოდენა მანძილის მიუხედავად, იმასაც ჩემზე ფიქრს ვაიძულებდი. ჩამოვა და, შევამოწმებ ამას, ვკითხავ როგორმე. ანდა, ხომ არ აჯობებს, სულაც მივაგდო ყოველგვარი სამუზეუმო საქმე, ინსტანცია არ გავაფრთხილო, ვიმოკვლო ცოტაოდენი ფული და სამხრეთისკენ გავუტიო ერთი-ორი დღით? მერმე კი ახსნა-განმარტებითი ბარათი გამოვუგზავნო მუზეუმის დირექტორს, ქარაფშუტობა მოვინანიო — დავკარგო ჩემი ოთხმოცი მანეთი და უმცროსი მეცნიერ-მუშაკის ადგილი! — ვუმტკიცო, რომ განზრახვა არ მქონია მუზეუმის მეგობრული კოლექტივის შეურაცხყოფისა და რომ მომავალში მუყაითი შრომით შევეცდები ამა კოლექტივის ძველი კეთილგანწყობილება დავიბრუნო. ეჰ!..

ეტყობა, ტელეფონის ზარია.

ავდექი, აუჩქარებლად გავედი წინა ოთახში. როცა უკვე ყურმილს ვიღებდი, ვიფიქრე, იქნებ ლარისა რეკავს-მეთქი, მაგრამ რატომღაც სულ არ გამხარებია. ეს რაღაც ახალი ამბავი იყო და გუნებაში კიდეც შევაქე საკუთარი თავი: მართლაც სასიამოვნოა, როცა იცი, რომ ახლა, ლარისასთან ლაპარაკში, აუცილებლად მოიძევ საჭირო სიტყვებს და შეურაცხყოფის მიუყენებლად ეტყვი ყოველივე იმას, რაც უნდა უთხრას მამაკაცმა აი, ასეთ წუთებში ცხრამეტი წლის გოგონას. მაგრამ ყურმილი დუმდა, მხოლოდ ის მესმოდა, რა მძიმედ ირხეოდა მასში სიჩუმე. მეტი დაცდა უკვე უაზრობა იყო, და მე ვთქვი:

— ალო! ალო!

ყურმილი კვლავ დუმდა. შიგ ვიღაც უამურად, ჩქარ-ჩქარა სუნთქავდა! — შენა ხარ, ლარისა? ამოიღე ხმა, გისმენ...

ვიღაცამ საჩქაროდ, ერთობ ჩქარა დადო ყურმილი.

მისტიკა, წმინდა წყლის მისტიკა! შეუძლებელია ეს ლარისა იყოს. ბოლოს და ბოლოს, რად უნდა დამირეკოს? ეტყობა, ვაჭარბებ, როცა მგონია, რაღაცას წარმოვადგენ მისთვის. ათი წელი საკმაოდ მაღალი კედელია და ამ კედლიდან რომ ხელი გადმომიწოდოს, ლარისას ფეხის წვერებზე შედგომა სჭირდება. რისთვისღა შედგეს ფეხის წვერებზე? იმისთვის ხომ არა, თავის კამპანიას და თავის მოხუც მშობლებს ჩემი თავი აჩვენოს? მაგრამ მე ხომ გადავწყვიტე, იქ არაფერი მესაქმება-მეთქი. იქნებ შევცდი, იქნებ სხვაგვარად უნდა მექნა? გამოვცხადდე, როგორც ეს შეეფერება მეცნიერ, თუნდაც უმცროს მეცნიერ-მუშაკს (ამ წვრილმანს საუბარში ფრთხილად უნდა ავუარო გვერდი), ენერგიულად ჩამოვართვა ხელი ლარისას მამას, მტკიცედ შევხედო თვალებში და წარმოვთქვა ჩემი სახელი. მერმე მომხიბლავად გავიღიმო და ვიხუმრო: — იცოდეთ, ფერაპონტ დორმიდონტოვიჩ, თქვენ შემდეგ მეორე სადღეგრძელო ჩემია. თამადობაც შემიძლია, თუ, რა თქმა უნდა, წინააღმდეგი არ იქნებით.

ფერაპონტ დორმიდონტოვიჩ! ფუჰ! მართლა რომ ასე მეწოდებინა, რა თვალით შემხედავდა? იფიქრებდა, აფრენსო. მაგრამ დაიცათ!.. კაცობასრული ადამიანის უფლებით ხელზე ვკოცნი ლარისას დედას (რატომაც არა!). ვერა ფიოდოროვნა საამოდ არის განცვიფრებული, ცრემლს იწმენდს მალულად. აჰა! ჰაუ, რა უცნობია ყველა სახე! „რა მოგვიდა, — ლარისა წამომეშველა, — აი, ეს არის ვალიკი; გახსოვს, გითხარი, რომ იგი... ესეც ვალერკა; ამან ყურების პარტყუნი იცის... ვალერკა, აჩვენე ერთი!“.. იდილია! ახალგაზრდები გარს მერტყმიან და მეკითხებიან, რა სიგარეტებს ვეწევი...

გამოვტყდები, ეს ყველაფერი სულაც არ მაშინებდა. ყველაზე უფრო არ მინდოდა იმაში დარწმუნება, რომ ლარისა, არც მეტი არც ნაკლები, ჩემი გამონაგონია, მირაჟია. რა მსურდა მე ლარისასაგან? შესაძლოა. იმასაც კი ვფიქრობდი, მასში არის-მეთქი მთელი ჩემი ხსნა, ახალგაზრდობა, სიმართლე, უშუალობა, სიწმინდე; მისი ხელშეწყობით ყოველივე ამას მეც დავიბრუნებდი. მის გვერდით განვახლდებოდი (რა ცივი და კრიალა, რა მკაცრი მზერა აქვს, და რა მგრძნობიარე, ლამაზი ხელები, — როცა მოდის, ცოტათი წინ უჭირავს ხოლმე, — მგრძნობიარე ხელები, თავისი ფასი რომ იციან, საზაფხუ-

ლო ლაბადის აკეცილ სახელოებში რალაცნაირი დაუდევრობით რომ აზიზობენ), ჩამოვიფერთხავ ჩემი ცხოვრების ყველა სადარდელს, უკეთესი ჩემი გამოცდილება მას გადაეცემა და იგი ისეთი გახდება, როგორიც მეწადა გავმხდარიყავი და ვერ კი გავხდი მე ოდესღაც. იქნებ შევძლო გავაგებინო ყველაფერი. და მაშინ..

ეტყობა, ისევ ტელეფონია. დავიცდი, სანამ მესამე ზარს მომცემდეს და, თუ მეოთხეც იქნა, ავიღებ ყურმილს. აჰა, მეოთხე ზარიც... — ალო! თუ რაიმეს თქმა გსურთ, იჩქარეთ, გისმენთ.

კვლავ გარკვევით მომესმა ვიღაცის სუნთქვა. მიანდოდა გაბრაზება და ყურმილში შეგინება, მაგრამ რალაც ხმამ ჩამძახა, დაიცადეო. — აჩქარდით, ათ წამს გაძლევთ.

— ... მე, მე ლიონია ვარ, — წარმოთქვა უცებ ყურმილში ვიღაცამ. — თქვენ... ძია ხართ?

ეშმაკმა უწყის, რა ხდება! ეს ბავშვური ხმაც...

— ლიონია? ვინ ლიონია? თქვი, გეთაყვა, ლიონია, რა გინდა და ვინ მოგცა ჩემი ტელეფონის ნომერი?

— თქვენ კი კარგი ძია ხართ და არ გაბრაზდებით, არა?

ჩინებული შესაძლებლობაა თავის ქებისა.

— კარგი ძია ვარ თუ ცუდი, არ ვიცი, მაგრამ გაბრაზებით არ გავბრაზდები. აბა, მიდი...

— მე, ძია, მოწყენილი ვარ და თვითონ გამოვიგონე თქვენი ტელეფონის ნომერი. ვიჯექი ჩემთვის და გამოვიგონე. სხვა ნომრებიც გამოვიგონე, მაგრამ არ ლაპარაკობენ, მარტო წკრიალებენ და დამავიწყდა ყველა. თქვენი კი ყველაზე პირველად გამოვიგონე...

— კარგი ბიჭი ხარ, ლიონია, რამდენი წლისა ხარ?

— უკვე დიდი ვარ, ძია, შემოდგომაზე სკოლაშიც წავალ. მარტო ორი თვე მიკლია, მაგრამ მსმენია და დედამ თქვა, სულ ერთია, მაინც წაგიყვანთო. მართლა წამიყვანენ, ძია?

— აბა, რა გითხრა, ლიონია... ჩემი აზრით, წაგიყვანენ... რა, შენ მარტო ხარ?

— დედა და მამა აგარაკზე არიან. მეც ვიყავი და ლილაც, ჩემი და. მე, ძია, იქ ფეხში ხიწვი შემერჭო. უჰ, როგორ მტკიოდა!

— შენ კარგი ბიჭი ხარ, ლიონია, ვიცი, ითმენდი...

— არც კი მიტირია, ძია. იცი, ღამით როგორ მტკიოდა? მწიწკნიდა. მიხურდა კიდეც. მაგრამ მე ავდექი და სამზარეულოში გავედი წყლის დასალევად. მეორე ფეხზე ვხტოდი და ისე. დედამ გაიღვიძა და ხელში აყვანილი წამომიყვანა. იმას კიდევ პატარა ვგონივარ...

— არა, შენ უკვე დიდი ხარ, რაზან მოთმენა შეგძლებია.

— ჩემი დაი ლილა ჩემზე უფრო დიდია, ძია. ტექნიკუმში დადის. ოლონდ ის გოგოა და დედამ თქვა, იმისთვის ადრეა ჯერ დიდად ყოფნაო. ლილას მდინარეზე უნდოდა წასვლა ლაშქრობაში, მაგრამ დედამ არ გაუშვა. ლილა ტიროდა და აგარაკიდან გაქცევა უნდოდა.

— აბა, ძმაო, ვერ ჰქონია საქმე კარგად.. ახლა სადაა?

— თქვენ კი გეტყვით, ძია... მამწარებს პირდაპირ. ხვალ ძია ვასია ჩამოდის, ისა, მამაჩემის ძმა რომაა. იმან არ იცის, სადაა ჩვენი აგარაკი... ლილა კი ეშმაკია: დამტოვა მარტო, თვითონ ტოლიკა სოტნიკოვთან ერთად გაიპა-

რა კინოში. დედამ თქვა, ეს ტოლიკა ცუდი ბიჭიაო. მისი დედა საავადმყოფოში იწვა და მაშინ სახლში ბიჭები მოჰყავდა, ღვინოს სვამდნენ და პაპიროსს ეწეოდნენ. მერე ტოლიკამ გასაღები დაკარგა და სახლში ფანჯრიდან ძვრებოდა. დედამ თქვა, ლილკა იმასთან ნუ დაიარებაო. მაგრამ ლილკა არ უგონებს. ვითმენ, ვითმენ და მერე კი ვეტყვი დედას ყველაფერს...

— ეს კი სწორია, მეგობარო. აკი ლილკამ გითხრა, კინოზე დედას ნურაფერს ეტყვი და კანფეტს გიყიდიო. ის კამფეტები, ცხადია, უკვე შეჭამე, არა?

— კანფეტი სულაც არ იყო, ძია, ზეფირი იყო. კანფეტის ყიდვას დამპირდა და ზეფირი მიყიდა. რად მგონდა ზეფირი. თვითონ შეჭამა ლილკამ.

— აბა, ძმაო, თუკი ასეა საქმე, უნდა იფიქრო, რას იზამ. ჩემი აზრით, რაკი უკვე დიდი ბიჭი ხარ, ლილკას გარეშეც კი შესძლებ დროს გატარებას. ტირილი შენ არ გეხერხება, ხოლო კანფეტი... კანფეტი რა ბედენაა! მე უკვე ათი წელი იქნება, რაც კანფეტს არ ვჭამ. კბილებს გაიფუჭებ კაცი და მეტი არაფერი. მთავარია, არ მოიწყინო, ძმობილო. ჩემი აზრით, აგრეა.

— კარგი, ძია, არ მოვიწყენ. — თქვა მან. — ლილკა რომ მოვა, კიდევ დაგირეკავთ, ხომ დავრეკო, ძია?

— იცი რა, — ვუთხარი, — უმჯობესია დაწვე და დაიძინო. მეც ცოტა ხანს ვიჯდები, ვიფიქრებ და დავწვები მერე. მეც მარტო ვარ შინ, ძმაო. სადა გვაქვს ჩვენ მაგ გოგოების დევნის თავი...

ეტყობა, არ უნდა მეთქვა ასე. ფცებ ვიგრძენი, იმ შორეულ, ცარიელ ბინაში რა ბავშვისთვის შეუფერებლად დადინჯდა და მიჩუმდა პატარა ბიჭი. რად ჩავიდინე ეს? ხმამ გამცა. მართლაც დიდი საწამლავია კაცის სევდა.

— დავიძინოთ, ლიონია, — ვთქვი რაც შეიძლება მხიარულად, — ახლა უკვე ბნელა, დაიძინოს ყველამ... იცი ეს ლექსი? კიდევაა ერთი... კატამ ჭამა გუტალინი, ვერ მიირთვა ცხელი ბლინი... ხომ სასაცილოა?

— ჰო, — თქვა გაბარებულმა, — დავიძინებ, ძია. ძილი ნებისა.

— ძილი ნებისა.

ყურმილი დავდე.

რა თქმა უნდა, დაძინებას სულაც არ ვფიქრობდი, თუმცა არც ის ვიცოდი, დროის მოსაკლავად რა მომეგონებინა. კინოში წავსულიყავი? ამელო ორი ბილეთი, ერთი მათგანი ვინმე გვიანი სეანსის მოყვარული ქალისათვის, თუკი შემხვდებოდა, მიმეყიდა, ანდა სულაც დამეპატიჟებინა? ერთ დროს ასეც ვშვრებოდი, იმ წლებში, როცა პრინციპულად არ მინდოდა მყოლოდა გოგონა, ვისთვისაც ჭუჩაში ხელკავი უნდა გამეკეთებინა, გამეცნო ჩემი მეგობრები, შევხვედროდი თითქმის ყოველდღე, მეყიდა ყვავილები და ნაყინი და უცილობლად მიმეცილებინა სახლამდე, რათა ნახევარი საათიც ერთად ვმდგარიყავით საღარბაზოში. მაშინ ვერ ვიტანდი და არც მსურდა ვინმეს ებატონა ჩემზე. მინდოდა, როცა მომეგუნებებოდა, მაშინ მივსულიყავი და არც მას ჩამოერთმია პირობა, რომ ხვალაც აუცილებლად შევხვედროდით ერთმანეთს. ემასთანაც სწორედ იმ ხანებში გამიფუჭდა საქმე, თუმც იგი არასოდეს მეკითხებოდა, ხვალაც მივიდოდი თუ არა. ყვავილებსა და ნაყინს კი ვყიდულობდი მისთვის, ოღონდ საღარბაზოში ყურყუტი აუცილებელი არ იყო, იმიტომ, რომ მაშინ უკვე ინსტიტუტი დავამთავრეთ, იგი მუშაობდა და კერძო, ცალკე შესასვლელიან ბინაში ცხოვრობდა. მაშინ უკვე მეც ვმუშაობდი. ზოგჯერ მოხ-

დებოდა ხოლმე, დილით ერთად წავსულვართ სამსახურში და მაინც არ უთქვამს, ხვალაც ერთად წავიდეთო.

არა, დღეს ხელს არ მაძლევდა კინოში წასვლა. რა ხანია ვიგრძენი, გამივიდა კინოების ასაკი. მრჩებოდა რესტორანი და მე წუთით წარმოვიდგინე ოქროსფერი სინათლით ალსავსე დარბაზი, სხივთა რიალი, კვამლის ცისფერი ზოლები, დანების წკარუნი მეტალის ლანგრებზე, დაძაბული და გაუგებარი გაუცხოება ხალხისა, თუმცა ყველა ერთი და იმავე საქმითაა დაკავებული; ქალთა მიბნედილი, ჩაციებული მზერა, ხელების ქნევა, ლრიანცელი, დამათრობელი სურნელი სამზარეულოსი. მივაბიჯებ დარბაზში, ქვეცნობიერად ვერიდები ქალებიან კამპანიას, ვეძებ თავისუფალ მაგიდას და აჰა, ვიღაცეები, კაი ვინმეები, ხელებს მიქნევენ და ეს იმას ნიშნავს, — აგერ ახლა მოსულან თვითონაც, მაგრამ სადღაც გვარიანად მოუსწრიათ დალევა, შემთვრალან, უკვე თავიც მოუბეზრებიათ ერთმანეთისათვის, — სხვაფრივ აბა, ასე რად გაეხარდებოდათ ფხიზელი კაცის შემოსვლა? ვჯდები მაგიდასთან, მისხამენ და ვსვამ, რაკი უარის თქმა უაზრობაა; მერმე თვითონ ვუკვეთავ და იწყება ჩვეულებრივი ლოთიფოთური აბდაუბდა: ხელის გულითადი ჩამორთმევა, სუფრაზე გადაქცეული ლუდის კათხა, დაჟინებული მცდელობა მეზობელ სუფრასთან კონტაქტის დამყარებისა, განაწყენება ოფიციანტ ქალზე, ჩვენთან სმა რომ არ სურს, მოკლედ — ყველაზე ბანალური ხერხი კიდევ ერთი სალამის დასამარებისა; დილით კი წყალში დახრჩობას გადარჩენილი კაცის მოჟამული გუნება.

არა, ესეც არ გამომადგებოდა დღეს.

სიგარეტს მოვუკიდე: მაგრად იყო დატენილი და ცუდად იწვოდა. ვსრესდი თითებში, სანამ არ გარბილდა და დაიჭყლიტა. მაინც საძაგელი მოსაწევი იყო, პირში ალაოსებრ უსიამო ხრაკის გემოს მიტოვებდა. ისევ საფერფლეში ჩავსრისე და მაგიდის ზემოთა თაროდან წეკოს კოლოფი ჩამოვიღე, იმ შემთხვევისათვის ნაყიდი, თუკი სიგარეტი შემომელეოდა და მაღაზიაში გაქცევაც გვიანი იყო. წეკოს მშრალი, ცხელი კვამლი ცხარედ მომხვდა ცხვირში, შემილიტინა, და რატომღაც მაშინვე გამინათდა გონება, მოულოდნელად მომაგონდა შორეული შემოდგომა, როცა ჩვენ, ჯერაც პირველკურსელები, კოლმეურნეობაში დავიარებოდით კარტოფილის ასაღებად. ერთხელ მინდორში წვიმამ მოგვისწრო, დასველებულებმა მოვირბინეთ დიასახლისთან, ვისთანაც ვიდექით, გადავიყუდრეთ ქოხში და ღუმელი გავახურეთ. სარკმლის გადალმა ქარი აპროწიალებდა მსხლის კენწეროს, გადაიკარებდა და კვლავ იწყებოდა წვიმა, გომურის კედელთან მიწყობილ ფიცრებზე ისხდნენ ქათმები, მერმე დიასახლისი გარეთ გავიდა, ვარცლში სალაფავი ჩაასხა და გომურის კარი გაალო. ქათმები კრიახით ჩამოფრინდნენ ძირს და სასეირო ფართხაფურთხით გაიქცნენ ვარცლისკენ, გომურიდანაც გამოვარდა ორი გოჭი, უფრო მოდიდომ მაშინვე დაიწყო სალაფავის თქვლეფა, დროდადრო მრისხანედ აალერდა ხოლმე დინგს, ხოლო უმცროსი ჭყვიროდა და ჭყვიროდა, აქეთ-იქიდან ურბენდა ვარცლს და არ იცოდა, რანაირად მისდგომოდა სალაფავს. თავისი ხუხულიდან გამოძვრა ნაგაზი, მიათრევდა ჯაჭვს, ეზოკარში დადიოდა და რალაცას აყურადებდა. ჩვენ კი ვისხედით ჩვენთვის ქოხში, ვაბოლებდით წეკოს და, მახსოვს, საოცრად კარგ გუნებაზე ვიყავი. ეზოში, ბოსტანში ყოველივე მკვეთრად, უკიდურესი სიცხადით იყო საჩინო, და უჩვეულოდ, მოზრდილი კაცის შესაფერისად მიხალისებდა გულს ქარის გაკრული, ალმედი ჯირითი

ფანჯრის მიღმა გაშლილ ველზე; ზემოთაც ნისლივით აჭავლებული ღრუბლის ფარატინები მოხლტოდნენ, ერთდებოდნენ, მუქდებოდნენ, უცებ ფანჯარას გახსნიდნენ ხოლმე ცაზე და ამ ფანჯარაში არაჩვეულებრივად მკვრივი სილურჯე აჩენდა პირს. ჩვიდმეტი წლისა გახლდით იმ შემოდგომაზე და ახლა აქ, ამ ქალაქში იქნებ ერთადერთი ადამიანი მეგულებოდა, ვისთანაც, თუკი ვისურვებდი, ამაზე შემეძლო ლაპარაკი. ემა. ემაც ჩვენთან იყო მაშინ და მე უკვე ვიცოდი, რომ მასთან წავიდოდი ამ საღამოთი.

წინ არ აღვუღექი ჩემსავე წადილს, ისიც კი ვიფიქრე, ლარისას შესახებაც ვეტყვი-მეთქი ემას რაიმეს. იგიც ადვილად, უტკივილოდ გამიგებდა ყოველივეს. ჩვენ შორის მოსახდენი უკვე მოხდა და აწ აღარაფერი მოხდება. მე ვიცი ეს. ჩვენ ისე დავცილდით ერთმანეთს, არც იმას სწყენია და არც მე — ქალსა და კაცს შორის იშვიათად ხდება ასე. ემა კარგი გოგოა: თუკი გათხოვდებოდა, სიამოვნებით გავხდებოდი მისი ქმრის მეგობარი და ქმარსაც არ დაამძიმებდა ჩვენი ნაცნობობა. ემა არასოდეს გამომყვებოდა ცოლად: ბევრი რამ გვაქვს ისეთი, რაშიაც ძალიან ვგავართ ერთმანეთს. ემა ალოიანი ქალია და ესმის ეს.

ქუჩაში რომ გავედი, საათს შევხედე: თერთმეტს თხუთმეტი წუთი აკლდა. უკვე გვიანია. ემასაც არა აქვს უკვე ის პატარა, ცალკე შესასვლელიანი ბინა, ვილაც პენსიონერებთან იქირავა ოთახი. იქ კიდევ იმათი ვაჟი ცხოვრობს და მისი უმვილო ცოლი. ორიგინალური იყო ეს წყვილი. ცოლი ბრალს არ იდებდა, ქმარს თვლიდა უშვილძიროდ. ძველი დავა ამ დაინტერესებულ მხარეებს შორის იმაზე ეკიდა, ვინ ვისგან წავიდოდა. ცოლი წავიდოდა — ქმარი გახლდათ ბრალეული, ქმარი გაეყრებოდა — ცოლს უნდა მოეკაკვა თითი. ერთი სიტყვით, მხიარული ყოფა ჰქონდათ. ამ ამბავში მე ერთი რამ მაშინებდა: რომ ემა, ამ ოჯახური იდილიის შემყურე, კიდევ რამდენიმე წლით გადადებდა გათხოვებას. საერთოდ, მე უკვე მართლაც მაშინებს მისი ასეთი გულგრილობა საკუთარ ბედ-იღბლისადმი, არც ის მესმის, იმ ბინაში რა გული უდგება. მიჩვევა? ცხოვრებისეული წვრილმანების არად ჩაგდება? რა გინდა, ბედნიერებაა კუთხეში მიგდებულად გრძნობდე თავს. მართლა კუთხეშია მიგდებული. დერეფანში გამავალი შემინული კარის მიღმა შეყუჟული ოთახი, პენსიონერული ლოგიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით გაწყობილი. რაც კი რამ გადასაყრელი ჰქონდათ, ყოველნაირი ავეჯი იქ შეხერგეს. ვერაფერს გადაადებ, რომ საკუთარი იყიდო. და ახლა ემა ოჯახური მუზეუმის საწყობის დარაჯია, დამტვერილ, ჩრჩილით დაჭმულ პატარა დივნებსა, ფარდებსა და პატრიარქალური ზიზილებით შემკულ პუფებს შორის დატოვებული მძევალი...

ტაქსი მოდიოდა და ხელი ავუწიე.

მივყვებოდით ბინდით მოცულ ქუჩას, რეკლამების სინათლეს, შუქნიშნების ჭიაფერ ციმციმს, ვხედავდი, წინმავალი მანქანები როგორ მიერეკებოდნენ წინ, მთრთოლვარე ბინდბუნდში, მოუხელთებლად ლურჯ, მფრთხალ ჩრდილებს; დროდადრო, თუმცა გვიან იყო, კვლავ ჩამესმოდა, ხმაურის უკიდეგანო ზღვაში როგორ იკუმშებოდა და ისევ შლიდა მხრებს ქალაქი. ვილაც ქალი დავინახე, ჩვენი მანქანის წინ გადადიოდა ქუჩაზე. ოდნავადაც არ აუჩქარებია ნაბიჯი და, როცა სულ რალაც ათიოდე მეტრზე მივუახლოვდით, მივხვდი, ისე იყო გაბურბუსალებული, წინ ველარაფერს ამჩნევდა. ტაქსის

მძღოლმა სწრაფად დაამუხრუჭა მანქანა. ქალმა ახლალა აიღო თავი, არაბუნებრივად სწრაფად გასწორდა, მერმე შეჩქვიფებულმა შუბლზე მიიდო ხელი, თავს ძალა დაატანა და გაიღიმა.

— ეი, შენ, გრაფინია, — კარი გამოაღო და უყვირა მძღოლმა, — თვალები საიდა გაქვს? ასე რა ქმარს იშოვი?

ჯახუნით მიკეტა კარი და რატომღაც გამხიარულდა. მერმე რადიომიმღების ღილაკს მოუფათურა ხელი და გადმოიღვარა მუსიკა, ნაცნობი ჰანგები: თითქოს წყლის ზედაპირზე სქელი ნისლი ფარფარებდა, ხოლო ნისლში სულ ძალობდა და გამოღწევას ცდილობდა მზე; დაჟინებული, აუჩქარებელი დამჯერებლობით აგუბებდა უსაშველო სევდას, ნელ-ნელა ფანტავდა ბინდს, სინათლედ ილვრებოდა, და აჰა, გამოვიდა კიდეც ნისლიდან...

— ოგინსკის „პოლონეზი“, — თქვა ტაქსისტმა, — კლასიკური მუსიკაა.

ჰოი, მიხაილ კლეოფას, რა შესაშური ბედი გაქვს! შენ მოგაწერეს სილამაზე, უნაკლო მანერები, უილბლო, მაგრამ ნეტარი სიყვარული ვიღაც პოლონელი პანის ნაზი ქალისადმი, კლავისინთან გატარებული საღამოები და კიდევ ერთი, უკანასკნელი საღამო მასთან, უკვე სხვის ცოლთან, სამშობლოსთან გამოთხოვების წინ. და აი, ეს პირმრგვალი, ჯერაც ჯელელი ორმოციოდე წლის ტაქსისტიც, მოხშირებული ქერა თმა და ლოყაზე ჩამოკუთხვილი ბაკენბარდები რომ აქვს, — აი, ეს ტაქსისტიც აქებს შენს „პოლონეზს“, შენს „პატარა გედების ცეკვას“ და კიდევ რალაცას, იმას, საიდაც ასეთი სიმღერაა: „ეჰ, ბედკრულები რად გავჩნდით ქვეყნად?“ ჰო, „ასკოლდის საფლავს“. იგი ამბობს, რომ ახლა ვერ წერენ ვერც მუსიკას, ვერც წიგნებს ისე, როგორც ოდესღაც წერდნენ; რომ მაშინ იყვნენ მოყუჩებული თავიანთ მამულებში და წერდნენ, სულიერ საზრდოს აძლევდნენ ადამიანს. ახლა კი იგი იცნობს ერთ მწერალს, ახალი საბურავები მიუტანა შინ, ჰოდა, იმ მწერალმა აღიარა: „მოსკვიჩი“ უნდა გავარემონტო, მაგრამ ფული არა მაქვს და რაც შეიძლება მალე უნდა ჩავუჯდე ახალ წიგნსაო. მწერალს ერთი თავისი პატარა წიგნიც უჩუქებია მისთვის, მაგრამ მას არც კი წაუკითხავს.

დიდი მოწყალე ვინმეა ეს ტაქსისტი. ერთი უბრალო კაცია, მაგრამ იცის თავისი თავის ყადრი.

მე ვიცი: მას საკუთარი ახალი სახლი უდგას საიდაც გარეუბანში, აქვს მაცივარი, ტელევიზორი, ეზოში ძაღლიც უბია ჯაჭვით; მისი ვაჟიშვილი, სკოლის მოსწავლე, უკრავს რაიმე ინსტრუმენტზე, მისი ცოლიც, ერთ დროს საიდაც პლეშჩენიციდან ჩამოყვანილი ქალი, ახლა ღამეებს-თეთრად ათენებს და სულ იმის ფიქრშია, რანაირად მოაწყოს თავისი გოგო იმ სკოლაში, საცა ინგლისურ ენაზე ასწავლიან. მე კი ჯერ არც ჩემი სახლი მაქვს და არც საკუთარი „მოსკვიჩი“ — მაშ, რად არ გამოვექომაგო დაწუნებულ თანამედროვეობას? ჰოდა, კიდევაც ამისდაკვალად ვეუბნები, რომ იგი ცდება, რომ საჭიროა იმ მწერლის წიგნის წაკითხვაც, რომ ხელოვნება ხალხს ეკუთვნის და, რაკი ტელევიზორი გაქვს, შეგიძლია კინოში არ იარო; რომ ახლა ყველამ იცის შექსპირის ჭკუისკოლოფობა, მაგრამ არკადი რაიკინიც რომ ჭკუისკოლოფია, ესეც ყველამ იცის; ვეუბნები, რომ ამ უკმაყოფილო ტაქსისტს, თუკი მოისურვებს, შეუძლია ნებისმიერ კომპოზიტორს მოსთხოვოს თავისი ტაქსის პაწია მწვანე ნათურაზე სიმღერის დაწერა და საერთოდაც დაინტერესდეს, ის კომპოზიტორი საბოლოოდ როდის გახლდათ მივლინებაში.

იგი არ მეთანხმება, ბრაზობს. უცებ ხელს უშლის ჩემი სიგარეტის კვამ-

ლიც, ამბობს, რომ ჩემისთანა ათასი შეხვდება დღეში და თუ ყველამ დაუწყო აქ... ერთი სიტყვით, ვაქრობ სიგარეტს და პირში წყალს ვიგუბებ, ის კი ამასობაში რადიომიმღებს თიშავს. გამოთხოვებისას მანეთიანს ვუწვდი, ბუზღუნებს, ხურდა ფული არა მაქვსო, მაგრამ ვდუმვარ და მანქანიდან გადმოსვლას არ ვაპირებ: უკვე ალარ მეხალისება წყვილი აგური ავიღო და ჩემი ხელით დავუწყო ბოსტანში ამოყვანილ მარნის კედელზე. შეიძლება მხოლოდ ეს ორი აგური აკლია ამ მძღოლს, რომ მთლიანად გადაერთოს სულიერ ცხოვრებაზე.

ვიცდიდი. მძღოლმა დაიწყო ხურდის თვლა. ითვლიდა და განგებ ეძებდა — კარგად ვხედავდი — მხოლოდ შავ ფულს, მთელი თავისი არსებით მიჩვენებდა, როგორ ვეზიზღებოდი. მოაგროვა, როგორც იქნა, ხურდა, დიდის ამბით ჩამიყარა მუჭში და მაშინვე გამოთიშა ზემოთა სინათლე, — ამითაც მიჩვენა, რომ არაფრად მაგდებდა. მაშინ მოვახსენე, ფულს ანგარიში უყვარსმეთქი და სინათლის ანთება ვთხოვე. ასეთ უტიფრობას ნაღდად არ ელოდა, იმიტომ იყო, შუქის ჩართვა იჩქარა: ახლა უკვე მე აუჩქარებლად, მეტისმეტად აუჩქარებლად, ნება-ნება გადავითვალე სპილენძის ფული, თან ვერ გადამეწყვიტა, მიმეცა თუ არ მიმეცა ფეხის ქირად ერთ-ერთი მათგანი, მერმე ვიფიქრე, საკმაოდ ვასწავლე-მეთქი ჭკუა, თავს უფლება მივეცი ხაზგასმული თავაზიანობით გამოვთხოვებოდი და ისევე აუჩქარებლად მივუკეტე კარი. გაზს ისე დააჭირა, კინაღამ მოტორი ჩაუქრა: მანქანამ კვამლი შემომაბოლქვა და მოწყდა ადგილს. ვაი იმ მგზავრის ბრალი, ვინაც ჩემ შემდეგ ჩაუჯდებოდა.

ამ მოულოდნელმა თავგადასავალმა ცოტათი გამიხალვათა გული და მხოლოდ ემას ბინის კართან მისულს გამახსენდა, გვიანი რომ იყო. პატიოსნად დამსახურებული პენსიონერული მყუდროების ასე უეცრად დარღვევაც ვერ იქნებოდა კარგი საქმე, იმ ნეტარი წყვილის შეწუხებაზე რომ არა ვთქვათ რა. მით უმეტეს, თუ ისინი ახლა შეხმატკბილებულები არიან, ერთმანეთს არ ემდურიან და, თუკი ვინმეს ემდურიან, მხოლოდ ბედს ანდა უფალ მამაზეციერს. დავრეკე. კაი ხანს ვაყურადებდი კარს მილმა გამეფებულ სიჩუმეს და ფრიად გავიხარე, როცა დერეფანში ვიღაც გამოტყაპუნდა: კარი უეცრად გაიღო, სახეში შუქი მეცა და უნებურად გვერდზე გავდექი. ზღურბლთან იდგა ქალი. მომეჩვენა, რომ იგი მალალი იყო (შეიძლება იმიტომ, რომ გრძელი, ლამის იღლიებამდე წელატანილი ხალათი ეცვა და სალამიოდ მანდილწაკრულ პატარა თავზე საოცრად უსუსურად და გულუბრყვილოდ გამოსჩროდა მომღრალი, ვარდისფერი, მიჭყლეტილი ყურები). ქალმა, ვაი, დაიძახა, იმწამსვე შეიკრა საკინძე, წელში კვანწვით, მოკლე-მოკლე ნაბიჯებით წატყაპუნდა დერეფანში (უცნაურად სწორი ფეხები ჰქონდა, საარულისას სულ არ ლუნავდა). მოეჭიდა დერეფანში გამავალი კარის სახელურს და ახლალა მოეგო გონს, იდგა და მიმზერდა მახვილი მზერით. მეცინებოდა, უსიტყვოდ გადავაბიჯე ზღურბლს. ქალს ახლა უამურად გულახდილი, მიუსაფარი გამომეტყველება ჰქონდა, როცა ადამიანისათვის სულ ერთია, რა შთაბეჭდილებას ახდენს სხვაზე.

— ემა შინაა? — ვკითხე.

ქალმა, თითქოს რაღაც გაიხსენაო, მხრები აიჩეჩა და უსიტყვოდ მოეფარა კარს. ღმერთმა უწყის, ამით რისი თქმა უნდოდა; ეტყობა, ისევ წაუვიდა

ქმარი და მაგრძნობინა, რომ საერთოდ არ სურდა კაცის გასაგისთან საქმე ჰქონოდა.

კიდევ კარგი, ემა დროზე გამოვიდა. მესიამოვნა, რომ არ გაუკვირდა ჩემი სტუმრობა, გამიღიმა და როგორლაც ცოტათი ტყლარჭვით გამომიწოდა ხელი.

— აჰ, ქენი, — მითხრა, — რა სასაცილო ხარ. დღეს არ დაგილევია, არა?

— ესეც ჯილდო გმირობისათვის, — განგებისად ტრაგიკული ხმით წარმოვთქვი, — რად არ გიხარია? რად არ ამბობ ბრძნულად: სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს? რად გინდა გული გამიტყდეს?

— მთელი საუკუნეა არ მინახიხარ...

იგი ილიმებოდა ჩვეული, ოდნავ ზანტი ღიმილით, თავს ოდნავ გვერდზე ხრიდა, თან თვალებს ჭუტავდა და, ვფიცავ მამაზეციერს, შეყვარებულივით მიმზერდა, რაც მსიამოვნებდა კიდეც. მივხვდი, რაღაც ცვლილება მოხდა მის გულში, მაგრამ უცებ ვერ განვსაზღვრე, რა.

— შემო, — მითხრა და კარი შეაღო, მე კი ცალი ხელით საგდული შევაკავე, მეორე ხელი მხარზე მოვხვიე და ფრთხილად ვუბიძგე ოთახისაკენ.

იგი ოთახის შუაგულში იდგა, თვალების ჭუტვით იღიმოდა და ერთთავად მიმზერდა: უხერხულადაც კი ვიგრძენი თავი. მართლაც კაი ხანია არ მინახავს და, ეტყობა, გადავეჩვიე ამ თავისებურ ღიმილს, ამ ოდნავ შესამჩნევ გადაჭარბებულ მანჭვას, — ყოველივე ამას ვიხსენებდი და რატომღაც პირველად ახლალა მივხვდი: ახლომხედველობის გამო ჰქონდა ამნაირი ღიმილი. უცნაურია, უწინ არასდროს მომსვლია თავში ეს და არც სათვალე შემიმჩნევია, ოდესმე ეტარებინოს.

— დღეს რა ტანსაცმელი გაცვია?

— სასაცილო ხარ, მართლაც სასაცილო ხარ. თუმცა...

ეტყობა, მიხვდა, ასე რატომ ვთქვი. მას არ უყვარდა ჩაცმით კოპწიაობა და არც არასოდეს ყოფილა კაბებზე გადაგებული. გამონაკლისი იყო პირველ კურსზე: მხრებაწეულ მუქ კაბაზე მაქმანიანი საყელო ეკეთა, და კიდევ ბრჭყვიალა, ბალთიანი ფართო ქამარი. მაშინ ეს მოდაში იყო. იქნებ მოდა არაფერ შუაში გახლდათ, არ ვიცი. აწეული მხრები არ უხდებოდა, ისედაც აწურული და ვიწრო მხრები ჰქონდა, გრძელი წელი და ვიწრო მენჯი. პატარა, ლამაზი ფეხები შვენოდა. — დაჯექი, — მითხრა და თავად დივანზე ჩამოჯდა, — თუ გინდა მაგიდას მიუჯექი... ისე დავიქანცე დღეს...

ვდუმდი. სხვანაირი გამხდარიყო, რაღაც ახალი გაჩენილიყო მის არსებაში, ეს ახალი კი უსიამო გრძნობას იწვევდა და კიდეც განმიზიდავდა... თვალები ალარ უცინოდა უკვე. ჭუტავდა, მაგრამ არკი უცინოდა. იქნებ ამიტომაც იყო, გაიცინებდა და შუბლი უნაოჭდებოდა. სავარძელში ჩავჯექი და მაგიდას მოვავლე თვალი, ამაოდ ვეძებდი საფერფლეს. ემა ხედავდა ამას, მაგრამ დუმდა. ისევ პომადის ცარიელი სახურავი მოვიძიე, მოვიჩოჩე და სიგარეტს მოვუკიდე.

— მეც მომეცი. — მთხოვა.

გადავუგდე სიგარეტი და ასანთი, ორივე ერთობ სასაცილოდ დაიჭირა: იდაყვი იდაყვზე ჰქონდა მკერდთან შეტყუბებული...

— ტბაზე ვიყავი დღეს. ცხადია, სამსახურის შემდეგ. ქვეყნის ხალხი

იყო. ვიღაც მსახიობებმაც ითამაშეს პირდაპირ პლაჟზე. ჩემი აზრით, სასეირო ამბავია. წარმოგიდგენია?

— წარმომიდგენია. მარტო იყავი?

— ... ასე ბანალურები ხართ კაცები. ძალიანაც რომ გინდოდეს, ვერსად დაიმალები. თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ, მოწყენის საშუალება არ მოგცენ. მაგრამ, ღმერთო, რა გზით ცდილობენ ამას!..

— აბა, აგრე რად იტყვი? ზოგი რამ ჩვენც ვიცით თქვენზე...

— ბარემ ადექი და ჯიბის სახელმძღვანელო დაწერე, როგორ გაეცნო ქალს ქუჩაში, ტროლეიბუსში, პლაჟზე... ღმერთმანი, საშინელებაა!

— უმჯობესია თქვენთან, რადიოში მოაწყო ეგ საქმე... აუდიტორიაც გაქვთ და ყველაფერი. დიდებაც... შენ ხომ მაინც არ მოეშვი პერსონალურ გადაცემებზე ოცნებას...

— ნუ დამცინი.. რატომ არ შედიხარ ასპირანტურაში? მაშინ არ გსურდა — კეთილი, მაგრამ ახლა რატომ არ შედიხარ?

— იცი რა, მოდი, ნულა დავიწყებთ...

რა მეთქვა? მაშინ, ინსტიტუტი რომ დავამთავრეთ, მართლაც მტოვებდნენ ასპირანტურაში, მაგრამ დიპლომი გამოვითხოვე. მომბეზრდა მეცნიერებაცა და საზღვარგარეთული რომანების კითხვაც. ვიგრძენი, ცხოვრებას არ ვიცნობდი. ეს განცდა მტკივნეული იყო ჩემთვის. ხალხსაც ვერიდებოდი, არ ვიცოდი, როგორ დამეჭირა თავი საზოგადოებაში, მეშინოდა მისი. ვიყავი გაუბედავი, მორცხვი და ფიცხი, თავმოყვარეობის სენით ვიტანჯებოდი ფარულად. ამიტომაც დიპლომი გამოვითხოვე, ჩვეულებრივი ცხოვრება მინდოდა, მსურდა ხალხში გავთქვეფილიყავი და კომუნალურ მეურნეობაში მოვეწყვე მუშად. ჩემი დიპლომიანობა დავფარე, ათი კლასი განათლება ჩავწერე. ქალაქში მუდმივად ვიყავ ჩაწერილი — იმ დროს სტუდენტებს ჯერ კიდევ სწერდნენ მუდმივად. ვრგავდი ქუჩებში ხეებს, ზამთარში თოვლს ვხვეტავდი, მხოლოდ და მხოლოდ მუშად ყოფნა მინდოდა. რაკი დაოჯახებული არ გახლდით, მსიამოვნებდა, როცა რომელიმე კერძო სამუშაოდან აღებულ არცთუ ზედმეტ გროშს თავის გზას მოვუნახავდი. მეწადა ნამდვილი მამაკაცი ვყოფილიყავი: ნალვინევი უარს არ ვამბობდი არაყზე, არაყს დავლევდი და — ღვინოს დავაყოლებდი, ზედიზედ ვსვამდი ორ ვედრო ერთელა კათხა ლუდსაც; წინათ ამის მარტო გაფიქრებაზეც ელეთმელეთი მომდიოდა. ზოგჯერ, ძალზე იშვიათად, ბიბლიოთეკაშიც შევივლიდი: საამო იყო ჟურნალების ფურცვლა, აუჩქარებელი კითხვა რაიმესი — სულიერი საზრდოს ეს მინიმუმი აუცილებელი და სასიამოვნო იყო, ვითარცა ნასადილევზე მოწეული თამბაქო. მერე და მერე ქალებითაც დავინტერესდი. არ ვიცი, მქონდა თუ არა საამისო ტალანტი, ეს იყო, რომ ამ ამბავმა პატარ-პატარა ჭეშმარიტებანი მამცნო. შეიძლება იოლად კი შევიცანი, მაგრამ მე ხომ ვიცი, არც ისე მარტივია ისინი. გავიდა დრო და მომბეზრდა სმაც, პაემნებიც, ანდა, ვთქვათ, კი არ მომბეზრდა, შემეშინდა ჩემი თავისა — მაშინვე გამოვიცვალე სამუშაო და გავხდი ყოფილი სტუდენტი, ყოფილი დონჟუანი, ყოფილი მუშა, უმცროსი მეცნიერ-მუშაკი ერთ-ერთი მუზეუმისა, სადაც არც ისე ბევრი ხალხი დაიარება.

ასპირანტურა... რაა ასპირანტურა? იქნებ არც დამვიწყებია იგი, მაგრამ

რაც დრო გავიდა, მით უფრო რთული მეჩვენება ზოგიერთი ჭეშმარიტება და ისიც გადამავიწყდა, სადისერტაციოდ რანაირად სჭირდება მათ გაფორმება. ამისთანა რამეებთან დამოუკიდებლად მწადს მისვლა, მაგრამ დარწმუნებული არა ვარ, მეყოფა თუ არა მოთმინება და ნებისყოფა. მე ჯერ არაფერი ვიცი, არაფერი ვიცი...

— სასულელია ყველაფერი, — ვეუბნები ემას, — მე კვლავ ჩემებურად მინდა ვიცხოვრო (ვუთხრა თუ არ ვუთხრა ლარისას ამბავი?), ისე, როგორც ინსტიტუტის შემდეგ ვცხოვრობდი.

— შენს ასაკში ხალხი უკვე ოჯახისათვის ცხოვრობს.

— შენ გინდა თქვა, რომ ცოლის შერთვაა საჭირო?

— თუნდაც ეგ.

— მაშინ იქნება მითხრა, ვინ შევირთო? როგორი ბინა აქვს, ვინაა სიმამრი და სიდედრსაც რა ხასიათი აქვს?

ვბრაზობდი. უკვე ყელში ამომივიდა დაოჯახებაზე ლაყბობა. კაცი როცა ოცდაათი წლისა ხარ და აქამდე ვერ გაგიკეთებია, რაც სხვებმა გააკეთეს, ყველა თავის მოვალეობად თვლის ჭკუა დაგარიგოს, შემწყნარებლურად იხუმროს შენზე, გამოთქვას შენდამი სიბრალული. მაგრამ ემამ რაღად უნდა ჰქნას ეგრე? მეტი საფიქრალი რომც არ ჰქონდეს, მაშინაც ზედმეტი იქნებოდა ეგ, მაგრამ ხომ ვიცი: ემა ფიქრშიაც ვერ გაივლებს, თუ ქორწინება გამოსავალია ჩემთვის, რომ ამას ჩემთვის ცოტათი მაინც აქვს მნიშვნელობა. უცოლო კაცს შეიძლება დასცინო, მოწყალედ დაჰკრა მხარზე ხელი, ოცდაათი წლის გაუთხოვარ ქალთან კი გათხოვებაზე ლაპარაკს ერიდებიან. ეს, ჩემი აზრით, კიდევ უარესია. ანდა იქნებ, ჩემზე როცა ლაპარაკობს, ემას თავისი თავი ჰყავს მხედველობაში?

— ტბაზე ვიყავით? იმასთან ერთად იყავი?

განგებ ვკითხე ეს, რახან უცებ მომაგონდა ის ახალგაზრდა მუშა, ვგონებ, სპორტსმენი, ვისზედაც ვიღაცამ მითხრა, ემას დაჰყავსო, მგონი, ეგრეთწოდებულ ინტელექტუალურ ქეიფებში, სადაც ეს ვაჟი მდუმარედ უზის გვერდით, როგორც ქეშიკი — იდუმალი და მშვიდად მოთვალთვალე. იქნება ეს ჯელი ემასთვის იგივეა, რაც ჩემთვის ლარისა?

— დაგვიანებული შეკითხვაა, — თქვა ემამ, — აქამდე არაფერი გიკითხავს იმაზე.

— მგონი, დიდი ხანია შევთანხმდით, ამგვარი კითხვებით ერთმანეთისათვის თავი არ შეგვეწყინა.

— მაგრამ აკი მკითხე...

— იმიტომ, რომ თვითონ მითხარი, ცოლი შეირთეო.

— კეთილი, თუ ასეა, გეტყვი: იგი ჩემთვის არ არსებობს და მორჩა.

— არც არსებობდა?

— მე ახლა მივხვდი, — თქვა მან მწყრალად, — რომ ეს იყო ბანალური ისტორია... იგი ციხეშია. ჰო, ციხეში.

— როგორ... გამოგესარჩლა, ვიღაცას სცემა და... — ვგრძნობდი, ასე არ იყო, მაგრამ რამე ხომ უნდა მეთქვა.

— არა, ყოვლად ბანალური მაქინაციები იყო, ავტომანქანების საქმე. კაპიკიანი ბიზნესი. აზღვევდნენ ძველ მანქანებს, ნაწილებს ხსნიდნენ, მერე ძა-

რა ტყეში მიჰქონდათ და მილიციას ურეკავდნენ. შოულობდნენ ან იპარავდნენ სათადარიგო ნაწილებს, კიდევ ბევრ ამდაგვარს... ბანალურია... ერთი წერილიც კი არ მომწერა იქიდან.

— სისულელეა ეგ ყველაფერი. ჩემი აზრით, სადარდოდაც არა ღირს... იცი, რად მოვედი? შენთან ლაპარაკი მომინდა, სტუდენტური წლების გახსენება. რატომღაც მგონია, რომ ეს მნიშვნელოვანია. გახსოვს ჩვენი პირველი კომკავშირული კრება? კოლმეურნეობაში რომ ვიყავით, კარტოფილის აღებაზე. მერმე ვაშლს რომ ვკრეფდით. ვილაც ბიჭმა რომ ერთი ბადური ვაშლი შინ წამოიღო. „საგანგებო შემთხვევა“ იყო.

— დაიცა, დაიცა, ვინ იყო ეგ?

ეტყობა, შევაგულიანე. ადგა სიგარეტის ჩასაქრობად, მოვიდა, ნამწვი ნერვიულად ჩაჭყლიტა პომადის სახურავში, კვლავ დივანს დაუბრუნდა და, ფეხმოკეცილი, რაღაცნაირი გაოცებით მომაჩერდა.

— დაგავიწყდა? მოსკოველი კოლკა. თუმცა რა მოსკოველი ისაააა! მერე ხომ გავიგეთ: სადღაც მოსკოვის ახლოს ცხოვრობდა. გახსოვს, ესეც მაშინ იყო, კარტოფილზე რომ ვიყავით. შეძვრებოდა კოლკა ზვინში და იქიდან გვიკითხავდა ესენინის ლექსებს, ჩვენ კი ესეც არ მოგვწონდა. ვალოდია დემეშკომ, ბავშვთა სახლში გაზრდილი რომ იყო, აი ისა, ინსტიტუტის მერე ბიჭები რომ აიყოლია და შორეულ აღმოსავლეთში წავიდნენ, — ვალოდიამ მაგრად გაჯორა კრებაზე. ვასკა სტოლინმაც. იცი, რაა გასაკვირი: ვასკა კაი ათი წლით იყო ჩვენზე დიდი, პარტიზანადაც იყო ნამყოფი, მაგრამ ყველაფერს ჩვენსავით ფიქრობდა და ჩვენსავით გრძნობდა.

— კარგი ბიჭი იყო ვასკა. ამხანაგური, უანგარო. ახლა რომელიღაც რაიონშია. ვილაცამ მითხრა.

— ჰო, რაიონშია. მე ხომ შარშან ვნახე, იქ რომ მივლინებაში ვიყავი. რაღაც ვერ აეწყო კარგად მისი საქმე. დაამთავრა ინსტიტუტი და ეგრევე ცოლი შეირთო. ოთხი ბავშვი ჰყავს უკვე, და ყველა გოგოა. მისი ცოლი მასწავლებელია სკოლაში. თავიდან ვასკაც სკოლაში ასწავლიდა, მაგრამ მერე დირექტორთან მოუვიდა რაღაცა. არ ვიცი, რის გამო. ისე რაღაც სამართლიანობის მანია კი სჭირს. დადის დონკიხოტივით. სულ ვილაცას ამხილებს, სულ ვილაცას ებრძვის. მიატოვა სკოლა და „სოიუზპეჩატის“ კანტორაში მოეწყო. იქ რომ ვიყავი, მის კანტორას უკვე მეორე თვე იყო რემონტს უკეთებდნენ. წარმოგიდგენია, რაიონში ხდება ეს. მთელი თავისი თანამშრომლებიანად სადილს აკეთებდა ეზოში, რაღაც კარავი დაუდგამს. „რას შვრები-მეთქი, შენ ახირებულო, — ვუთხარი, — ხალხთან ურთიერთობა არ შეგიძლია-მეთქი“. მითხრა, ამას პრინციპის გამო ვაკეთებ ასეო. სხვანაირად არ ვიზამ და არც მინდაო. თუნდაც ზამთრამდე არემონტონ ის კანტორა, მაშინ უკეთესად გამოვამზეურებ მაგათ ცოდვებსო. წარმოგიდგენია, უცნაურ კაცად ითვლება რაიონში. მისიც მესმის და იმ პროვინციელებისაც: ბოროტება ხომ ბოროტებაა, მაგრამ სიკეთეც, თუკი გადამლაშებულია, შეიძლება ბოროტებაზე უარესი გამოდგეს. რად არის ასე? ძალიან შემებრალა ვასკა. ავდექი და იმ ბოლმიან გულზე მთელი მივლინების ფული სასმელში გავფლანგე. ვსვით ორივემ და რაც შეიძლება მალე გამოვიქეცი.

— მე კიდევ წარმოდგენა არა მაქვს, როგორ ძლებს რაიონში. გადავეჩვიე-

სოფელში, შინ რომ ჩავალ, ორ დღეზე მეტს გული არ მიდგება. მითხარი, ცუდია ეგ?

— არ ვიცი. ალბათ ეს იმიტომაა, რომ ქალი ხარ... მისმინე, მე სულ იმას ვფიქრობ, როგორები ვიყავით მაშინ... იდეალიზმი, რომანტიზმი, გულუბრყვილობა... ვარდისფერი ფერები... სასაცილოა, რა თქმა უნდა. მაგრამ მაინც მენანება იგი დრო. ჩვენ შემდეგ ყველაფერი გადაბრუნდა. ჩვენ, როგორც ჩანს, ვიყავით ის უკანასკნელი კურსი, სასკოლო მერხიდან პირდაპირ ინსტიტუტის მაგიდებთან რომ გადაჯდა. დავამთავრეთ და, ჩვენ შემდეგ სხვები მოვიდნენ, წარმოებიდან მოვლინებულნი, ყოჩაღი, უხეში, თავის თავში დაჯერებული ხალხი. რა ეშმაკად სჭირდებათ იმათ ჩვენი იდეალიზმი? ჩვენ თვითონაც არ ვიცოდით, რა გვექნა ამ იდეალიზმისათვის. ყველა დროისა და ყველა ხალხთა უცოდველი გენიისა ჩვენ უკვე ალარაფერი გვწამდა, მარტოდენ ჩვენი თავის რწმენა გვესაჭიროებოდა. ვერ მეტყვი, რომ ეს ყველაფერი ოლი და უბრალო რამაა. მეც ვერ ვიტყვი. არის ასეთი ცნება — გარდამავალი ასაკი. მე მგონია, ჩვენ ერთობ გაგვიგრძელდა ეს ასაკი. მე და იქნებ შენც. არ ვიცი, კიდევ ვის. ასპირანტურა ვერ უშველის ამას. მე მჭირდება კვლავ ვირწმუნო იდეალიზმი. არა ის წინანდელი იდეალიზმი, არამედ სხვა, ცხოვრებას რომ ხელს არ შეუშლის და ცხოვრებაც რომ არ შეუშლის მას ხელს. ახლაც გულუბრყვილოდ ვლაპარაკობ? რატომ არაფერს მეტყვი?

— არ ვიცი, იქნებ ასეცაა. მეც ასევე... ასე ვფიქრობდი... ჩემს თავზე... ოღონდ არ ვიცოდი, ანდა ვერ ვბედავდი განზოგადებას... ვიცი, შენ ფიქრი შეგიძლია. შენ მუდამ ასეთი იყავი.

ნელა ლაპარაკობდა, ტაატით არჩევდა სიტყვებს, მაგრამ ვგრძნობდი, შინაგანად ჩქარობდა, თითქოს ცდილობდა რაც შეიძლება მალე მოეცილებინა უსიამო ვალდებულება; ალბათ ეს უად ვილო და შეუფერებელი ქათინაურიც ამ თავისი დაბნეულობის გამო მითხრა. განა ამ ქათინაურისათვის ვილაპარაკე ამდენი? გავჩუმდი და თითქოს პირველად ახლა შევხედე, როგორც უცხოს. ახლაღა მივხვდი მასში მომხდარი ცვლილების არსს: იგი უფრო დინჯი გახდა, მაგრამ ეს იყო რაღაცნაირი შიშნეული, მიუსაფარი კაცის დადინჯება, რაც ადამიანს მისდა უნებურად შიშისა და დაბნეულობის ბეჭედს ასვამს. ამას ემატებოდა ჩაცმულობაც — ზოლებიანი, პლაჟის ყაიდის კაბა, ქვემოთკენ გაფართოებული, ტანზე ფომფლოდ რომ ადგა და კი არ ამშვენებდა, — აუშნოებდა. უკვე სინანულს ვგრძნობდი: რად მოვედი აქ? მაგრამ, აბა რა ვიცოდი, რაღაც რომ შეიცვალა და გატყდა მის სულში და მე კი არა, თვითონ მას სჭირდებოდა გამხნევება და მეგობრული სიტყვა? მე კი რა ვუთხარი? შევყევი გულის დამამძიმებელ მსჯელობებს. მას ეს არ სჭირდება. ქალია, კონკრეტულ გრძნობასა და აზროვნებას მიჩვეული. დღეს მე არ ძალმიძს მისი დახმარება. დღეს მეტისმეტად ვარ ჩემივე თავით დაკავებული. ბოლოს და ბოლოს ისიც კარგია, რომ შევუარე. ვიფიქრე ემაზე. კიდევ მოვალ.

— წავალ ახლა, — ვუთხარი, — მაპატიე, ასე გვიან რომ შემოვეხეტე.

ავდექი. ემა ისევ ისე იჯდა, არ განძრეულა. მივეახლე, მხარზე ხელი დავადე და გაღიმება ვცადე.

— ადექი. — ვთქვი ისევ. — შენს ადგილას რომ ვიყო, ბინას გამოვიცვლიდი. ხან ეგეც საჭიროა. ჩვენ ვერც კი წარმოგვიდგენია, რა ბევრს ნიშნავს ადგილის გამოცვლა. დამიჯერე.

ხელი მოვკიდე, ფრთხილად წამოვაყენე. წინააღმდეგობა არ უცდია, მორ-

ჩილად იდგა, ხელებჩამოყრილი, თმაზე მოვეფერე. არ უნდა მექნა ეს, — ცოტა ხნის შემდეგ ხუმრობით ვუბიძგე და მოვიშორე.

— წავალ.

სულში ნაღველი მედგა

— დაიცა, — უცებ დაფაცურდა ემა, — როგორ ვერ მოვისაზრე, რამეს დაგალევინებდი... ყავას მაინც. გინდა?.. ანდა, ცოტა კონიაკიც მაქვს, მგონი.

— არა, სჯობს წავიდე. გვიანია. როგორმე სხვა დროს შემოგივლი.

პატიოსნად რომ ვთქვა, დალევა კი მინდოდა. ოღონდ არა აქ, ემასთან. ახლა ჩემთვის კაცთა საზოგადოება იქნებოდა ზედგამოჭრილი. მაგრამ რესტორნები ახლა უკვე იკეტება და, თუ შესვლა გინდა, ტვინი უნდა გაანძრიო და შვეიცარს თავი მოაწონო. არა, დღეს დალევა გამორიცხულია. დღეს ლარისას ამბავს უნდა მოვაბა თავი, ერთხელ და საბოლოოდ გადავწყვიტო. ერთმა აზრმა გამიელვა თავში. საამისოდ ჯერ ტაქსი უნდა მეშოვნა.

— წავალ, არ გამაცილო, — ვუთხარი ემას, — გამოგივლი.

მაინც გამომყვა დერეფანში, კარებამდე მიმაცილა. ცქაფად ჩავირბინე კიბე, სადარბაზოში კინალამ ვიღაც წყვილი წავაქციე და ქუჩაში ამოვყავი თავი. გავჩერდი. ეს ქუჩა ცენტრიდან შორს მდებარეობდა და ტყუილი იმედი იყო, აქ ტაქსს დავიჭერდი. გამახსენდა, სადღაც ახლოს ტრამვაის ხაზი გადიოდა. იქამდე რომ მიმელწია, გზაჯვარედინზე გავიდოდი და რაიმეს ვნახავდი. თან გზა-გზა მოგონებებს შევყვებოდი და დროსაც მოვკლავდი: გზაჯვარედინზე კაფეა; იმ კაფეში ოდესღაც ოფიციანტი ქალი გავიცანი და კინალამ რომანი გავუბი. იმ ქალს ცივი, საოცრად ცივი ხელები ჰქონდა. მთელი საღამო ერთად ვისხედით კინოში და ვერა და ვერ გავუთბე. ბოლოს ავდექი და გავცილდი. სათოფეზე ალარ ვეკარებოდი იმ კაფეს. ცუდად ვგრძნობდი თავს, წყენა და სირცხვილი მძალავდა. ახლა რატომღაც მებრალებოდა ის ოფიციანტი ქალი, ისე მწვავედ მეცოდებოდა, თითქოს გუშინ მოხდა ყოველივე. უცნაური, გაუგებარი სიბრალულის ტალღა მომაწვა გულზე. უცებ ის ბიჭუკელა გამახსენდა, ლიონია, და ისევ ვინანე, ხელახლა დარეკვის უფლება რომ არ მივეცი. იქნებ მაინც დამირეკა? იქნებ კაი ხანს არ მოვიდა ის ლილკა და ლიონიამაც არ დაიძინა უიმისოდ? თუმცა რა საჭიროა ნერვების აწეწვა — ხვალ ისევ დარეკავს ლიონია. ყველა და ყველაფერი კარგად იქნება, აი, ნახავ თუ არა. ლილკა დაბრუნდება, ემაც უწამლებს თავს — შენ დაეხმარები. ოღონდ ესაა, ლარისას საქმე უნდა გადაწყდეს. დაისვას წერტილი და მორჩა. რა საჭიროა მირაჟები, ილუზიები, ნორჩი ნიმფები — კმარა ქიმერების დევნა. თავს უნდა მოერიოს კაცი.

ქუჩაზე, სადაც ტრამვაის ხაზი გადიოდა, დროდადრო მხვდებოდა ტაქსები, მაგრამ არც ერთმა არ წამიყვანა. მწვანე შუქნიშნები ანთებული ჰქონდათ, მაგრამ არკი ჩერდებოდნენ. გულს ვასკდებოდი, სანამ არ მივხვდი, რომ სადღაც ახლოს ტაქსების პარკი იყო და მანქანები ცვლის ჩასაბარებლად მიდიოდნენ. რასაც არ უნდა გამოევლო, ყველას ვეძახდი, სანამ ერთი მათგანი არ გაჩერდა — ტაქსი იყო, ვიღაც მგზავრი ეჯდა უკან. მიკუნჭულიყო კუთხეში, იაფფასიანი ლაბადა ეცვა, თავადაც გამხდარი და ძაბუნი ჩანდა, გაბუსხული იყურებოდა. მძღოლის გვერდით დავჯექი და წავედით. ერთი-ორი კვარტალი რომ გავიარეთ, მგზავრმა გაჩერება ითხოვა და საჩქაროდ ჩაუყარა

მძღოლს ხელისგულში ფული — ეტყობა, რა ხანია დაეთვალა და მოემზადებინა. ის გაფაციცებული მგზავრი როცა ჩავიდა, მძღოლმა კარი შეამოწმა და, კარგად დაკეტილი რა ნახა, კვლავ დასძრა მანქანა. მერმე სიგარეტის კოლოფი ამოიღო, მოწევა უნდოდა, მაგრამ ამაოდ ირჯებოდა. ბოლოს მთხოვა:

— მომეხმარე, თუ კაცი ხარ.

სიგარეტის კოლოფი დავუჭირე და ერთი ცალი ამოვალებინე, მერმე ასანთი გავუკარი. მოუკიდა და გამწარებით მოიფხანა კეფა. ჩემზე ჯელი იყო, წარბები არ აჩნდა, სოლივით ჩამოწვრილებული პირისახე ჰქონდა; ამობურცული ზემოთა ტუჩი და მოკლე ნიკაპი რალაცნაირ ბავშვურ უგერგილობას ანიჭებდა.

— საით წავიდეთ?

— რკინიგზის შვიდი. აფთიაქის პირდაპირ.

— ვიცი ის სახლი, მაშ როგორ. იქა ცხოვრობ?

— არა, დიდი ხანია არ მინახავს. შეხედვა მომინდა.

— ოჰო...

ეტყობა, იფიქრა, ხუმრობსო. რაკი მეტი არაფერი ვთქვი, გაჩუმდა და ასე მდუმარედ მივედით იმ სახლამდე. ვთხოვე, აივნის პირდაპირ დააყენე- მეთქი მანქანა.

— კარგია. — ვუთხარი ბოლოს. — ახლა სიგნალი უნდა მივცეთ. ერთი, ორი, სამი... უფრო ხმამაღლა.

აივნის კარი ღია იყო: ჩახჩახებდა ჭერზე ჩამოკიდებული ჭალი, ჩვენამდე აღწევდა მუსიკის ჰანგები. მომეჩვენა, თითქოს მუსიკა ამ აივნიანი ოთახიდან კი არა, მეზობელი ოთახიდან მოისმოდა. ვერ მივხვდი, ცეკვავდნენ თუ არა.

— ვინმე უნდა წავიყვანოთ?

— არა, მეგობარო, მარტო სიგნალის მიცემა მინდა. საშიში არაფერია, აქ ხომ პროსპექტი არაა.

მძღოლმა ისევ მისცა სიგნალი და, უნდა ითქვას, გვარიანადაც. და აჰა. ვილაც ბიჭი გამოვიდა აივანზე, იმას მეორეც გამოჰყვა — მკლავზე პირმრგვალი გოგო ჰყავდა ჩამოპორწიალებული. კარი გამოვაღე და თვალიერება დავუწყე.

— ვოვკა, — უთხრა პირველმა მეორეს, — ოდესმე გინახავს მანქანა? ნახე! აი, სწორედ ესაა.

— რა, რა? — განგებისად მრისხანედ დაეღირა მას მეორე, მიაწვა, მკერდით მიაკრა მოაჯირზე და, ძალისხმევისაგან აქოშინებულმა, სცადა მისთვის კისერი გადაედრიკა. გოგო ლამის წაიქცა, ნაძალადევად ტკარცალებდა და სულ მხარზე ეპორწიალებოდა ბიჭს. მალე მოსწყინდათ ეს ბღლარძუნი, გადმოწვნენ მოაჯირზე და თვალიერება დაგვიწყეს.

— ეი, შოფერ! — გადმოგვძახა გოგოსთან ერთად გამოსულმა. — გვითხარი: რიო-დე-ჟანეირო ლამაზი ქალაქია?

— შენც შოფერი ნახე რალა! ეგ ხომ კოლექტივის მეჯინიბეა.

— ბიჭებო, მე ახლა ვხტები აივნიდან. ვინ მომყვება?

— კიდევ მიეცი სიგნალი, — ვთხოვე მძღოლს.

— ჩერჩეტები. — თქვა მან, — ჭკუის კოლოფები ჰგონიათ თავი, ისე კი ბზე უყრიათ გოგრაში.

ქვემოდან ჩვენ ვაძლევდით სიგნალს, ზემოთ ისინი ბღაოდნენ. ჩვენ გავ-

ჩუმდით და ისინიც იმწამსვე გაყუჩდნენ. მძღოლი გადმოვიდა და მანქანის კარს დაუწყო სინჯვა. ხან აღებდა, ხან ხურავდა.

— რა არის? — ვკითხე.

— ერთმა კერძომ მომარტყა, ოხერმა. მოსახვევში. კარის კიდეს თხლიშა. ცოტა აქეთ რომ მოერტყა, შუაზე გამხლეჩდა.. უბადრუკი წუწურაქი!.. თავის დაძვრენა მოინდომა, რემონტის ჩამოყაჯე-მეთქი, რომ ვუთხარი. მილიციისა შეეშინდა, ვაითუ მომისწროსო...

— იმას არაფერი?..

— ფარი გაუფუჭდა ცოტათი. უბრალო რაღაცა! ნათურაც კი არ გასტეხია. წავიდეთ, განა?

ეს ივანზე გამოფენილი ბიჭები მალე მაინც შევიდოდნენ შინ. ბოლოს და ბოლოს, ამათ საყურებლად და მოსასმენად ხომ არ მოვსულვარ აქ. ჯერ კიდევ ემასთან როცა ვიყავი და ტაქსის შოვნა მოვიფიქრე, მაცდუნებლად წარმომიდგა განშორების სურათი, ძველ რომანებში მოთხრობილი ბანალური განშორებისა, ოღონდ პირობითად დალვრილი ცრემლით. მტვერში ამოგანგლული პილიგრიმი დგას უცხო ზღურბლთან. ვერავინ ცნობს მას. ქალიც კი ვერა ცნობს და კაციშვილმა არ იცის, რომ აქ დაიმსხვრა მისი გული... სამწუხაროა... რომანტიკა მტოვებდა; რაღა დროს რომანტიკაა, როცა ივანზე ესენი გადმოკიდებულან და სრულიად არასანტიმენტალურ გუნებაზე მაყენებენ. ალარც ის გამოდის...

— ლარისა! ლარისა! — დაიყვირა უცებ ივანზე ვილაცამ. — აქ მოდი!

გული შემეკუმშა.

— ნუ ყვირი, — შეეპასუხა მას გოგოს ხმა, — ისა და სვეტკა სამზარეულოში ჭურჭელს რეცხავენ... წასულიყავი, მიხმარებოდი.

— მერსი, თანახმა ვარ, ოღონდ შენც წამოდი...

— წავიდეთ? — ისევ მკითხა მძღოლმა.

— წავიდეთ. ვინა თქვა, არ წავიდეთო? წავიდეთ.

„ისა და სვეტკა სამზარეულოში ჭურჭელს რეცხავენო“. რომანტიკა თვალსა და ხელს შუა მიქრებოდა... მით უარესი მისთვის...

— გარეკე! — ვთქვი და წავედით.

— ლაწირაკები! — ალაპარაკდა მძღოლი. — როგორ გაგიფუჭეს საქმე. ვინც შენ გინდოდა, იმან ალბათ იფიქრა, რომ ამათთან მოვედით... რა, ქეიფი აქვთ?

— ალბათ.

— ამ სახლში ერთი ნაცნობი მყავდა. აქ ცხოვრობდა. მერე ცოლს გასცილდა და ბინა დაუტოვა. კვირაობით თვრება და მოდის საჩხუბრად. ტაქსით მოვიყვანე ერთხელ.

— ჩემი ამბავი სხვაა. არც ისე ადვილი მოსაყოლია. როგორმე სხვა დროს...

წავედით თუ არა, უცებ ყველაფერი სულ ერთი გახდა ჩემთვის — ლარისაც, მისი სტუმრებიც, ჩაშლილი პაემანიც. — მარტოდენ შინ წასვლა მინდოდა. ვქენი საქნელი და მორჩა. კმარა, მეყოფა დღეისათვის. ლარისა... რა. ლარისა? არავინ დამეხმარება, თვითონ თუ არ მოვუარე ჩემს თავს... შინ ყოფნა მეწადა და ეგ იყო. მაგრამ ბედი არ მწყალობდა, კვლავ არ მწყალობ-

და: თხუთმეტი წუთი რკინიგზის გადასასვლელმა დაგვაკავა, მერმე საჩვენო ქუჩაზე ველარ შევუხვიეთ, ქვაფენილი იყო აყრილი და შორიდან მოვლა მოგვიხდა. გავიარეთ სადგურის გასწვრივ, სადაც ახლაც კი, ასე გვიან, ტაქსის რიგი იდგა და წაგრძელებულ მოედანზე სარწყავი მანქანები იყო ჩაწკაპული. იქიდან გავედით მოყვითალო-მომწვანო შუქით ძუნწად განათებულ პროსპექტზე, ახლა უდაბური და საოცრად განიერი რომ ჩანდა. თითქმის ასფალტის შუაში მივდიოდით და დროდადრო თუ გავუსწრებდით იშვიათ ავტობუსებსა და ტროლეიბუსებს. უკვე ახლოს ვიყავი, შემეძლო პროსპექტზე გადმოსვლაც, მაგრამ მაინც წავაყვანინე თავი ჩემს ქუჩამდე, ფული გადავუხადე მძღოლს და არ დავიცადე, წავედი, სანამ ის მანქანას მოაბრუნებდა და უკან გაბრუნდებოდა.

ისევ ლიფტი, ისევ უსიამო მოთენთილობა სხეულში, და უკვე სამზარეულოში ვიჯექი, კვლავ თავიდან ვკითხულობდი მილას დეპეშას, მაგრამ ახლა ეს დეპეშაც არ მაფორიაქებდა, არც კი დავფიქრებულვარ, რატომ გამოგზავნა იგი მილამ. გამოგზავნა, მერე და რა? ან რატომ ვარ მე აქ? ვინა ვარ მისთვის: ოჯახის მეგობარი, ლარიბი ნათესავი, პანსიონის მდგმური თუ მარტო მდგმური და მეტი არაფერი? მუდამ მსიამოვნებდა შეგრძნება, რომ შინაური კაცი ვიყავი ამ ბინაში. მილას ყველაზე მეტად უნდოდა, რომ ასე ყოფილიყო, მაგრამ რას ფიქრობს ამაზე სტანისლავ მამამისოვიჩი? და საერთოდ, რას ფიქრობს ჩემზე? თუმცა ჩემთვის მუდამ სულ ერთი იყო, რაც უნდა ეფიქრა. აჰ, რა ბრძენი ვარ: ემას ვურჩევ ბინის გამოცვლას, თავად კი ვერ მივმხვდარვარ, რომ რა ხანია დროა აქედან აბარგებისა!

დეპეშა დავითრიე, მოვჭმუჭნე და მოვისროლე სანაგვე ყუთში. პირში საძაგელი მწარე გემო მქონდა და გადავწყვიტე, დღეს მეტად ალარ მომეწია, მალე დავწოლილიყავ დასაძინებლად. ოღონდ მანამდე კარგი იქნებოდა აბაზანაში ჩაწოლა. გავედი და წყალი მოვუშვი. ვიწექი თვალდახუჭული. მესმოდა ონკანიდან გადმოთქრიალებული ჭავლის თანაბარი, ძალოვანი ხმიანობა და ჩემი სხეული თანდათან ეჩვეოდა ცხელ წყალს, მსიამოვნებდა და მეტი არც რაიმეზე მსურდა ფიქრი. თქრიალებდა წყალი, მიიზლაზნებოდა დრო და ყოველივე ის, რაც ცოტა ხნის წინათ ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო, რაც მაშინებდა და მაწამებდა, — ახლა უკან იხევდა, ვერ მჯაბნიდა და მალე, როცა აბაზანიდან ამოვედი და მაგიდასთან მიმჯდარი მაგარ, ცხელ ჩაის ვხვრეპდი, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მეორედ დავიბადე. სამზარეულოს ფანჯრები დაინისლა, დაიორთქლა, თითქოს შეიჭირხლა და მეჩვენებოდა, რომ ზამთარია და ქალაქში კი არა, სოფელში ვარ: ახლახან გამოვედი აბანოდან, გამოვყევი ყინვისგან აჭრაჭუნებულ მოციმციმე ბილიკს, — ჟოლოსფერად ანთია ტყის თავზე ცივი ზეცა, — წინკარში მივაგდე დაორთქლილი, დარბილებული სურნელოვანი ცოცხი, შინ შევედი და ვზივარ ლუმელთან... ჩემ წინ, ლუმელში ცეცხლი ფართხალებს; ზედადგარზე, თუჯის ქვაბურაში თუხთუხებს წყალი, დედაჩემმა აგერ ახლა რომ ჩააყარა გამხმარი ჟოლო... ვზივარ მაგიდასთან, ვსვამ ჩაის და ვუყურებ, რა ცისფრად კიანთებს ყინვით შესალტული ფანჯარა, ხოლო ოთახში მფრთხალი, მოუსვენარი ჩრდილები ნანაობენ... რა კარგია, რა სიმყუდროვეა!

მაგრამ ეს რაღაა? აჰა, ტელეფონი რეკს... ტელეფონი? ალბათ ლიონიაა — შეშფოთებული გავრბივარ მეორე ოთახში, ვიღებ ყურმილს და მაშინვე ვეკითხები:

— ლიონია? რა იყო, ლიონია? ლილკა კიდევ არ მოსულა?

სიჩუმეა, იდუმალი სიჩუმეა ყურმილში, და უკვე ვგრძნობ, ის არა ვთქვი, რაც უნდა მეთქვა და არც ის უნდა მითხრას, რასაც მე ველი. გაბურბუსალეებული ვარ და გაურკვევლობა მტანჯავს. ვარ ასე. და აჰა, მესმის ხმა, ნაცნობი, ცოტათი შემცბარი ხმა (როგორ უჭირს თავის თავის შეცვლა): „ეს მე ვარ, წითელქუდა, — ბებიას ხმითა თქვა მგელმა“.

— ლარისა? საიდან რეკავ, ლარისა? არ გძინავს ჯერ?

— ქალაქში ვარ... ავტომატიდან ვრეკავ. რა ხდება მანდ, ვინ ლილკაა?

— ლილკა? ერთი ბიჭის დაა. ახლა მაინც ვერ გაიგებ. მერე გეტყვი...

ალარ ველოდი, თუ დამირეკავდა, და საშინლად დაბნეული ვიყავი. ლამის გამოვთაყვანდი, ისე ბალღურად მიხარობდა. ნეტა არ შეემჩნია ეს სიხარული!

— სტუმრები გავაცილე... ახლა ქალაქში ვარ. შენს სახლთან... რად არ მოდი? დაგირეკე და არ იყავი.

— ქალაქში ვყიალობდი, ჩემი ცხრამეტი წლის ასაკი ხელახლა გამოვიტირე... მარტო ხარ? სად გნახო? ახლავე მოვალ, გაგაცილებ...

— ჩემო საბრალო, — თქვა მან, — ალბათ მოწყენილი ხარ. გინდა, მე მოვალ შენს სახლთან? მალე მოვალ... ახლოსაა. მერე კი შენ გამაცილე, კარგი?

მან დაკიდა ყურმილი.

უცებ შევიგრძენი უსაშველოდ საამო სისუსტე. იქნებ, ახლახან რომ ვიბანავე, იმის ბრალი იყო. სხეული ბუმბულივით ამიმჩატდა. და კიდევ, ვგრძნობდი საკუთარ სახეს. ვგრძნობდი, რომ სახე მოლუშული მქონდა. გახარებული ვიყავ და სახე მოლუშული მქონდა, გამიქვავდა თითქოს. მაშინ შუქი ავანთე მეორე ოთახში, სარკესთან მივედი, ჩემს სახეს დავაჩერდი. დანისლული მინიდან უცხოსავით უძრავად მაკვირდებოდა ლურჯი, უჩვეულოდ ნათელი თვალები და ფერმკრთალი ნიღაბივით ჩანდა გამხდარი სახე, რაღაცნაირი ავადმყოფური სისუსტით ნაკვთებშემსჭვალული ჩემი სახე.

— რაო, მოწყენილი ვართ? — წარმოთქვით ხმამაღლა. — უნდა გავიღიმოთ. ვსინჯოთ და გავიღიმოთ, აბა მოდი!

და გავიღიმე: მომეჩვენა, რომ სარკე ათრთოლდა, შიგ შექანდა და ამოძრავდა მკრთალი ნიღაბი, მერმე თანდათან, ლბილად გამოიკვეთა სახე და გაცისკროვნდა, აკიაფდა, უფრო გამუქდა და გაღრმავდა თვალები...

„მაშ აგრე, — ვთქვი ისევე, — ჰეი, ივანოვიჩ, ძველო დონჟუანო!“

ძალუმად მიცემდა გული და ვიყავი პატარა ბიჭივით ატაცებული, გახარებული და ბედნიერი.

ფრანც კაფკა

არაგეგი და ტურეგი

მოთხრობა

გერმანულიდან თარგმნეს ლ. ნაროუშვილმა და თ. ჯავახიშვილმა

ოაზისში დავბანაკდით. ჩემმა თანამგზავრებმა დაიძინეს. ერთმა მალალმა, თეთრადმოსილმა არაბმა გამოიარა. აქლემები დაებინავებინა, დასაძინებლად მიდიოდა. ბალახებში გულალმა დავწექი. ვეცადე, მაგრამ არ დამეძინა. შორს საწყალობლად კიოდა ტურა. ისევ წამოვჯექი და სიშორე უეცრად მოახლოვდა; ირგვლივ ტურების ხროვა აირია: ჩამქრალ თვალებში ოქროსფერი გუგები უბზინავდათ, ისე მარდად მოძრაობდნენ, თითქოს მოქნეულ შოლტს გაურბიანო. ერთი მათგანი ზურგის მხრიდან იღლიაში გამომიძვრა, გამეგლისა, თითქოს ჩემი სითბო სჭირდებოდა, შემდეგ წინ გამიჩერდა, თვალი თვალში გამიყარა და ალაპარაკდა: „მე უხუცესი ტურა ვარ ქვეყნად. ბედნიერი ვარ, რომ გიხილე, ამის იმედი აღარც კი მქონდა, რადგან უსასრულოდ დიდხანს გელოდით: გელოდებოდა დედა-ჩემი, იმისი დედა და იმას იქით ყველა დედა, თვით ჩვენი მოდგმის დიდ დედამდე, დამერწმუნე“.

„საოცარია, — წარმოვთქვი და დამავიწყდა ცეცხლი მიმეცა საგანგებოდ მომზადებული შეშისათვის, რომ მხრჩოლავ კვამლს ტურები ახლოს არ მოეშვა. — საოცარია, უაღრესად საოცარი. შემთხვევამ მე აქ შორეული ჩრდილოეთიდან მომიყვანა და მცირე ხანს ვიმოგზაურებ. რა გნებავთ, ტურებო?“ ხოლო ისინი, თითქოს ჩემი, ალბათ ერთობ მეგობრული მიმართვისაგან გამხნევებულნი, უფრო მჭიდროდ შემომერტყნენ. აჩქარებული ქშენა და ქასქასი გაუდიოდათ. „ვიცით, — დაიწყო უხუცესმა, — რომ ჩრდილოეთიდან მოდიხარ. იმედიც მაგისი გვაქვს. სწორედ იქ არსებობს გაგება, აქ, არაბებში რომ არ იპოვება. იცი, გაგების ნაპერწკალსაც ვერ გააგდებინებ ამათ ცივ ქედმალობას. ხოცავენ პირუტყვს, რომ შეთქვლიფონ, მძორი კი სძულთ“. „ასე ხმამალ-

ლა ნუ ლაპარაკობ, — ვუთხარი, — ახლოს არაბებს სძინავთ". „შენ ჭეშმარიტად უცხოელი კაცი ყოფილხარ, — თქვა ტურამ, — თორემ გეცოდინებოდა, რომ ჯერ არ თქმულა, ტურას არაბისა შეშინებოდეს. გვეშინოდეს კიდეც? განა არ კმარა, რომ ამნაირი ხალხისაგან ვიჟლიტებით?" „იქნებ... იქნებ...—ჩავილაპარაკე. — ვერ განვსჯი ჩემგან ესოდენ შორეულ საგანს; ჩანს, ეგ დავა ძალზე ძველია, ალბათ სისხლში გაქვთ და შესაძლოა მხოლოდ სისხლმა გადაწყვიტოს". „ბრძენი ყოფილხარ", — თქვა ბებერმა. ტურები უფრო აქასქასდნენ, შევარდნილ ფერდებს ლამის მოესრისათ მათთვის ფილტვები. მაინც უძრავად იდგნენ. გაუსაძლისი სუნი ამოსდიოდათ ხახიდან. „ძალიან ბრძენი ყოფილხარ. ეგ, რაცა თქვი, ჩვენს ძველთუძველეს მოძღვრებას შეესაბამება. მაშასადამე, სისხლს ავიღებთ და ამით დავა დასრულდება". „ოჰ, — წამოვიძახე ზედმეტად აღელვებულმა, — თავს დაიცავენ. ამოგჟლეტენ, მუსრს გაგავლებენ". „შენ მცდარად გაგვიგე — ისე, როგორც კაცთა წესია; ჩანს, შორეულ ჩრდილოეთშიც ეგრე გცოდნიათ. როგორ დავხოცავთ! — მაშინ ხომ ჩვენს განსაბანად ნილოსიც არ იკმარებდა! მათ ცოცხალ მძორსაც რომ თვალი მოვკრათ, უმალ უდაბნოს სუფთა ჰაერს მივაშურებთ. ამიტომაც უდაბნო სამშობლოა ჩვენი. ამ სიტყვებზე ტურებმა, კიდევ ბევრი შორიდან მოსული ტურა რომ შემოემატათ, თავები თათებში წაჰყვეს, რათა დაემალათ ზიზღი, ისეთი შემზარავი, რომ მომინდა მათ ალყას ნახტომით გადავვლებოდი და იქაურობას გავცლოდი. „მაშ, რას აპირებთ?" — ვკითხე და ასადგომად წამოვიწიე, მაგრამ ვერ შევძელი: ორი პატარა ნადირი უკნიდან სამოსის კალთებში კბილებით ჩამფრენოდა. სხვა გზა არ იყო, უნდა ვმჯდარიყავი. „შლეიფი უჭირავთ შენი, — დინჯად განმარტა ბებერმა ტურამ. — დიდი პატივის ნიშანია". „ახლავე გამიშვით", — დავიყვირე ბებრისა და პატარების მისამართით. „რასაკვირველია, — თქვა ბებერმა, — თუკი ინებებთ. მაგრამ ხანია საჭირო, სანამ ეგენი მათი მოდგმის ადათისამებრ მაგრად შეკრულ კრიჭას გახსნიდნენ. მანამდე კი ყური გვათხოვე". „თქვენს კადნიერებას მაგის გუნებაზე მაინცდამაინც არ დავუყენებივარ", — მივუგე მე. „ნუ შეგვრისხავ მოუქნელობისათვის, — მან პირველად მიმართა თავისი ბუნებრივი ხმის საბრალობელ კილოს. — საცოდავი ცხოველები ვართ. თუკი რაიმე რიგიანის ან ურიგოს გაკეთება მოვიწადინეთ, კბილების მეტი არაფერი გაგვაჩნია; კბილების ამარა ვართ". „ჰო, რა გინდა?", — ვკითხე ოდნავ ლმობიერად. „ბატონო, — აღმოხდა მას. სხვებიც ყმუილით აჰყვნენ და ეს ხმა ისე შემომესმა, ვით სიშორეში გახმიანებული ჰანგი. — ბატონო, ბოლო მოუღე ამ დავას, თორემ ქვეყანა გაორდა. სწორედ შენ გამსგავსებდნენ ჩვენი წინაპრები იმას, ვისაც საამისო ძალა გააჩნდა. მოვისვენოთ არაბებისგან, ამოვისუნთქოთ; განიწმინდოს მათგან სახედველი თვალსაწიერამდე. აღარ ისმოდეს დაკლული ცხვრის შესაბრალისი ბღავილი. დაე, ყოველი სულდგმული თავისი დღით მოკვდეს, ჩვენ კი მისგან ძვლებსღა დავტოვებთ. სისუფთავე გვინდა, მხოლოდ სისუფთავე! — აქ ყველამ ტირილი მორთო. — როგორ იტან ამას, გულო კეთილშობილო და გვამო ტკბილო. ბინძურია მათი ხორცი, თეთრიც და შავიც, შესაზარია მათი წვერი, ზიზღის მომგვრელია მათი თვალების უპე და, თუ მკლავები ასწიეს, ჯოჯოხეთს ეხსნება პირი. ამიტომ, ბატონო, ჰოი, დიდებულო ბატონო, შენმა ყოვლისშემძლე ხელებმა, ყოვლისშემძლე შენმა ხელებ-

მა ყველას ყელები უნდა დასჭრას აი, ამ მაკრატლით“. მის ნიშანზე გამოჩნდა ტუ-
რა, ღრჯოლზე ჩამოცმული, დაჟანგული მაკრატელი რომ მოჰქონდა.

„მაშ, მაკრატელი, და გათავდა?“ — დაიძახა ამ დროს ჩვენმა არაბმა მექა-
რავნემ, იგი ქარის საწინააღმდეგო მხრიდან უჩუმრად მოგვპარვოდა; ასხლტა
მისი უშვველებელი შოლტი. მყისვე ყველაფერი გაქრა, მაგრამ ცოტა მოშორე-
ბით ტურების ჯგრომ კვლავ მოიყარა თავი, — ერთმანეთს მჭიდროდ აჰკვრო-
და ბევრი ნადირი; მჭიდროდ და უძრავად იდგნენ, ისე რომ მათი მწყობრი
მოციაგე შუქით აკიაფებულ წნულ ღობეს გაგონებდათ. „აჰა, ბატონო, შენც
გერგო წილად ამ წარმოდგენის ხილვა და მოსმენა“, — თქვა არაბმა და ისე
გულიანად გაიცინა, რამდენადაც ამის ნება მისი თავდაჭერილი მოდგმის შვილს
ჰქონდა. „ესე იგი, შენ გცოდნია, მაგათ რაც უნდათ?“ — დავეკითხე მე. „რა
თქმა უნდა, ბატონო, ეგ საყოველთაოდ ცნობილია. მას აქეთ, რაც უდაბნო-
ში არაბის ხსენება არსებობს, ეს ხროვაც დაეხეტება და წუთისოფლის ბო-
ლომდე ჩვენთან ერთად იხეტიალებს. ყველა ევროპელს მაკრატელს სთავაზო-
ბენ დიდი საქმის აღსასრულებლად. სწორედ ამისთვის ჰგონიათ დაბადებული
ყოველი მათგანი. ფუჭი იმედი აქვთ: შტერები არიან, ნამდვილი შტერები.
ჩვენ კი მაგისთვის გვიყვარს ეგენი: ჩვენი ძალლები არიან, თქვენებზე ბევრად
ლამაზები. შეხე, აქლემი მოგვიკვდა წუხელ, აგერ, მოაქვთ!“

ოთხმა კაცმა შავი მძორი მოიტანა და წინ დაგვიდო. მძორი მიწას არც კი
შეხებოდა, რომ ტურები ახმიანდნენ. გეგონებოდათ, თოკით ეწეოდნენ, ისე
მობორძიკობდა თვითეული მათგანი და მიწას ფხოჭნიდა. არაბები აღარც ახ-
სოვდათ, მთლად მძორის სუნით მონუსხულიყვნენ. ერთი ყელზე დააცხრა
და უმალვე მთავარ ძარღვს მიაგნო. ისე უხტოდა და უძაგძაგებდა ყოველი
კუნთი, როგორც პატარა ტუმბოს, გაშმაგებით, თუმცა ამაოდ რომ ლაშობს
ვეება ხანძრის ჩაქრობას.

ტურები მძორს მოედვნენ და ზედ ახორავდნენ. მაშინ კი მეთაურმა მოიქ-
ნია და ზურგზე მწვავედ გადაუტყლაშუნა შოლტი. შეზარხოშებულმა და
ძღომას მიცემულებმა თავი ასწიეს, დაინახეს არაბები და... შოლტი ახლა
დრუნჩზე მოხვდათ. უკან გადახტნენ, პატარაზე კიდეც გაიქცნენ, მაგრამ
აქლემის მთლად დაგლეჯილ მძორში სისხლი თიმთიმებდა, ოხშივარი ას-
დიოდა; ტურებმა ველარ გაუძლეს, ისევ მისცვივდნენ, ისევ მოიღერა შოლტი
მეთაურმა. მკლავში ხელი ვტაცე.

„მართალი ხარ, ბატონო, — თქვა მან,—შევეშვათ, თავისას ეწიონ. დროც
არის გზას გავუდგეთ. აჰა, ხომ ნახე! არ არიან საოცარი ნადირები? ჰო, ჰო,
რარიგად ვძულვართ!“

ალექსეი ტოლსტოი

ტრაგიკოსი

მოთხრობა

თარგმნა ედიშერ გიორგაძემ

ზა დამებნა მეეტლის, ძველი ნასალდათარის გამოისობით. ის ოდესღაც ტაშკენტში იყო განწესებული, ამუ-დარიაზეც ნავალი გახლდათ. ჰოდა, ახლა მთელი გზა ჩემკენ ჰქონდა მოქცეული შეფუთული, ძვალტყავა, გულარძნილი სახე და ცდილობდა თავი მოება ძველი ამბებისათვის; ისლა მოიგონა, ქვიშნარში საქსაულის ბუჩქი ხარობს თურმე, ისე მაგარია ის ოხერი, ფეხებს წაიმტვრევო.

ჩანდა, თავადაც სწყინდა, რომ ასე გადაევიწყებინა ის საუცხოო მხარე, ეტყობა, თავიდან გამოუბერტყა ყველაფერი თებერვლის ქარბუქში კოფოზე ყანყალმა და ჩემს შეკითხვაზე ამოიოხრა; ვეღარ გამიხსენებია, ბატონო, თორემა სანახავი დიახაც მინახავსო. როცა მთლად ჩამობნელდა, შევშფოთდი. „მგონი, გზა დავკარგეთ-მეთქი“, — ვუთხარი. დიდხანს სდუმდა მეეტლე, მერე მიპასუხა: — „რას გაიგებ ამ წკვარამშიო“, და მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ, როცა ჩვენ თვალწინ შორეთში წითლად აკიაფდა შუქი, ამოთქვა: — „გამოვაღწიეთ, მე კი მეგონა, საშველი აღარ იყოო“.

რის ვაივაგლახით მივაღწიეთ სვეტებიან აივანს, მაღლა რომ ორი სარკმელი ჰქონდა გამოჭრილი. სინათლე სწორედ აქედან მოდიოდა.

— დალახვროს ეშმაკმა, ჩუვაშეთში მოვხვდით. სოფლამდე კიდევ კარგა მანძილია, — ჩაიბურდღუნა მეეტლემ და კოფოდან ჩამოძვრა.

— აქ ვერ გავითევთ ღამეს?

— რატომაც არა.

თოვლში გადმოვედი, მეეტლემ კი ხელჯაგები წაიძრო, თივა ამოწვალა მარხილიდან, აივანზე გაიტანა. გამწევი ცხენი გამოხსნა, კიბეზე აიყვანა და კარის სახელურს მიაბა სვეტებს უკან.

— მცივანაა. განაწყენდება მერე. დანარჩენებს აქ დავტოვებ.

— საჯინიბოში შეიყვანე.

— არა, — თქვა მან, — ერთიანად ჩამოიმქვლა საჯინიბოები, თქვენ შედით სახლში და გათბით.

მან გამატარა აზვინულ ნამქერსა და ჩამოშლილ კედელს შუა და მომცრო ბანთან მიმიყვანა, აქედან უკვე ოთახში მოვხვდით. ბნელოდა, ელექტროფანარი ავანთე და თეთრი შუქის ოვალურმა კონუსმა გაჭოლა გრძელი მობათქაშებული დერეფანი და მიებჯინა მოთრთვილულ მინას.

— პირდაპირ იარეთ,—თქვა მეეტლემ.—კარს უკან კიბეა. ივან სტეპანიჩს მიადგებით. მე ცხენებს მივხედავ. — მერე შემობრუნდა, — რა გაათბობს ამოდენა სახლს. ამდენ შეშას რა აუვა?! აგერა ბალი გაუნახევრებიათ კიდევაც.

მინის კარს უკან ხვეულ კიბეს წავაწყდი. გაყინულ საფეხურებს ხრაშახრუში გაჰქონდათ. ავედი მოზაიკით მორთულ, დალაქულ ჭერიან დარბაზში. სვეტები ჰქონდა ჭერს ქვემოდან შემდგარი. ბროლის ჭაღი ეკიდა. შეინძრა და აზრიალდა ჩემი ფეხის ხმაზე ეს ბროლის ჭაღი.

სვეტებს შუა ჩადგმული, წიგნებით სავსე კარადები გამოაჩინა ფარნის შუქმა. ალაგ-ალაგ ღია კარიდან გადმოცვივნული ტომები ეგდო ძირს. ასე ჩანდა, გროვად გადმოიღებდნენ ხოლმე, ღუმელში შესაკეთებლად. მიმოვიხედე. უეცრივ მარცხენა ანფილადის სილრმეში კარმა გაიჭრაჭუნა, აქეთკენ მომავალი აჩქარებული ნაბიჯის ხმა მოისმა. ვიღაც მოდიოდა და ბუხუნებდა. მალე ჩემ წინ წარმოდგა საშუალო ტანის უქუდო და უპალტოო მამაკაცი სანთლით ხელში. შეშუპებული სახე ჰქონდა, შავი, მრგვალი თვალები.

— რა გამახარეთ!—გულთბილად შემომძახა მან. გვარითაც მომმართა. დიდხანს მართმევდა ხელს. — რა მოწყენილობაა, ღუმელები სულ მოიშალა. სადაც კუნჭულში ვარ მიყუჟული. წიგნებს ვწვავ და ისე ვთბები. აქეთ გამოვეხეტე და თქვენ არ შემომხვდით?!. მობრძანდით, მობრძანდით ძვირფასო...

მე ვბოდიშობდი, ვუხსნიდი. როგორ შემთხვევით მოვხვდი აქ, მერე ლამის გასათევი ვთხოვე. უცნობმა სასტუმრო ოთახები გამატარა, შედგებოდა ხოლმე, სანთელს ზეასწევდა: — ლუდოვიკოს სტილიაო, — ჩაიხითხითებდა ნერვიულად,—რას იტყვით?! თუმცა რა ბედენაა, სულ ერთია, ყველაფერი ჩალპა და ჩაობდა. იცით, აქ ჭოტმაც კი გაიჩინა ბინა. მე თაგვებს ვიჭერ ხაფანგით და ასე ვკვებავ. აბა ნახეთ! — გამოცრა მან თხელი და უსწორო ტუჩებით და შორენკეციან ღუმელზე მიათითა, სადაც მართლაც ჭოტი წამომჯდარიყო, ჩამოტყაულ კედლებზე კი ნათრთვილი პორტრეტები ეკიდა.

— წინაპრები, — მხიარულად წამოიძახა მან, — ხშირად ვესაუბრები ხოლმე მოწყენილობის ჟამს. აი, ნახეთ გენერალი, პეტერბურგელი ვაჟბატონი გახლავთ.

მან ხელით გადაწმინდა ტილო და გამოაჩინა მუნდირის წითელი გული, ზედ გადაჭიმული ორდენის ლენტითურთ. — ანდრეევის ლენტაა, ღმერთმანი, გენერალი კრივიჩევი ჩემი წინაპარია... — მერე გაპარსული ნიკაპიც დავინახე, სწორედ ისეთი, უცხოთა და უცნობთ რომ აქვთ ხოლმე, და თხელი, აბრეცილი ტუჩები. — რა თვალები აქვს... ქალალდებს ავაწებებ ხოლმე, ისე მწყრალად იხედება, თვალები ჩემსას უგავს. მეც ხომ კრივიჩევი ვარ... ივან კრივიჩევი. გაგიგიათ ალბათ, — მსახიობი... ახლა ვდავობ ბაბიჩევებთან, — მან მეორე პორტრეტს მიარტყა თითი, — აი, ამათთან. მამული ვერ გაგვიყვია... კრივიჩევე-

ბის რწმუნებული ვარ, ბაბიჩევებმა კი,—მან თავი ჩამალა მხრებში და ჩაიხლიჩინა,—ეშმა მომიგზავნეს ჩემდა სათვალთვალოდ. ლურსმნით მივაჭედე იგი კედელზე, ჩემთან ხუმრობა იოლი როდია, სადაც თავისი დაიკვეხოს, იქ ჩემიცა თქვას,—მან უეცრივ შემომხედა, გულუბრყვილოდ გაიღიმა და დარბაზისაკენ გამიყოლია ვიწრო დერეფნით, თან ჩამჩურჩულებდა, ჩუმად, ნუ აბრახუნებთ, ხმა არ გაიღოთო. მერე მხარი მკრა, კართან მიირბინა, მეც თან წამიყოლია, გასაღები გადააბრუნა, სანთელი კამოდზე ჩამოდო და მხიარულად თქვა:

— გავშპით, გავუსხლტით, ახლა სამშვიდობოსა ვართ, მადლობა ღმერთს!

ოთახში ცხელოდა. სქელი სამოსი გავიძრე და მიმოვიხედე. დაბალჭერიანი და ვიწრო ოთახი იყო, კედელში ორი თაღოვანი ფანჯარა ჰქონდა დატანებული. ფანჯრის რაფებზე ბოთლებით არყის ნაყენი იდგა. ჭერზე ეკიდა უბრალო ლამპა, კედელზე — დაგლეჯილი ნოხები, ჩემ პირისპირ ფართო მაგიდა იდგა, ზედ უთვალავი ქილა, პარიკი, ფერადი ფეხსაცმელი, სპილენძის მუზარადი, ხმლის ვადა და ათასი უცნაური ძველმანი იყო ერთმანეთზე ახორხლილი.

იქვე წიგნებიც ეწყო. ივან სტეპანოვიჩი, როგორც ჩანდა, მთლად განურჩევლად მაინც არ ყრიდა მათ ღუმელში. შორს, კუთხეში ფიცარნაგი იყო მოწყობილი და ჩამოფენილიყო შავი, ყვავილებაქარგული ფარდა...

— სამუშაო კაბინეტია, — ხელები მოიფშვნიტა ივან სტეპანოვიჩმა და კედელზე მიათითა, სადაც ერთიმეორის მიყოლებით ეკიდა ჭრელი კოსტუმები, ჯავშანი, ლაბადები და, როცა მიხვდა, ჯერ კიდევ არ ვიყავ გამორკვეული, გაიმეორა, — აბა, გაიხსენეთ ივან კრივიჩევი. ერთად არ ვიმგზავრეთ რიბინსკიდან?

მე მყის გამახსენდა ფირფიცრისაგან ნაშენი თეატრი, უკან რომ კედელიც არ ჰქონდა, რამპასთან კი, მოხატული ბუჩქების წინ, მოკლე ტანის კაცი, ძუყაოს გვირგვინითა და ნაძველები ფარჩეულით მორთული, ხელში თივის ნაგლეჯი ეკავა. ქარიშხალი ვერა და ვერ მოაწყვეს სცენაზე. ვიღაცამ თავხედურად, დაურიდებლად უსტვინა, ლირმა კი წარბები ასწია და თავი გადააქნია, თითქოს ამბობდა, კარგით, მაცალეთ, ახლავე დავამთავრებო...

— მაშ თქვენ ტრაგიკოსი კრივიჩევი ხართ? აქ რამ გადმოგაგდოთ? — შევეკითხე.

— გასაკვირი არაფერია, — მომიგო ივან სტეპანოვიჩმა. ფანჯარასთან მივიდა, ბოთლი გადმოიღო და ორი ჭიქა შეავსო. ერთი მე მომაწოდა, მეორე კი სულმოუთქმელად დაცალა. პირი არც მოუწმენდია, ზედ შერჩა წვეთები. — ჯერ ერთი, მოწყალეო ხელმწიფევ, მე განმარტოება მიყვარს, თანაც სულაც არა მსურს ამ ბინძურ ფიცარნაგს შევეწირო. რა ფასი აქვს! ოთხი საათი გიჟივით ბორგავ, გული — გახეთქვაზეა, ამაში კი ფულს გიხდიან. არა, მე არტისტი გახლავართ და არა აქტიორი, გთხოვთ განასხვავოთ. აქტიორის წილხვედრია გვირგვინები და ტუტუცური ტაში. ჩემი — სულიერი გვემა. მაყურებელი აღარად მიღირს, რა ხანია, რაც ზურგი ვაქციე ბრბოს. ჩემთვის ვთამაშობ ახლა... აი აქ, — მან გადასწია ჩითის ფარდა, მის უკან, ორ გასაწევ კედელზე ეხატა მფეთქავი ვულკანი, ორი ხე, შადრევანი და მთვარე...

— ვნებათა ღელვისაგან მოწყებული მირიადი განცდა მოითვლება, ვიდ-

რე მელანქოლიამდე ჩავაღწევდეთ, — თქვა ივან სტეპანოვიჩმა, — აი, ჩემი თეატრი, მარტოოდენ კლასიკურ რეპერტუარს ვასრულებ. აბა, მოიკალათეთ სადმე. მგონი, ჯერ კიდევ არ შეგაწყინეთ თავი...

ივან სტეპანოვიჩმა კიდევ გადახუხა ერთი ჭიქა, გადაიგდო მხრებიდან პალტო, დაჯდა, მორცხვად გაიღიმა და შარვლის გაძრობა დაიწყო.

— ყურადღებას ნუ მოიქცევთ. ახლა აღმაფრენა მეწვია. გამოგიტყდებით, ასეთი წუთების ტრფიალი გახლავართ!

მან საჩქაროდ ჩამოიცვა ტრიკო, ბოტფორტები, ყავისფერ სვიტრზე ხავერდის მოსასხამი მოიგდო.

— არც ერთი ქარბუქი ისე არ გადაივლის, ვინმე არ იმსხვერპლოს... აქ სხვა ახალს ვერაფერს გაიგონებ... კაპუტ... ამ ალქაჯმა ხომ შემჭამა, თქვენ ჯერ კიდევ არ იცნობთ, — მან უეცრივ შეწყვიტა ლაპარაკი, კარებთან მიიპარა და მიაყურადა. — დუმს... ეშინია, დღეს წავაჭერი ენა; მართლა ხომ არა გგონიათ, რომ სამართებლით წავაჭერი? ღმერთო ჩემო!..

მან თვალები მოხუჭა, შეკრთა, გეგონებათ, აციებსო.

— ქვემოთ ერთი მზარეული ქალი ცხოვრობს. ისე ეშინია, ჩაკეტილშია სულ... აქ ნამდვილი ჯოჯოხეთია. რამდენჯერ ვუთხარი ჩემს ძმებს: რა დავაშავე ისეთი, რომ ამ გამოყრუებულ სახლში უნდა ვათენებ-ვალამებდე-მეთქი. მერე რა, რომ ერთი ხელმოცარული აქტიორი ვარ. ამისათვის კაცს შეიცოდებენ, მაგათ კი აქ ჩამაყუდეს, უპატრონოდ, ქვეყნის სასაცილოდ. ჯალათები არიან! მე ხომ ხელოვნებას შევწირე თავი... ოცდაორი წელი ვთამაშობდი. იცით, რატომ მივატოვე სცენა? ტრაგიკულ შეყვარებულებს ვთამაშობდი გამუდმებით, სინამდვილეში კი ერთხელაც არ მყვარებია, ჰოდა, მოვინდომე, ჯერ განმეცადა ეს ზენარი გრძნობა და მერე გამომესახა სცენაზე... მივწერე ძმებს: ოცდაორი წელი ჩიხში ვიყავი, ახლა მოვძებნე ჩემი თავი, თამაში შემიძლია... ცდა არ დამიკლია, ილაჯს ვიწყვეტდი ამ ფიცარნაგზე... ფული გამომიგზავნონ სამგზავროდ, მეტი არაფერი მინდა.

ივან სტეპანოვიჩმა ფრთაგარჭობილი შლიაპა თვალებზე ჩამოიხურა, დაშნას დაეყრდნო, იდაყვით აიქნია წითელი ლაბადა და რისხვით შემოხედა.

— ალბათ ფიქრობთ, ამ ჩერჩეტ მოხუცს რა სიყვარული აუტყდა, გამოკეტილა აქ ალქაჯთან ერთადო. აბლო და ახლა სწორედ ალქაჯი შეიყვარაო. სცადეთ აბა და ერთი დღე დაჰყავით მასთან, თვალს არ მაცილებს. ჩემი ყოველი სიტყვა, ყოველი ნაბიჯი ჟურნალში შეაქვს, ხალხში რომ გამომაჭენოს მერე! გარეცხილია ყოველივე ადამიანურისაგან. გადააშენოს ეშმაკმა. მაგის გამოა, რომ ვსვამ. გათავებულია ჩემი ცხოვრება. სულში ჩამაფურთხეს!

ამ სიტყვებით ივან სტეპანოვიჩმა მოიშვლიპა ქუდი, აიჩეჩა ჭალარა თმა და ფიცარნაგისკენ გაემართა. მე ვდუმდი. ყველაფერი ყალბად გამოსდიოდა. თავადაც შეატყო. თავი გააქნია, გაეცინა.

— ვაყალბებ, არა? ვიქნებ შექსპირი ვცადო!..

ჩაფიქრდა, ნიკაპზე ხელი წაივლო და იმნაირი ხმით დაიწყო, ტანში გამზარა.

— ოფელია, წადი მონასტერში, მონასტერში წადი, კარი არავის გაუღო, — მან წარბები აქაჩა, — და თუ იმას მხეცური ალერსი მოესურვება და შემოიჭრება ქალწულის სამყოფელოში, თავშალი მოიხვიე მკერდზე და კვანძში ნემსი ჩამალე.

აქ უეცრივ ლოყები გაბუშტა, ერთი ამოისუნთქა, საფეხურზე ჩამოჯდა. თავი ხელებში ჩარგო და ატირდა.

— დამავიწყდა, ყველაფერი აურ-დავურიე, აფსუს!

კარზე დააკაკუნეს. ივან სტეპანოვიჩი ადგილიდან მოწყდა, კარს მივარდა, ზედ აეკრა და ძლივს გასაგონად იკითხა.

— ვინ არის?

— მე ვარ, — იყო მეეტლის პასუხი, — გავიყინე.

ივან სტეპანოვიჩმა კარი გაუღო. ყინულის ლოლუები ეკიდა მოთრთვილულ მეეტლეს.

— სამზარეულოში მინდოდა გავმთბარიყავი, მაგრამ მოსამსახურემ არ შემიშვა, — ჩაილაპარაკა მან, თან ფეხს ინაცვლებდა.

— მაგას დალევა მოუხდება, აბა, გადაჰკარი! — შეუძახა ივან სტეპანოვიჩმა და ბოთლი მიაჩეჩა.

მეეტლე დინჯად გაერიდა, ჭიქა და პური ითხოვა, ივან სტეპანოვიჩმა გაუწოდა ჭიქაცა და პურიც. მერე ხელი უბიძგა. დიდხანს მისჩერებოდა, ვიდრე მეეტლე თვალთაგან არ მიეფარა.

— ვიფიქრე, პოლიცია დაგვესხა-მეთქი, — როგორც იყო ამოთქვა მან. — აქ ერთი პატარა უსიამოვნება მოხდა. არ ღირს სათქმელად. რას ვამბობდი? ჰო, ციგურებით სრიალი არ გნებავთ? დაბლა დარბაზში მშვენიერი ხაციგურაობა. მე მოვაწყვე. წყალი საკუთარი მხრებით მოვზიდე პარკეტზე დასასხმელად. სრიალით გულს კარგად მოიჯერებ, მერე გადაეშვები პირდაპირ ფანჯრიდან და ჰაიდა მდინარისკენ! ძალზე მოსახერხებელია. ახლა მაინც ყველგან დათოვლილია. თოვლი სუდარასავით ჰფენია. წამოფიფქავს თუ არა, კვალი ქრება ყველაფრისა. გორის ძირში კაცი რომ მიაწვინო საღამოის ჟამს, გაზაფხულამდე ველარ მოლანდავ. რა ხანია ეს მაფიქრებს. მაშ თქვენ ჰამლეტი არ მოგწონთ, არა? მე ხომ არც მითამაშნია არასოდეს, ო, ღმერთო ჩემო!

მან შუბლზე შემოიჭდო ხელები, გეგონებოდათ, რაღაც ფიქრი აწვალებდა; შეეშვებოდა ერთი წუთით, მერე ისევ დააცხრებოდა თავს.

— აჰ, მართლა ასეთი ალქაჯი კი არაა.. ძალიანაც კარგია, ვცრუობდი. პეტერბურგიდან გამომიგზავნეს აქ, სკანდალი რომ აეცილებინათ თავიდან. ეგ ხომ სასახლიდანაა გაქცეული! ერთ თახსირ მსახიობს აედევნა, ჩემნაირს. სამშობიაროში ეყოლა ბავშვი, მერე კი პეტერბურგში დაბრუნდა. სახლისაკენ არც გაუხედია. ქუჩა-ქუჩა იარებოდა. დაიჭირეს ღამით და გაირკვა, რომ მაღალი წარმოშობისა ყოფილა. ურიადნიკთან მიიყვანეს და აქეთკენ უკრეს თავი. თვეში ორმოცდაათ მანეთს უგზავნიან. რა ქალი და როგორი ბედის. აფსუს!

— ო, ის ტაკიმასხარა მსახიობი ჩამაგდებინა ერთი ხელში... იცით რა, მოდით, შევიაროთ მასთან.

ივან სტეპანოვიჩმა ხელი წამავლო და თვალებში თითქოს შიში გამოეხატა. უსიამოვნოდ შევიშმუშნე, ის კი ძალად მექაჩებოდა სკამიდან. სხვა ღონე ალარ იყო.

კარი გავაღეთ და ფრთხილად გავიჭვრიტეთ დერეფანში. ორსაგდულიანი მუხის კარი ქეშად ეკიდა. იქიდან იატაკის ნაჩვრეტში მოყვითალო სხივი იჭრებოდა. ივან სტეპანოვიჩმა ამ სხივს მიათითა, თან ხელს მიჭერდა.

— ხედავთ... მაინც ჩაუმქრალი დამრჩენია... ენთოს რა...

— რა გემართებათ, რას სჩადით! — ვიყვირე.

ხელი გამოვგლიჯე, მაგრამ ის დამეჭიდა, თან ჩამძახოდა: — ნუ ყვირიხართ... არ წახვიდეთ... ნუთუ ვერა ხვდებით... მაინც არ გაგიშვებთ... ჩვენ ერთმანეთში მოვრიგდით... ახლავე გეტყვით... ვერ მიტანდა... დანახვაც არ უნდოდა ჩემი... ხელოვნებაც არად მიაჩნდა... მე ვდგავარ, ვკითხულობ, ეგ კი კარებზე მიყრდნობილა და კვდება სიცილით. მძაფრი განცდებია ჩემთვის საჭირო, სულის დიდი ტრაგედიები. საკუთარი თვალით უნდა ვიხილო, როგორა თრთის დანადალირებული არსება. სხვაგვარად ხელოვნებას რა ფასი აქვს. ეგ რომ თვინიერი გამომდგომოდა, ჩემი საშველი არ იყო... ახლა კი არტისტი ვარ... გენიოსი.. ფეხით ჩავალ პეტერბურგს, ვუჩვენებ მაგათ... როგორ თამაშობს ივან კრივიჩევი...

როგორც იქნა, თავი დავიხსენი, ვუგანე. გამახსენდა, ქურქი აქა მრჩებოდა. ივან სტეპანოვიჩი კი გაუგებრად დაბორიალობდა აქეთ-იქით, გაოფლილი, აწითლებული, ძირს მოთრეული ლაბადით და ჩამოფხატული ფარფლიანი ქუდით, მისი ფრთის უშველებელი ჩრდილი კედელზე რომ ხტოდა. ის კი იქნევდა მუშტებს და გაურკვევლად ბოდავდა.

ბოლოს აცეცებული თვალები მუხის კარს მიაჩერა... ჩაიმუხლა, მიიპარა, ტრაგიკულად ამართა ხელი და სახელური გამოსწია. დაქიაქებულმა კარებმა ღრჭიალი მოიღო, იქით-აქეთ გადაქანდა და გაიხსნა... მე პირი ვიბრუნე. უეცრივ მოისმა დაღლილი, ნერვიული ხმა:

— გეყოფა, ივან სტეპანოვიჩ! - აჰა, კარიც ხომ გატეხე, უცხოს მაინც მოერიდე... რა გახდი, ბოლოს და ბოლოს!

ზღურბლზე გამოჩნდა ყმაწვილი ქალი, მაღალი, ძალზე გამხდარი, ჩამოქანებული მხრებითა და მოგრძო ნატანჯი სახით. ორენბურგული ხილაბანდი მოესხა ზურგზე. კეფაზე თმა სადად აეკეცა, მარტოდენ თვალები შთენილიყვნენ შუქმფინარად, — დაბერილი, მქრქალი უპეებით შემოგარსული თვალები...

ივან სტეპანოვიჩი მოიჭმუხნა, აქშუტუნდა და კარისაკენ მიიწია, ქალი მომიბრუნდა და მითხრა:

— ასეა ყოველდღე... დათვრება, გაილეშება, მერე ჰგონია, ვითომ ყელი გამომჭრა! ამასაც მოვესწრები ალბათ ოდესმე... ხელმოცარულია, — ყველა ყოფილა თურმე ამაში დამნაშავე, მას რომ ჰკითხო... ისე, ფხიზელი კი, კეთილია, მორცხვი და მორიდებული.

ქალმა სევდიანად გაიღიმა და ივან სტეპანოვიჩს უთხრა:

— წამოდი აბა, ჩაი დავლიოთ ჩემთან, თქვენცა გთხოვთ, მე დილამდე არ ვიძინებ.

— მაშენკა,—ჩაილაპარაკა ივან სტეპანოვიჩმა,—გამიგე, რა მომათმენინებდა... ახალი კაცი ვნახე და, — მერე მე მომიბრუნდა, — ისეთი კარგია ეს უბედური!..

— ივან სტეპანოვიჩ! — მკაცრად შეაწყვეტინა მაშენკამ.

— ჰო, ჰო, ჰო, გავჩუმდები, ხმას აღარ ამოვიღებ... — იგი მიწყნარდა და ჩვენ გამოგვყვა. თეთრ სუფთა, უბრალოდ მოწყობილ, ხმელი ბალახის სურნელით გავსილ ოთახში მაგიდაზე სამოვარი იდგა. ენთო სანთლები. ივან სტეპანოვიჩი მიჯდა ჩრდილში, თავი ჩახარა და მალე ჩასთვლიმა. მაშენკა ლიმილით დაჰყურებდა...

— ვერა და ვერ გადაეჩვია. ვერ ამოიგდო გულიდან, მეტისმეტად უყვარს თეატრი და მსახიობობა. რა ვაი-ვაგლახს არ გადაეყარა ამის გამოისობით. ეძინოს ასე, ნუ გააღვიძებთ!

ამასობაში მოვიდა მეეტლე და თქვა, ქარბუქი ჩადგა, ცხენები შებმულია, გარეთ ითოშებიანო. მე მადლობა ვუთხარი მაშენკას, დავემშვიდობე და მალე ისევ დაირწა მარხილი. აყანთალდა ღრანტეებსა და ნალოობ თოვლზე. მოლიავებულ ღრუბლებში გამოჩნდა მრგვალი მთვარე და ცხენების წინ გამოხტა კურდღელი.

— ვიცრუე განა,—შემომიბრუნდა მეეტლე,—სამზარეულოში ხომ მაინც შევალწიე, წვნიანით გამიმასპინძლდა მზარეული ქალი. დამზაფრა აქ ცხოვრებამ, მითხრა. გუშინ ბატონი გამოკიდებია ქალბატონს. მთელი სახლი ააწრიალესო. ბატონი ადრე კაცი ყოფილა თურმე კაცური. ახლა ხომ ხედავთ, ტრაგიკოსიო თუ რალაცას რომ იტყვიან, ისაა სწორედ.

ფრანსუაზ საგანი

სალამი, სევდავ!

რომანი

ფრანგულიდან თარგმნა ნუნუ ქადეიშვილმა

მშვიდობით, სევდავ, სალამი, სევდავ, შენა ხარ ყველგან —
შენ აწერიხარ ჭერსაც, თვალებსაც, რომლებიც მიყვარს,
და სილარიბე არა ხარ სულაც,
რადგან ამქვეყნად ყველაზე მწირი —
ტუჩებიც კი შენ გამჟღავნებენ თავის ღიმილით.
სალამი, სევდავ, სიყვარულო მშვიდთა სხეულთა
და ძლიერებავ თვით სიყვარულის.
ეგ სათნოება არის ურჩხული უსხეულო,
პირმშვენიერი და განხიბლული[1].

პოლ ელუარი

ნაწილი პირველი

თავი I

არ ვიცი, დავარქვა თუ არა სევდა — ეს მშვენიერი სახელი ამ უცნობ გრძნობას, თავისი სიმწარითა და სიტკბოთი რომ უკვე მიმორჩილებს. ეს იმდენად სრულყოფილი, იმდენად თავკერძა გრძნობაა, მე თითქმის მრცხვენია მისი, რადგან სევდა მუდამ რაღაც მოწიწებას მგვრიდა. აქამდე იგი უცნობ გრძნობად მიმაჩნდა, სამაგიეროდ, მოწყენას, სინანულს, იშვიათად სინდისის ქენჯნას კარგად ვიცნობდი. დღეს კი აბრეშუმივით ნაზი, მთრთოლვარე რამ გრძნობა მეუფლება და სხვებისაგან მაშორებს.

იმ ზაფხულს ჩვიდმეტი წელი შემისრულდა და ძალიან ბედნიერი ვიყავი. „სხვებისგან-მეთქი“, რომ ვამბობ, მამაჩემსა და მის საყვარელს, ელზას ვგულისხმობ. მცდარი წარმოდგენა რომ არ შეგექმნათ, ჯობს ახლავე გაგაცნოთ

[1] ლექსი ფრანგულიდან თარგმნა ნატო მაჭარაშვილმა.

საქმის ვითარება: მამაჩემი ორმოცი წლისა გახლავთ. იგი თხუთმეტი წლის წინ დაქვრივდა. ის ახალგაზრდა, სიცოცხლით და ჯანლონით სავსე მამაკაცია. ამ ორი წლის წინ, როცა პანსიონიდან გამოვედი, მაშინვე მივხვდი, რომ საყვარელი ჰყავდა. ხოლო ქალებს რომ წელიწადში ორჯერ იცვლიდა, ეს კი უფრო მოგვიანებით ვიაზრე მისი მომხიბვლელი გარეგნობის, უზრუნველი ცხოვრებისა და ბუნებით მომადლებული ნიჭის წყალობით. ეს გახლდათ თავქარიანი, მოხერხებული, ერთთავად ცნობისმოყვარე კაცი, ყველაფერი რომ ადვილად ბეზრდებოდა და ქალებს რომ ძალიან მოსწონდათ.

იგი ისეთი კეთილი, დიდსულოვანი, მხიარული ადამიანი იყო, ისე ნაზად მეპყრობოდა, რომ სულ არ გამჭირვებია მთელი გულით შემყვარებოდა. მასზე უკეთესი მეგობარი თუ საამური ადამიანი მე არავინ მეგულება. იმ ზაფხულის დამდეგს თავაზიანობა გამოიჩინა, მკითხა, ელზა (მისი ახალი მიჯნური გახლდათ) მინდა წამოვიყვანო აგარაკზე და საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნებაო. მე ისღა დამრჩენოდა, თანხმობა მიმეცა, რადგან ვიცოდი, უქალოდ ცხოვრება არ შეეძლო და თანაც ელზა სულაც არ უნდა ყოფილიყო აუტანელი. ელზა მალალ-მალალი, წითური ქალი გახლდათ, მსუბუქი ყოფაქცევისა. ელისეის მინდვრების ბარებსა და სტუდიებში მასობრივ სცენებში მონაწილეობდა. სანდომიანი, უბრალო და უპრეტენზიო იყო. ამას გარდა, მე და მამას ისე გვიხაროდა ქალაქიდან გასვლა, ასეთ უმნიშვნელო რამეზე დავა არც ღირდა.

მამამ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე სწორედ ისეთი დიდი, თეთრი, ლამაზი აგარაკი დაიქირავა, რაზედაც ვოცნებობდით ივნისის ცხელი დღეების დადგომისთანავე. აგარაკი განმარტოებით იდგა კონცხზე, ზღვას გადაჰყურებდა და, ფიჭვნარში ჩამალული, შარაგზიდან არც კი მოჩანდა. საცალფეხო ბილიკს კლდეებში მოქცეულ, ოქროსფერ ყურემდე ჩაჰყავდი, სადაც ზღვა უჩვეულოდ ლივლივებდა.

პირველ ხანებში ზღაპარში გვეგონა თავი: სიცხისაგან გათანგულნი საათობით ვიწექით ხოლმე ზღვის ნაპირას, ნელ-ნელა გვედებოდა ჯანსაღი ბრინჯაოსფერი, ელზას გამოკლებით... მას მზე კი არ ეკარებოდა, კანი უწითლდებოდა მხოლოდ და ტკივილისაგან იტანჯებოდა. მამაჩემი დღენიადაგ ვარჯიშობდა, უნდოდა რაც შეიძლება სწრაფად დაეგდო ღიპი, ნელ-ნელა რომ შეჰპარვოდა ამ დონჟუანს. როგორც კი ირიჟრაჟებდა, მე უკვე წყალში გახლდით. გრილი და გამჭვირვალე იყო წყალი, ვყვინთავდი, ვცდილობდი პარიზის ჭუჭყი და მტვერი ჩამომერეცხა. შემდეგ ქვიშაზე გავიშოტებოდი, მუჭით მოყვითალო თბილ სილას ვილებდი, თითებში ვცრიდი. ვფიქრობდი, სილაც ისევე ქრება-მეთქი, როგორც დრო. მერე ერთბაშად გამიელვებდა, ეს რა მოსწრებული აზრი გამომივიდა, რა კარგია ასეთი მოსწრებული აზრები რომ მოგდის-მეთქი ადამიანს თავში! ზაფხული იყო.

მეექვსე დღეს პირველად ვნახე სირილი. მჩატე ოფრიან ნავში იჯდა და მოჰყვებოდა ნაპირს. უცებ ნავი ჩვენს ყურესთან გადაუყირავდა. მივეშველე, სიცილ-ხარხარით გამოველაპარაკეთ ერთმანეთს. შევიტყვე, რომ სახელად სირილი ჰქვია, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტია და არდადეგებს დედასთან ერთად ატარებს მეზობელ აგარაკზე. მას რომაული სახე ჰქონდა, შავვრემანი, გულღია. რატომღაც მაშინვე მომეწონა ამ სახეზე ალბეჭდილი დინ-

ჯი, მზრუნველი იერი. მე მუდამ გავურბოდი უნივერსიტეტის სტუდენტებს. უხეში, თავკერძა ხალხია, ახალგაზრდობით მოაქვთ თავი, ყველაფრის მიზეზად ის მიაჩნიათ. ახალგაზრდებისაკენ გული არ მიმიწევდა. ბევრად მერჩივნა მამაჩემის მეგობრები, ორმოცი წლის მამაკაცები, ნაზად და თავაზიანად რომ მეპყრობოდნენ, ზოგი მამობრივ სითბოს მაგრძნობინებდა, ზოგი მიჯნურივით მესიყვარულებოდა. მაგრამ სირილი მომეწონა. იგი მაღალი ტანისა იყო, ზოგჯერ ლამაზიც, ნდობის აღმძვრელი სილამაზე ჰქონდა. მამაჩემივით მე არ მძულდა სიმახინჯე, ამ სიძულვილის წყალობით ხომ მეტწილად ბრიყვთა საზოგადოებაში გვიხდებოდა ყოფნა. ეს კია, ფიზიკურად ულამაზო ადამიანებთან რატომღაც უხერხულად ვგრძნობდი თავს. ვერ გამეგო, როგორ შერიგებოდნენ ბედს, არასოდეს არავის არ მოვეწონებითო. მოწონების სურვილის გარდა განა სხვა მიზანი კიდევა გვაქვს ცხოვრებაში? თუმცა დღესაც არ ვიცი, რად გვინდა სხვისი მოხიბვლა: სიცოცხლის ჭარბი უნარი რომ დავამტკიცოთ, ხელში ჩავიგდოთ ვინმე თუ ფარული მოთხოვნილება გვამოქმედებს, დავრწმუნდეთ ჩვენს თავში, გვქონდეს ჩვენი თავის იმედი!

წასვლის წინ სირილმა შემომთავაზა, აფრიანი ნავის წაყვანას გასწავლიო. შინ რომ დავბრუნდი, სირილზე ფიქრმა გამიტაცა, მამაჩემისა და ელზას საუბარში თითქმის არ ჩავრეულვარ სადილზე. ეს კია, ბოლოს შევამჩნიე, მამა რატომღაც ნერვიულობდა. ნასადილევს, როგორც ყოველ საღამოს, ტერასაზე გავედით და სავარძელში მოვიკალათეთ. ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. შევცქერიდი ვარსკვლავებს და ბუნდოვანი იმედი მესახებოდა გულში, საცაა მოწყვეტილ ვარსკვლავს დავინახავ-მეთქი ცაზე. მაგრამ ჯერ კიდევ ივლისის პირველი დღეები იყო და ვარსკვლავები ადგილიდან არ იძვროდნენ. ტერასაზე დაყრილ ხრეშში ჭრიჭინები კრუალებდნენ. სიცხითა და მთვარის შუქით გაბრუებულნი ათასობით ირეოდნენ ირგვლივ და მთელი ღამე მათი სასაცილო სერენადები გვესმოდა. მითხრეს, ეს ჭრიჭინი ფრთების ერთმანეთზე ხახუნით ჩნდებაო, მაგრამ მე ვამჯობინებდი მეფიქრა, ჭრიჭინები ფრთებით კი არა, ყელით მღერიან ისევე ინსტინქტურად, როგორც კატები კრუტუნებენ-მეთქი მარტის თვეში. სამივენი კარგად ვგრძნობდით თავს. მხოლოდ პერანგში ჩაცვენილი სილა მიფრთხობდა ამ სასიამოვნო ბურანს.

უეცრად მამამ ჩაახველა, შეზლონგიდან წამოიწია და გვითხრა:

— სტუმრის ჩამოსვლა უნდა გაუწყოთ!

სასოწარკვეთილმა თვალები დავხუჭე. რა თქმა უნდა, ისე მშვიდად ვცხოვრობდით აქამდე, ეს ნეტარება დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა!

— ჩქარა გვითხარით, ვინ ჩამოვა? —იყვირა ელზამ, მას სტუმრიანობა მუდამ უყვარდა.

— ანა ლარსენი, — თქვა მამამ და მე გადმომხედა.

გაკვირვებისაგან ენა დამება.

— ასე ვუთხარი, როცა კოლექციები თავს მოგაბეზრებთ, ჩვენთან ჩამოდით-მეთქი. ჰოდა... ჩამოდის!

ამას ვერასოდეს წარმოვიდგენდი. ანა ლარსენი საცოდავი დედაჩემის მეგობარი იყო და მამას იშვიათად ხვდებოდა. ორი წლის წინ რომ პანსიონიდან გამოვედი, მამაჩემს ისე მძიმე ტვირთად დავაწექი, არ იცოდა, რა ექნა და ანას მიმაბარა. ანამ ერთ კვირაში დიდი გემოვნებით გამომაწყო და ცხოვრებაც მასწავლა. მაშინ ამ ქალს ლრმა აღფრთოვანებით შევციცინებდი, მაგრამ ეს გატაცება თვითონვე მეტად მოხერხებულად გადამატანინა ერთ ჭაბუკზე;

ამგვარად, პირველი კოპწიაობა და პირველი სიყვარული მისი წყალობით ვიგემე და დიდად მადლიერიც დავრჩი.

ორმოცდაორი წლის ასაკში ანა ლარსენი ძალიან მიმზიდველი, ნატიფი ქალი გახლდათ. მშვენიერი სახე ჰქონდა, ამაყი, დაღლილი, გულგრილი გამომეტყველება. ამ გულგრილობის გარდა ვერავითარ წუნს ვერ უპოვიდით. თავაზიანი, თანაც უკარება იყო და მტკიცე ნებისყოფა ჰქონდა, ისეთ სიმშვიდეს აფრქვევდა, უნებურად მოკრძალება გიპყრობდა. ქმართან განქორწინებული იყო, მაშასადამე, თავისუფალი, მაგრამ საყვარელი არასოდეს ჰყოლია. სხვათა შორის, ნაცნობების საერთო წრე არა გვქონდა: იგი დახვეწილ, ჭკვიან, დარბაისელ ხალხთან მეგობრობდა, ჩვენ კი — სიცოცხლეს მოწყურებულ, მშფოთვარე საზოგადოებასთან, მამაჩემი რომ ლამაზ და მხიარულ ხალხისგან შეკრებდა ხოლმე. ჩემი აზრით, ანა ათვალწუნებით გვიყურებდა მე და მამაჩემს, რადგან ჩვენ მხოლოდ გართობასა და ქარაფშუტულ დროს ტარებაზე ვფიქრობდით, მას კი საშინლად სძულდა ყოველივე გადაჭარბებული. ჩვენ მხოლოდ საგანგებოდ გამართულ სადილებზე ვხვდებოდით ერთმანეთს, როცა ამას საერთო საქმე მოითხოვდა: იგი სამკერვალო საქმით იყო დაკავებული, მამაჩემი — რეკლამით. ამას გარდა, დედაჩემის ხსოვნა და ჩემი საქმიანობაც გვაკავშირებდა. თუმცა მის წინაშე თავს ერთგვარად შებოჭილად ვგრძნობდი, ალტაცებას მაინც ვერ ვფარავდი. მისი მოულოდნელი სტუმრობა ხელის შეშლად უნდა ჩაგვეთვალა, თუკი მხედველობაში მივიღებდით ელზას აქ ყოფნას და ანას აზრებს ჩემი ალზრდის თაობაზე.

ანას ვინაობის გამოსარკვევად ელზამ კითხვა-კითხვაზე დააყარა მამაჩემს და, როცა ცნობისმოყვარეობა დაიკმაყოფილა, დასაწოლად წავიდა. მე და მამა მარტო დავრჩით. მე კიბის საფეხურზე ჩამოვჯექი, მის ფეხებთან; იგი დაიხარა, ორივე ხელი მხრებზე დამადო და მითხრა:

— ასეთი გაკნაჭული რატომ ხარ, ჩემო ტკბილო გოგო? იცი, გარეულ კატუნიას ჰგავხარ! მე კი მინდა ლამაზი, ქერა გოგო მყავდეს, უფრო ფუნჩულა, ფაიფურისთვალება და...

— რა დროს ეგაა! — ვუთხარი, — ანა ლარსენი რად დაპატიჟე? ან თავად რატომ დაგთანხმდა?

— აბა რა ვიცი? შენი ბეხრეკი მამის სანახავად თუ ჩამოდის!

— შენ არა ხარ ისეთი მამაკაცი, ანას რომ მოეწონო, — ვთქვი მე, — მეტისმეტად ჭკვიანია და თავის თავს პატივს სცემს. მერე და ელზა? ელზაზე თუ იფიქრე? ნუთუ გგონია, რომ ანასა და ელზას რაიმე საერთო შეიძლება ჰქონდეთ?

— ამაზე არ მიფიქრია, — ალიარა მამამ, — მართლაც საშინელება იქნება! სესილ, ჩემო ტკბილო გოგო, მოდი, პარიზში დავბრუნდეთ!

იგი ხმამაღლა იცინოდა და ხელს კეფაზე მითათუნებდა. მოვტრიალდი და შევხედე. მუქი თვალები უცნაურად უელვარებდა, თვალის კუთხეები სასაცილო, პაწია ნაოჭებს დაეფარა, ბაგეები ოდნავ ასწეოდა. ნამდვილ ფავნს ჰგავდა. სიცილში მეც ავყევი. ასე ვიცოდით ხოლმე, როცა რამეში გამოვიჭერდი.

— უშენოდ რა მეშველებოდა, ჩემო მეგობარო?! — თქვა მან.

ეს სიტყვები ისე მტკიცედ, ნაზად წარმოთქვა, მივხვდი, უჩემოდ მარ-

დათ. ამიტომ ჩვენი სახლი, ანუ სამთა ეს უცნაური კავშირი, ეტყობოდა, ეჩოთირებოდა. ამას არ მეუბნებოდა, რადგან მეტად კეთილი ან იქნებ მეტად მოკრძალებული იყო, მაგრამ მამაჩემს ისე მტრულად, ისე ალმაცერად შეხედავდა ხოლმე, ყოველივეს ადვილად ვხვდებოდი. გულით ეწადა ალბათ, ჩემი ოჯახის ამბავს ძალიან დავეტანჯე. ჩემზე კი ეს სულაც არ მოქმედებდა. ერთადერთი, რაც იმ წუთში მტანჯავდა, მისი გამოხედვა და ჩემი უგუნებობა იყო. ჩემკენ დაიხარა. უნებურად გამახსენდა უკანასკნელი დღეები, მისდამი ნდობა, ჩემი სიმშვიდე მასთან ყოფნისას და ამ ოდნავ მსხვილი ტუჩების მოახლოება ალარ მესიამოვნა.

— სირილ, — ვუთხარი მე, — ჩვენ ისეთი ბედნიერები ვიყავით...

ნაზად მაკოცა. ცას ავხედე. შემდეგ კი მოხუჭული ქუთუთოებიდან ავარდნილი წითელი სხივების გარდა აღარაფერი დამინახავს. ცეცხლი წამეკიდა და რეტი დამასხა პირველი კოცნის სიტკბომ, ისმოდა მხოლოდ ჩვენი აჩქარებული სუნთქვა. მანქანის ხმამ ქურდებივით გაგვყარა. სირილი უსიტყვოდ მივატოვე და შინისაკენ გავქანდი.

მიკვირდა, ასე მალე რატომ დაბრუნდნენ-მეთქი. ანას მატარებელი ჯერაც არ უნდა ყოფილიყო მოსული. მიუხედავად ამისა, ანა ტერასაზე დამხვდა. საკუთარი მანქანით ჩამოსულიყო.

— მძინარე მზეთუნახავის სახლსა ჰგავს თქვენი აგარაკი! — თქვა მან, — როგორ გაშავებულხართ, სესილ! ძალიან მიხარია თქვენი ნახვა.

— მეც, — ვუთხარი, — კი მაგრამ, განა პარიზიდან არ ჩამოხვედით?

— მანქანით წამოსვლა ვამჯობინე, ძალიან კი დავიღალე.

მისთვის განკუთვნილ ოთახში ავიყვანე. ფანჯარა გავაღე, იმედი მქონდა, სირილის ნავს დავინახავ-მეთქი, მაგრამ წასულიყო. ანა საწოლზე ჩამოჯდა. შევამჩნიე, თვალის უპეები ჩაშავებოდა.

— რა ლამაზი აგარაკია! — ამოიოხრა მან. — ოჯახის უფროსი სად ბრძანდება?

— მამა და ელზა სადგურზე წამოვიდნენ თქვენს შესახვედრად.

ანას ჩემოდანი სკამზე დავდგი. როცა მოვბრუნდი, გული შემეკუმშა. ანას ერთბაშად შეცვლოდა სახე, ბაგეები უკანკალებდა.

— ელზა მაკენბურგი? განა ელზა მაკენბურგი აქ ჩამოიყვანა?

ვერაფერი ვუპასუხე. გაოგნებული შევცქეროდი მის აქამდე მუდამ მშვიდ, გულგრილ სახეს... მომშტერებოდა, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, ისინი ედგა თვალწინ, ვინც ეს წუთია ვახსენეთ. ბოლოს, როგორც იქნა, მეც შემამჩნია და თავი მიაბრუნა.

— უნდა გამეფრთხილებინეთ, — თქვა მან, — მაგრამ წამოსვლა ისე მეჩქარებოდა, ისეთი დაღლილი ვიყავი...

— ახლა... — ჩემდა უნებურად განვაგრძე მე.

— ახლა რა? — მკითხა.

ისე გამომწვევად, ისე ამრეზილად მიყურებდა, თითქოს მეკითხებოდა, განა ისეთი რა მოხდაო?!

— ახლა... თქვენ აქა ხართ! — ხელების ფშვნეტით დავასრულე ბრიყვულად. — იცით, ძალიან მიხარია, აქ რომ გხედავთ. ქვევით დაგიცდით. თუ მოგწყურდათ, მშვენიერი ბარი გვაქვს.

უაზროდ ვბუტბუტებდი ამ სიტყვებს და მერე აფორიაქებული ჩავყევი კიბეს. რატომ ჰქონდა ასეთი ალელვებული სახე, ხმა? ასე ერთბაშად რად შეიცვალა? შეზლონგზე ჩამოვჯექი, თვალები დავხუჭე. ვცდილობდი ანას ადრინდელი, მშვიდი, გოროზი გამომეტყველება მომეგონებინა, მუდამ ირონიული, ძალდაუტანებელი, თავის თავში დარწმუნებული. ახლა კი ამ დაკოდილი სახის დანახვამ კიდეც ამაფორიაქა და კიდეც გამაბრაზა. მამაჩემი ხომ არ უყვარს? ნუთუ ეს შესაძლებელია? მამაჩემის არც ერთი თვისება არ შეესაბამებოდა მის გემოვნებას. მამა თავქარიანი, ზოგჯერ უნებისყოფო ადამიანი იყო. იქნებ მგზავრობამ მოქანცა? იქნებ შეურაცხყოფილად იგრძნო თავი? მთელი საათი ვიყავი ამ ვარაუდებში.

ხუთ საათზე მამა და ელზა დაბრუნდნენ. ვუყურებდი, როგორ გადმოდიოდა მანქანიდან, ვცდილობდი გამომეცნო, შეიძლებოდა თუ არა, რომ იგი ანას ჰყვარებოდა. მამა სწრაფად წამოვიდა ჩემკენ, თავი უკან გადაეხარა. იღიმებოდა. ერთბაშად გავიფიქრე, ადვილი შესაძლებელია ანას შეუყვარდესმეთქი!

— ანა ვაგონში არ იყო, — შორიდანვე დამიყვირა მამამ, — იმედი მაქვს, ვაგონიდან არ გადავარდებოდა!

— ანა თავის ოთახშია. მანქანით ჩამოვიდა. — ვუთხარი.

— არა, მართლა? ჩინებულია! შეგიძლია თაიგული აუტანო.

— როგორ, ყვავილებიც მიყიდეთ? — გაისმა ანას ხმა, — რა გულისხმიერი ხართ!

იგი ლაღად ჩამოვიდა კიბეზე და მამას შეეგება. სახეზე ღიმილი უთამაშებდა. კაბა გაეუთოვებინა. ნაღვლიანად გავიფიქრე, ანა მხოლოდ მაშინ გამოვიდა ოთახიდან, როცა მანქანის ხმა გაიგონა, თუმცა შეეძლო უფრო ადრე გამოსულიყო და ჩემთან ესაუბრა-მეთქი. იქნებ იმიტომ არ მოისურვა ჩემთან ლაპარაკი, რახან გამოცდები ვერ ჩავაბარე? ამ აზრმა დამამშვიდა.

მამა მისკენ გაეშურა და ხელზე აკოცა.

— მთელი თხუთმეტი წუთი ვიდექი სადგურის ბაქანზე თაიგულით ხელში და სულელურად ვიღიმებოდი. მადლობა ღმერთს, უკვე აქა ხართ! ელზა მაკენბურგს ხომ იცნობთ?

თვალი ავარიდე.

— თუ არ ვცდები, სადღაც შევხვედრივართ ერთმანეთს, — თავაზიანად თქვა ანამ. — რა მშვენიერი ოთახი შეგირჩევიათ ჩემთვის! რა კეთილი ხართ, რაიმენდ, რომ დამპატიჟეთ... ძალიან დაღლილი ვიყავი.

მამაჩემი ფუსფუსებდა. მის თვალებში ვერავითარ ღელვას ვერ ამოიკითხავდი. თან ლაპარაკობდა, თან ბოთლებს ხსნიდა. მე კი ხან სირილისა და ხან ანას ვნებით ანთებულ სახეებს ვიგონებდი და ვფიქრობდი, გამართლდებოდა თუ არა მამაჩემის წინასწარმეტყველება, როცა ამბობდა, არდადეგებს შესანიშნავად გავატარებთო!

პირველმა სადილმა მხიარულად ჩაიარა. მამამ და ანამ ზოგ-ზოგი საერთო ნაცნობები გაიხსენეს, ვინც უფრო გამოსარჩევნი იყვნენ, მე სიამოვნებით ვუგდებდი ყურს. მაგრამ როცა ანამ მამაჩემის კომპანიონს მიკროცეფალი უწოდა, არ მომეწონა. ის მართალია, ბევრს სვამდა, მაგრამ სასიამოვნო კაცი იყო. მე და მამას მასთან ერთად გვისადილია და კარგადაც გვიტარებია დრო.

— ლომბარი იქნებ უცნაური კაცი კია, ანა, მაგრამ საკმაოდ მხიარულია, — შევეკამათე მე.

— მიუხედავად ამისა, დამეთანხმეთ, რომ მაინც რაღაც აკლია, თუნდაც იუმორი...

— შეიძლება დიდი ინტელექტის პატრონი არ იყოს, მაგრამ...

— რასაც თქვენ დიდ ინტელექტს უწოდებთ, ასაკის წყალობაა, — ლმობიერი კილოთი შემაწყვეტინა მაშინვე.

ამ ამომწურავმა განსაზღვრამ მომხიბლა.

ზოგი ფრაზა ფაქიზ, ინტელექტუალურ ბურუსში გამხვევს ხოლმე და, თუნდაც სავსებით ვერ ჩავწვდე მის აზრს, მაინც მიმორჩილებს. ანას ფრაზამ კი სურვილი აღმიძრა ფანქარი და ქაღალდი ამეღო ხელში და ჩამეწერა. ეს სურვილი ანას გავუზიარე.

მამაჩემს სიცილი წასკდა:

— კიდევ კარგი, ღვარძლიანი არა ხარ!

არც შეიძლებოდა გულღვარძლიანი ვყოფილიყავი, რადგან ანა არ იყო ბოროტი. მის გულგრილობას აშკარად ვგრძნობდი, სამაგიეროდ, მის მსჯელობებს სიავის ნატამალი არ გააჩნდა, ოღონდ ესაა, გულს გატკენდათ ძალიან.

ამ პირველ საღამოს ანამ თითქოს ვერ შეამჩნია ელზას უნებური თუ ნებსითი უდარდელობა, როცა მამაჩემის ოთახში შემოვიდა.

ანამ ნაქსოვი მაისურა მომიტანა თავისი კოლექციიდან, მაგრამ მადლობის თქმა არ მაცალა, მადლიერების გამოხატვა ძარღვებს უშლიდა და, რაკი არც მე მეხერხებოდა სამაგიეროს მიგება, მადლობის სათქმელად თავი არ შემიწუხებია.

— ძალიან მომწონს ეს ელზა, — თქვა მან, ვიდრე ოთახიდან გავიდოდი.

თვალი თვალში გამიყარა. არ იღიმებოდა, ეტყობოდა, უნდოდა ჩემს სახეზე ამოეკითხა რაღაც ისეთი, რის განქარწყლებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის. იქნებ მისი დილანდელი წყენა უნდა დამევიწყებინა!

— დიახ, დიახ, მშვენიერი... ჰმ... ქალია... ძალიან სიმპათიური!

ვბუტბუტებდი. სიცილი აუტყდა. მეტისმეტად აფორიაქებული წავედი დასაძინებლად. სარილზე ფიქრში ჩამეძინა: ალბათ გოგოებთან ცეკვავსმეთქი კანში!

ვგრძნობ, რომ მავიწყდება, იძულებული ვარ დავივიწყო მთავარი: ზღვა, მისი შეუწყვეტელი რუდუნი, მზე. არც პროვინციული პანსიონის ეზოში დარგული ოთხი ცაცხვი მაგონდება, არც მათი სურნელება, არც სამი წლის წინ სადგურის ბაქანზე მდგარი მამაჩემი, როცა პანსიონიდან გამოსულს უხერხული ღიმილი შემომაგება, რადგან მაშინ ნაწნავებს ვატარებდი და ძალიან უშნო კაბა მეცვა. შემდეგ მანქანაში ერთბაშად გამხიარულდა, გამარჯვებული სახე მიიღო, ალბათ მიხვდა, თვალებითა და ტუჩებით მას ვგავდი და რომ მისთვის ძვირფასი, უჩვეულო სათამაშო ვიქნებოდი. მე ხომ ჯერ არაფერი გამეგებოდა; იგი გამაცნობდა პარიზს, შემაჩვევდა ფუფუნებას, ადვილ ცხოვრებას! ჩემი აზრით, ფულს უნდა ვუმადლოდე ყველა იმ სიამოვნებას, მაშინ რომ მივიღე: მანქანით სეირნობა, ახალი კაბები, ფირფიტები, წიგნები, ყვავილები. ამ მსუბუქი გართობისა მე აქამდე არა მრცხვენია; სხვათა შორის, ამ თავშექცევას მხოლოდ იმიტომ ვუწოდებ მსუბუქს, რომ ირგვლივ ყველა ამ სახელს უწოდებდა. სამაგიეროდ, სიამოვნებით დავთმობდი, ადვილად ვიტყოდი უარს ჩემს დარდებზე ან დროდადრო ჩემს მისტიკურ განწყობაზე!

ჩემი ხასიათის ერთადერთი გონიერი მხარე სწორედ სიამოვნებისადმი, ბედნიერებისადმი ლტოლვა გახლავთ! იქნებ საკმაოდ ნაკითხი არ ვიყავი? პანსიონში მხოლოდ ჭკუის დამრიგებლურ წიგნებს გვაკითხებდნენ. პარიზში კითხვის დრო არ მქონდა: როგორც კი ლექციები დაგვიმთავრდებოდა, ამხანაგები მაშინვე კინოში მიმათრევდნენ. ძალიან უკვირდათ, მსახიობთა გვარები რომ არ ვიცოდი. ზოგჯერ კაფეებს გარეთ ვისხედით, მზის გულზე. დიდ სიამოვნებას მგვრიდა იქ ყოფნა: ირგვლივ ხალხი ირეოდა, ნელ-ნელა შევეჩვეოდით ღვინოს, მერე ვინმე თვალს თვალში გამიყრიდა, ხელზე მომიჭერდა, მომაშორებდა ხალხის ამ ტალღას, ჭუჩა-ჭუჩა დავყავდი, სახლთან რომ მივიდოდით, კართან მიმიმწყვდევდა და მკოცნიდა. კოცნის სიტკბოსაც გავუგე გემო. ამ მოგონებებს სახელს არ ვარქმევ — ჟანი, ჰუბერტი, ჟაკი... ყოველი ქალიშვილის მეგობრებს ასე ჰქვიათ. საღამოობით ხანდაზმული ქალივით დავდინჯდებოდი, მამასთან ერთად სტუმრად დავდიოდი, სადაც მე არაფერი საქმე არ მქონდა, სადაც საკმაოდ ჭრელი საზოგადოება იკრიბებოდა, მეც რომ მართობდნენ და თვითონაც რომ ერთობოდნენ ჩემი ასაკით. შინ დაბრუნებისას მამა სახლთან გადმომსვამდა ხოლმე მანქანიდან და თვითონ რომელიმე მეგობარი ქალის გასაცილებლად მიდიოდა. როდის ბრუნდებოდა, ვერ ვგებულობდი.

არ მინდა ისე იფიქროთ, თითქოს მამა ტრაბახობდა თავისი თავგადასავლებით. მაგრამ ის კი მართალია, რომ ცდილობდა არაფერი არ დაემალა ჩემთვის, ანუ ტყუილები არ ეთქვა ზოგი მეგობარი ქალის ხშირი სტუმრობისა ან ხანგრძლივი... საბედნიეროდ, დროებითი... ჩამოსახლების გასამართლებლად ჩვენს ბინაში! როგორც არ უნდა მოქცეულიყო, სულ ერთია, დიდი ხნით მაინც ვერ დამალავდა ამ „სტუმრებთან“ ურთიერთობას; ამას გარდა, ეტყობა, ჩემი ნდობის დაკარგვაც არ უნდოდა, მით უფრო, რომ არც ტყუილების მოჩმახვა დასჭირდებოდა საამისოდ. შესანიშნავი წინდახედულობა გახლავთ! მისი ერთადერთი დანაშაული ისაა, რომ ილუზიას მოკლებული ცინიზმი შთამაგონა სიყვარულზე, ხოლო ჩემი ასაკისა და გამოუცდელობის გამო, ასე მეგონა, სიყვარული ბედნიერების მომნიჭებელი კია, მაგრამ ორმა კვალს არ სტოვებს-მეთქი. მე ძალიან ხშირად და სიამოვნებითაც ვიმეორებდი მოსწრებულ სიტყვებს. მათ შორის ოსკარ უაილდის ნაკვესი მომწონდა: „მჭახე ფერთა შორის ცოდვა მაინც ყველაზე უფრო გამოირჩევა თავისი სიმჭახით ამ სამყაროში“. ეს ნათქვამი ისე დაბეჯითებით მივიჩნიე საკუთარ აზრად, თითქოს უკვე გამომეყენებინოს იგი ცხოვრებაში. ასე მეგონა, ჩემი ცხოვრებაც ამ ნათქვამის ბრმა მიბაძვა იქნება და მხოლოდ ის შთამაგონებს-მეთქი.

თავი III

მეორე დილით, მზის ირიბმა მწველმა სხივმა, ჩემს საწოლს რომ დაჰფენოდა, უცნაურ, არეულ სიზმრებიდან გამომაფხიზლა. რაკი ჯერ ისევ ბურანში ვიყავი, ვცდილობდი მცხუნვარე მზის აბეზარი ათინათი პირისახიდან ხელით მომეშორებინა, მაგრამ მერე თავი მივანებე. ათი საათი იყო. პიჟამოთი გავედი ტერასაზე. იქ ანა დამხვდა; გაზეთებს ათვალიერებდა. შევამჩნიე, კრემის თხელი ფენა ლამაზად ედო სახეზე. რაკი ყურადღება არ მომაქცია, ერთი ფინჯანი ყავა და ფორთოხალი ავიღე, კიბის საფეხურზე ჩამოვჯექი და დილის ნეტარებას მივეცი თავი: ფორთოხალს ვკბეჩდი, ტკბილი წვენი პირში მეწვე-

თებოდა, მაშინვე ცხელ, შავ ყავას ვაყოლებდი, მერე ისევ ხილის წვენით ვიგრილებდი პირს. მზე თმას მიხურებდა, წოლისგან გაჩენილ ნოჭებს მისწორებდა პირის კანზე. ხუთი წუთის შემდეგ საბანაოდ წავიდოდი. ანას ხმამ შემაკრთო:

— სესილ, რატომ არაფერს ჭამთ?

— დილით ყავა მირჩევნია, რადგან...

— საზოგადოებაში გამოჩენას თუ აპირებთ, სამი კილო მაინც უნდა მოიმატოთ. ყბები ჩაცვენილი გაქვთ, ფერდებზე ნეკნებს დაგითვლის კაცი. წადით, პური და კარაქი მოიტანეთ!

შევეევედრე, კარაქიან პურს ნუ დამაძალებთ-მეთქი. ის-ის იყო უნდა დაემტკიცებინა, რა აუცილებელი იყო ეს ჩემთვის, რომ ამ დროს მამაჩემი გამოჩნდა. საუცხოო წინწკლებიანი ხალათი ეცვა.

— რა შესანიშნავი სანახაობაა! — თქვა მან. — ორი შავგვრემანი გოგო მზეზე ზის და კარაქიან პურზე საუბრობს!

— ვაი რომ აქ მხოლოდ ერთი გოგოა! — სიცილით თქვა ანამ. — მე თქვენი ტოლი ვარ, ჩემო საბრალო რაიმონდ.

მამა დაიხარა და ანას ხელი აიღო.

— რა კვიმატი ენა გაქვთ, — ნაზად უსაყვედურა მან.

შევამჩნიე, ანამ ისე დაახამხამა ქუთუთოები, თითქოს მოულოდნელად აკოცესო.

შემთხვევით ვისარგებლე და გავიქეცი. კიბეზე ელზას შევეფეთე. ეტყობოდა, ეს წუთია ამდგარიყო. თვალები დასიებოდა, მზისგან გაწითლებულ სახეზე ბაგე უფერული უჩანდა. კინაღამ შევაჩერე და ვუთხარი, ანა ქვემოთ ზის. პირის კანი მოვლილი და გაკრიალებული აქვს, მალე მასაც მოეკიდება მზე, მაგრამ სახე კი არ აუფორაჯდება, ზომიერად გაერუჯება-მეთქი. ერთი სიტყვით, მინდოდა გამეფრთხილებინა, მაგრამ გადავიფიქრე, ვაითუ ცუდად გამიგოს-მეთქი. ელზა ოცდაცხრა წლისა იყო. ე. ი. ანაზე ცამეტი წლით უმცროსი, მაშასადამე, უპირატესობაც მეტი ჰქონდა.

საბანაო კოსტუმი ავიღე და ყურეს მივაშურე. როგორ გამიკვირდა, როცა სირილი უკვე იქ დამხვდა თავისი ნავით. დინჯად შემომეგება და ხელი მომკიდა.

— გუშინდელი ჩემი საქციელისათვის ბოდიში უნდა მოვიხადო! — მითხრა.

— მე თვითონა ვარ დამნაშავე, — ვუპასუხე.

არავითარ უხერხულობას არ ვგრძნობდი, ამიტომ უფრო გამაოცა მისმა ზომაზე მეტმა სიდინჯემ.

— ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია... — წამოიწყო ხელახლა და ნავი ზღვაში შეაცურა.

— ნეტავი რა გაქვთ საპატიებელი?! — ლაღად ვუთხარი.

— რას ამბობთ?

მე უკვე ნავში ვიჯექი. სირილი მუხლებამდე იდგა წყალში და ნავის ცხვირს ისე დაყრდნობოდა, იტყოდით, სასამართლოს კათედრაზე დგასო. მივხვდი, ნავში მანამ არ ჩაჯდებოდა, სანამ ბოლომდე არ იტყოდა სათქმელს. მეც დაძაბული ვუსმენდი. მისი სახე უკვე კარგად მქონდა შესწავლილი და

შიგ საკუთარ თავს სარკესავით ვხედავდი. გავიფიქრე, ამ ოცდაცხუთი წლის ყმაწვილს გოგოს შემცდენელად წარმოუდგენია-მეთქი თავი, და სიცილი წამსკდა.

— ნუ იცინით! — მითხრა მან. — გუშინ სასტიკად დავაშავე, ეს თქვენც კარგად იცით. ვერაფრით ვერ გამამართლებთ... მამათქვენი, ის ქალი, მათი მაგალითი... ნამდვილ არამზადასავით მოვიქეცი... ვინ იცის, რა იფიქრეთ...

არ შემეძლო, სასაცილოდ რომ ამეგდო, ვგრძნობდი, მეტად კეთილი ყმაწვილი იყო და შემიყვარებდა კიდეც, თუკი მოვისურვებდი. ხელები ყელზე მოვხვიე, ლოყა ლოყაზე მივადე. ჩემთან შედარებით განიერი ბეჭები და მკვრივი სხეული ჰქონდა.

— რა კარგი ხართ, სირილ! — წავჩურჩულე, — თქვენ ჩემი ძმობილი იქნებით.

ერთი კი ამოიყვირა რაღაცა, მომხვია მკლავები და ნავიდან ფრთხილად ამომიყვანა. ხელში ამიტაცა, მკერდზე მიმიკრა და თავი მხარზე ჩამომადებინა. იმ წუთში მართლა მიყვარდა. დილის შუქზე ჩემსავით ქერა ჩანდა. მფარველად ვიგულე. როცა მისი ტუჩები ჩემსას შეეხო, სიამოვნებისაგან ორივენი ავცახცახდით. ჩვენს კოცნას არც სინდისის ქენჯნა ეტყობოდა, არც სირცხვილი. დროდადრო ჩურჩულით შეწყვეტილი, ერთმანეთისადმი ღრმა ლტოლვა იყო და სხვა არაფერი. ხელიდან დავუსხლტი და ნავისკენ გავცურე, იგი დინებას წაეღო. გონს მოსასვლელად და გასაგრილებლად წყალში ჩავიყურყუმალავე... წყალი მწვანე იყო. ვიგრძენი, ბედნიერი ვიყავი, ბედნიერი და სრულიად უდარდელი.

თორმეტის ნახევარზე სირილი წავიდა. მამა და მისი ქალები ბილიკზე გამოჩნდნენ. იგი შუაში მოდიოდა და ორივეს მისთვის ჩვეული თავაზით აშველებდა ხელს რიგ-რიგად.

ანას დილის ხალათი ეცვა, ჩვენ თვალწინ მშვიდად გაიხადა და იქვე, ნაპირზე გაწვა. წვრილ წელს, ჩამოსხმულ წვივებს ოდნავ მოდუნება თუ ეტყობოდა, თორემ სხვამხრივ დიდებული სანახავი გახლდათ. უეჭველია, წლების განმავლობაში გამუდმებული ზრუნვითა და მოვლით შეინარჩუნა ასე დიდებულად სხეული. მოწონების ნიშნად წარბები ავზიდე და რატომღაც მამაჩემს შევხედე. გამიკვირდა, თვალი რომ ვერ გამისწორა და მაგრად დახუჭა. საცოდავი ელზა სავალალო სანახავი იყო: ტანზე ზეთს ისვამდა. ერთი კვირის ვადას ვაძლევდი მამაჩემს, რომ...

ანამ ჩემკენ მოიხედა:

— ასე ადრე რატომ ადექით, სესილ? მახსოვს, პარიზში შუადღემდე გეძინათ.

— მაშინ სამუშაო მქონდა და ძლივს ვიდექი ფეხზე.

არ გაღიმებია. ხათრით არასოდეს იღიმებოდა სხვებივით, მხოლოდ მაშინ გაიღიმებდა, როცა გულით უნდოდა.

— გამოცდების საქმე როგორა გაქვს?

— ჩავიჭერი. — გატაცებით ვუპასუხე, — სამარცხვინოდ ჩავიჭერი!

— ოქტომბერში ხელახლა უნდა ჩააბაროთ გამოცდა, აუცილებლად!

— რა საჭიროა? — ჩაერია მამა, — დიპლომი არასოდეს მქონია, მაგრამ ხელგაშლილად მაინც ვცხოვრობ.

— სამაგიეროდ ქონება გქონდათ! — მოაგონა ანამ.

— ჩემი შვილი მუდამ იპოვის ისეთ მამაკაცს, კარგად რომ აცხოვროს, — დინჯად უპასუხა მამამ.

ელზას სიცილი წასკდა, მაგრამ, როგორც კი ჩვენი სამი წყვილი თვალი მიაჩერდა, მაშინვე გაისუსა.

— არდადეგების დროს უნდა იმუშაოს,—მტკიცედ განაცხადა ანამ, თვალები დახუჭა და ლაპარაკიც ამით დაამთავრა.

სასოწარკვეთილი მივაჩერდი მამას. პასუხის ნაცვლად უხერხულად გამიღიმა. უცებ წარმოვიდგინე, ბერგსონის წიგნზე დახრილს როგორ მიხტოდა თვალწინ შავი ასოები და... ყურში სირილის სიცილი ჩამესმა. ამის გაფიქრებამ ამაფორიაქა. ანასთან მივცოცდი და ხმადაბლა დავუძახე. თვალები გაახილა. შეშინებული, მუდარით სავსე სახე ახლოს მივუტანე, ლოყები ლრმად შევისრუტე, მინდოდა სწავლით გადაღლილი იერი მქონოდა, და შევევედრე:

— ანა, ასეთ სისასტიკეს ნუ ჩაიდენთ! ამ სიცხეში მუშაობას ნუ მაიძულებთ. რომ იცოდეთ, რამდენი სიკეთის მოტანა შეუძლია ჩემთვის ამ არდადეგებს...

ერთხანს დამაშტერდა, შემდეგ უცნაურად გაიღიმა და თავი გვერდზე მიაბრუნა.

— ამ „სისასტიკეს“ აუცილებლად ჩავიდენ!.. როგორც თქვენ ამბობთ, სწორედ ამ სიცხეში უნდა გამუშაოთ. თქვენი ხასიათი რომ ვიცი, მხოლოდ ორი დღე იბუზღუნებთ და გამოცდებსაც ჩააბარებთ.

— ზოგ რასმე ძალით ვერ გააკეთებინებ თავს! — დინჯად ვუთხარი.

დამცინავად და გამომწვევად შემომხედა. ისევ გავწექი სილაზე შეწუხებული. ელზა გატაცებით ლაპარაკობდა ზღვის სილამაზეზე, მაგრამ მამა ყურს არ უგდებდა: მათი სხეულებისგან შექმნილ სამკუთხედს წვეროში მოქცეოდა და ანას პროფილსა და შიშველ მხრებს თვალს არ აშორებდა. მამაჩემის ამ ჯიქურ, შეუპოვარ შემოხედვას კარგად ვიცნობდი!.. ნელა, ფრთხილად შლიდა და კუმშავდა ხელს სილაზე, შლიდა და კუმშავდა, შლიდა და კუმშავდა. ზღვას მივაშურე, შიგ ჩავხტი... გული მიკვნესდა. რა სასიამოვნოდ ვაპირებდით ზაფხულის გატარებას და როგორ ჩაგვმწარდა! დრამის მოქმედი პირნიც აქვე იყვნენ: მაცდური მამაკაცი, დემიმონდენი [1] და ჭკვიანი მადილოსანი. ზღვის სილრმეში მშვენიერი ნიჟარა შევნიშნე, მოთეთრო ვარდისფერი ქვა; ჩავყვინთე მის ამოსაღებად და საუზმემდე ხელი არ გამიშვია. გადავწყვიტე, ეს თხელი, გაცვეთილი ქვა ბედნიერების მომტანია-მეთქი, და მთელი ზაფხულის განმავლობაში თან მინდოდა მეტარებინა. თვითონ არ ვიცი, როგორ მოხდა, მაგრამ არ დამიკარგავს... მე ხომ ყველაფერს ვკარგავ?!.. ახლაც ხელში მიჭირავს ეს ვარდისფერი, თბილი ქვა და ტირილის სურვილს მიღვიძებს.

თავი IV

მომდევნო დღეებში ანა ისე გულთბილად ექცეოდა ელზას, რომ პირდაპირ გამაოცა. ელზას სულელური ყბედობა ერთხელაც არ შეუწყვეტია გესლიანად და საცოდავი ელზა არ გაუმასხრებია. ანას მოთმინებითა და დიდსულოვნებით აღტაცებული ვიყავი და ვერ წარმომედგინა, მის საქცი-

[1] დემიმონდენი — მსუბუქი ყოფაქცევის ქალი, „მაღალ საზოგადოებას“ რომ ცდილობს მიბაძოს.

ელში რაიმე მზაკვრობა თუ ერია. სხვა დროს მამაჩემს ალბათ მალე მობეზრდებოდა ეს დაძაბული თამაში. ახლა კი, პირიქით, ანას მადლიერი ჩანდა და არ იცოდა, რითი გადაეხადა სამაგიერო. სინამდვილეში, მადლიერების ეს გრძნობა მხოლოდ საბაბი გახლდათ. რასაკვირველია, ანას ისე ელაპარაკებოდა, როგორც მეტად პატივსაცემ ქალს, როგორც მისი ქალიშვილის დედობილს. სწორედ ამას იმიზეზებდა ხოლმე, როცა თხოვდა, თვალყური ედევნებინა ჩემთვის, ჩემი საქციელის ავკარგიანობის პასუხისმგებელი გამხდარიყო, თითქოს ამით სურდა უფრო დაეახლოებინა, უფრო მჭიდროდ დაეკავშირებინა ჩვენს ოჯახთან. მაგრამ თვითონ ისე უყურებდა, ისე ექცეოდა ანას, როგორც უყურებენ და ექცევიან უცნობ ქალს, ვისი გაცნობის დიდი სურვილი აქვთ... თავშესაქცევად. ასეთი შემოხედვა სირილსაც შევამჩნიე რამდენჯერმე და მუდამ გაორებული გრძნობა აღმეძრებოდა: თან მინდოდა გავშორებოდი და თანაც მისი გაღიზიანება მსურდა. ეტყობა, ასეთი შემოხედვა ჩემზე უფრო ახდენდა გავლენას, ვიდრე ანაზე. იგი თავშეკავებული თავაზიანობით, გულგრილად ექცეოდა მამას, და მეც მშვიდად ვიყავი. ბოლოს იმ დასკვნამდე მივედი, ანას ჩამოსვლის პირველ დღეს შევცდი-მეთქი. იმას კი ვეღარ ვამჩნევდი, რომ ეს ორაზროვანი თავაზიანობა მამაჩემს მეტისმეტად აღიზიანებდა, განსაკუთრებით მისი გარინდება... დიახ, ანას მეტად ბუნებრივი, შეუდარებელი გარინდება ჩვეოდა. ელზას განუწყვეტელი ჟღურტული და ანას გარინდება ერთგვარ ანტითეზს ქმნიდა, ვითარცა მზე და ჩრდილი. საბრალო ელზა... ნამდვილად ვერაფერს ამჩნევდა. მზეზე შეტრუსული ეს ქალი ერთთავად აღგზებული, აფუსფუსებული ჩანდა.

მაგრამ აი, ერთ დღეს მამაჩემს თვალებში შეხედა და კიდეც მიუხვდა. საუზმის წინ რაღაცას ჩასჩურჩულებდა ყურში: მამაჩემი ერთხანს დაბნეული, გაოცებული უყურებდა, შემდეგ გაუღიმა და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. დავლიეთ თუ არა ყავა, ელზა წამოდგა და კარისკენ გაემართა. მერე მიბნედილი იერით, ამერიკელი კინომსახიობებისაგან რომ ჰქონდა, მგონი, გადმოღებული, ჩვენკენ შემობრუნდა და ჭეშმარიტი ფრანგული თავაზიანობით იკითხა:

— არ წამოხვალთ, რაიმონდ?

მამა წამოდგა, სახეზე წამოწითლდა. პაპანაქება სიცხეში, შუადღისას, საარგებლოა დასვენებაო, წაილაპარაკა და ელზას გაჰყვა. ანა არ განძრეულა. თითებში სიგარეტი გაერჭო და ბოლქვს ბოლქვზე უშვებდა. შემრცხვა, რომ რაღაც არ მეთქვა.

— ხალხი ამბობს, შუადღის სიცხეში დასვენება სასარგებლოაო, მაგრამ, ვფიქრობ, ეს მცდარი აზრი უნდა იყოს...

სიტყვა გამიწყდა, ჩემი ორაზროვანი ნართაულისა მევე შემრცხვა.

— ჰოდა, თქვენც დაისვენეთ! — მკვახედ მითხრა ანამ.

თვითონ ნართაულით არ უთქვამს, ჩემს უკბილო ხუმრობას მაშინვე მიხვდა. შევხედე. ისეთი წყნარი, დაძაბული სახე ჰქონდა,—შემეცოდა. ვინ იცის, იმ წუთში იქნებ კიდეც შურდა ელზასი. მის დასამშვიდებლად ერთი ცინიკური აზრი მომივიდა თავში და, როგორც ყოველთვის, აღმაფრთოვანა. ამიტომაც ვეღარ მოვითმინე და ეს ჩემი აზრი ხმამაღლა გამოვთქვი:

— დარწმუნებული იყავით, რომ ელზას ეს სულელური გამოგონება, ნაშუადღევს დასვენება, ვერც ერთს და ვერც მეორეს ვერ მოჰგვრის სიამოვნებას.

სჯობდა კი კრინტი არ დამეძრა.

— მძაგს ასეთი მსჯელობა! — თქვა ანამ. — თქვენს ასაკში კი ეს არათუ სისულელე, უფრო მეტი, — სისაძაგლეა!

ერთბაშად ავენთე:

— ვიხუმრე, მაპატიეთ. ისე კი, ეჭვი არ მეპარება, რომ ორივენი ძალიან კმაყოფილნი დარჩებიან.

განაწამები სახე ჩემკენ მოაბრუნა. მაშინვე ბოდიში მოვიხადე. ანამ თვალები დახუჭა და ხმადაბლა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ წაილაპარაკა:

— თქვენ აუბრალოებთ სიყვარულს. ეს ერთმანეთისაგან დამოკიდებული შეგრძნებების შედეგი არ გახლავთ...

გავიფიქრე, ყველა ჩემი სიყვარული სწორედ ასეთი იყო-მეთქი: ვისიმე სახით, მოძრაობით, კოცნით მიღებული უეცარი ემოციები... უთავბოლო სასიამოვნო წამები — აი, მხოლოდ ასეთი მოგონებანილა მრჩებოდა მუდამ.

— ეს სულ სხვა რამაა, — განაგრძობდა ანა, — არსებობს მუდმივი სიყვარული, ნაზი ლტოლვა, ისეთი გრძნობა, თითქოს ვიღაცა გაკლია... ეს ისეთი რამაა, რასაც თქვენ ვერ მიხვდებით.

მრავლისმეტყველად ჩაიქნია ხელი და გაზეთი აიღო. მერჩია, ჩემს სანტიმენტალურ უაზრობაზე გაბრაზებულიყო, გულგრილობა უკუეგდო. ვფიქრობდი, ანა მართალია, წამიერ სურვილებს ავყოლილვარ, პირუტყვივით ვცხოვრობ, საცოდავი და უსუსური ადამიანი ვარ-მეთქი. თავი შემჯავრდა, ეს კი საშინლად მძიმე იყო ჩემთვის, რადგან ასეთ გრძნობას არ ვიყავი შეჩვეული, ჩემს თავზე არც ცუდი, არც კარგი წარმოდგენა არ გამაჩნდა. ოთახში ავედი. ყურებში კი ანას სიტყვები ჩამესმოდა: „ეს სულ სხვა რამაა... ისეთი გრძნობაა, თითქოს ვიღაცა გაკლია...“ მაკლდა კი ვინმე ოდესმე?

უკვე აღარ მახსოვს ის წვრილმანი ამბები, რაც იმ ორი კვირის მანძილზე მოხდა. აკი ვთქვი, წინასწარ რაიმეს დანახვა, რაიმე ავის შემჩნევა არ მსურდა. აღდადეგების ბოლო დღეები, რა თქმა უნდა, ძალიან ზუსტად მახსოვს, რადგან მთელი ჩემი გულისყური მისკენ მქონდა მიპყრობილი. მაგრამ ეს იყო სამი კვირა, საერთო ჯამში სამი ბედნიერი კვირა... რომელ დღეს დააშტერდა მამაჩემი ანას ბაგეს? იმ დღეს ხომ არა, როცა ნაძალადევი ღიმილით ხმამაღლა უსაყვედურა გულგრილობა? იქნებ იმ დღეს, როცა ანას შორსმჭვრეტელობა ელზას სისულელეს შეადარა, თანაც ღიმილი ერთი წუთითაც არ შეპარვია სახეზე? მაშინ მე იმიტომ ვიყავ მშვიდად, რომ ასე მეგონა, თხუთმეტი წელია ერთმანეთს იცნობენ და თუ ერთმანეთის შეყვარება უნდოდათ, უფრო ადრე მოახერხებდნენ-მეთქი. მაგრამ თუკი ეს ამბავი მაინც უნდა მოხდეს, მამას მხოლოდ სამი თვე ეყვარება ანა, ხოლო ანას რამდენიმე სასიყვარულო მოგონება და ცოტაოდენი დამცირების გრძნობალა შერჩება-მეთქი. საკვირველია, ნუთუ არ ვიცოდი, რომ ანა ისეთი ქალი არ იყო, ვისი ასე მიტოვება შეუძლებელია?! მაგრამ მაშინ სირილის გარდა არაფერზე შემეძლო ფიქრი. საღამოობით ხშირად დავდიოდით სენ-ტროპეზის რესტორანში, კლარნეტის ხმაზე ვცეკვავდით, სამიჯნურო სიტყვებს ვეჩურჩულებოდით ერთმანეთს, რაც იმ საღამოს ტკბილად მესმოდა ყურში, მაგრამ მეორე დღეს უკვე მავიწყდებოდა. დღისით აფრიანი ნავით ზღვის ნაპირს მივყვებოდით, ხანდახან მამაც მოდიოდა ხოლმე ჩვენთან. იგი პატივისცემით ეჭცეოდა სირილს, განსა-

კუთრებით იმის შემდეგ, რაც მან კროულის მატჩი განგებ წააგო მამაჩემთან. მამა „ჩემო პატარა სირილს“ ეძახდა, ხოლო სირილი „ბატონოთი“ მიმართავდა. მე კი სულ იმაზე ვფიქრობდი, რომელი მათგანია უფრო ახალგაზრდა-მეთქი.

ერთ ნაშუადღევს სირილის დედას ვესტუმრეთ. ჩაით გაგვიმასპინძლდა. ეს მშვიდი, მომღიმარი მოხუცი იმ სიძნელეებზე გველაპარაკა, რისი გადალახვაც მოუხდა ცხოვრებაში ქვრივისა და დედის პირობაზე! მამამ უთანაგრძნო, ანას მადლიერი თვალებით გადახედა და მრავალი ქათინაური უთხრა მოხუც მანდილოსანს. უნდა გამოვტყდე, მამაჩემს დროის დაკარგვისა არაროდს ეშინოდა. ანა თავაზიანი ღიმილით შეცქეროდა ამ წარმოდგენას. შინ ერთმ ვბრუნდებოდით, ისიც კი თქვა, სასიამოვნო მანდილოსანი ყოფილაო. მე აუგად მოვიხსენიე მოწუწუნე ქალები, მამამ და ანამ ირონიული ღიმილით გადმომხედეს. ავენთე.

— თქვენ ვერც კი წარმოგიდგენიათ, რა კმაყოფილია თავისი თავით! — წამოვიყვირე მოთმინებადაკარგულმა, — კიდეც ამაყობს ამგვარი ცხოვრებით, აქაოდა ვალი მოვიხადეო...

— ეს ასეცაა! — თქვა ანამ, — როგორც იტყვიან, დედისა და მეუღლის ვალი პირნათლად მოუხდია...

— კახპის ვალიც მოიხადა ვითომ? — ვიკითხე მე.

— უხეშობა არ მიყვარს, თუნდაც პარადოქსალური! — თქვა ანამ.

— აქ არაფერია პარადოქსალური! იგი ისევე გათხოვდა, როგორც ყველა თხოვდება, ან იმიტომ, რომ თვითონვე სურდა, ან იმიტომ, რომ ასე ხდება ხოლმე. გაუჩნდა შვილი... ალბათ იცით, როგორ ჩნდება ხოლმე შვილი?

— რა თქმა უნდა, თქვენსავით კარგად არ ვიცი, — დამცინავად მიპასუხა ანამ. — მაგრამ რაღაც წარმოდგენა მეც მაქვს.

— შემდეგ აღზარდა ბავშვი. საყვარელი კი იმიტომ არ გაიჩინა, უსიამოვნებებს და შფოთს თავი აარიდა. ისევე ცხოვრობდა, როგორც მრავალი და მრავალი ქალი ცხოვრობს. და ახლა კიდეც ამაყობს ამით. გესმით თუ არა? ახალგაზრდა ბურჟუა ქალის კვალობაზე იყო მეუღლე და დედა, თითი თითზე არ დაუკარებია იმისთვის, რომ ეს მდგომარეობა შეეცვალა. ახლა კი სწორედ ამით იბღინძება.

— ამას არა აქვს დიდი მნიშვნელობა, — თქვა მამამ.

— სამაგიეროდ, თვალის ახვევის საშუალება გახლავთ! — დავიყვირე მე. — ასეთი ქალები არაფერს აკეთებენ, მაგრამ ბოლოს კი თავს ირწმუნებენ, მოვალეობა პირნათლად მოვიხადეთო. ქუჩის ქალი რომ გამხდარიყო, მაშინ პატივისცემის ღირსიც იქნებოდა.

— თქვენი აზრები ახლა მოდაშია, მაგრამ ფასი კი არა აქვს! — მითხრა ანამ.

იქნებ მართალიც იყო. მე მხოლოდ იმას ვამბობდი, რასაც ვფიქრობდი. მაგრამ ისიც უნდა ვაღიარო, რომ ეს აზრები სხვისგან მქონდა გაგონილი. ეს კია. ჩემი და მამაჩემის ცხოვრება სწორედ ამ თეორიას ემყარებოდა. თუკი ანა მას ამრეზით უყურებდა, ამით ნამდვილად შეურაცხმყოფდა. არარაობასაც ისევე შეიძლება ჩაეჭიდოს ადამიანი, როგორც სხვა რამეს. მაგრამ ანა მოაზროვნე ადამიანად არ მთვლიდა. ჩემი აზრით, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო დაუყოვნებლივ შემეცვლევინებინა ეს შეხედულება. მაგრამ რა ვიცოდი, თუ შემთხვევა ასე ჩქარა მომეცემოდა, ან თუ ამ შემთხვევას გამო-

ვიყენებდი. თუმცა ისიც არ იყო გამორიცხული, რომ ერთი თვის შემდეგ ამ საკითხზე სულ სხვა შეხედულებისა ვყოფილიყავი და ეს ჩემი დარწმუნება დიდხანს არ გაგრძელებულიყო. ჰოდა, როგორღა უნდა ვყოფილიყავი დიდ-სულოვანი?!

თავი V

და აი, ერთ დღეს ყველაფერი დასრულდა. დილით მამაჩემმა გადაწყვიტა კანში წავსულიყავით, მთელი საღამო იქ გაგვეტარებინა. ვიცეკვებდით, გა-ვერთობოდით. მახსოვს, როგორ გაეხარდა ელზას, კაზინოში შინაურულად გრძნობდა თავს, იქაურ ცხოვრებას შეჩვეული კვლავ გამოცოცხლდებოდა, რადგან ჩვენი მყუდრო ცხოვრებისა და მზის გულზე ყოფნის წყალობით ახლა სულ დარეტიანებულივით დადიოდა საცოდავი! ვიფიქრე, ანა წინააღმდეგი იქნება-მეთქი იქ წასვლისა, მაგრამ შევცდი. დათანხმდა და, მგონი, კმაყოფი-ლიც დარჩა. ნასადილევს ჩემს ოთახში ავედი და ერთადერთი საგარეო კაბა ჩავიცვი. ეგზოტიკური, დიახ, მეტისმეტად ეგზოტიკური გახლდათ ჩემი ხნის გოგოსთვის, მაგრამ მამამ ამირჩია; არ ვიცი, ასეთი გემოვნება ჰქონდა თუ მიჩვეული იყო ასეთ მორთულობას, ეს კია, მუდამ ბედნავსიანი ქალივით მაც-მევდა. მამა ქვევით დამხვდა, ახალი სმოკინგი ეცვა და დიდებული სანახავი იყო. კისერზე ჩამოვეკიდე.

— შენზე ლამაზი მამაკაცი არ შემხვედრია!

— სირილის გარდა! — მითხრა მან, თუმცა ნათქვამისა თვითონვე არ სჯე-როდა, — შენზე ლამაზი გოგო კი მართლა არ მინახავს.

— ელზასა და ანას გარდა! — იმავე კილოთი ვუპასუხე.

— რაკი აქ არ ბრძანდებიან და იმდენად გაკადნიერდნენ, რომ გვალო-დინებენ, მოდი, შენს ბებერ, რევმატიზმიან მამას ეცეკვე!

მე კვლავ განვიცადე ის ბედნიერი წუთები, რასაც სახლიდან გასვლისას ვგრძნობდი ხოლმე წინათ. რა თქმა უნდა, მოხუც მამას იგი სულაც არ ჰგავდა. ვცეკვავდი და თან ვგრძნობდი მისი ოდეკალონისა და თამბაქოს სუნს. თვა-ლებდახრილი ტაქტს აყოლებდა ფეხს და, ჩემი არ იყოს, მასაც ბედნიერი ღიმილი უკრთოდა პირის კილოებში.

— ბი-ბოპი უნდა მასწავლო! — მითხრა მან. ეტყობა, რევმატიზმი გადა-ავიწყდა.

ერთბაშად ცეკვა შეწყვიტა და მისდა უნებურად მოწონების ჩურჩული ალმოხდა. ელზა დაინახა. იგი ნელა ჩამოდიოდა კიბეზე, მწვანე კაბა ეცვა და ისე იღიმებოდა, როგორც კაზინოს ხშირი სტუმარი, მაღალი წრის იმედგაცრუე-ბული ქალი. ჩანდა, ბევრი იწვალა, სანამ ზღვის წყლისაგან გახეშეშე-ბულ თმასა და მზეზე შეტრუსულ კანს თავის ჭკუაზე მოიყვანდა. მაგრამ შე-დეგით მაინცადამაინც ვერ დაიკვეხნიდა. კიდევ კარგი, რომ თვითონ ვერაფერს გრძნობდა!

— წავიდეთ?

— ანა ჯერ არ გამოჩენილა! — ვუპასუხე.

— ადი, ნახე, მზადაა თუ არა, — მითხრა მამამ. — წასვლის დროა, ლა-მის თორმეტი საათი იქნება, კანში რომ ჩავალთ.

კიბეს ავყევი. საცეკვაო კაბაში უხერხულად ვგრძნობდი თავს. ანას ოთახის კარს მივუკაკუნე. შემოდითო, დამიძახა. კარის ზღურბლზე შევჩერდი. ნაცრისფერი კაბა ეცვა, უცნაური რუხი ფერისა, თითქმის თეთრი, ელექტრონის შუქზე ისე ლივლივებდა, როგორც გარიჟრაჟზე ლივლივებს ხოლმე ზღვა მზის პირველ სხივებზე. ასე იტყოდით, რაც კი ქვეყანაზე სიმშვენიერეა, ამ ქალისთვის მოუმადლებიათო ამ საღამოს.

— დიდებულია! — წამოვიყვირე, — ო, ანა, რა ლამაზი კაბაა!

ანამ სარკეში გამიღიმა. ასე იმ ადამიანს უღიმიან ხოლმე, ვისაც საცაა მიატოვებენ.

— ეს რუხი ფერი ნამდვილად დიდებულია! — თქვა მან.

— დიდებული თქვენ თვითონა ხართ!—ვუთხარი მე.

ყური ამიწია, თვალებში ჩამხედა. ლურჯი თვალები ჰქონდა. დავინახე, როგორც აციმციმდნენ ისინი და გამიღიმეს.

— ძალიან კარგი გოგო ხართ, თუმცა ზოგჯერ საშინლად დამქანცველი ბრძანდებით.

მერე წინ ჩამიარა და ისე წავიდა, ჩემი კაბისთვის ყურადღება არ მიუქცევია. კიდეც გამიხარდა და გულიც მეტკინა. ანა კიბეს ჩაჰყვა. მამა მისკენ გამოეშურა. კიბის პირველ საფეხურზე შედგა ფეხი, შეჩერდა და მიაშტერდა. ელზაც შეჰყურებდა. ზუსტად მახსოვს ეს სცენა: წინ — ანას ოქროსფერი კეფა, დიდებული მხრები; ცოტა ქვევით — მამაჩემის გაოცებული სახე, წინ გაწვდილი ხელი, ხოლო შორს — ელზა!

— ანა, — უთხრა მამამ, — რომ იცოდეთ, რა არაჩვეულებრივი ხართ!

ანამ გაუღიმა, გვერდით ჩაუარა და მანტო აიღო.

— იქ შევხვდებით, არა? — ჰკითხა მან. — სესილ, ხომ ჩემთან წამოხვალთ?

მანქანის ტარების ნება მომცა. ღამით გზა ისეთი ლამაზი იყო, ნელა მივდიოდით. ანა დუმდა. თითქოს აშვებული რადიოს ხმაც არ ესმოდა. როცა მამაჩემის მანქანამ ჩაგვიქროლა, წარბიც არ შეუხრია. ვიგრძენი, სულ მალე თამაშგარეთ აღმოვჩნდებოდი და აღარაფერში აღარ ჩამრევდნენ.

კაზინოში მამაჩემმა იმდენი მოახერხა, სწრაფად დავკარგეთ ერთმანეთი. მე ელზასა და მის ერთ ნაცნობთან აღმოჩვნდი ბარში. ეს შეზარხოშებული სამხრეთამერიკელი რომელიღაც თეატრს ხელმძღვანელობდა და ისეთი გატაცებული იყო თავისი საქმიანობით, მეც კი დამაინტერესა. მასთან სიამოვნებით დავყავი ერთი საათი. მაგრამ ელზას მოსწყინდა. ტექნიკა არ იტაცებდა. ბოლოს მკითხა, მამა სად არისო. მე საიდან უნდა მცოდნოდა! ელზამ მიგვატოვა. ამან სამხრეთამერიკელი ერთხანს დაანაღვლიანა, მაგრამ ერთი ჭიქა ვისკი გადაჰკრა და ლაპარაკის საღერღელი კვლავ აეშალა. მე არაფერზე არ ვფიქრობდი და, რაკი ზრდილობის გულისთვის მისი ღრეობის მონაწილე გავხდი, საუცხოოდ ვგრძნობდი თავს. ჩვენი დამოკიდებულება კიდევ უფრო საეჭვო გახდა, როცა ცეკვა მოინდომა. ბარბაცებდა. იძულებული ვიყავი ხელი წელზე მომეხვია და ჩემგან ცოტა მოშორებული მყოლოდა, რადგან მეშინოდა, ფეხი არ დაედგა ჩემთვის. ყველაფერი ეს დიდ ძალას მართმევდა. ხმამაღლა ვიცინოდით; ელზამ მხარზე დამკრა ხელი; მივხედე. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, ნამდვილ კასანდრას ჰგავდა. კინაღამ ვუთხარი, თავიდან მომწყდი-მეთქი.

— რა იქნა, ვერსად მიპოვნია! — თქვა მან.

გაუბედურებული იერი ჰქონდა, პუდრი გადასცლოდა, კანი უპრიალებდა, პირისახე დაგრძელებოდა. შეგებრალებოდათ. ერთბაშად საშინლად გავბრაზდი მამაჩემზე. უჩვეულო უზრდელობა გამოიჩინა.

— ჰო, ვიცი, სადაც იქნებიან! — ღიმილით ვუთხარი, თითქოს მინდოდა მენიშნებინა, საგანგაშო არაფერია და გულს ნუ გაიტეხ-მეთქი. — ახლავე დავბრუნდები.

რაკი სამხრეთამერიკელს გამოვეცალე, იგი ელზას ჩაუვარდა მკლავებში და, მგონი, უკეთაც იგრძნო თავი. ნაღვლიანად გავიფიქრე, ელზა ჩემზე გულმოწყალეა, რას იზამ, არ უნდა გავბრაზდე-მეთქი.

კაზინო დიდი იყო: ამაოდ შემოვიარე ორჯერ, არც ერთი ტერასა არ დამიტოვებია, ბოლოს მანქანა მომაგონდა.

მანქანის ძებნაში კარგახანს მომიხდა პარკში ხეტიალი. შიგ ისხდნენ. მანქანას უკნიდან მივეპარე და სარკეში ორივეს დადინჯებული სახე შევამჩნიე. ერთმანეთს მიკვროდნენ და უცნაურად ლამაზნი მოჩანდნენ ფანრის შუქზე. ეტყობოდათ, დაბალ ხმაზე საუბრობდნენ, რადგან ბაგეების მოძრაობას ვხედავდი და ხმა კი არ მესმოდა. მინდოდა უკან გავბრუნებულიყავ, მაგრამ ელზა გამახსენდა და მანქანის კარი გამოვაღე.

მამას ანას მკლავზე ედო ხელი. ძლივს შემომხედეს.

— რა ჩინებულად ერთობით! — წამოვიძახე მე.

— რა მოხდა? — გაანჩხლებით მომმართა მამამ. — აქ რას აკეთებ?

— თქვენ რას აკეთებთ? ელზა მთელი საათია დაგეძებთ.

ანამ ნელა მოაბრუნა ჩემკენ თავი და თითქოს სინანულით წაილაპარაკა:

— ჩვენ შინ ვბრუნდებით. უთხარი, რომ მე დავიღალე და მამათქვენმა სახლში წამიყვანა. როცა დროს ტარება მოგბეზრდეთ, ჩემი მანქანით დაბრუნდით.

ისე ალვშფოთდი, ვკანკალებდი, სიტყვა ველარ მეპოვნა.

— როცა დროს ტარება მოგვბეზრდება, არა? კი მაგრამ, ფიქრობთ, რასაც ჩადიხართ? ეს ხომ საზიზღრობაა!

— რაა საზიზღრობა? — გაკვირვებით მკითხა მამამ.

— ზღვაზე მოგყავს წითური ქალი, მზეს რომ ვერ იტანს, და როცა კანი სძვრება, თავს ანებებ! რა ადვილი საქმეა?! ელზას რა ვუთხრა?

ანამ დაქანცული სახე მიაბრუნა მამაჩემისკენ, მას რომ ულიმოდა, მე კი ყურს არ მიგდებდა. ალშფოთებულს სუნთქვა შემეკრა:

— მე ვეტყვი... მე ვეტყვი, რომ მამაჩემმა სხვა საყვარელი იშოვა, შენ კი თავისუფალი ხარ-მეთქი... ასე ვუთხრა, არა?

მამაჩემმა გაოცებისაგან შეჰყვირა, ხოლო ანამ სილა გამარტყა. მანქანიდან სწრაფად გამოვწიე თავი. ანას დარტყმული მეტკინა.

— ბოდიში მოიხადე! — მიბრძანა მამამ.

გაოგნებული ვიდექი მანქანის კართან და წამოშლილ ფიქრებს ვერ ვიგერიებდი. კეთილშობილური ფიქრი მუდამ გვიან მომდის ხოლმე თავში.

— აქ მოდით! — მითხრა ანამ.

საშიში ალარ ჩანდა და მივუახლოვდი. ხელი ლოყაზე მომითათუნა და ისე ტკბილად, წყნარად გამიბა მასლაათი, თითქოს დებილ ბავშვს ელაპარაკებოდა.

— ნუ ხართ ასეთი ბოროტი! ელზას ამბავი მეც მაწუხებს, მაგრამ თქვენ იმდენად სათუთი ბუნებისა ხართ, ამ საქმეს ჩვენზე უკეთ მოაგვარებთ. ხვალ მოვილაპარაკოთ. ძალიან გატკენეთ?

— როგორ გგონიათ? — ზრდილობიანად ვკითხე.

ამ მოულოდნელმა დაყვავებამ, ხოლო ჩემმა უხეშმა საქციელმა გული ამიჩუყა და ტირილი მომინდა. როცა წავიდნენ, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს სული დამიცარიელდა. ერთადერთ ნუგეშად ჩემი სისათუთის ალიარებალა დამრჩა. ნელი ნაბიჯით დავბრუნდი კაზინოში, სადაც ელზა და მის მკლავზე ჩამოპორწიალებული სამხრეთამერიკელი დამხვდნენ.

— ანა ცუდად გახდა, — უდარდელად ვუთხარი ელზას, — მამა იძულებული იყო შინ წაეყვანა. დავლიოთ რამე?

ელზამ უსიტყვოდ შემომხედა. შევეცადე უფრო დამარწმუნებელი საბუთი წარმედგინა:

— გული აერია... საშინელება იყო! კაბა სულ დაესვარა.

ჩემი აზრით, ამ წვრილმანს წყალი არ გაუვიდოდა, მაგრამ ელზას ტირილი აუტყდა, ჩუმად, ნაღვლიანად სლუკუნებდა. დაბნეული შევყურებდი.

— სესილ, — მითხრა ბოლოს, — ო, სესილ, რა ბედნიერები ვიყავით...

ქვითინს მოუმატა. სამხრეთამერიკელიც ატირდა და ისიც იმეორებდა: „ოჰ, რა ბედნიერები ვიყავით... რა ბედნიერები!..“

იმ წუთში ანა და მამაჩემი მძაგდნენ. რას არ ჩავიდენდი, ოღონდ საბრალო ელზას არ ეტირა, თვალებთან წასმული საღებავი არ გაგლესოდა სახეზე, ამ ამერიკელს არ ესლუკუნა!

— ჯერ კიდევ ეშველება საქმეს, ელზა. წამოდით, დავბრუნდეთ!

— მე მხოლოდ ჩემოდნების წამოსაღებად დავბრუნდები! — აქვითინდა იგი. — მშვიდობით, სესილ, ჩვენ ისე კარგად შევეწყვეთ ერთმანეთს!..

ელზასთან ამინდზე და მოდაზე თუ მისაუბრია მხოლოდ, მაგრამ ასე მეგონა, ძველ მეგობარს ვკარგავდი. ერთბაშად მოვტრიალდი და მანქანისკენ გავიქეცი.

თავი VI

მეორე დილით საშინელ გუნებაზე გამომეღვიძა, წინაღამით შესმული ვისკის ბრალი თუ იყო. ბნელოდა; პირი მიშრეებოდა, ხელ-ფეხი გაოფლიანებული მქონდა, ლოგინი სულ აფუთკნული. დარაბების ჭრილიდან მზის სხივი ატანდა, შიგ მტვრის სვეტები რიალებდა. არც ლოგინიდან ადგომა მინდოდა, არც წოლა. სულ იმაზე ვფიქრობდი, ელზა რომ დაბრუნდეს, ანა და მამაჩემი რა პირით შეხვდებიან-მეთქი. ბოლოს, როგორც იქნა, წამოვდექი და გაბრუებულმა, გულდამძიმებულმა იატაკის გრილ ფილებზე დავდგი ფეხი. სარკის წინ ჯიუტად გავჩერდი. სავალალო სანახავი ვიყავი: გაფართოებული თვალები... დასიებული ტუჩები... უცნაური სახე... ნუთუ ამ ბაგის, სახის ამ წყობის, ამ საძაგელი ნიშნების წყალობით უნდა მქონდეს უსუსური და ლაჩარი ადამიანის სახელი? და თუ შეზღუდული ადამიანი ვარ, ასე აშკარად რატომღა ვგრძნობ ისეთ რაღაცას, რაც ჩემს ბუნებას სრულიად ეწინააღმდეგება? ერთხანს საკუთარი თავის სიძულვილით გავერთე. დიახ, დაღარული სახე, მგლის ეს სახე საშინლად მძულდა! სიტყვა „ლოთიფოთს“ ყრუდ ვიმეორებდი, ჩემს

ორეულს თვალებში ჩავშტერებოდი; ერთბაშად გამეცინა. მართლაც და რის ლოთიფოთი, რა ლოთიფოთი! რაღაც ორიოდე ჭიქა ვისკი, სილის გარტყმა და ქვითინილა მერგო წილად! ეს იყო და ეს! სასწრაფოდ კბილები გავიხეხე და ძირს ჩავედი.

მამა და ანა უკვე გვერდიგვერდ ისხდნენ ბანზე, წინ საუზმით სავსე სინი ედგათ. დილა მშვიდობისა-მეთქი, წავიბუტბუტე და მათ პირდაპირ დავჯექი. სახეში შეხედვა ვერც ერთს ვერ გავუბედე. მრცხვენოდა. ანას სახის ნაკვთები დაგრძელებოდა, ალერსში გატარებულ ღამეს მხოლოდ ეს ნიშანილა დატოვებია. ორივეს ბედნიერი ღიმილი ეფინა. ამან ჩემზე იმოქმედა: ბედნიერება მუდამ გამარჯვების ნიშნად მიმაჩნდა.

— კარგად გეძინა? — მკითხა მამამ.

— არა უშავს რა! — ვუპასუხე. — წუხელ ბევრი ვისკი დავლიე. — ყავა დავისხი, მოვსვი, მაშინვე დავდგი ფინჯანი. მათი დუმილი რაღაც ისეთი მოლოდინით იყო სავსე, უხერხულობაში მაგდებდა. მე კი ისე ვიყავი მოთენთილი, ამ გრძნობას დიდხანს ვერ გავუძლებდი.

— რა მოხდა? ეგეთი იდუმალი სახე რატომ გაქვთ?

მამამ თავს ძალა დაატანა, უნდოდა სიგარა მშვიდად აენთო. ანამ შემომხედა, ამჯერად აშკარად დაეტყო შეცბუნება.

— ერთი რამ მინდა გთხოვოთ, — მითხრა ბოლოს.

უარესს ველოდი.

— კვლავ მაბარებთ რამეს ელზასთან?

ანამ მამასკენ მიაბრუნა სახე:

— მე და მამათქვენმა გადავწყვიტეთ დავქორწინდეთ! — თქვა მან.

ჯერ ანას მივაშტერდი, მერე მამას. მისგან რაიმე ნიშანს, თვალის ჩაკვრას ველოდი, რაც ალბათ კიდეც ალმაშფოთებდა, კიდეც დამაშშვიდებდა. იგი თავის თითებს დაჰყურებდა. შეუძლებელია-მეთქი, გავიფიქრე, თუმცა ვიცოდი, რაც მითხრეს, მართალი იყო.

— ძალიან კარგი აზრია! — ვთქვი ბოლოს, დროის მოსაგებად.

ვერაფერი გამეგო: მამაჩემი ხომ მუდამ წინააღმდეგი იყო ბორკილებისა, ერთ ღამეში გადაწყვეტილი ქორწინებისა!?. ეს ამბავი ჩვენს ცხოვრებას ცვლიდა. დამოუკიდებლობას ვკარგავდით. უცებ წარმოვიდგინე, როგორ ვიცხოვრებდით სამივე, წარმოვიდგინე ანას დახვეწილი გემოვნებით, გონივრულად აწყობილი ცხოვრება, სწორედ ისეთი, წინათ რომ შევნატროდი! ჭკვიანი, ზრდილობიანი მეგობრები, სასიამოვნო, მშვიდი საღამოები... უეცრად შემზიზღდა ჩვენი სადილები, ხმაური, ღრიანცელი, სამხრეთამერიკელები, ყოველგვარი ელზები... რაღაც უპირატესობის სიამაყის გრძნობა მეუფლებოდა უკვე.

— ძალიან, ძალიან კარგი აზრი მოგსვლიათ! — გავიმეორე და ორივეს გავულიმე.

— ფისო, ვიცოდი, რომ კმაყოფილი დარჩებოდი! — მითხრა მამამ.

დამშვიდებული, აღტაცებული ჩანდა. ანას კი ალერსისაგან დაქანცული ნაკვთები თითქოს ხელახლა დარბილებოდა და ისე დანაზებოდა, როგორც არასდროს.

— აქ მოდი, ფისო! — მითხრა მამამ.

ორივე ხელი გამომიწოდა, თავისკენ, ანასკენ მიმიზიდა. მე თითქმის ჩაჩოქილი ვიდექი მათ წინ, აღელვებული შემყურებდნენ, ნაზად მისვამდნენ თავზე ხელს. მე კი ვფიქრობდი, მართალია ამ წუთიდან ჩემი ცხოვრება ალბათ სავსებით შეიცვლება, სამაგიეროდ მათთვის მხოლოდ ფისო, პატარა, მოსიყვარულე ცხოველი ვიქნები-მეთქი. ვგრძნობდი, რაღაც წარსული, მომავალი, ერთი სიტყვით, ისეთი რამ აკავშირებდა ამ ორ ადამიანს, რაც ჩემთვის უცნობი იყო. მათ ადგილზე ალბათ ვერც მე შევიკავებდი თავს.

უნებურად თვალი დავხუჭე, თავი მუხლებზე დავადე ორივეს, მეც გავიცინე და ხელახლა ჩავდექი კალაპოტში. ბოლოს და ბოლოს განა ბედნიერი არ ვიყავი? ანა კარგი ქალი იყო, არასოდეს წვრილმანობა არ შემიმჩნევია მისთვის, ჩემი მეგზური, მრჩეველი იქნებოდა, ცხოვრებაში გზას გამიკაფავდა. მისი წყალობით სრულფასოვანი ადამიანი გავხდებოდი და ჩემთან ერთად მამაც გარდაიქმნებოდა!

მამა წამოდგა, შამპანურს მოვიტანო. უსიამოდ გამკრა გულში. იგი ბედნიერი იყო. რასაკვირველია, მთავარია, ის ყოფილიყო ბედნიერი, მაგრამ მისი სახე იმდენჯერ მინახავს სხივმოფენილი ამა თუ იმ ქალის გამო, რომ...

— ცოტა არ იყოს, თქვენი მეშინოდა! — მითხრა ანამ.

— რატომ? — ვიკითხე.

ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ჩემს უარს შეეძლო ხელი შეეშალა ამ ორი მოწიფული ადამიანის ქორწინებისათვის.

— ვღელავდი, ვაითუ ჩემი შეეშინდეს-მეთქი! — მითხრა და სიცილი აუტყდა.

მეც გამეცინა, რადგან ცოტათი მართლაც მეშინოდა მისი. ანამ კი მაგრძნობინა, რომ ამას ხვდებოდა, და მანიშნა კიდეც, შენი შიში უსაფუძვლოაო.

— ხომ სასაცილოა ბებრების დაქორწინება?

— თქვენ სულაც არა ხართ ბებრები! — რაც შეიძლება დარწმუნებით ვუთხარი, რადგან სწორედ ამ დროს მამაჩემი შემოვიდა ვალსის ცეკვით ოთახში, ილლიაში კი შამპანურის ბოთლი ამოეჩარა.

ანას გვერდით დაჯდა და მხარზე მოხვია ხელი. ანა უნებურად მთელი სხეულით გადაიწია მისკენ. თვალები დავხარე. თქმა არ უნდა, ამ კაცს იგი ცოლად მიჰყვებოდა იმიტომ, რომ მამას სიცილი უყვარდა, ჰქონდა ძლიერი მკლავები, სიცოცხლის ჭარბი უნარი და მჩქეფარე სისხლი. ანას არც თავისი ასაკი — ორმოცი წელი ავიწყდებოდა, ამას ემატებოდა ალბათ მარტოობის შიში, გრძნობების უკანასკნელი მოძალება... ანაზე არასოდეს არ მიფიქრია, როგორც ქალზე. ის იყო მუდამ სიმტკიცის, თავდაჯერების, მოხდენილობის, ჭკუის განსახიერება და არა ქალური მგრძნობიარების, სისუსტისა... მივხვდი, მამა ამაყობდა: მას ცოლად მიყვებოდა ქედმაღალი, გულგრილი ანა ლარსენი! უყვარდა კი იგი? ანდა ეყვარებოდა კი დიდხანს? არ ვიცი, შეიძლება კი განმესხვავებინა ეს გრძნობა იმისგან, რაც მას ელზას მიმართ ჰქონდა?! თვალები დავხუჭე. მზემ გამაოგნა. სამივენი უცნაური გარინდებით, ფარული შიშითა და ბედნიერებით შეპყრობილნი ვისხედით ბანზე.

იმ დღეებში ელზა არ გამოჩენილა. ერთმა კვირამ სწრაფად გაირბინა. ეს გახლდათ ერთადერთი ბედნიერი, სასიამოვნო შვიდი დღე. ვადგენდით ათასნაირ გეგმებს: როგორ მოგვეწყო ბინა, როგორი უნდა ყოფილიყო ყოველდღიური განრიგი... მე და მამას მოგვწონდა ასეთი გეგმები, გვინდოდა ყოფილიყო იგი რაც შეიძლება ძნელი, დახლართული... ასეა მუდამ, როცა ხალხს არ

ესმის, როცა მათთვის უცნობია ახალი რამ!.. მაგრამ საკითხავი ისაა, გვჯეროდა კი ამ გეგმების? ნუთუ მამას შესაძლებლად მიაჩნდა ერთსა და იმავე დროს, დღის პირველის ნახევარზე სასაუზმოდ მოსულიყო ერთსა და იმავე ადგილას, ესადილა, მერე მთელი საღამო შინ დარჩენილიყო?! მიუხედავად ამისა, ჯერჯეროობით ადვილად დათმო ბოჰემური ცხოვრება, ბურჟუის წესიერ, წყნარ ყოფას ადიდებდა. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს მისთვისაც და ჩემთვისაც ფანტაზიის ნაყოფი იყო და სხვა არაფერი!

იმ ერთ კვირას დღესაც სიამოვნებით ვიხსენებ. მინდა კვლავ განვიცადო ის დღეები. ანა მორჩილი, მინდობილი, ნაზი იყო, მამას უყვარდა. დილით მკლავგაყრილნი ჩამოდიოდნენ ტერასაზე, სახეგაბადრულნი, თვალებამოლამებულნი. გეფიცებით, გულით მინდოდა დიდხანს, ძალიან დიდხანს გაგრძელებულიყო ასეთი დამოკიდებულება. შებინდებისას ზღვის ნაპირას ჩავდიოდით ხშირად ან აპერატივს შევექცეოდით ტერასაზე. ყველგან ისე გვექცეოდნენ, ვით ერთსულოვან, ყოვლად წესიერ ოჯახს. და მეც, მამასთან მარტო სიარულსა და ხალხის ღიმილს, ეშმაკურ ან სიბრალულით სავსე შემოხედვას დაჩვეულს, ახლა მიხაროდა, ჩემი ხნის გოგოს შესაფერი როლი რომ დამიბრუნდა. პარიზში უნდა დაქორწინებულიყვნენ. სექტემბრის დამდეგს.

ჩვენს ოჯახში მომხდარმა ცვლილებებმა საწყალი სირილი, ეტყობა, ისე გააოგნა, დიდხანს ვერ მოსულიყო გონს. მაგრამ ეს კანონიერი დასასრული მასაც ახარებდა. ერთად დავდიოდით ნავით, ვკოცნიდით ერთმანეთს, როცა გვინდოდა. ზოგჯერ მისი ბაგე ჩემსას რომ შეეხებოდა, თვალწინ წარმომიდგებოდა ანა, მისი მოთეთრო სახე დილდილობით, ალერსისგან მოქანცული, ზანტი მოძრაობა და მშურდა მისი. ხვევნა-კოცნასაც ბოლო აქვს და სირილს რომ ძალიან არ ვყვარებოდი, იმ კვირაში ალბათ მისი საყვარელი გავხდებოდი.

ექვს საათზე კუნძულებიდან ვბრუნდებოდით, სირილს ნავი სილაზე ამოჰქონდა და შინ ფიჭვნარით მივდიოდით. გასათბობად ინდურ თამაშს ვიწყებდით, ჰანდიკაპური სირბილი რომ ჰქვია. შინ მისვლამდე სირილი უეჭველად დამეწეოდა, გამარჯვების ყიჟინას დასცემდა, მომვარდებოდა, ფიჭვის გირჩებზე დამაგდებდა, მკლავებს გადამიგრეხდა და მკოცნიდა. ახლაც კი მახსოვს იმ კოცნის გემო, სუნთქვას რომ გიკრავს ხოლმე და მეხსიერებიდან წარუშლელია. მახსოვს სირილის გულისცემა ჩემს გულისცემას რომ უერთდებოდა სილაზე მომწყდარ ტალღების შხუილთან ერთად... გულის ერთი, ორი, სამი, ოთხი აძგერება — სილაზეც ერთი, ორი, სამი ტალღის ნაზი გასრიალება... იგი სულს მოითქვამდა, ტუჩებზე დამეკონებოდა, და მაშინ მე ზღვის ხმაური კი აღარ მესმოდა, არამედ საკუთარი სისხლის სწრაფი და შეუწყვეტელი შხუილი ყურებში.

ერთ საღამოს ანას ხმამ ერთბაშად გაგვთიშა. სირილი ჩემ გვერდით გაშოტილიყო; ნახევრად ტიტვლები ვიწექით ჩამავალი მზის მოწითალო სხივებისა და ჩრდილების ფონზე, რა თქმა უნდა, ამას ადვილად შეეძლო შეცდომაში შეეყვანა ანა. მან მკაცრი ხმით დამიძახა.

სირილი ანაზდად წამოხტა, რასაკვირველია, შერცხვა. მეც ავდექი, ოღონდ ზანტად, თან თვალს არ ვაშორებდი ანას. იგი სირილს მიუბრუნდა, მაგრამ ისე კი მიმართა, თითქოს ვერ ხედავსო:

— იმედი მაქვს, ამის შემდეგ აღარ გნახავთ!

სირილმა არაფერი უპასუხა, დაიხარა, მხარზე მაკოცა და წავიდა. მისმა საქციელმა გამაოცა, ამალელვა, თითქოს ამით რალაც პირობას მიდებდა. ანა ასეთი დინჯი, უშფოთველი თვალებით მიყურებდა, იტყოდით, სხვა რამეზე ფიქრობსო. ამან უფრო გამალიზიანა: თუ სხვა რამეზე ფიქრობდა, მაშინ ასეთი რამ რატომ თქვა! მისკენ გავემართე და ზრდილობის გულისთვის შეწუხებულობ სახე მივიღე. ანამ თითქოს მხოლოდ ახლა დამინახაო, ანგარიშმიუცემლად ფიჭვის წიწვი მომაშორა კისრიდან; შევამჩნიე, ამრეზილი, დალლილი, გამკილავ ერი მიილო ერთბაშად, რაც ასე ძალიან უხდებოდა, ხოლო მე შიშსა მგვრიდა.

— უნდა იცოდეთ, მსგავსი თავშექცევა მუდამ კლინიკებში მთავრდებ-ბა! — მითხრა მან.

ანა ფეხზე იდგა და თვალმიშტერებით მელაპარაკებოდა. საშინლად მეწყინა. იგი ქალთა იმ ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელთაც შეუძლიათ გაუნძრევლად იდგნენ ფეხზე და ისე გესაუბრონ; მე კი სავარძელში უნდა ვიჯდე ან რაიმე ავეჯს ვეყრდნობოდე, ხელში სიგარეტი მეჭიროს, ფეხს ვაქნევდე და თან მის მოძრაობას თვალს ვადევნებდე...

— გადაჭარბება რა საჭიროა! — ღიმილით ვუთხარი, — მე მხოლოდ ვაკოცე სირილს, ამან კი, არა მგონია, კლინიკის კარამდე მიმიყვანოს...

— გთხოვთ, დღეიდან ამ ყმაწვილს აღარ შეხვდეთ! — ისე მითხრა, თითქოს ტყუილი მეთქვას. — ნუ ჯიუტობთ: თქვენ ჩვიდმეტი წლისა ხართ. ამიერიდან ერთგვარად მე ვაგებ პასუხს თქვენს საქციელზე და არ დაგანებებთ, რომ სულელურად გაიფუჭოთ მთელი ცხოვრება. ამას გარდა, უნდა იმუშაოთ, ამიერიდან უსაქმოდ აღარ იქნებით ნაშუადღევს.

ზურგი შემაქცია და ზანტი ნაბიჯით გაემართა შინისკენ. თავზარდაცემული გავშეშდი ადგილზე. ეს ქალი მხოლოდ იმას ამბობდა, რასაც ფიქრობდა: ჩემს საბუთებს, ჩემს უარს ზიზღზე უარესად, გულგრილად ეკიდებოდა, თითქოს არც კი ვარსებობდი, თითქოს მე ის სესილი კი არ ვიყავი, ვისაც დიდი ხანია იცნობდა და ვისი დასჯის უფლებაც ჰქონდა, არამედ ისეთი ნივთი, რისი გადაკეთებაც შეიძლებოდა. ერთადერთ იმედად მამალა მრჩებოდა. მისი რეაქცია ჩვეულებრივი იქნებოდა: „ვინ არის ის ყმაწვილი, ფისო? ლამაზი და ჯანსაღი მაინც თუა? მატრაბაზებს მოერიდე, ჩემო გოგო!“ დიახ, სწორედ მისი იმედი მქონდა, არადა მთელი არდადეგები ჩამშხამდებოდა.

სადილობამ კოშმარივით ჩაიარა. ანას ერთხელაც არ უგრძნობინებია ჩემთვის: „მამათქვენს არაფერს ვეტყვი. ენატანია არა ვარ, ოღონდ უნდა დამპირდეთ, რომ კარგად იმუშავებთ!“ მსგავსი ანგარიში უცხო გახლდათ მისთვის. ეს ამბავი კიდეც მაცხარებდა და კიდეც მაბრაზებდა, რადგან ასეთი დამოკიდებულების გამო შემეძლო მისი შეძულება. ამ არასწორი ნაბიჯისგან ანამ თავი შეიკავა. ჩანს, სხვა საშუალებებსაც აარიდა თავი და თითქოს მხოლოდ მაშინ მოიგონა დღევანდელი ამბავი, როცა წვნიანს მოვრჩით.

— რაიმონდ, კარგი იქნებოდა გონივრული რჩევა მიგეცა თქვენი ქალიშვილისათვის. ამ საღამოს ფიჭვნარში ვნახე სირილთან. ეტყობოდათ თავს შესანიშნავად გრძნობდნენ.

საწყალი მამაჩემი შეეცადა ხუმრობაში გაეტარებინა ანას ნათქვამი:

— რას მეუბნებით?! მაინც რას აკეთებდნენ?

— ვკოცნიდი! — წამოვიყვირე გაცეცხლებულმა, — ანას კი ეგონა...

— არაფერიც არ მეგონა! — შემაწყვეტინა ანამ, — მაგრამ ვფიქრობ,

კარგი იქნება, თუ ერთხანს შეწყვეტს მასთან სიარულს და ფილოსოფიაში წაიმუშავებს.

— საბრალო გოგო! — თქვა მამამ... — ყოველ შემთხვევაში, სირილი საინტერესო ყმაწვილია, არა?

— სესილიც საინტერესოა გოგოა, — თქვა ანამ. — სწორედ ამიტომ მეტკინება გული, რაიმე ხიფათს რომ გადაეკიდოს. ხოლო ამ საშიშროებას თავიდან ვერ აიცდენს, თუკი სრულ თავისუფლებას მისცემთ, თუკი ეს ყმაწვილი წამითაც არ მოშორდება და თუ ასე უსაქმურად იქნებიან. თქვენც ხომ ასე ფიქრობთ?

ამის გაგონებაზე — თქვენც ხომ ასე ფიქრობთო, მამას შევხედე. მან მოიწყინა და თავი დახარა.

— ალბათ მართალი ხართ! — თქვა ბოლოს. — დიახ, უნდა იმუშაო, სესილ. ნუთუ არ გინდა ხელახლა ჩაუჯდე ფილოსოფიას?

— რაში მჭირდება? — მოკლედ მოვუჭერი.

მამამ შემომხედა და მაშინვე ამარიდა თვალი. დავიბენი. მუდამ მეგონა, რომ უზრუნველობა ერთადერთი გრძნობა იყო, ჩვენს ცხოვრებას რომ სულს უდგამდა და არავითარი საბუთი არ სჭირდებოდა გასამართლებლად.

— ყური მიგდეთ, — მითხრა ანამ, მაგიდიდან წამოიწია და ხელი მომკიდა, — ნუთუ ძნელია, ტყის გოგონა ბეჯითი მოწაფით შეიცვალოს, ისიც მხოლოდ ერთი თვით? განა ეს დიდი ამბავია?

იგი თვალს არ მაშორებდა, ღიმილით მიყურებდა: ასე კამათი ადვილი იყო. ნელა გავწიე ხელი და მივუგე:

— დიახ, დიდი ამბავია!

ეს ისე ხმადაბლა ვთქვი, ვერც კი გაიგონეს ან არ მოისურვეს გაეგონათ. მეორე დილით ბერგსონის პირისპირ აღმოვჩნდი. სანამ მისი ფრაზის მნიშვნელობას ჩავწვდებოდი, რამდენიმე წუთი დამჭირდა: „როგორი ნაირსახეობაც არ უნდა ვიპოვოთ ფაქტებსა და მიზეზებს შორის, ქცევის წესიდან როგორი სიშორეც არ უნდა იგრძნობოდეს საგანთა არსის მტკიცებამდე, კაცობრიობის სიყვარულის ძალის ამოწურვა მხოლოდ ადამიანურ მოდგმათა პირველად პრინციპთან შეთანხმებით შეიგრძნობა“. რომ არ გავლიზიანებულიყავი, ჯერ ნელა, ხმადაბლა ვიმეორებდი ამ ფრაზას, შემდეგ ხმამაღლა, თავი ხელებში ჩავრგე და ყურადღებით ჩავუკვირდი. ბოლოს, როგორც იქნა, მივხვდი და ისეთივე სიცივე, ისეთივე უსუსურობა ვიგრძენი, როგორც ამ ფრაზის პირველად წაკითხვისას. კითხვას ველარ დავუდე გული. მომდევნო სტრიქონებს დიდი მონდომებითა და ინტერესით დავყურებდი, მაგრამ ერთბაშად რალაცამ ამაფორიაქა, გრიგალივით ამიტაცა და საწოლზე დამაგდო. სირილზე ვფიქრობდი... იგი ოქროსფერ ყურესთან მელოდა, ვფიქრობდი ტალღებზე მოქანავე ნავზე, ვფიქრობდი ჩვენს ხვევნა-კოცნაზე, ვფიქრობდი ანაზე. როგორც კი ანა გამახსენდა, ისეთი აზრები დამიტრიალდა თავში, გული ამიძგერდა და ლოგინზე წამოვჯექი. ჩემს თავს ვარწმუნებდი, ეს სისულელეა, საშინელებაა, ყველაფერი იმის ბრალია, რომ მე განებივრებული, ზარმაცი ბავშვი ვარ და უფლება არა მაქვს ასე ვიფიქრო-მეთქი. მიუხედავად ამისა, ჩემდა უნებურად მაინც ვმსჯელობდი: იგი მავნე და საშიში პიროვნებაა, გზიდან უნდა ჩამოვიშორო-მეთქი. გამახსენდა, როგორი პირმოკუმული ვიჯექი ამ დილით სა-

უზმეზე, ღვარძლისაგან გაბოროტებული, მოშლილი ვიყავი... ამ გრძნობამ თავი შემაზიზღა, სასაცილო გამხადა ჩემსავე თვალში. ამას კი სწორედ არ ვაპატიებდი ანას, — ჩემს თავს მაძულებდა. მე ხომ ბედნიერებისათვის, ლაღი, უზრუნველი ცხოვრებისათვის ვიყავი გაჩენილი, ახლა კი მისი წყალობით საყვედურებისა და სინდისის ქენჯნის სამყაროს უნდა ვზიარებოდი და კიდეც დავიღუპავდი თავს, რადგან ჩემს გრძნობებზე დაკვირვებას არ ვიყავი ჩვეული. ამის სამაგიეროდ რას მთავაზობდა? ერთბაშად მისი შესაძლებლობის ანალიზს შევუდექი: მოსურვა მამაჩემი — კიდეც მიიღო! ნელ-ნელა ანა ლარსენის ქმრად და გერად გვაქცია, ე. ი. ცივილიზებულ, კარგად აღზრდილ და სვებედიან ქმნილებებად. იგი ხომ ჩვენ გვაბედნიერებდა! კარგად ვგრძნობდი, რომ ჩვენ, მერყევი ბუნების მამა-შვილი ადვილად წამოვეგებოდით მის ანკესზე. დიახ, იგი მეტისმეტად ძლიერი მოქმედი ძალა გახლდათ. მამა უკვე მეთიშებოდა; როგორი დარცხვენილი იყო ამ დილით სუფრაზე! როგორ მარიდებდა თვალს! ვიგონებდი ადრინდელ ჩვენს შეთქმულებებს, სიცილ-ხარხარს მანქანაში, როცა ალიონზე პარიზის მტრედისფერი ქუჩებით შინ ვბრუნდებოდით, და ცრემლები ყელში მებჯინებოდა. მორჩა! ბოლო მოეღო ყოველივეს! ანა მალე მეც ჩამიგდებს ხელში, მომარჯულებს, ამიყოლიებს. თქვენ წარმოიდგინეთ, აღარც კი ვიტანჯებოდი: გონივრულად, შეპარვით მოქმედებდა, მე კი წინააღმდეგობის გასაწევად ძალა არ შემწევდა, ხოლო ექვსი თვის შემდეგ ალბათ ამის სურვილიც აღარ მექნებოდა!

მაგრამ არა, თავი უნდა დავალწიო ამ მდგომარეობას, ხელახლა მოვიგო მამაჩემის გული, წინანდებურად უნდა ვიცხოვროთ! ანაზდად ჩემთვის საოცარი მომხიბვლელობა მიეცა გასულ ორ წელს, მხიარულსა და უზრუნველ ორ წელს, რაიც ეს-ეს არის ხელიდან გამიქრა და რაზედაც იმ დღეს ასე ერთბაშად ვთქვი უარი! გაქრა თავისუფლება, ველარ ვიფიქრებდი ჩემებურად, ველარ ვიცხოვრებდი ჩემს ჭკუაზე. ჩემი თავი მე, აღარ მეკუთვნებოდა, ვერ ვიტყვი: ჩემი საკუთარი მეც-მეთქი, რადგან მე საძერწავი თიხა ვიყავი მხოლოდ, ვერც ერთ ყალიბს რომ ვერ იგუებდა.

ვიცი, რომ შეიძლება ამ ცვლილებას რთული ახსნა მოუძებნონ, რომ შეიძლება შესანიშნავი კომპლექსებიც კი შემომთავაზონ: არაჯანსაღი სიყვარული მამაჩემისადმი, არაჯანსაღი გრძნობა ანასადმი, მაგრამ მე ხომ ვიცი ნამდვილი მიზეზი: მზე, ბერგსონი, სირილი ან, უკეთ, სირილის არყოფნა. მთელი დღე მასზე ვფიქრობდი, მასზე ფიქრს კი თან სდევდა უსიამოვნო მლელვარება, ერთი და იმავე აღმოჩენიდან რომ მომდინარეობდა: ყველანი ანას მონები გავხდით და, რადგან აქამდე დაფიქრებას არ ვიყავ შეჩვეული, გული მომდიოდა, სადილზეც არ ამომიღია ხმა.

მამამ გადაწყვიტა ხუმრობაში ჩაეტარებინა ყველაფერი.

— ახალგაზრდებში მე მხოლოდ მათი გიჟმაჟი ხასიათი, უდარდელი საუბარი მხიბლავს...

მკაცრად შევხედე. რაც მართალია, მართალია, ახალგაზრდობა ნამდვილად უყვარდა. და მეც ვისთან მისაუბრია, თუ არა მასთან? რა თემაზე არ გვიმუსაიფნია: სიყვარულზე, სიკვდილზე, მუსიკაზე! ახლა კი თვითონვე მიმატოვა, თვითონვე ამყარა ფარხმალი. კვლავ შევხედე და გავიფიქრე: „წინანდებურად აღარ გიყვარვარ, მილალატე!“ ვცდილობდი უსიტყვოდ მიმეხვედრებინა, თუ რა ნამდვილ ტრაგედიად გვექცა ეს ამბავი. მამამ შემომხედა, ერთბაშად აფორიაქდა, ალბათ მიხვდა, რომ ეს უკვე აღარ იყო თამაში და რომ ჩვენს ურთი-

ერთგაგებას საფრთხე ემუქრებოდა. დავინახე, როგორ გაქვავდა და თვალებით რალაცას მეკითხებოდა.

ანა მომიბრუნდა:

— ცუდად გამოიყურებით. ვნანობ, ამდენი რომ გამუშავეთ!

არაფერი მიპასუხნია. თავი შემძაგდა. სადილობა მოვათავეთ. სასადილო ოთახის ფანჯრიდან შემოჭრილი სხივი ტერასის სწოროკუთხედს ანათებდა. ანაზდად თვალი მოვკარი ანას ხელს, გრძელ, ათრთოლებულ ხელს, უცებ რომ შეინძრა და მამაჩემის ხელს შეეხო. სირილი მომენატრა, მინდოდა ჭრიჭინებით გაყრუებულ და მთვარით ავსებულ ამ ტერასაზე ხელში ავეყვანე, მინდოდა მომფერებოდა, დავემშვიდებინე, საკუთარ თავთან შევერიგებინე. მამა და ანა სდუმდნენ. მათ ხვევნა-ალერსით სავსე ღამე ელოდათ, მე კი — ბერგსონი! ვცდილობდი მეტირა, თავი შემბრალებოდა; ამაოდ, მე უკვე ანა მეცოდებოდა, თითქოს დარწმუნებული ვიყავი, რომ დავამარცხებდი.

ნაწილი მეორე

თავი I

ამ დღიდან მოყოლეული ყველაფერი ისე ცხადად მაგონდება, თვითონვე მიკვირს. უფრო ყურადღებით ვეკიდებოდი სხვისას თუ საკუთარ სინდისს. მე ხომ უშუალობა და უბრალო თავკერძობა მუდამ ფუფუნებად მიმაჩნდა. მუდამ დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი ცხოვრება ცხოვრება იყო! მაგრამ ამ რამდენიმე დღემ იმდენად ამაფორიაქა, იძულებული გამხადა ფიქრი დამეწყო, ჩემს ცხოვრებას ჩავკვირვებოდი. თვითანალიზის ყოველგვარ უსიამოვნო მხარეს გავუძელი, მაგრამ საკუთარ თავს მაინც ვერ შევურიგდი. „ჩემი გრძნობა, ვფიქრობდი, ჩემი გრძნობა ანას მიმართ ისევე სულელური და უბადრუკია, როგორც ჩემი სურვილია გიჟური, როცა მამაჩემისა და ანას დაშორებას ვნატრობ“. თუმცა ასე სასტიკად რატომ ვკიცხავდი ჩემს თავს? რაკი საკუთარი „მე“ მაქვს, განა ჩემი ნება არაა განვიცადო ყველაფერი, რაც კი ირგვლივ ხდება?! პირველად ჩემს სიცოცხლეში მომეჩვენა, რომ ეს „მე“ გაიყო და ამგვარმა გაორებამ საოცრად გამაკვირვა. თავის გასამართლებლად ათასგვარი საბუთები მომყავდა, ჩემს თავს ვეჩურჩულებოდი, მიმაჩნდა, რომ გულწრფელი ვიყავი. მაგრამ აი, ერთბაშად მეორე „მე“ წამოჰყოფდა ხოლმე თავს და ჩემივე საბუთებს უარყოფდა — თუმცა გარეგნულად მათ სიმართლეში ეჭვს ვერავინ შეიტანდა — მიკიჟინებდა, საკუთარი თავის ნდობას ბოროტად იყენებო... იქნებ სწორედ ეს მეორე „მე“ მატყუებდა? ყველაზე საშინელი შეცდომა იქნებ სწორედ გონების ეს სიცხადე იყო! ოთახში ვიყავი ჩაკეტილი და მთელი საათების განმავლობაში ვბორგავდი, საკუთარ თავს ვეკამათებოდი, მინდოდა გამეგო, მართალი იყო თუ არა ის შიში და მტრული

დამოკიდებულება, ამყამად ანა რომ იწვევდა ჩემში, ან იქნებ თავკერძა და მოჩვენებითი დამოუკიდებლობით განებივრებული გოგო ვიყავი მხოლოდ?

ჯერჯერობით კი დღითიდღე ვხდებოდი. ზღვის ნაპირზე მხოლოდ იმისთვის ჩავდიოდი, რომ დამეძინა, ხოლო სუფრასთან ჩემდა უნებურად ხმას არ ვიღებდი, ეს კი უხერხულ მდგომარეობაში აგდებდა ორივეს. ანას ვუკვირდებოდი, განუწყვეტლივ ვუთვალთვალებდი და სულ იმას ვფიქრობდი, განა სიყვარულის აღიარება არ არის მისი საქციელი მამაჩემის მიმართ? განა აშკარად არა ჩანს, რომ ეს გრძნობა სხვისადმი აღარასოდეს ექნება! ან როგორ შეიძლებოდა გავჯავრებულიყავი ანაზე, როცა ვხედავდი, რა შეწუხებული თვალებით, რაიმენდ...“ მაშინვე გავკერპდებოდი, წარმოვიდგენდი, როგორ შემოიჭრებოდა იგი ჩვენს ცხოვრებაში, მისი მონაწილე გახდებოდა! და უკვე ქვეშქვეშა, ცივი სისხლის ადამიანად მიმაჩნდა. ასე ვფიქრობდი: „ამ ქალს სისხლი ცივი აქვს, ჩვენ კი გვიდუღს; იგი ბრძანებების მოყვარულია, ჩვენ კი დამოუკიდებლობა გვიყვარს; იგი გულგრილია, ხალხი არ აინტერესებს, ჩვენ კი საზოგადოება გვიტაცებს; იგი თავშეკავებულია, ჩვენ კი მხიარულები ვართ, მხოლოდ ჩვენ ორნი ვართ ცოცხალი არსებანი, ის კი ცდილობს ჩვენ შორის შემოიჭრას, ჯერ გათბეს ჩვენი სიახლოვით, შემდეგ ნელ-ნელა მოგვაშოროს ეს უდარდელი, სასიამოვნო სითბო და ბოლოს, ლამაზი ქვეწარმავალივით, ყველაფერი წაგვართვას...“ კი, კი, ლამაზი ქვეწარმავალივით! ანა პურს მაწვდიდა, მეც ანაზდად გამოვფხიზლდებოდი და გულში ხმამაღლა ვუკიჟინებდი ჩემს თავს: „კი მაგრამ ეს ხომ სიგიჟეა? ეს ხომ ანაა, ჭკვიანი ანა, ჩემზე რომ ზრუნავს! ეს გულცივობა, უბრალოდ, მისი ბუნების დამახასიათებელია. შენ არ შეგიძლია ანგარებად ჩაუთვალო, ეს გულგრილობა ათასნაირი წვრილმანი სისაძაგლეებისაგან იცავს, იგი კეთილშობილების საწინდარია და მეტი არაფერი!“ ლამაზი ქვეწარმავალი... სირცხვილისგან ვფითრდებოდი; ვუყურებდი ანას და გულში პატიებას ვევედრებოდი. ზოგჯერ თითქოს მამჩნევდა რაღაცას და გაკვირვებულსა და დაეჭვებულს სახე ექუფრებოდა, სიტყვა უწყდებოდა. უნებურად მამას ეძებდა თვალებით; მამა კი ვერ ხვდებოდა მისი შეშფოთების მიზეზს და აღტაცებით ან ჟინით შეჰყურებდა. ბოლოს იმასლა ვაღწევდი, რომ ჩვენი ეს დაძაბული მდგომარეობა აუტანელი ხდებოდა, მე კი საკუთარი თავი მძაგდა.

მამა იმდენად იტანჯებოდა, რამდენადაც მისი ბუნების ადამიანი შეიძლებოდა დატანჯულიყო, ე. ი. არცთუ ძალიან, რადგან გაგიჟებით უყვარდა ანა, სიამაყითა და კმაყოფილებით თავგზა ერეოდა და მხოლოდ ამ სიყვარულით ცოცხლობდა.

მიუხედავად ამისა, ერთ დღეს, როცა დილით ზღვაში ვიბანავე და ნაპირზე გაშოტილი ვთვლემდი, ჩემ ახლოს ჩამოჯდა და შემომხედა. მაშინვე ვიგრძენი მისი მზერა, მინდოდა წამომვდგარიყავი, ვითომ მხიარულად მომეჩვენებინა თავი—ეს ხომ ჩვევად მექცა—და შემეთავაზებინა, წამო, ერთად ვიბანაოთ-მეთქი. მაგრამ მან ხელი დამადო თავზე და სიბრალულით წამოიძახა:

— ანა, ერთი აქ მოდით, ნახეთ, ეს კალია როგორ გახდა. თუ მეცადინეობას ასეთი ცუდი შედეგი მოჰყვება, თავი უნდა დაანებოს.

ალბათ ფიქრობდა, ამ სიტყვებით რამეს გავაწყობო. ათი დღის წინ იქნებ

ასეც ყოფილიყო, მაგრამ მე მეტისმეტად შევტოპე, სამუშაოდ განკუთვნილი საათები ახლა სრულიად არ მაწუხებდა. მე ხომ ბერგსონის შემდეგ არც ერთი წიგნი არ გადამიშლია.

ანა მოგვიახლოვდა. არ გავნძრეულვარ, კვლავ სილაზე ვიწექი პირდაღმა, მთელი გულისყური კი მისკენ მქონდა. ანა გვერდით მომიჯდა:

— ასე მართლაც არ გამოვა არაფერი. თუმცა იმის ნაცვლად, რომ ფეხმოკეცილი იჯდეს ოთახში, საკმარისი იქნებოდა გულდასმით ემუშავა...

ერთბაშად შემოვბრუნდი, ორივეს შევხედე. საიდან იცოდა, რომ არ ვმუშაობდი? იქნებ ჩემი ფიქრებიც გამოიცნო? ეს ქალი მართლა გულთამხილავია! ამ აზრმა შემაშინა.

— ფეხმოკეცილი სულაც არ ვზივარ! — შევეკამათე.

— იქნებ იმ ყმაწვილზე დარდობ? — მკითხა მამამ.

— არა.

სულ მთლად ასე არ იყო, მაგრამ ის კი მართალი იყო, რომ სირილზე ფიქრის დრო არ მქონდა.

— ასეა თუ ისე, ცუდად გამოიყურები, — მკაცრად მითხრა მამამ. — ანა, ერთი შეხედეთ! განა იმ წიწილას არა ჰგავს, რომ გამოუშიგნიათ და მზეზე გამოუდვიათ შესახრუკად?

— ჩემო პატარა სესილ, — წამოიწყო ანამ, — თავს ძალა დაატანეთ, ცოტა-ცოტა წაიმუშავეთ და მეტი ჭამეთ. ამ გამოცდას დიდი მნიშვნელობა აქვს თქვენთვის...

— გამოცდის დარდი არა ჰაქვს! — დავიყვირე, — გესმით, გამოცდის დარდი არა მაქვს!

სასოწარკვეთილი პირადაპირ სახეში შევყურებდი ანას, მინდოდა მიმხვდარიყო, რომ ეს ამბავი გამოცდის ჩაბარებაზე უფრო ბევრს ნიშნავდა. მას უეჭველად უნდა ეკითხა ჩემთვის: „მითხარით, რა მოხდა?“ კითხვა-კითხვაზე უნდა დაეყარა, ყველაფერში უნდა გამოვეტეხე. აი, მხოლოდ მაშინ მომტეხდა, რაც კი სურდა, ყოველივეს გამაკეთებინებდა. სამაგიეროდ, ასეთი მწარე და ავი ფიქრებით გულდამძიმებული აღარ ვიქნებოდი. მაგრამ ანა დაკვირვებით დამაცქერდა მხოლოდ. ვხედავდი ყურადღებითა და საყვედურით დანისლულ მის ლაჟვარდისფერ თვალებს. ანაზდად მივხვდი, რომ არასოდეს არ შემეკითხებოდა, რა მაწუხებდა, არასოდეს შეეცდებოდა ჩემს დამშვიდებას, რადგან თვლიდა, ასეთი რამ ზედმეტიაო. იგი საერთოდ არ ფიქრობდა იმაზე, თუ რა მაწუხებდა, ან თუკი დაფიქრდებოდა, ეს მხოლოდ გულგრილობითა და ათვალწუნებით მოსდიოდა. თუმცა, ვინ იცის, იქნებ სხვა გრძნობის ღირსი არც იყო ის ფიქრები, ჩემდამი რომ გამოიმეტებდა. ანა მუდამ ზუსტ მნიშვნელობას აკუთვნებდა თვითეულ საგანს. ამიტომ ვერასოდეს, ვერასოდეს მე და ანა ერთმანეთს ვერ შევეწყობოდით!

გაბრაზებული კვლავ დავეგდე ქვიშაზე, თბილ სილას ლოყა დავადე და აკანკალებულმა ამოვიოხრე. ანამ თავისი მშვიდი, მტკიცე ხელი კეფაზე დამადო და, სანამ ნერვიულმა ცახცახმა არ გამიარა, ხელი არ აუღია.

— სიცოცხლეს ნუ იმწარებთ! — მითხრა, — თქვენ ხომ ცხოვრებით კმაყოფილი, გიჟმაჟი, ცეტი გოგონა იყავით! ახლა რად გახდით ასეთი გონიერი და სევდიანი? ასეთი გმირის განსახიერება სულ არ გიხდებათ!

— ვიცი. მე უცნაური, მაგრამ ჯანსაღი ახალგაზრდა ვარ, ქარაფშუტა და მხიარული, — ვუთხარი.

— წამოდით, ვისაუზმოთ! — მითხრა ანამ.

მამა წინ გაგვიძღვა, ამგვარი კამათი ეჯავრებოდა. გზაზე ხელი მომკიდა, დიდხანს ეჭირა თავის ხელში. ეს ლონიერი ხელი მუდამ სიმხნევეს მმატებდა: სწორედ ამ ხელმა მომიმშრალა ცრემლები, როცა პირველმა სიყვარულმა დარდი მაგემა; უშფოთველ, სრული ბედნიერების წუთებშიც ამ ხელს ეჭირა ჩემი ხელები, გამოუვალ მდგომარეობაში თუ თავშეუკავებელი სიცილის დროსაც ეს ხელი მიგრძვნია მალულად. ეს ხელი მინახავს საჭეზე, მინახავს, გასაღები რომ ეჭირა და ღამით ამაოდ ცდილობდა კარის საკეტისთვის მოერგო, ეს ხელი მინახავს ქალის მხარზე, მინახავს სიგარეტით, მაგრამ ახლა მას უკვე აღარაფერი შეეძლო ჩემთვის. და მაინც მაგრად მოვუჭირე ხელი. მამა ჩემკენ მობრუნდა და გამიღიმა.

თავი II

ორი დღეც გავიდა: საწოლზე ფეხმორთხმული ვიჯექი. ლონემიხდილი ვიყავი. ერთი აზრი ამკვიატებოდა და თავიდან ვერ მომეშორებინა: ანა მთელ სიცოცხლეს გაგვიმწარებს-მეთქი. სირილის ნახვას არ ვცდილობდი, თორემ იგი ალბათ დამამშვიდებდა, რაღაც სიხარულს მაგრძნობინებდა, ეს კი მე სულაც არ მსურდა. გადაუწყვეტელ საკითხებზე ფიქრი, წარსულ დღეთა მოგონება, მომავლის შიში ერთგვარ სიამოვნებასაც კი მგვრიდა. ძალიან ცხელოდა. ოთახში თითქმის ბნელოდა, დარაბები დახურული იყო. მაინც არაფერი მშველოდა, მძიმე, ნესტიანმა ჰაერმა აუტანლად მომთენთა. ლოგინზე გავწექი, თავი უკან გადავაგდე, თვალები ჭერს მივაპყარი, დროდადრო ოდნავ შევინძრეოდი, ზეწარზე გრილ ადგილს ვეძებდი. არ მეძინა, გამოსაფხიზლებლად მაინც რადიომიმღებზე ფირფიტებსა ვდებდი საწოლის ფეხთან. ნელი, უმეოლოდიო, მონოტონური მუსიკა ისმოდა ოთახში. უსაშველოდ ვაბოლებდი, დეკადენტად წარმოშედგინა თავი და ეს მომწონდა. თავის მოსატყუებლად ვერც ამ თამაშმა მიშველა: ნაღვლიანი, გზააბნეული გამოვიყურებოდი ალბათ.

ერთ ნაშუადღევს მოახლემ კარზე მომიკაკუნა და იდუმალი სახით გამაფრთხილა, ქვემოთ ვიღაც გიცდითო. მაშინვე ვიფიქრე, სირილია-მეთქი. ჩავედი. არა, სირილი არ იყო, ელზა მოსულიყო. გულთბილად ჩამომართვა ხელი. შევხედე და სახტად დავრჩი: ძალიან გალამაზებულიყო. როგორც იქნა, მზე მოჰკიდებოდა, ნამზეური ზომიერად, ლამაზად დასდებოდა და ამ სუფთა, ახლაგაზრდა ქალის ნახვა ნამდვილად გესიამოვნებოდათ.

— ჩემოდნების წასაღებად მოვედი, — მითხრა მან, — ჟუანმა ამ დღეებში რამდენიმე კაბა მიყიდა, მაგრამ არ მყოფნის.

ერთი კი გავიფიქრე, ნეტა ჟუანი ვინ არის-მეთქი, მაგრამ დიდხანს არ მიმტვრევია თავი. ელზას ნახვა ძალიან გამიხარდა: თან მოიტანა ლუდხანის, თავშესაქცევი სალამოების სურნელი და ბედნიერი დღეები მომაგონა. გამოვუტყდი, ძალიან მესიამოვნა-მეთქი თქვენი ნახვა. მიპასუხა, ამაში ეჭვი არ მეპარება, რადგან ჩვენ მუდამ გვესმოდა ერთმანეთისა და საერთო აზრები გვქონ-

დაო. ვცდილობდი, შინაგანი ცახცახი არ გამომემჟღავნებია, და შევთავაზე, ჩემს ოთახში ამოსულიყო, მამაჩემთან და ანასთან შეხვედრას აიცდენდა თავიდან. მამაჩემის ხსენებაზე ვერ შეიკავა და ისე გადააქნია თავი, მივხვდი, კვლავ უყვარდა... მიუხედავად ჟუანისა და მისი კაბებისა. ამასთანავე ისიც გავიფიქრე, ამ თავის გადაქნევას სამი კვირის წინ ალბათ ვერც კი შევამჩნევდი-მეთქი. ელზამ ოთახში შესვლისთანავე ხმამაღლა დაიწყო მოყოლა, ზღვის ნაპირას რა თავბრუდამხვევად ატარებდა დროს მაღალ საზოგადოებაში. ვგრძნობდი, რომ ნელ-ნელა მეღვიძებოდა ცნობისმოყვარეობა, ნაწილობრივ ალბათ ელზას ახალი იერი იწვევდა ამას. მაგრამ, ეტყობა, მალე იგრძნო ჩემი გარინდება, ლაპარაკი შეწყვიტა, ოთახში გაიარა და ბოლოს ისე მკითხა, ჩემკენ თავი არ მოუბრუნებია:

— რაიმონდი ბედნიერია მაინც?

ისეთი გრძნობა დამრჩა, თითქოს ერთი ქუდა მომეგოს. მაშინვე მივხვდი, რატომ. ერთბაშად უამრავი გეგმა, ათასნაირი გადაწყვეტილება ამერია თავში და ვიგრძენი, რომ მათ სიმძიმეს ვერ გავუძლებდი. ამიტომ სწრაფად მივხვდი, რა უნდა მეპასუხნა:

— ბედნიერია! ამის თქმა მეტისმეტი იქნებოდა. ანა საშუალებას არ აძლევს, სხვა რამ იფიქროს. იგი ძალიან მარჯვე ქალია.

— ძალიან! — ამოიოხრა ელზამ.

— ვერც კი წარმოიდგენთ, რა გადაწყვეტილება მიაღებინა... ცოლად ირთავს!..

ელზა შეძრწუნებული სახით შემობრუნდა ჩემკენ:

— ცოლად ირთავს? რაიმონდი ცოლის შერთვას აპირებს? რაიმონდი?

— დიახ. რაიმონდი ცოლს ირთავს.

ხარხარს ძლივს ვიკავებდი. ხელები მიკანკალებდა. ელზა ისეთი გაოგნებული იდგა, თითქოს კომბალი ჩამერტყას თავში. დაფიქრების საშუალება არ უნდა მიმეცა, იმ დასკვნამდე არ უნდა მისულიყო, თითქოს მამაჩემი ისეთ ასაკში იყო, ცოლის შერთვის მეტი არაფერი დარჩენოდა: ბოლოს და ბოლოს მთელ თავის სიცოცხლეს დემიმონდენებთან ხომ ვერ გაატარებდა?!

მე წინ გადავიხარე და ხმას დავუწიე, რათა უფრო მეტი შთაბეჭდილება მომეხდინა:

— ელზა, ეს არ უნდა მოხდეს. მამა უკვე იტანჯება. თქვენც კარგად გესმით, რომ ეს შეუძლებელია!

— მართალი ხართ! — თქვა მან.

ელზა მონუსხულივით იდგა. სიცილი მომინდა. ხელების კანკალმა მიმატა.

— მე თქვენ გელოდით, — განვაგრძე,—მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ შეებრძოლოთ ანას, მხოლოდ თქვენა გაქვთ ბუნებრივი სიკოხტავე.

ეტყობა, დამიჯერა, მაგრამ მაინც შემეკამათა:

— კი მაგრამ, რაკი ირთავს, ალბათ უყვარს კიდეც!

— არა, მას თქვენ უყვარხართ, ელზა! — მშვიდად ვუთხარი, — ნუ შეეცდებით დამარწმუნოთ, თითქოს არ იცოდეთ.

ელზამ წამწამები დაახამხამა. რომ კმაყოფილება და იმედი დაემალა, თა-

ვი მიაბრუნა. არც კი ვფიქრობდი, რას ჩავდიოდი, თავბრუდახვეული ადამიანივით ვმოქმედებდი, გუმანით ვგრძნობდი, რაც უნდა მეთქვა.

— ხომ გესმით? ანამ იმდენი ელაპარაკა ოჯახურ იდილიაზე, სინდისზე, რომ გააბრუა და ხელში ჩაიჭირა.

ჩემი სიტყვები მე თვითონ მზარავდა, რადგან მე ხომ ჩემს პირად გრძნობებს გამოვთქვამდი, ისიც, რა თქმა უნდა, მარტივად და ტლანქად, სამაგიეროდ, ეს სიტყვები ზუსტად გამოხატავდა ჩემს ფიქრებს.

— ეს ქორწინება თუ მოხდა, სამივეს გაგვიმწარდება სიცოცხლე, ელზა. მამა უნდა დავიცვათ, იგი ხომ დიდი ბავშვია... ჰო, დიდი ბავშვი!

ენერგიულად ვიმეორებდი, „დიდი ბავშვი-მეთქი"; ვგრძნობდი, რომ ყოველივე ეს მელოდრამას წააგავდა, მაგრამ ელზას ლამაზი, მწვანე თვალები უკვე დაინისლა სიბრალულით. ბოლოს ისე დავასრულე, როგორც ჰიმნებშია ხოლმე:

— დამეხმარეთ, ელზა! ამას თქვენი და მამაჩემის ინტერესები მალაპარაკებს, ამას თქვენი სიყვარულის გულისთვის გთხოვთ.

— კი მაგრამ, მე რა შემიძლია? — მკითხა ელზამ. — ჩემი აზრით, ვერაფერს გავხდებით.

— თუკი ეს ამბავი შეუძლებლად მიგაჩნიათ, მაშინ ახლავე თქვით უარი, — განვაცხადე ისეთი ხმით, ჩამწყდარს რომ უწოდებენ.

— ერთი ამ კახპას დამიხედეთ! — წაიბუტბუტა ელზამ.

— ზედგამოჭრილი სახელია, — ვუთხარი და ახლა მე ავარიდე თვალი.

ელზა თვალის დახამხამებაში გამოცოცხლდა. დასცინეს, არა? არა უშავს, იმ ინტრიგანს მალე აჩვენებს, ელზა მაკენბურგს რა ძალუძს. რაიმონდს რომ ისევ უყვარდა, ეს მან იცოდა. თვითონაც წინანდებურად მოსწონდა, რაიმონდის მომხიბვლელობა ჟუანმაც ვერ დაავიწყა. რასაკვირველია, ოჯახის შექმნაზე არასოდეს ულაპარაკია მასთან, ყოველ შემთხვევაში, თავი არ მოუბეზრებია, არც კი ცდილა!..

— ელზა, — შევაწყვეტინე მსჯელობა, რადგან მისი ატანა უკვე აღარ შემეძლო, — თქვენ ახლავე მიხვალთ სირილთან ჩემი სახელით და თავშესაფარს სთხოვთ. იგი როგორმე დაითანხმებს დედამისს. უთხარით, რომ ხვალ დილით მეც მოვალ მის სანახავად და სამივემ მოვილაპარაკოთ.

კართან რომ მივედით, გავეხუმრე:

— იცოდეთ, საკუთარი ბედისთვის იბრძვით, ელზა!

დინჯად დამიქნია თავი, თითქოს და მისი მარჩენალი მამაკაცებივით ბედსაც ხელთათმანივით არ იცვლიდა!.. ტანის რხევით მიაბიჯებდა მზეზე. მე კი ვიდექი და ვუყურებდი. იმ წუთს სანაძლეო შემეძლო დამედო, რომ ერთი კვირის შემდეგ მამაჩემი კვლავ მოისურვებდა ელზასთან თავშექცევას.

ოთხის ნახევარი იყო. მამას ახლა ალბათ ანას მკლავებში ეძინა. ანაც სახეგაბადრული, ბედნიერებისა და სიცხისაგან მოთენთილი, ძილს ვერ ართმევდა თავს... ათასგვარი გეგმა ელვის სისწრაფით მესახებოდა. მაგრამ საკუთარ თავზე ერთი წუთითაც არ დავფიქრებულვარ. შეუსვენებლივ დავდიოდი წინ და უკან, მივიდოდი ფანჯარასთან, სწრაფად გადავავლებდი თვალს წყნარ ზღვას, სილიან ნაპირზე რომ გართხმულიყო, ვბრუნდებოდი კართან და კვლავ ფანჯრისკენ მივეშურებოდი. ათას რამეს ვანგარიშობდი, ვვარაუდობდი, ყოველგვარ დაბრკოლებასაც ვანადგურებდი თანდათან; თუ რა მოჰყვე-

ბოდა ამ ჩემს ხრიკებს, არაფრად ვაგდებდი; საშიშ, მარჯვე ქალად მიმაჩნდა თავი, ხოლო იმ ზიზღს, ჩემდა უნებურად ელზასთან ლაპარაკის დროს რომ ვგრძნობდი, თავმოყვარეობის, შინაგანი წაქეზებისა და სიმარტოვის გრძნობაც დაემატა.

მაგრამ მთელი გეგმა — ღირს კი ამის თქმა? — ბანაობის დროს ჩაიფუშა. ანას წინაშე სინდისის ქენჯნისაგან ვცახცახებდი, თავს ველარ ვიმორჩილებდი; მისი ჩანთა მე მიმქონდა. როგორც კი წყლიდან ამოვიდა, სწრაფად მივაშურე და პენუარი მივაწოდე, ყურადღებას, ალერსიან სიტყვებს არ ვაკლებდი; ის ამბავი, უკანასკნელ დღეებში რომ სულ ჩუმად ვიყავი, ახლა კი ასე სწრაფად შევიცვალე, რა თქმა უნდა, აკვირვებდა და კიდეც სიამოვნებდა. მამა ალტაცებული იყო. ანა ღიმილით მიხდიდა მადლობას, მხიარულად მპასუხობდა კითხვებზე, მე კი ყურებში მიწოდა: „ერთი ამ კახპას დამიხედეთ!“ — „სწორედ ზედგამოჭრილი სახელია!“ არა, ეს როგორ ვთქვი, ჰა? ელზას წამოროშილს კვერი როგორ დავუკარი? ხვალვე ვურჩევ, თავიდან მომწყდეს, გამოვუტყდები, შევცდი-მეთქი. ჩვენ შორის კვლავაც ალსდგება წინანდელი დამოკიდებულება. უპირველეს ყოვლისა, გამოცდებს ჩავაბარებ! ბაკალავრის ხარისხი ნამდვილად მჭირდება! ხომ ასეა?

— ბაკალავრის ხარისხი ნამდვილად მჭირდება! ხომ ასეა? — ვკითხე მართლაც ანას.

ანამ შემომხედა და სიცილი წასკდა. მეც გადავიხარხარე. ბედნიერი ვიყავი, რომ გამხიარულებულს ვხედავდი.

— ვერაფერს გაგიგებთ კაცი!

მართალს ამბობდა, მართლაც ვერაფერს გამიგებდა კაცი. ხოლო რომ სცოდნოდა, რის ჩადენას ვაპირებდი! ვკვდებოდი, ისე მინდოდა მისთვის მეამბნა ყველაფერი, რომ მართლა დაენახა, რა ძნელი იყო ჩემი გაგება. მინდოდა მეთქვა: „წარმოიდგინეთ, ერთი კომედიის გასათამაშებლად ელზა ავაგულიანე: იგი თავს მოგვაჩვენებს, ვითომ სირილი უყვარს, იცხოვრებს მის სახლში, ჩვენს დასანახად ნავით ისეირნებენ, შეგვხვდებიან ტყეში, ზღვის სანაპიროზე. ელზა კვლავ გალამაზდა. ო. რასაკვირველია, თქვენსავით მშვენიერი როდია, მაგრამ თავისებურად მომხიბვლელია მაინც და მამაკაცთა ყურადღებას იპყრობს. მამა კი დიდხანს ვერ აიტანს მის ღალატს: მუდამ ალიზიანებს, თუ რომელიმე მისმა ყოფილმა ლამაზმა სწრაფად იპოვა შემცვლელი და თითქმის მის თვალწინ ერთობა. მით უმეტეს, თუ ეს მამაკაცი მასზე ახალგაზრდაა! ხომ გესმით, ანა? მას სულ მალე აღეძვრება სურვილი ხელახლა ჩაიგდოს ელზა ხელში, თუმცა თქვენ უყვარხართ. მაგრამ ალბათ თავის დასამშვიდებლად მოიქცევა ასე. იგი ან მეტისმეტად პატივმოყვარეა, ანდა თავის თავში არაა დარწმუნებული, როგორც გსურთ, ისე იფიქრეთ, ელზა კი, რასაც ვეტყვი, იმას ჩაიდენს. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს მამა გიღალატებთ, ამას თქვენ ვერ აიტანთ, ხომ ასეა? თქვენ არ ეკუთვნით იმ ქალთა რიცხვს, სიყვარულის სხვასთან გაყოფა რომ შეუძლიათ. ჰოდა, რაკი მამაჩემი ამ გრძნობას სხვას გაუნაწილებს, თქვენ წახვალთ, მეც სწორედ ეს მინდა. დიახ, ეს სისულელეა, მაგრამ მე ხომ თქვენზე გაბრაზებული ვარ ბერგსონის გამო, სიცხის გამო?! მე წარმომედგინა, რომ... ამის თქმას ვერც კი ვბედავ, იმდენად აბსტრაქტული და სასაცილოა! ბაკალავრის ხარისხის გულისთვის მე შემეძლო

განხეთქილება ჩამომეგდო ჩვენ შორის, წაგჩხუბებოდით თქვენ, დედაჩემის მეგობარს, ჩვენს მეგობარს. თუმცაღა ბაკალავრის ხარისხის მიღება მართლაც საჭირო საქმეა, არა?“ — ხომ ასეა?

— რაა ხომ ასე? — მკითხა ანამ. — ბაკალავრის ხარისხი მართლაც საჭიროა თუ არა?

— ჰო.

არა, სჯობს არაფერი არ ვუთხრა, სულ ერთია, მაინც ვერ გამიგებს. არის ზოგი რამ, რაც ანას არ ესმის. მე წყალში გადავხტი და მამას დავეწიე; ველლაბუცებოდი, კვლავ ძველებურად მსიამოვნებდა წყალში ყოფნა, თავშექცევა, გულწრფელი დამოკიდებულება. ხვალ ოთახს შევიცვლი, სხვენზე მოვიკალათებ საკლასო წიგნებით. მაგრამ ბერგსონს მაინც არ ავიტან; გადაჭარბება რა საჭიროა? ორი საათი მუყაითი შრომა, მარტო ყოფნა, ჩუმი სიბეჯითე, მელნისა და ქაღალდის სუნი საკმარისია იმისათვის, რომ ოქტომბერში წარმატება მოვიპოვო, მამაჩემის გაოცებული სიცილი მოვისმინო, ანას მოწონება დავიმსახურო, ლიცენციატის ხარისხი მივიღო. დავჭკვიანდები, განათლებული ქალი გავხდები, ოღონდ ანასავით ოდნავ გულგრილი... ჭკუა და უნარი უეჭველად მაქვს... განა ხუთ წუთში არ შევადგინე ერთი მეტად ლოგიკური გეგმა. რა თქმა უნდა, საძაგელი, მაგრამ მაინც ლოგიკური!? ანდა ელზას ამბავი აიღეთ! მე ხომ მის პატივმოყვარეობაზე, მის მგრძნობიარე ხასიათზე ვითამაშე! მე ხომ რამდენიმე წამში გადავაწყვეტინე ახალი ნაბიჯის გადადგმა, თუმცა იგი მხოლოდ ჩემოდნის წასაღებად მოვიდა!?

სხვათა შორის, ძალიან სასაცილო ამბავი გამოვიდა: როგორც კი ელზა ნიშანში ამოვიღე, მიზანში მოხვედრა ისე მოვახერხე, სიტყვის დაძვრა არც კი ვაცალე. ჩემს სიცოცხლეში პირველად განვიცადე ეს უჩვეულო გრძნობა: უჩხვლიტო ვისმე, აამოძრავო, დღის სინათლეზე გამოიყვანო და მერე ხელი სტაცო. როგორც ზამბარისკენ ფრთხილად წაიღებენ ხოლმე თითს, ასევე ვცდილობდი მეც მომეძებნა ვინმე მსხვერპლი. და მართლაც მაშინვე წამოეგენ ჩემს ანკესს! მაშინვე! ეს გრძნობა ჩემთვის უცნობი იყო წინათ, მე კი მუდამ გრძნობების ამყოლი გახლდით! თუკი ვინმეს შევხებივარ, მხოლოდ შეცდომით! ადამიანური რეფლექსების ასეთ სასწაულებრივ მექანიზმს, სიტყვების ასეთ ძალას ერთბაშად ავუღე ალღო... რა სამწუხაროა, რომ ყოველივე ეს მოტყუების გზით მოხდა! როცა იქნება, ვინმეს ხომ შევიყვარებ მთელი გრძნობით?! ჰოდა, მასთან მისასვლელ გზას ასევე ფრთხილად, ნაზად, აკანკალებული ხელით მოვძებნი ალბათ...

თავი III

მეორე დღეს, როცა სირილის აგარაკისკენ მივდიოდი, ველარ ვიგრძენ ის სულიერი სიმტკიცე, წინადღეს რომ მქონდა. ჩემი განკურნების აღსანიშნავად ბევრი დავლიე სადილზე და გადაჭარბებული სიმხიარულე გავამჟღავნე. მამაჩემს ვეუბნებოდი, ძალიან მინდა ფილოლოგიის ლიცენციატი გავხდე, მინდა განათლებული ხალხის წრეში ვიტრიალო, მინდა სახელოვანი, დიხჯი ქალი ვიყო. ამისათვის კი საჭიროა რეკლამა და ყოველნაირი სკანდალური ამბები მარჯვედ გამოიყენო-მეთქი. ერთმანეთს ვუზიარებდით სულელურ აზრებს და გიჟებივით ვხარხარებდით. ანაც იცინოდა, ოღონდ თავშეკავებით, ოდნავ შემ-

წყნარედ; ზოგჯერ სიცილს შეწყვეტდა, რადგან ჩემი აზრები აშკარად სცილდებოდა ლიტერატურის ჩარჩოებსა და ზრდილობის უბრალო წესებს. მაგრამ ჩვენი ადრინდელი დამოკიდებულების აღდგენითა და ამ სულელური ხუმრობით მამაჩემს აშკარად ეტყობოდა, ბედნიერი რომ იყო, ანაც არაფერს ამბობდა. ბოლოს, როგორც იქნა, ლოგინში ჩამაწვინეს, მომეფერენ. მე მხურვალე მადლობას ვეუბნებოდი ორივეს და წამდაუწუმ ვუმეორებდი, თქვენ რომ არ მყავდეთ, რა მეშველებოდა-მეთქი. მამამ მართლაც არ იცოდა, რა მეშველებოდა, ხოლო ანას, ეტყობა, თავისი მოსაზრება ჰქონდა ამაზე; მაგრამ სწორედ მაშინ, როცა შევეხვეწე, გულწრფელად მიპასუხეთ-მეთქი, და როცა ისიც დაიხარა სათქმელად, ძილმა მომწყვიტა კისერი. შუალამეს გამომეღვიძა, მივხვდი, ცუდად ვიყავი. ასეთი მძიმე შეგრძნება არასოდეს მქონია. ამიტომ ფიქრებაშლილი, გულაძგერებული მივაბიჯებდი ახლა ფიჭვნარში და ვერც დილის ზღვის სიმშვენიერეს ვამჩნევდი და ვერც აღელვებულ თოლიებს.

სირილი ბაღის შესასვლელთან დამხვდა. მაშინვე ჩემკენ გამოეშურა, მკლავები მომხვია, მაგრად მიმიხუტა და თან რაღაც გაურკვეველ სიტყვებს მიჩურჩულებდა:

— საყვარელო, ისე ვწუხდი... რამდენი ხანია... არც კი ვიცოდი, რას აკეთებდი, არ ვიცოდი, ის ქალი თუ ასე გაწვალებდა... არც ის ვიცოდი, ამდენად უბედური თუ ვიქნებოდი მე თვითონ... ყოველ ნაშუადღევს ყურეს ჩავუვლიდი ხოლმე რამდენჯერმე... არც კი წარმომედგინა, ასე ძალიან თუ მიყვარდი...

— არც მე! — მივუგე.

ნამდვილად კი მისმა საქციელმა ძალიან გამაოცა და კიდეც ამაღელვა. ვწუხდი, გული მერეოდა და საკუთარი გრძნობების გამოხატვა არ შემეძლო.

— რა ფერმკრთალი ხარ, — მითხრა სირილმა, — ახლა მე ვიზრუნებ შენზე, არავის მივცემ ნებას, კვლავ ასე ცუდად მოგექცეს!

მივხვდი, ელზას ფანტაზიას აჰყოლოდა. სირილს ვკითხე, დედა რას ამბობს-მეთქი ელზაზე.

— ელზა ჩემს ობოლ მეგობრად გავაცანი. სხვათა შორის, ელზა ძალიან კეთილია. ყველაფერი მიამბო იმ ქალზე. მართლაც საოცარია, ასეთმა დახვეწილმა, კეთილშობილმა ქალმა როგორ იკადრა ასეთი ხრიკები!

— ელზას მეტისმეტად გადაუჭარბებია, — წავიკნავლე მე, — სწორედ ამიტომ მოვედი... მინდოდა მისთვის მეთქვა, რომ...

— მეც მაქვს სათქმელი, — შემაწყვეტინა სირილმა, — სესილ, ცოლად მინდა შეგირთო.

დავიბენი. რაღაც უნდა მელონა, რაღაც პასუხი უნდა მიმეცა. მაგრამ რა მეთქვა, როცა ასე საშინლად მერეოდა გული...

— მიყვარხარ! — თქვა სირილმა და ჩემს თმას ტუჩებით შეეხო, — იურიდიულ ფაკულტეტს თავს დავანებებ, კარგ სამსახურს მთავაზობენ... ბიძაჩემიც... მე ოცდაექვსი წლისა ვარ, პატარა ბიჭი არ გეგონო, მართლა გეუბნები. რას იტყვი?

ამაოდ ვცდილობდი გამომეძებნა რაიმე ორაზროვანი, მაგრამ საამო პასუხი. არავითარი სურვილი არ მქონდა ცოლად გავყოლოდი სირილს. საერთოდ, არავინ არ მინდოდა ქმრად. დავიღალე.

— შეუძლებელია! — წავიბუტბუტე ბოლოს, — მამაჩემი...

— მამაშენს მე მოველაპარაკები, — მითხრა სირილმა.

— ანა არ იზამს. მიაჩნია, რომ სრულწლოვანი არა ვარ. რაკი უარს იტყვის, მამაც აღარ დათანხმდება. რომ იცოდე, როგორ დავიღალე, სირილ! ამდენი ღელვისაგან მუხლები მეკეცება, დავსხდეთ... აგერ, ელზაც!

ელზას საშინაო ხალათი ეცვა. გაბრწყინვებული, ახალგაზრდული ელვით ჩამოდიოდა კიბეზე. მის გვერდით მე უფერული, დალეული ვჩანდი. ორივეს ჯანსაღი, აგზნებული, გრძნობამორეული ელვი ჰქონდა, ამან კიდევ უფრო მომშალა. ელზამ ისეთი მზრუნველობით დამსვა, თითქოს ციხიდან ახლად გამოსული პატიმარი ვყოფილიყავი.

— რაიმონდი როგორაა? — მკითხა, — თქვენთან რომ ვიყავი, იცის?

ელზას იმ ადამიანის ნეტარი ღიმილი ეფინა სახეზე, ვინც აპატია და ახლა იმედიც ჩასახვია გულში. მე არ შემეძლო მისთვის მეთქვა, რომ მამაჩემს უკვე გადავიწყებული ჰყავდა, ვერც სირილისთვის გამემჟღავნებინა, რომ არავითარი სურვილი არა მქონდა ცოლად გავყოლოდი. თვალები დავხუჭე. სირილი ყავის მოსატანად გაიქცა. ელზა კი ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა გაუთავებლად; აშკარა იყო, მარჯვე ადამიანად მთვლიდა და ჩემი ნდობა ჰქონდა. ყავა მაგარი იყო, სურნელოვანი. მზემაც ძალა შემმატა.

— ბევრი ვიფიქრე, მაგრამ გამოსავალი მაინც ვერ ვიპოვე, — თქვა ელზამ.

— გამოსავალი არ არსებობს, — განაცხადა სირილმა. — ჩვენ ისეთ გატაცებას, ისეთ გავლენას წავაწყდით, რომ ვერაფერს გავხდებით.

— არის გამოსავალი! — წამოვიყვირე მე. — არსებობს ისეთი საშუალება, თქვენ რომ ვერც წარმოიდგენთ!

საშინლად ვამაყობდი, რადგან ვგრძნობდი, ორივე მთელი გულისყურით მისმენდა: ისინი ათი წლით უფროსი იყვნენ ჩემზე, მაგრამ ტვინის განძრევა არ შეეძლოთ.

— ფსიქოლოგიური ამბავი მაქვს მხედველობაში! — მოურიდებლად განვაცხადე მე.

დიდხანს ვლაპარაკობდი, ჩემს გეგმას ვაცნობდი. ელზამ და სირილმა ჩემს ჩანაფიქრს იგივე სიძნელეები აღმოუჩინეს, მე თვითონ რომ ვფიქრობდი წინადღით, და რაკი ამ დაბრკოლებების გადასალახავი საშუალებებიც მოვახსენე, დიდი სიამოვნება ვიგრძენი. მართალია, ჩემი საბუთები საფუძველს მოკლებული იყო, მაგრამ იმდენად მინდოდა მათი დარწმუნება, საკუთარმა ფანტაზიებმა თვითონვე გამიტაცა. მე მათ დავუმტკიცე, ჩემი გეგმის განხორციელება სავსებით შესაძლებელია-მეთქი. ახლა ისღა დამრჩენოდა, ორივე დამერწმუნებინა, რომ განზრახულის განხორციელება საჭირო აღარ იყო, მაგრამ ლოგიკური საბუთების პოვნა ველარ მოვახერხე.

— მსგავსი კომბინაციები არ მომწონს, — თქვა სირილმა, — მაგრამ თუკი შენთან დასაქორწინებლად მხოლოდ ესაა ერთადერთი საშუალება, ამაზეც თანახმა ვარ.

— ეს სულ მთლად ანაზე არაა დამოკიდებული! — ვთქვი მე.

— კარგად იცით, თუ იგი აქ დარჩა, მხოლოდ მას გაჰყვებით ცოლად, ვისაც ის შეგირჩევთ. — მითხრა ელზამ.

იქნებ სიმართლეს ამბობდა. ერთბაშად წარმოვიდგინე: როგორც კი ოცი წელი შემისრულდებოდა, ანა მაშინვე გამაცნობდა ვინმე ყმაწვილს, ალბათ

ლიცენციატს, ბრწყინვალე მომავლის მქონეს, ჭკვიანს, თავდაჭერილს და, რა თქმა უნდა, ერთგულს. ერთი სიტყვით, სირილის მსგავს ახალგაზრდას. სიცილი წამსკდა.

— გეხვეწები, ნუ იცინი! — წამოიძახა სირილმა. — მითხარი, ხომ იეჭვიანებ, მე და ელზა რომ არშიყობის სცენას გავითამაშებთ? ასეთი რამ მაინც როგორ მოიფიქრე? ნუთუ არ გიყვარვარ?

ხმადაბლა ლაპარაკობდა. ელზამ ქალური ალღო გამოიჩინა და მოშორებით დადგა. შევყურებდი სირილის მზემოკიდებულ, დაძაბულ სახეს, სევდიან თვალებს. ვუყვარდი. ეს კი უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე. მე შევყურებდი მის ხორციან ტუჩებს, ასე ახლოს რომ ვხედავდი... გონება მიბნელდებოდა. სახე უფრო მომიახლოვა, ბაგეთი შევეხეთ ერთმანეთს. თვალგახელილი ვიჯექი და ჩემს ტუჩებზე მის მკვრივ მწველ ტუჩებს ვგრძნობდი. მსუბუქმა თრთოლვამ გადაურბინა ბაგეზე, ერთხანს ჩემსას დააკვდა, მერე მომწყდა, კოცნად იქცა, დაჟინებულ, თავაწყვეტილ კოცნად... ერთბაშად მივხვდი, რომ ლიცენციატის ხარისხზე მეტად ბიჭის კოცნა მეხალისებოდა მზის გულზე. სუნთქვაშეკრულმა მსუბუქად ვკარი ხელი სირილს.

— სესილ, ჩვენ ერთად უნდა ვიცხოვროთ. კეთილი, მე გავითამაშებ ამ კომედიას.

ახლა უკვე მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, სწორი იყო თუ არა ჩემი ჩანაფიქრი. ამ კომედიის სულისჩამდგმელი რეჟისორი მე გახლდით, ჰოდა, მისი ჩაშლაც ჩემს ხელთ იყო.

— მუდამ უცნაური აზრები მოგდის თავში, — განაგრძობდა სირილი მისთვის ჩვეული გულუბრყვილო ღიმილით. ასე როცა იღიმებოდა, ზედა ტუჩი ოდნავ აეწეოდა ხოლმე და ყაჩაღს, ლამაზ ყაჩაღს ემსგავსებოდა.

— მაკოცე, — წავჩურჩულე, — ჩქარა მაკოცე!

ასე დაიწყო კომედიის გათამაშება: ჩემდა უნებურად, უდარდელად, მარტოოდენ ცნობისმოყვარეობით! ზოგჯერ მგონია, სჯობდა ეს ამბავი შეგნებულად წამომეწყო, სიძულვილითა და გაბოროტებით... ყოველ შემთხვევაში, მაშინ საკუთარ თავს დავაბრალებდი და არა სიზარმაცეს, მზეს და სირილის კოცნას.

ერთი საათის შემდეგ საკმაოდ გულამრეზილმა მივატოვე შეთქმულები. თავის დასამშვიდებლად მრავალი საბუთი მრჩებოდა: ადვილი შესაძლებელია, ჩემი გეგმა ცუდი გამოდგეს-მეთქი, იქნებ მამაჩემს იმდენად შეუყვარდეს ანა, მისი ერთგული დარჩეს-მეთქი. ამას გარდა, ვერც სირილი, ვერც ელზა უჩემოდ ვერაფერს გახდებოდნენ. მე კი რაიმე საბაბს გამოვძებნიდი და თამაშს შევწყვეტდი, თუკი, რასაკვირველია, მამაჩემი ანკესზე წამოეგებოდა. მაგრამ თავშესაქცევად ცდა მაინც ღირდა, მინდოდა მენახა, ჩემი ფსიქოლოგიური ვარაუდები სწორი იყო თუ არა.

მით უმეტეს, სირილს იმდენად ვუყვარდი, ჩემი შერთვაც კი უნდოდა: ეს აზრი საკმარისი იყო იმისათვის, რომ ნეტარად მეგრძნო თავი. თუ იგი ერთ-ორ წელიწადს მოითმენდა, სანამ სრულწლოვანი გავხდებოდი, ალბათ თანხმობასაც მივცემდი. უკვე კიდეც წარმოვიდგინე სირილთან ერთად ცხოვრება, მის გვერდით ძილი, მუდამ მასთან ყოფნა. ყოველ კვირას მამას და ანას მყუდრო

ოჯახში ვივლიდით საუზმეზე, იქნებ სირილის დედაც მოსულიყო, რაც ოჯახურ იდილიას საბოლოოდ დააგვირგვინებდა.

ანა ტერასაზე დამხვდა, ზღვაზე აპირებდა ჩასვლას, იქ მამაჩემი ეგულებოდა, მან ისეთი ირონიული ღიმილით შემომხედა, როგორც წინადღით ნაქეიფარ ხალხს ხვდებიან ხოლმე. ვკითხე, წუხელ, სანამ ჩამეძინებოდა, რალაც გინდოდათ გეთქვათ-მეთქი. სიცილით მიპასუხა, არა, ვერ გეტყვით, გაბრაზდებითო. მამა წყლიდან ამოვიდა, მხარგანიერი და კუნთმაგარი... დიდებული სანახავი იყო! მე და ანამ გავცურეთ, იგი წყნარად მიცურავდა, თმა რომ არ დასველებოდა, ზევით სწევდა თავს. შემდეგ სამივე ერთმანეთის გვერდით გავწექით პირაღმა, შუაში მე გავიშოტე, ისინი მშვიდად გარინდულიყვნენ.

სწორედ ამ დროს ნავი გამოჩნდა ყურის ყელთან, აფრააშვებული ნავი. მამამ პირველმა შეამჩნია.

— ჩვენი სირილი მეტს ველარ ითმენს, — სიცილით თქვა მან. — ანა, ვაპატიოთ? მართალი გითხრათ, მშვენიერი ყმაწვილია.

თავი ავწიე, საფრთხე ვიგრძენი.

— კი მაგრამ, რას აკეთებს? — იკითხა მამამ. — დახეთ, ყურეს უვლის... ოო, მარტო არ ყოფილა!..

ანამაც ასწია თავი. ნავმა წინ ჩაგვიარა და მოუხვია. სირილის სახე გავარჩიე. გულის სიღრმეში ვედრება აღმომხდა, მინდოდა მეყვირა, წადით-მეთქი აქედან.

მამაჩემის წამოძახილმა შემაკრთო, თუმცა უკვე ორი წუთია ველოდი ამას:

— კი მაგრამ... ეს ხომ ელზაა? აქ რას აკეთებს?

იგი ანას მიუბრუნდა:

— რა უცნაური გოგოა! ეტყობა, საბრალო ბიჭი ჩაიგდო ხელში და იმ მოხუცი მანდილოსნის გულიც მოინადირა!

ანა ყურს არ უგდებდა. მე მიყურებდა. როგორც კი მისი მზერა დავიჭირე, შემრცხვა და თავი სილაში ჩავრგე. ანამ კისერზე მომითათუნა ხელი.

— შემომხედეთ! მიწყრებით?

თვალები გავახილე: შეწუხებით, თითქმის ვედრებით შემომცქეროდა. პირველად შემომხედა ისე, როგორც მგრძნობიარე, ჩაფიქრებულ არსებებს უყურებენ ხოლმე, და ისიც დღეს, რიცა... კვნესა აღმომხდა და ერთბაშად თავი გავწიე მამასკენ, რათა ანას ხელი მომეშორებინა. მამა თვალს არ აშორებდა ნავს.

— ჩემო საბრალო გოგო, — ხმადაბლა წამოიწყო ანამ. — ჩემო პატარა სესილ, ამ ამბავში ცოტა მეცა ვარ დამნაშავე, ასეთი მოურიდებელი იქნებ არ უნდა ვყოფილიყავი... მაგრამ მერწმუნეთ, აზრად არა მქონია გული მომეკლა თქვენთვის...

იგი ნაზად მისვამდა ხელს თმაზე, კეფაზე. არ ვინძრეოდი. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ტალღის მიქცევაა და სილა ფეხქვეშ მეცლება-მეთქი... არავითარ სხვა გრძნობას, არც სიბრაზეს, არც რაიმე ლტოლვას არასოდეს არ ჩავუთრევივარ ასე! მინდოდა თავი დამენებებინა ამ კომედიისთვის, ჩემი ცხოვრება ანასთვის მიმენდო, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ის ყოფილიყო ჩემი პატრონი. ასეთი სისუსტე არასოდეს მიგრძვნია. თვალები დავხუჭე. ასე მეგონა, გული აღარ მიძგერს-მეთქი.

თავი IV

როცა მამაჩემმა ელზას მოსვლა გაიგო, მხოლოდ გაკვირვება გამოხატა. მოახლემ შეატყობინა, ჩემოდნის წასაღებად მოვიდა და მაშინვე გაბრუნდაო. არ ვიცი, ჩვენი შეხვედრა რატომ დაუმალა. ეს ქალი იქაური იყო, მეტად რომანტიული პიროვნება გახლდათ და ჩვენი ამბებით, უეჭველია, საკმაოდ ერთობოდა. განსაკუთრებით ოთახების შეცვლა ართობდა ალბათ, რასაც თვითონ თაობდა.

მამასა და ანას სინდისი ქეჯნიდათ, ყურადღებით, ალერსიანად მეჭცეოდნენ, რაც პირველ ხანებში აუტანელი იყო ჩემთვის, მაგრამ შემდეგ კიდეც მომეწონა. ერთი სიტყვით, ჩემი ბრალიც რომ არ ყოფილიყო, სირილისა და ელზას ყოველდღიური ნახვა დიდ სიამოვნებას მანიჭებდა. მკლავგაყრილთ აშკარად ვატყობდი, რომ ჩემს ნიშანს ელოდნენ. ნავით სეირნობა აღარ შემეძლო, სამაგიეროდ თმააწეწილ ელზას ყოველ წამს ვხედავდი, აკი მეც ასე მიწეწდა ქარი თმას! მათთან შეხვედრისას არ მიძნელდებოდა გულჩათხრობილი, მჭმუნვარე იერი მიმეღო, მით უმეტეს, თითქმის ყოველ ნაბიჯზე მხვდებოდნენ: ფიჭვნარში, სოფელში, შარაგზაზე. ანა გადმომხედავდა, საუბრის თემას შეცვლიდა და გასამხნევებლად მხარზე მადებდა ხელს. არ ვიცი, გითხარით თუ არა, რომ ანა კეთილი ქალი იყო. არც ის ვიცი, ეს გულკეთილობა მისი გონივრულობის კეთილშობილური გამოხატულება გახლდათ, თუ უბრალოდ გულგრილობა, მაგრამ მას მუდამ მზად ჰქონდა საჭირო სიტყვა და რაიმე ტანჯვა-მართლა რომ მქონოდა გადასატანი, მძიმე წუთებში უკეთეს მხარდამჭერს ვერც ვიპოვიდი.

ამიტომაც განვაგრძობდი თამაშს მშვიდად, მით უფრო, როგორც ვთქვი, მამაჩემი სრულიად არ ეჭვიანობდა. ჯერ ერთი, ამით მიმტკიცებდა, რომ ანა უყვარდა. ამიტომაც, ცოტა არ იყოს, გუნება მემღვრეოდა, რადგან მისი საქციელი ჩემი გეგმების უაზრობაში მარწმუნებდა. ერთ დღეს მე და მამა საფოსტო განყოფილებიდან ვრუნდებოდით. ერთბაშად ელზა შემოგვხვდა; ისე ჩაგვიარა, თითქოს ვერ შეგვამჩნია. მამამ თვალი გააყოლა, ვითომ უცნობ ქალს უყურებსო, და წაიჩურჩულა:

— ერთი შეხედე, ელზა როგორ გალამაზდა!

— შეყვარება უხდება! — მივუგე მე.

მამამ გაკვირვებით შემომხედა.

— შენ ფიქრობ, რომ ისინი...

— რას იზამ? ერთი ხნის ხალხია... ბედს კი ვერსად გაექცევი...

— ოო, ანა რომ არა, ბედი არაფერ შუაში იქნებოდა...

გაანჩხლებული ჩანდა.

— ხომ არ გგონია, რომ არ მდომოდა, ვინმე ლაწირაკი ქალს წამართმევდა?

— ხანს მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს! — ვუპასუხე დინჯად.

მხრები აიჩეჩა. შევამჩნიე, სახე მოელრუბლა. გულში ალბათ დამეთანხმა, ელზა და სირილი მართლაც ახალგაზრდები არიანო. თვითონ კი, რაკი თავის ტოლ ქალს ირთავდა ცოლად, ამით უკვე გამოაკლდებოდა იმ მამაკაცთა რიცხვს, ვისთვისაც დაბადების წელს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. უნებურად ვიგრძენი, რომ გამარჯვება მე დამრჩა. როცა ანას სახეზე წვრილ-

წვრილ ნაოჭებს ვამჩნევდი თვალის კუთხეში ან ბაგესთან, ჩემს თავზე ბრაზი მომდიოდა; მაგრამ ჩემთვის ხომ ისე ადვილი იყო ავყოლოდი საკუთარ გრძნობებს, ხოლო მერე სინანული მეგრძნო!..

ასე გავიდა ერთი კვირა. სირილმა და ელზამ არაფერი იცოდნენ ჩვენი საქმის თაობაზე და ყოველდღე მელოდნენ. მე კი მათთან მისვლას ვერ ვბედავდი, მეშინოდა, ახალ-ახალ აზრებს დამტყუებენ-მეთქი, რადგან უკვე ყველაფერი მომბეზრდა. ამას გარდა ნაშუადღევს ოთახში ავდიოდი, ვითომდა საშეცადინოდ. სინამდვილეში კი არაფერს არ ვაკეთებდი: ერთხელ იოგების წიგნი ჩამივარდა ხელში და გატაცებით შევუდექი კითხვას. ხანდახან საშინელი, გიჟური ხარხარი ამიტყდებოდა, მაგრამ ჩუმად ვიცინოდი, მეშინოდა, ანას არ გაეგონა: ვეუბნებოდი, წელში ვწყდები, იმდენს ვმუშაობ-მეთქი. როცა მასთან ვიყავი, იმ მოტყუებული მიჯნურის როლს ვთამაშობდი, ვისი ერთადერთი ნუგეში ლიცენციატად გახდომაა. ჩემი აზრით, ამის გამო ანა პატივსაც კი მცემდა უკვე, სამაგიეროდ მამაჩემი აშკარად ჩანდა სასოწარკვეთილი, რადგან სადილობისას კანტის ციტატების კორიანტელს ვაყენებდი.

ერთ ნაშუადღევს აბაზანის პირსახოცებში გავეხვიე, მინდოდა ინდოელს დავმსგავსებოდი, მარჯვენა ფეხი მარცხენა ბარძაყზე შემოვიდე და სარკეს მივაშტერდი, ოღონდ საკუთარი თავით კი არ ვტკბებოდი, იოგის ნამდვილი პოზა მინდოდა მიმელო. ამ დროს კარზე დააკაკუნეს. ვიფიქრე, მოახლეა-მეთქი და, რაკი არაფერს აქცევდა ყურადღებას, დავუძახე, შემოდით-მეთქი.

ანა შემოვიდა. ერთხანს მონუსხულივით იდგა და იღიმებოდა.

— რას თამაშობთ?

— იოგობას! — მივუგე. — მაგრამ ეს თამაში როდია, ინდური ფილოსოფიაა.

იგი მაგიდას მიუახლოვდა და წიგნი ხელში აიღო. გულმა რეჩხი მიყო. წიგნი მეასე გვერდზე იყო გადაშლილი, ხოლო დანარჩენი გვერდები ჩემი ხელით მჭონდა აჭრელებული: „განუხორციელებელია!“ ან „დამქანცველია!“

— ფრიად კეთილსინდისიერი ბრძანდებით! — თქვა ანამ. — კი მაგრამ ის დისერტაცია სადღაა პასკალზე, ყურები რომ გამოგვიჭედეთ?

მართლაც, სადილობის დროს თავს ვიწონებდი პასკალის რომელიმე ფრაზაზე მსჯელობით, მინდოდა მეჩვენებინა, ამ საკითხზე რამდენი ვიფიქრე და ვიმუშავე. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ერთი სიტყვაც არასოდეს არ დამიწერია. ახლა გაშეშებული ვიდექი. ანა დამაშტერდა და ყველაფერს მიხვდა.

— თუ არ მუშაობთ და სარკის წინ მანჭვა-გრეხას უნდებით, ეს თქვენი საქმეა! — თქვა მან ბოლოს, — მაგრამ მამათქვენსა და მე რომ გვატყუებთ, ეს უკვე სამწუხაროა. სხვათა შორის, თქვენი უეცარი ინტელექტუალური აქტიურობა მუდამ ძალიან მაოცებდა...

თქვა და ოთახიდან გავიდა. თავზარდაცემულივით ვიდექი პირსახოცებში გახვეული. ვერ წარმომედგინა, ყოველივე ამას „მოტყუებას“ თუ დაუძახებდა. დისერტაციაზე იმიტომ ველაპარაკებოდი, მინდოდა მისთვის მესიამოვნებინა, მან კი ასე ხელალებით ამითვალწუნა. ბოლო ხანებში ის სულ სხვანაირად მეპყრობოდა, და ახლა მისი ეს დამამცირებელი ზიზღი სიბრაზისგან მახრჩობდა. სწრაფად მოვიშორე ჩემი უცნაური სამოსი, ჩავიცვი შარვალი, ძველი ბლუზა და სირბილით გავვარდი სახლიდან. თაკარა სიცხე იყო, მაგრამ რას დაგიდევდით? მით უფრო გაშმაგებული მივრბოდი, რამდენადაც ვრწმუნდებოდი, რომ სირცხვილი არ მწვავდა. სირილის სახლთან გავჩნდი. აქ-

ლოშინებული შევჩერდი ჭიშკართან. ნაშუადღევის ამ პაპანაქებაში სახლებს თითქოს ღრმად ეძინათ, გარინდულიყვნენ, საკუთარ საიდუმლოებებში ჩაფლულიყვნენ. სირილის ოთახს მივუახლოვდი. ერთხელ, დედამისის სანახავად მისულს, თვითონ მაჩვენა ეს ოთახი. კარი გავაღე: საწოლზე გარდიგარდმო გაშხლართულიყო, თავი მკლავზე დაედო და ეძინა. ერთი წუთით დავაცქერდი: პირველად ვხედავდი ასე მოდუნებულს, გულისამაჩუყებელს, ხმადაბლა დავუძახე; თვალები გაახილა და, როგორც კი შემამჩნია, მაშინვე წამოხტა.

— შენა? აქ როგორ გაჩნდი?

ვანიშნე, ხმამაღლა ნუ ლაპარაკობ-მეთქი. დედამისი რომ შემოსულიყო და მისი ვაჟის ოთახში ვენახე, იქნებ ეფიქრა... თუმცა ვინ არ იფიქრებდა?.. ერთბაშად ავფორიაქდი და კარს მივაშურე.

— სად მიდიხარ? — დაიყვირა სირილმა. — დაბრუნდი, სესილ...

სიცილით წამავლო ხელი და შემაჩერა. მისკენ მივბრუნდი, დავაცქერდი. მასაც ისევე დაედო მკვდრისფერი, როგორც, ვგრძნობდი, მე ვიყავ გაფითრებული. ხელი გამიშვა. მერე ხელახლა მომხვია მკლავები და წამათრია. ანგარიშმიუცემლად ვიმეორებდი გულში: ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ასეც უნდა მომხდარიყო-მეთქი! შემდეგ დაიწყო სიყვარულის სიგიჟე: შიში და სურვილი, ალერსი და გაშმაგება, და ის გაუსაძლისი ტკივილი, სიამოვნებას რომ სდევს თან. მე ბედი მეწია, სირილს — საჭირო სიფაქიზე და... ეს სიამოვნება იმდღიდანვე შევიგრძენი.

ერთი საათი დავრჩი მასთან, გაოგნებული და გაოცებული. სიყვარულზე მუდამ ასე მსმენია, მეტად ადვილი საქმეაო. მეც ასე აგდებით, ჩემი ასაკისათვის დამახასიათებელი უმეცრებით მილაპარაკნია მასზე. ახლა კი მეგონა, სიყვარულს ასე ხელაღებით და უხეშად ვერასოდეს ვეღარ მოვიხსენიებ-მეთქი. სირილი ჩემ გვერდით იწვა და მეუბნებოდა, აუცილებლად შეგირთავ ცოლად, ჩემს სიცოცხლეში გვერდიდან არ მოგიშორებო. ჩემი გარინდება, ჩანდა, აშინებდა. წამოვდექი, შევხედე და ვუთხარი, შენ ახლა ჩემი საყვარელი ხარ-მეთქი. დაიხარა. მის კისერზე ათრთოლებულ ძარღვს ტუჩით შევეხე და რამდენჯერმე გავუმეორე: „ჩემო ძვირფასო სირილ, ჩემო ძვირფასო!“ არ ვიცი, იმ წუთში მართლა მიყვარდა თუ არა. მე მუდამ მერყევი ბუნება მქონდა, მაგრამ ახლა კი საკუთარ თავზე მეტად სირილი მიყვარდა, მისთვის სიცოცხლეს გავწირავდი. შინ წამოსვლისას მკითხა, ხომ არ ბრაზობ ჩემზეო. გამეცინა. როგორ უნდა გავბრაზებულიყავი, როცა ასეთი ბედნიერება მომანიჭა?!

ნელი. მოქანცული ნაბიჯით დავბრუნდი ფიჭვნარში. სირილს ვთხოვე, არ გამაცილო-მეთქი, სახიფათო იყო. მეშინოდა, ჩემს სახეზე, მიბნედილ თვალებში, დასიებულ ტუჩებზე, ათრთოლებულ სხეულზე კმაყოფილების აშკარა ნიშნები არ ამოეკითხათ.

ანა შეზლონგზე იწვა სახლის წინ და წიგნს კითხულობდა. სახლიდან გასვლის მიზეზის ასახსნელად ტყუილი მზად მქონდა. მაგრამ არაფერი უკითხავს, შეკითხვები საერთოდ არ უყვარდა. ახლოს ჩამოვუჯექი, ოღონდ კრინტი არ დამიძრავს, მახსოვდა, რომ გაბუტულები ვიყავით. ვიჯექი ასე გარინდული, ნახევრად მოჭუტული თვალებითა და მთელი ჩემი ყურადღება საკუთარ სუნთქვას, თითების ცახცახს მიეპყრო. დროდადრო, როცა სირილის

სხეულს ან ზოგიერთ წუთს გავიხსენებდი, გულიდან სისხლი მეწრიტებოდა.

მაგიდიდან სიგარეტი ავიღე. ასანთს გავკარი. ჩაქრა. მეორედ გავკარი ფრთხილად. ქარი არ ქროდა, მაგრამ ხელი მიკანკალებდა. როგორც კი სიგარეტთან მივიტანე, მაშინვე ჩაქრა. რაღაც ჩავიბუზღუნე და მესამედ გავკარი. თვითონ არ ვიცი, რატომ, და ასანთის ამ მესამე ღერს ერთბაშად სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობა მიეცა ჩემთვის. ალბათ იმიტომ, რომ ანა ანაზდად გამოერკვა და დინჯად, დაკვირვებით შემომხედა. იმ წუთში ყველაფერი გაქრა ჩემთვის, დროც, ადგილიც, მხოლოდ ასანთის ეს ღერი, ჩემი თითები, ნაცრისფერი კოლოფი და ანას მზერა არსებობდა. გული კინაღამ ამოგამივარდა საგულედან, გაშმაგებით ამიძგერდა, რაც ძალი და ღონე მქონდა, თითები ასანთის ღერს ჩავჭიდე და გავკარი. აენთო, მაგრამ ვინემ სახეს მივუშვერდი ალს, სიგარეტი შეეხო და ჩააქრო. კოლოფი გადავისროლე, თვალები დავხუჭე. ანას მკაცრი, ინკვიზიტორული მზერა ლოდათ მაწვა. გულში შევეეედრე, მინდოდა ამ ლოდინს ბოლო მოღებოდა. ანამ ნიკაპზე წამავლო ხელი და თავი ამიწია. ქუთუთოებს მაგრად დავაჭირე თითები, არ მინდოდა თვალებში შემოეხედა ჩემთვის, ვგრძნობდი, დაღლილობით, სირცხვილით, სიამოვნებით გამოწვეული ცრემლები ღაპაღუპით მცვიოდა თვალთაგან. და აი, მაშინ, თითქოს უარი თქვა დაკითხვაზეო, ანამ მშვიდად ჩამომისვა ხელი პირისახეზე და მომეშვა. შემდეგ ანთებული სიგარეტი პირში ჩამჩარა და წიგნის კითხვა განაგრძო.

ანას ხელის მოძრაობას სიმბოლური მნიშვნელობა მივეცი, ყოველ შემთხვევაში, ვცადე მიმეცა. მაგრამ დღეს, როცა ასანთი ხელთა მაქვს, მუდამ განვიცდი იმ უცნაურ წამს, ანას მძიმე შემოხედვას და ირგვლივ დაძაბულ სიცარიელეს ვგრძნობ...

თავი V

ეს ამბავი, რაზედაც ეს-ეს არის გელაპარაკეთ, ცხადია, უშედეგოდ ვერ ჩაივლიდა. როგორც თავშეკავებულსა და საკუთარ თავში დარწმუნებულ ადამიანებს სჩვევიათ, ანასაც არ უყვარდა კომპრომისები. ჰოდა, ხელების ნაზი ფათური ჩემს სახეზე დიახაც კომპრომისი გახლდათ მისთვის. რაღაცას მიხვდა, შეეძლო კიდეც გამოვეტეხე, მაგრამ ბოლო წუთს სიბრალულმა თუ გულგრილობამ სძლია ალბათ. ჩემზე ზრუნვა, ჩემი გაწვრთნა ისევე ეძნელებოდა, როგორც ჩემი შეცოდების აღიარება. ანას ხომ მხოლოდ და მხოლოდ მოვალეობის გრძნობა აიძულებდა ეკისრა მეურვის, აღმზრდელის როლი. რაკი გადაწყვიტა მამაჩემს ცოლად გაჰყოლოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ჩემზე მზრუნველობაც თავის თავზე აეღო. მე კი მერჩივნა ამ მუდმივ კილვას, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, გაღიზიანება ან უფრო ზერელე გრძნობა გამოეწვია: მაშინ ჩვეულებაც გამართლებული იქნებოდა. სხვის ნაკლს ადვილად ეჩვევიან, როცა მისი გამოსწორება მოვალეობად არ ეთვლებათ. ექვს თვეში ანას დაღლიდა ჩემი „გამოსწორების“ ცდა, შესაძლებელია, ამ დაღლილობას მისთვის შვებაც კი მოეტანა, მეც სწორედ ეს მჭირდებოდა; მაგრამ ეს გრძნობა ვერ გაუჩნდებოდა, რაკი, მისი აზრით, ჩემს საქციელზე თვითონ იქნებოდა პასუხისმგებელი; ერთი მხრივ, მართლაც ასე უნდა ყოფილიყო, რადგან მე ჯერ კიდევ დამჯერი ვიყავი. დამჯერი და... ჯიუტი.

ერთი სიტყვით, ანა გაბრაზდა და კიდეც მაგრძნობინა. რამდენიმე დღის შემდეგ სადილზე კვლავ ატყდა კამათი. მიზეზი ის აუტანელი დავალებები იყო, არდადეგების დროს რომ უნდა გამეკეთებინა. მე ისე უტიფრად ვლაპარაკობდი, უხერხულებისაგან მამაც კი იშმუშნებოდა, ხოლო ანას, მართალია, ხმა არ აუმაღლებია, მაგრამ ბოლოს ვეღარ მოუთმენია და გასაღებით ჩავუკეტივარ. მე ეს არც კი შემიმჩნევია, მაგრამ როცა მომწყურდა და კარს მივადექი, კარი არ გაიღო. როგორც იქნა მივხვდი, რომ გარედან ჩაეკეტათ. ჩემს სიცოცხლეში არავის არასოდეს არ ჩავუკეტივარ ოთახში. ავფორიაქდი, ნამდვილმა პანიკამ შემიპყრო. ფანჯარას მივვარდი, იქიდან ვერ გადავიდოდი. გაგიჟებულივით გამოვბრუნდი, მერე კვლავ კარს ვეტაკე და მხარი ვიტკინე. ყვირილი და მოახლის მოხმობა არ მინდოდა. კრიჭამეკრულმა კლიტის გატეხვა მოვინდომე. ფრჩხილების ქლიბი გასაღების ჭუჭრუტანაში გადამიტყდა. ერთხანს მკლავებდაშვებული ვიდექი შუა ოთახში, გაშეშებული, ეს კია, ფიქრების თავმოყრასთან ერთად რაღაც სიმშვიდე მიპყრობდა. ეს იყო ჩემი პირველი შეტაკება სისასტიკესთან: ვგრძნობდი, რაც უფრო მეტს ვფიქრობდი, უფრო ვიხლართებოდი მის კვანძებში. ლოგინზე გავიშოტე და სამოქმედო გეგმა გულდასმით შევიმუშავე. ჩემი გაშმაგება იმდენად აჭარბებდა მის გამომწვევ საბაბს, რომ მთელი იმ ნაშუადღევის განმავლობაში ორჯერ თუ სამჯერ წამოვვარდი საწოლიდან, ოთახიდან დავაპირე გასვლა, და მიკვირდა, კარი რატომაა დაკეტილი-მეთქი!

ექვს საათზე მამაჩემი მოვიდა და კარი გამიღო. ოთახში რომ შემოვიდა, ჩემდა უნებურად წამოვდექი ფეხზე, უსიტყვოდ შემომხედა და მეც გავუღიმე.

— გინდა ვისაუბროთ? — მკითხა მან.

— რაზე? მსგავსი ახსნა-განმარტებები, ჩემი არ იყოს, შენც გეჯავრება. მას ხომ არავითარი აზრი არა აქვს!..

— მართალია, — ისე თქვა, თითქოს ლოდი მოიშორაო გულიდან. — ანას უფრო გულთბილად უნდა მოექცე, უნდა მოუთმინო!

ამ სიტყვამ გამაოცა: მე მოვუთმინო ანას?!.

მამაჩემს ყველაფერი უკუღმა წარმოედგინა. გულის სიღრმეში ისე ეგონა, თითქოს ანას ძალით ახვევდა თავზე საკუთარ შვილს. სინამდვილეში. პირიქით იყო. მაგრამ ფიქრს ვის აუკრძალავ!

— ცუდად მოვიქეცი. ანას ახლავე მოვუხდი ბოდიშს.

— შენ მაინც თუ ხარ... ჰმ... შენ თუ ხარ ბედ... ბედნიერი?

— რა თქმა უნდა, — ლაღად მივუგე, — გარდა ამისა, თუკი მე და ანა ზედმეტად ავუწეწავთ ერთმანეთს ნერვებს, ცოტა ადრე გავთხოვდები და ეს იქნება!

კარგად ვიცოდი, რომ ასეთი გადაწყვეტა საქმისა აუცილებლად დატანჯავდა.

— ამაზე ფიქრიც ზედმეტია... შენ ხომ დედოფალა არა ხარ!..

„ნუთუ ასე მალე დამთმობ და მიმატოვებ?! ჩვენ ხომ მხოლოდ ორი წელი ვიცხოვრეთ ერთად?!“

ეს აზრი ისევე აუტანელი იყო ჩემთვის, როგორც მისთვის. წარმოვიდგინე, როგორ მივიდოდი მასთან, მკერდზე დავადებდი თავს, ვიტირებდი და

დაკარგულ ბედნიერებასა და მოჭარბებულ გრძნობებზე ველაპარაკებოდი! მაგრამ მამაჩემი ველარ იქნებოდა ჩემი თანამოაზრე.

— შენც კარგად იცი, მუდამ ვაჭარბებ. ბოლოს და ბოლოს ანასა და მე კარგად გვესმის ერთმანეთის. თუ დავუთმობთ ერთი მეორეს...

— ჰო, რასაკვირველია! — თქვა მან.

ისიც ჩემებრ ფიქრობდა ალბათ, რომ დათმობა ორივე მხრივ კი არ იქნებოდა, არამედ მხოლოდ ჩემი მხრიდან.

— ხომ გესმის? მე შესანიშნავად ვიცი, რომ ანა მუდამ მართალია. ჩვენზე უკეთ მოაწყო თავისი ცხოვრება... მის არსებობას უფრო მეტი აზრი აქვს...

უარყოფის ნიშნად ხელი გაიქნია, მაგრამ მე განვაგრძე:

— ერთი ან ორი თვის შემდეგ სავსებით შეეგუები ანას აზრებს. სულელურ კამათს აღარ ავტეხთ. ოღონდ ცოტა მოთმინებაა საჭირო.

მამამ შემომხედა. აშკარად ეტყობოდა, რომ დაიბნა და თან შეეშინდა: მოგავალი ანცობის თანამონაწილეს კარგავდა, ამით კი წარსულის პატარა ნაწილიც ეკარგებოდა.

— გადაჭარბება რა საჭიროა! — წაილუღლუღა მან, — კი, იქნებ ისეთ ცხოვრებაში ჩაგითრიე, რაც არც შენი ასაკისათვის იყო შესაფერისი, არც... ჰმ... ჰმ... ჩემი, მაგრამ ის ცხოვრება არცთუ მთლად უგუნური და არცთუ უბედური ყოფილა... არა! სინამდვილეში, ამ ორი წლის განმავლობაში ჩვენ არც ისე... ჰმ... ჰმ... მოწყენილი... არა, გზააცდენილი ვყოფილვართ. ასე ხელაღებით ყველაფრის უარყოფა მხოლოდ იმიტომ, რომ ანას ჩვენგან განსხვავებული აზრები აქვს, არ შეიძლება.

— უარყოფა მართლაც არაა საჭირო, სამაგიეროდ თავის დანებება კი აუცილებელია! — დარწმუნებით ვუთხარი.

— რასაკვირველია! — წაიბუტბუტა საცოდავმა.

ქვემოთ ჩავედით.

მე ძალდაუტანებლად მოვუხადე ბოდიში ანას. პასუხად მითხრა, ბოდიშები რა საჭიროა, ეტყობა, მთელი ამ კინკლაობის მიზეზი პაპანაქება სიცხეაო. მაშინვე გულგრილად შევხედე ყველაფერს და გავმხიარულდი.

როგორც შევთანხმდით, სირილი ფიჭვნარში დამხვდა. ვუთხარი, რა უნდა გაეკეთებინა. შიშითა და აღფრთოვანებით მომისმინა. შემდეგ ხელები მომხვია, მაგრამ გვიანი იყო და შინ უნდა დავბრუნებულიყავი. მასთან განშორება ისე გამიჭირდა, თვითონვე გამიკვირდა. ძალიან რომ ჩამციებოდა, ალბათ დავრჩებოდი. ჩემი სხეული მას ეძებდა, მისკენ მიილტვოდა. გატაცებით ვაკოცე. მინდოდა რალაც ტკივილი მიმეყენებინა, რალაც დაღი დამესვა, რათა მთელი სალამოს მანძილზე ერთი წუთითაც არ დავვიწყებოდი, ხოლო ღამით სიზმარში ვენახე. ღამე ხომ უსასრულოდ გაგრძელდებოდა უიმისოდ, მისი ანაზდეული გახელების, მისი ხანგრძლივი ალერსის გარეშე!

თავი VI

მეორე დილით სასეირნოდ წავედი და მამაჩემი თან გავიყოლე. შარაგზაზე მივდიოდით და მხიარულად ვმასლაათობდით. ზუსტად თერთმეტის ნახევარი იყო. დანიშნულ ადგილას დროზე ვიქნებოდი. მამაჩემი წინ გამიძღვა,

რადგან გზა მეტად ვიწრო და დაბარდული იყო; ეკლებს რომ არ დავეკაწრე, მაყვლის ბუჩქებს განზე მიწევდა... შეჩერდა თუ არა, მაშინვე მივხვდი, ისინი შეამჩნია-მეთქი. მივუახლოვდი. სირილი და ელზა ფიჭვის გირჩებზე გაწოლილიყვნენ და ტკბილად ეძინათ. სოფლური იდილიით მიღებული ბედნიერება ეფინათ პირისახეზე. რა თქმა უნდა, მითითება ჩემგან მიიღეს, მაგრამ როცა ეს სურათი დავინახე, გულში რაღაც ჩამწყდა. მართალია, ელზას მამა-ჩემი უყვარდა, ხოლო სირილს — მე, მაგრამ ამ ლამაზ, ახალგაზრდა წყვილს განა რა შეუშლიდა ხელს ერთმანეთს დაახლოებოდნენ?! მამას გადავხედე, გაშეშებული იდგა, სახეზე მკვდრისფერი ედო, თვალი მიეშტერებინა ორივესათვის. მკლავში წავავლე ხელი.

— ნუ გავაღვიძებთ, წავიდეთ აქედან! — ჩავილაპარაკე.

უკანასკნელად შეავლო თვალი ელზას. პირალმა იწვა — წითური თმა, ოქროსფრად მოელვარე სხეული, ბაგეზე აკიაფებული მკრთალი ღიმილი ნიმფას ამგვანებდა, გაქცევა რომ დააპირა და იმ წუთს სტაცეს ხელი. მართლაც, დიდებული სანახავი იყო! მამა შემობრუნდა და ფართო ნაბიჯით წავიდა წინ.

— კა... — წაიბუტბუტა მან, — კახპა!

— ასე რატომ ლაპარაკობ? იგი ხომ თავისუფალი ქალია?

— საქმე ეს როდია! განა გესიამოვნა, სირილი რომ მის მკლავებში დაინახე?

— მე იგი აღარ მიყვარს — ვთქვი მე.

— არც მე მიყვარს ელზა, — გაანჩხლებით დაიყვირა მან. — მაგრამ მაინც მეტკინა გული. ნუთუ მასთან... ჰმ... ჰმ... ვცხოვრობდი! ეს უარესია, ვიდრე...

მეც ვიცოდი, რომ მართლაც უარესი იყო! მას ალბათ ისეთივე სურვილი ჰქონდა, როგორც მე: მივარდნოდა, გაეთიშა ისინი, თავისი საგანძური, ის, რაც მას ეკუთვნოდა, მოეტაცნა!

— ანა რომ გისმენდეს!..

— რა? ანა რომ მისმენდეს? რა თქმა უნდა, იგი ვერ გამიგებდა, ან შეურაცხყოფილი დარჩებოდა, ბუნებრივიცაა! მაგრამ შენ? შენ ხომ ჩემი შვილი ხარ? ნუთუ აღარც შენ გესმის ჩემი? შენც შეურაცხყოფილი არა ხარ?

ეჰ, რა ადვილი იყო ჩემთვის ისე წამემართა მისი ფიქრები, როგორც მინდოდა. ცოტა არ იყოს, კიდეც მეშინოდა, ასე კარგად რომ ვიცნობდი მის ბუნებას!

— შეურაცხყოფილი არა ვარ, მაგრამ სიმართლეს პირისპირ უნდა შევხედოთ: ელზას ინდაურის ტვინი აქვს, სირილი მოსწონს, იცის, რომ შენთვის იგი აღარ არსებობს. მით უმეტეს, ისე მოექეცი, ასეთი რამის პატიება შეუძლებელია.

— რომ მინდოდეს... — წამოიწყო მან. მაგრამ შეშინებულს ერთბაშად გაუწყდა სიტყვა.

— ვერაფერს გახდებოდი! — ისე მტკიცედ ვუთხარი, თითქოს ელზას დაბრუნების შესაძლებლობაზე კამათი ბუნებრივი რამ ყოფილიყო.

— ამაზე აღარც ვფიქრობ! — თქვა მან. უკვე საღად მსჯელობდა.

— რა თქმა უნდა! — მხრების აჩეჩვით ვუპასუხე.

მხრების აჩეჩვა კი ნიშნავდა: „შეუძლებელია, ჩემო კარგო! შენ უკვე ჩამოწერილი ხარ!“

სახლამდე კრინტი არ დაუძრავს. შინ დაბრუნებულმა მკლავი მოხვია ანას, მკერდზე მიიკრა და კარგა ხანს იდგა ასე, თვალდახუჭული. ანა გაკვირვებული ელიმებოდა. მე ოთახიდან გავედი და ტიხარს მივეყრდენი დერეფანში. სირცხვილისაგან ვიწვოდი.

ორ საათზე სირილის ჩუმი სტვენა შემომესმა და ნაპირზე ჩავედი. მან მაშინვე ჩამსვა ნავში და ზღვისკენ გაცურა. ზღვაზე არავინ იყო. ასეთ პაპანაქებაში ვის ექნებოდა ცურვის თავი! შუა ზღვაში გასვლისთანავე ჩამოუშვა აფრა და ჩემკენ მობრუნდა. აქამდე თითქმის არ დავლაპარაკებივართ ერთმანეთს.

— ამ დილით... — დაიწყო მან.

— გაჩუმდი, გეხვეწები, გაჩუმდი! — წამოვიძახე.

მან ფრთხილად დამაწვინა ბრეზენტზე. ორივენი სველი, ოფლით გაწებილი ვიყავით, მოუხერხებელნი და სულსწრაფნი. ჩვენ ქვეშ ნავი ოდნავ ქანაობდა. მზე პირდაპირ თვალებში მაჭყეტდა. ანაზდად სირილის ნაზი ჩურჩული მომესმა. მზე თითქოს მოწყდა ზესკნელს, აბრდღვიალდა, თავზე დამეცა... სად ვიყავი? ზღვის სიღრმეში, დროის სიღრმეში, სიამოვნების სიღრმეში... ხმამაღლა ვუხმე სირილს. არ მიპასუხა. ანკი რაზედ უნდა გამხმიანებოდა?!

შემდეგ მარილიან წყალში გავგრილდით. მზის სხივით თვალმოჭრილნი, მოთენთილები, ერთმანეთის მადლიერნი ვიცინოდით. ჩვენთან იყო მზე და ზღვა, სიცილი და სიყვარული... იქნება კი ოდესმე ყოველივე ეს ისეთივე, როგორც იმ ზაფხულს იყო, ისეთივე ბრწყინვალე, ისეთივე ძლიერი, თუმცალა შიშისა და სინდისის ქენჯნის ხარჯზე?!

სიყვარულით მონიჭებული ამ ფიზიკური და მეტად ცხადი სიამოვნების გარდა ერთგვარ ინტელექტუალურ კმაყოფილებასაც განვიცდი, როცა იმ წუთებზე დავფიქრდები. „გრძნობას აჰყვაო“, — ეს სიტყვები მეტად მომხიბვლელად ისმის, თუკი პირდაპირ მნიშვნელობას ჩამოვაცილებთ. ეს მატერიალური და პოზიტიური ტერმინი „აჰყვაო“, შეერთებული განყენებულ „გრძნობასთან“, ალტაცებას მგვრიდა. წინათ ამაზე ყოველგვარი დარცხვენის, უხერხულობის გარეშე ვლაპარაკობდი, რადგან მისი გემო ჯერ არ ვიცოდი, ახლა კი აშკარად დავიმორცხვე. საკმარისი იყო მამაჩემს მზერა შეეჩერებინა ანას სახეზე, რომ მაშინვე თვალებს ვხრიდი, ანდა როცა ანას ორაზროვანი, ჩუმი სიცილი მოგვესმოდა, მე და მამა ვფითრდებოდით, ფანჯარაში ვიხედებოდით. იქნებ კიდეც უნდა გვეთქვა ანასთვის, შენი სიცილით გვაგრძნობინებ, ჩვენი არ გჯერაო?! მამაჩემს იგი ექცეოდა როგორც მეგობარს, ნაზ მეგობარს და არა როგორც საყვარელს. სამაგიეროდ, ღამით ალბათ... ამაზე ფიქრს ჩემს თავს ვუკრძალავდი; სულის ამაფორიაქებელი სურათების წარმოდგენა არ მიყვარდა.

ასე გადიოდა დღეები. ნელ-ნელა მავიწყდებოდნენ ანაც, მამაც, ელზაც. სიყვარულიღა მასულდგმულებდა მთვარის შუქზე თვალგახელილს, მოსიყვარულესა და დამშვიდებულს. ერთხელ სირილმა მკითხა, არ გეშინია, ბავშვი რომ აგყვესო? მშვიდად ვუპასუხე, შენს იმედზე ვარ-მეთქი. ჩანს, ჩემი პასუხი ბუნებრივად ჩათვალა. ალბათ სწორედ ამიტომ დავნებდი ასე ადვილად: პასუხისმგებლობას არაფერში მაკისრებდა და, თუ ბავშვი ამყვებოდა, მისი ბრალი იქნებოდა. რასაც მე ვერ ვიკისრებდი, იგი იღებდა თავის თავზე. ამას გარდა, ისეთი გამხდარი და მილეული სხეული მქონდა, ფეხმძიმობისას ალ-

ბათ საშინელი სანახავი ვიქნებოდი. ამიტომ, პირველად ჩემს სიცოცხლეში, კმაყოფილი ვიყავი, აღნაგობა ბავშვისა რომ მქონდა!

მაგრამ ელზა მოთმინებას კარგავდა. წამდაუწუმ მიწუხებდა სულს შეკითხვებით. მე კი ერთთავად მეშინოდა, ელზასთან ან სირილთან არავინ მნახოს-მეთქი. ელზა ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ მამაჩემს ხშირად წაწყდომოდა, ყოველი ფეხის ნაბიჯზე შეხვედროდა. უხაროდა, ეჩვენებოდა, რომ გაიმარჯვა, რომ მამა მის დანახვაზე აღტაცებას ვეღარ მალავდა. მიკვირდა, მამაკაცთა წამიერი სიამოვნებისათვის გაჩენილი ეს ქალი, თავისი ხელობით ფულის მოყვარული, ერთბაშად ასეთი რომანტიკული როგორ გახდა, ყოველ გამოხედვას, ყოველ მოძრაობას ასეთ დიდ მნიშვნელობას როგორ აწერს-მეთქი! მართალია, გამჭრიახი ქალის როლს არ იყო შეჩვეული, მაგრამ ის, რაიც გაითამაშა, ეტყობა, ფსიქოლოგიის მწვერვალად მიაჩნდა.

იქნებ მამაჩემს დღითი დღე მართლაც უფრო და უფრო იპყრობდა ელზაზე ფიქრი, მაგრამ ანა ამას ვერ გრძნობდა. მამაჩემი არასოდეს არ ყოფილა მის მიმართ ასეთი ნაზი, ასეთი გულთბილი; მე კი სწორედ ეს მაშინებდა, რადგან მის საქციელს შეუგნებელ სინდისის ქენჯნას ვაწერდი. მთავარი ის იყო, რომ ამ სამი კვირის მანძილზე არაფერი მომხდარიყო. მალე პარიზში დავბრუნდებოდით, ელზაც პარიზს წავიდოდა, თუ კვლავ თანახმანი იქნებოდნენ, მამა და ანა დაქორწინდებოდნენ. სირილიც პარიზში იქნებოდა, თუ ანამ აქ ვერ შემიშალა ხელი, პარიზში მით უფრო ვერ დამიშლიდა მასთან შეხვედრას. პარიზში სირილს ოთახი ჰქონდა დედისეულ ბინასთან მოშორებით. უკვე წარმომედგინა, ვიწრო საწოლზე წამოწოლილები ღია ფანჯრიდან როგორ დავტკბებოდით პარიზის უჩვეულო, ლურჯი და ვარდისფერი ცით, გისოსებზე ჩამომსხდარი მტრედების ღუღუნით...

თავი VII

რამდენიმე დღის შემდეგ, მამაჩემმა წერილი მიიღო ერთ-ერთი ჩვენი მეგობრისაგან, სენ-რაფაელის ბარში პაემანს უნიშნავდა აპერატივის დასალევად. მამამ მაშინვე გვაცნობა ეს ახალი ამბავი. აღტაცებული იყო, რომ ცოტა ხნით მაინც დააღწევდა თავს ამ განმარტოებულ ცხოვრებას, ჩვენი ნებასურვილით რომ შევიქმენით, მაგრამ უკვე გვიძნელდებოდა. მეც, რა თქმა უნდა, მაშინვე შევატყობინე ელზასა და სირილს, რომ შვიდ საათზე „მზეში“ ვიქნებოდით და, თუ წამოსვლას დააპირებდნენ, შეეძლოთ იქ ვენახეთ. საუბედუროდ, ელზა იცნობდა მამაჩემის მეგობარს და წამოსვლის სურვილი მით უფრო გაუცხოველდა. მაშინვე მივხვდი, რა გართულება მოჰყვებოდა მის იქ ყოფნას, შევეცადე გადამეფიქრებინა, მაგრამ ამაოდ.

— შარლ ვები მალმერთებს! — ბავშვური გულუბრყვილობით წამოიძახა მან. — როგორც კი დამინახავს, რაიმონდს მაშინვე აიძულებს დამიბრუნდეს.

სირილისათვის სულ ერთი იყო, წავიდოდით თუ არა სენ-რაფაელში. მისთვის მთავარი გახლდათ იქ ყოფილიყო, სადაც მე ვეგულებოდი. ეს მის თვალებში ამოვიკითხე და, მართალი გითხრათ, გული სიამაყით ამევსო.

და აი, ნაშუადღევის ექვს საათზე კიდეც წავედით. ანამ თავისი მანქანით

წაგვიყვანა. მისი მანქანა ძალიან მომწონდა: ამერიკული ლია მანქანა იყო, მძიმე; ყიდვისას, ეტყობა, უფრო რეკლამას ენდო, ვიდრე საკუთარ გემოვნებას. ასეთი მანქანა ჩემს გემოვნებას უფრო შეეფერებოდა: უამრავი პრიალა ნაწილი ჰქონდა, მოსახვევებში ისე უხმოდ მისრიალებდა, თითქოს საცაა მოწყდება გზას და დაქანდებაო. გარდა ამისა, სამივენი წინ ვისხედით. მე კი, უნდა გამოგიტყდეთ, არსად ისე მეგობრულად არა ვარ განწყობილი ვინმეს მიმართ, როგორც მანქანაში. დიახ, სამივენი წინ ვისხედით, ერთმანეთს ვეკვროდით, სისწრაფეს, ქარსა და, ვინ იცის, იქნებ ერთნაირ სიკვდილს მოწყურებულნი! მანქანას ანა მართავდა. ჰოდა, იტყოდით, სიმბოლური ნიშანია იმ ოჯახისა, ახლო მომავალში რომ უნდა შეიქმნასო. კანში იმ საღამოს მომხდარი ამბის შემდეგ მის მანქანაში არც ჩავმჯდარვარ. ამიტომ დიდი ხანია ვოცნებობდი ამაზე.

„მზეში“ შარლ ვები და მისი მეუღლე დაგვხვდნენ. ვების საქმე თეატრალური რეკლამები იყო, მისი ცოლისა კი ქმრის ნაშოვნი ფულის ფლანგვა. სანამ ქალი თვალის დახამხამებაში ფლანგავდა ფულებს ახალგაზრდა მამაკაცებზე, ქმარი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, თვიდან თვემდე როგორ გაეტანა თავი და სულ ერთთავად ფულს ეძებდა. ამიტომ იყო მუდამ შეშფოთებული, აფუსფუსებული. დიდი ხნის განმავლობაში იგი ელზას საყვარელი ყოფილა; მიუხედავად თავისი სილამაზისა, ელზა ხარბი არ იყო, ჰოდა, რაკი ფულის მიმართ დაუდევრობას იჩენდა, ეტყობა, ვებსაც სწორედ ამიტომ მოსწონდა.

ვების ცოლი ბოროტი ქალი იყო. ანა მას არ იცნობდა. შევამჩნიე, ლამაზ სახეზე მაშინვე აღებეჭდა ის ამრეზილი და დამცინავი გამომეტყველება, ჩვეულებრივ რომ არ შორდებოდა ხოლმე მაღალ საზოგადოებაში ყოფნისას. შარლ ვები, როგორც ყოველთვის, ბევრს ლაპარაკობდა და თან თვალს არ აშორებდა ანას. აშკარად ეტყობოდა, ძალიან აინტერესებდა, რა კავშირი უნდა ჰქონოდა ანას ქალების მუსუს რაიმონდთან და მის ქალიშვილთან. როცა თავში გამიელვა, რა ახალი ამბავი უნდა გაეგო ვებს, ჩემს კმაყოფილებას საზღვარი არ ჰქონდა. მამა მისკენ დაიხარა და ერთი ამოსუნთქვით, სწრაფად განუცხადა:

— ახალი ამბავი უნდა შეგატყობინო, ძმობილო! ხუთ ოქტომბერს ანა და მე ჯვარს ვიწერთ!

ვები გაოგნებით უცქერდა ხან ერთს, ხან მეორეს: მე გულში მიხაროდა. მისი ცოლი დაიბნა. მას მუდამ მოსწონდა მამაჩემი.

— მომილოცავს! — ომახიანად დაიყვირა ბოლოს ვებმა, — ეს რა შესანიშნავი აზრი მოგსვლიათ! ძვირფასო ქალბატონო, რაკი ასეთი უქნარას გამოსწორება გიკისრიათ, დიდებული ქალი ბრძანდებით!.. მსახურო!.. ეს ამბავი უნდა აღვნიშნოთ!

ანა ძალდაუტანებლად და მშვიდად იღიმებოდა. უცებ ვებს სახე გაებადრა. თავი არც კი მიმიბრუნებია. მივხვდი.

— ელზა! ღმერთო ჩემო, ნუთუ ელზა მაკენბურგია? ვერ შემამჩნია. რაიმონდ, ერთი შეხედე, ეს გოგო როგორ გამშვენიერებულა!

— შენც შენიშნე, არა? — ბედნიერ მესაკუთრესავით ჰკითხა მამამ. მერე გონს მოვიდა და სახე შეეცვალა.

შეუძლებელია, ანას არ შეემჩნია მისი ხმის კილო. სწრაფად მოაშორა მზერა მამას და ჩემკენ მოაბრუნა სახე. როგორც კი რალაცის თქმა დააპირა, დავიხარე და ვუთხარი:

— ანა, თქვენ ისეთი მშვენიერი ხართ, ყველანი შურით სკდებიან! აი, იქ, ერთი კაცი ზის და თვალს არ გაშორებთ.

ეს სიტყვები ვითომ საიდუმლოდ ვუთხარი, ე. ი. საკმაოდ ხმამაღლა. მინდოდა მამაჩემს გაეგონა. ანა მაშინვე მიბრუნდა და იმ კაცს შეხედა.

— ასეთი რამ არ მიყვარს. — თქვა მამამ და ანას ხელი მოჰკიდა.

— რა კარგები არიან! — ირონიულად აფლუკუნდა ქალბატონი ვები. — შარლ, ეს შეყვარებული წყვილი არ უნდა შეგეწუხებინა, საკმარისი იყო პატარა სესილი მოგეპატიჟნა.

— პატარა სესილი არ მოვიდოდა! — უბოდიშოდ მივახალე.

— კი მაგრამ, რატომ? მიჯნური ხომ არ გაგიჩენიათ მეთევზეებში?

ამ ქალმა ერთხელ ავტობუსში მნახა. სკამზე ვიჯექი და კონდუქტორს ვებაასებოდი. იმ დღიდან დეკლასირებულივით მექცეოდა, ე. ი. მისებურად როგორც მეკადრებოდა.

— დიახ! — ნაძალადევი სიცილით ვუპასუხე.

— ბევრს თევზაობთ მაინც?

— სკუმბრიებში[1] არა ვარ დახელოვნებული, მაგრამ მაინც ვთევზაობ!

სიჩუმე ჩამოვარდა. ბოლოს ანას დინჯი ხმა გაისმა:

— რაიმონდ, თუ შეიძლება მსახურს სთხოვეთ, საწრუპავი ჩხირები მოგვიტანოს. ფორთოხლის წვენი აუცილებლად ჩხირებიდან უნდა დავლიოთ.

შარლ ვებმა მაშინვე გამაგრილებელ წყლებზე ჩამოაგდო სიტყვა. ჩემს პასუხზე მამამ სიცილი ვერ შეიკავა და ცხვირი ჭიქაში ჩარგო. ანამ ვედრებით შემომხედა. ყველამ ისეთი სახე მიიღო, თითქოს არაფერი მომხდარიყო. მერე კი გადაწყვიტეს ერთად ესადილათ, თუმცალა ის-ის იყო კინალამ წაიჩხუბნენ.

სადილზე ბევრი დავლიე. ვცდილობდი დამევიწყნა ანას შეშინებული სახე, როცა მამას უყურებდა, და მადლიერი იერი, როცა მე შემომხედავდა. ვების ცოლს გაბადრული ღიმილით შევციცინებდი, როგორც კი ჩემს გაკენწვლას დააპირებდა. ამ ხერხმა იგი დააბნია. აგრესიული გახადა. ანა მანიშნებდა, ყურადღებას ნუ მიაქცევო. აყალმაყალი ეჯავრებოდა, გრძნობდა კი, რომ ქალბატონი ვები საჩხუბრად ემზადებოდა. პირადად მე ასეთ ამბებს მიჩვეული გახლდით, ჩვენს წრეში ხშირად ხდებოდა. ამიტომ ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე მშვიდად ვუსმენდი მის ლაყბობას.

ნასადილევს სენ-რაფაელის კაბარეში წავედით. ცოტა ხნის შემდეგ ელზა და სირილიც მოვიდნენ. ელზა კარის ზღურბლთან შედგა, მეგარდერობეს ხმამაღლა გამოელაპარაკა და დარბაზში შემოვიდა. საცოდავი სირილი უკან მოსდევდა. მე მეგონა, ელზა ისე მოიქცეოდა, როგორც ეს ფეხმსუბუქ ქალს შეეფერებოდა და არა როგორც შეყვარებულს, მაგრამ ისეთი ლამაზი იყო, ეტყობა, ამის უფლება არ მისცა თავს.

— ეს კოხტაპრუწა ვინლაა? — იკითხა შარლ ვებმა. — ძალიან ახალგაზრდა ჩანს.

— სიყვარულო, ძალსა შენსა... ხომ გაგიგონიათ? — წაიტიტინა მისმა ცოლმა, — სიყვარულობია მოხდენია...

---

[1] სიტყვის თამაშია: maquereau — სკუმბრიასაც ნიშნავს და მაჭანკალსაც.

— აბა სწორედ! — უხეშად წამოიყვირა მამაჩემმა, — წამიერი გატაცებაა და მეტი არაფერი.

ანას შევხედე. ისევე მშვიდად, გულგრილად უყურებდა ელზას, როგორც თავისი კოლექციების მანეკენებს ან ძალიან ახალგაზრდა ქალებს ათვალიერებდა ხოლმე, ყოველგვარი ცინიზმის გარეშე. აღტაცებული ვიყავი ამ ქალით, ვისთვისაც ეჭვი და წვრილმანი გრძნობები უცხო გახლდათ. თუმცა გასაოცარი ის იქნებოდა, ელზაზე რომ დაეწყო ეჭვიანობა, იგი მასზე ასჯერ უფრო ლამაზი და ნატიფი იყო. რაკი მთვრალიც ვიყავი, ანას კიდეც მოვახსენე ჩემი აზრი. გაკვირვებით შემომხედა.

— ელზაზე ლამაზი ვარ? ასე ფიქრობთ?

— რა თქმა უნდა!

— მაინც სასიამოვნოა. მაგრამ თქვენ ბევრს სვამთ, ძალიან ბევრს სვამთ. აქ მომეცით თქვენი ჭიქა! განა არ გწყინთ, სირილი რომ იქაა? სხვათა შორის, ისიც დარდიანი ჩანს.

— სირილი ჩემი საყვარელია! — ლაღად ვუთხარი.

— მართლა დამთვრალხართ. კიდევ კარგი, შინ დაბრუნების დროა.

ვებები მივატოვეთ და შვებით ამოვისუნთქეთ. ქალბატონ ვებს „ძვირფასო ქალბატონო"-ძეთქი ვეძახდი ვითომ გულწრფელად. საჭესთან მამაჩემი დაჯდა. მე თავი ანას დავადე მხარზე.

გულში ვიმეორებდი, ანა ვებებსაც სჯობს და ყველა ჩვენს ნაცნობს, მათზე უკეთესიცაა, უფრო კეთილშობილიც, უფრო ჭკვიანიც. მამა ცოტას ლაპარაკობდა. ალბათ კაბარეში ელზას გამოცხადებაზე ფიქრობდა ისევ.

— სძინავს? — ჰკითხა ანას.

— პატარა გოგოსავით ჩაეძინა. კიდევ კარგად ეჭირა თავი, თუ სკუმბრიებზე ნართაულს არ ჩავთვლით, რაც, მე მგონი...

მამას გაეცინა. შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ისევ მამას ხმა მოესმა:

— ანა, მე თქვენ მიყვარხართ, მხოლოდ თქვენ. ხომ გჯერათ?

— ასე ხშირად ნუ მიმეორებთ... მეშინია...

— ხელი მომეცით.

კინალამ წამოვდექი და დავიყვირე: „არა, მოსახვევში არ შეიძლება!" მაგრამ თითქმის მთვრალი ვიყავი, თანაც ანას სურნელებამ გამაბრუა, ზღვიდან მოდენილი სიოც თმას მიწეწდა, მხარზე პატარა განაკაწრიც, სირილს რომ უნდა ვუმადლოდე, ოდნავ მეწვოდა. ჰოდა, ყოველივე ეს საბაბს მაძლევდა ბედნიერად მეგრძნო თავი და გავჩუმებულიყავი. ვთვლემდი. ამ დროს ელზა და სირილი ალბათ ცხვირჩამოშვებულები მიდიოდნენ მოტოციკლეტით, დედამ დაბადების დღეს რომ აჩუქა სირილს. თვითონ არ ვიცი, რატომ, მაგრამ ამის გაფიქრებამ ისე ამაღელვა, თვალებზე ცრემლები მომადგა. ეს მანქანა — რბილი, მოხერხებული, თითქოს საგანგებოდ ძილისთვის იყო განკუთვნილი. ალბათ ქალბატონ ვებსაც კი გაუტყდა ძილი. მისი ხნისა რომ ვიქნები, მეც ფულით მოვხიბლავ ახალგაზრდებს, ოღონდაც კი შემიყვარონ, რადგან სიყვარული ყველაზე ტკბილი, ყველაზე ცხოველმყოფელი და ყველაზე გონივრული გრძნობაა. ფულს რა ფასი აქვს! მთავარია, ანჩხლი და იჭვიანი არ გახდე, ისეთი შურიანი არ იყო, როგორიც ეს ქალია ელზასა და ანას მიმართ. ხმადაბლა გამეცინა. ანამ უფრო დაბლა დაუშვა მხარი: დაიძინეო, მიბრძანა. მეც ჩამეძინა.

თავი VIII

მეორე დილით სრულიად ჯანსაღად გამომეღვიძა, მოთენთილობას ოდნავ თუ ვგრძნობდი, ოღონდ თავი მქონდა დამძიმებული. როგორც ყოველ დილით, მზის სხივები დღესაც კაშკაშებდა ჩემს საწოლზე; საბნიდან სწრაფად გამოვძვერი, პიჟამოს ზედატანი გავიხადე და ტიტველი ზურგი მზეს მივუშვირე; შემდეგ მკლავი მოვხარე, ზედ თავი დავაყრდენი და ხან ზეწრის ტილოს მსხვილ ნაქსოვს ვათვალიერებდი, ხან ბუზის ფუსფუსს ვადევნებდი თვალს იატაკზე. მზე ისეთი ნაზი და თბილი იყო, მეგონა, მისი მცხუნვარება ძვლამდე მატანს და კიდეც მათბობს-მეთქი. გადავწყვიტე, მთელი დილა ასე გარინდული ვყოფილიყავ.

ნელ-ნელა წუხანდელი საღამოც აღვიდგინე მეხსიერებაში. მომაგონდა, ანას ვუთხარი, სირცილი ჩემი საყვარელია-მეთქი; სიცილი ამიტყდა. აკი ამბობენ, ფხიზელს გულში ჰქონდაო, მთვრალმა წამოროშაო! მაგრამ არავის რომ არა სჯერა! ქალბატონი ვები და მასთან კინკლაობაც გავიხსენე. ამისთანა ქალებს შეჩვეული ვიყავი: ამ წრესა და ამ ასაკში უმოქმედობის, სიცოცხლის მოჭარბებული წყურვილის გამო საძაგლები ხდებიან. ანას სიმშვიდემ ჩვეულებრივზე მეტად დამარწმუნა, რაოდენ უჭკუო და მოსაბეზრებელი იყო ის დედაკაცი.

თუმცა ეს მოსალოდნელიც უნდა ყოფილიყო; მამაჩემის ნაცნობებში არავინ მეგულებოდა ისეთი, ვინც ანას შეედრებოდა. თუ გსურთ მისთანა ხალხთან ერთი საღამო მაინც გაატაროთ სიამოვნებით, ან მთვრალი უნდა იყოთ და გაუთავებლად ეკამათოთ, ან არა და ცოლის ან ქმრის საყვარელი გახდეთ. რაც შეეხება მამაჩემს, იგი არაფრად აგდებდა მთელ ამ ამბავს: თვითონაც და შარლ ვებიც ქალების მუსუსნი იყვნენ. „გამოიცანი, დღეს ვინ ისადილებს და ვინ გაათევს ჩემთან ღამეს! პატარა მარსი, სორელის კინო-ვარსკვლავი! დიუპუისგან ვბრუნდებოდი და“... მამა იცინოდა და მხარზე უტყაპუნებდა ხოლმე ხელს: „ბედნიერი კაცი ხარ! თითქმის ელზასავით ლამაზია!“ გიმნაზიელებივით ანგლობდნენ. მათ საუბარში იმდენი აღგზნება, იმდენი ცეცხლი იგრძნობოდა, რომ ორივე მომწონდა. ლომბარის ნაღვლიანი აღსარებაც მახსოვს; კაფეების ტერასაზე იჯდა და მთელი საღამოების განმავლობაში წუწუნებდა: „რაიმონდ, იმ ქალის მეტი არავინ მყვარებია! გახსოვს, ის გაზაფხული? სანამ მიმატოვებდა... რა თქმა უნდა, სისულელეა, მამაკაცი მთელი სიცოცხლე ერთ ქალს მისტიროდეს!..“ როცა ორი მამაკაცი თითო ჭიქა სასმელს უზის და ერთმანეთს გულს უხსნიან, ამაზე უცნაური, დამამცირებელი, მაგრამ მაინც თბილი გრძნობა წარმოუდგენელია!

ანას მეგობარი მამაკაცები არასოდეს არ ლაპარაკობდნენ ალბათ თავის თავზე. ასეთი თავგადასავლები, რასაკვირველია, უცხოა მათთვის. მაგრამ თუ ღმერთი გაწყრა და გაბედეს, მაშინ მორცხვად, ხუმრობის კილოთი მოჰყვებიან ამ ამბავზე. მზად ვიყავი მეც გამეზიარებინა ეს შემწყნარე გრძნობა, რაც ანას ჩვენ მიმართ ჰქონდა... ეს ფაქიზი და გადამდები შემწყნარე გრძნობა... მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვიყავი, რომ ოცდაათი წლის ასაკში ჩვენს მეგობრებს უფრო დავემსგავსებოდი, ვიდრე ანას ნაცნობებს. მისი მდუმარება, გულგრილობა, თავშეკავება სულს მიხუთავდა. თხუთმეტი წლის

შემდეგ, ოდნავ გულმოყირჭული, დავიხრებოდი ალბათ რომელიმე მომხიბვლელი, მაგრამ უკვე მოქანცული მამაკაცისაკენ და ვეტყოდი:

— ჩემს პირველ საყვარელს სირილი ერქვა... მაშინ თვრამეტი წლისაც არ ვიყავი.... ზღვაზე ცხელოდა...

იმ კაცის სახეს რომ წარმოვიდგენდი, მიხაროდა. როგორც მამას, მასაც წვრილ-წვრილი ნაოჭები ექნებოდა. კარზე დამიკაკუნეს: სასწრაფოდ გადავიცვი პიჟამო და დავიყვირე, შემოდით-მეთქი. ანა იყო. ხელში ფინჯანი ეჭირა და ფრთხილად მოჰქონდა.

— ვიფიქრე, ყავა გესიამოვნებათ... ძალიან ცუდად ხომ არა ხართ?

— პირიქით, ძალიან კარგად ვარ. გუშინ, მგონი, ცოტა გადავამლაშე, არა?

— როგორც ყოველთვის, როცა უფროს თაობას აჰყვებით... — გაიცინა მან, — მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, ძალიან კი შემაქცევინეთ თავი... მეტად მოსაწყენი და გრძელი საღამო იყო...

ახლა არც მზეს ვაქცევდი ყურადღებას, არც ყავის გემოს. როცა ანას ვესაუბრებოდი, მუდამ გამოთიშული ვიყავი ხოლმე, ასე მეგონა, ფიზიკურადაც არ ვარსებობ-მეთქი. მიუხედავად ამისა, მხოლოდ ის მინერგავდა საკუთარ თავისადმი უნდობლობას, მხოლოდ იგი მაიძულებდა კრიტიკულად შემეხედა ჩემი საქციელისათვის. თუკი მძიმე, დაძაბულ წუთებს განვიცდიდი, ეს მხოლოდ მისი ბრალი იყო.

— სესილ, ერთი მითხარით, ნუთუ გსიამოვნებთ ვებებსა და დიუპუებთან ყოფნა?

— ჩემი აზრით, უმეტეს წილად აუტანელი თავდაჭერა აქვთ, სამაგიეროდ, სასაცილოები არიან.

ანაც ბუზს დააცქერდა, იატაკზე რომ ფრთხიალებდა. რატომღაც გავიფიქრე, ეს ბუზი ხეიბარი უნდა იყოს-მეთქი. ანას მოგრძო, მძიმე ქუთუთოები ჰქონდა, მას არ გაუძნელდებოდა, ლმობიერი ყოფილიყო ყველას მიმართ.

— ვერ წარმოიდგენთ, რა ერთფეროვანი... როგორ ვთქვა?.. რა უშინაარსოა მათი საუბარი. ნუთუ არ მოგბეზრდათ კონტრაქტებზე, ქალებზე, დროსტარებაზე გაუთავებლად ლაპარაკი?

— იცით რა, მე ათი წელი დავყავი მონასტერში და ამ ხალხთან ყოფნა იმიტომ მაინტერესებს, რომ არავითარი კანონები არ გააჩნიათ.

ვერ გავბედე და ვერ დავუმატე, ასეთი რამ კიდეც მომწონს-მეთქი.

— კი მაგრამ, მთელი ორი წელი? — იკითხა მან, — სხვათა შორის, ეს არც გონებისა და არც ზნეობის საკითხი არაა, უბრალოდ, მგრძნობელობის ამბავია, მეექვსე გრძნობისა.

ეტყობა, ეს მეექვსე გრძნობა მე არ გამაჩნდა. აშკარად ვგრძნობდი, ამ მხრივ მართლაც მაკლდა რაღაც.

— ანა, — ერთბაშად ვკითხე, — როგორ ფიქრობთ, ჭკვიანი ვარ?

შეკითხვა ისე პირდაპირ დავუსვი, გაოცებულს სიცილი აუტყდა.

— რასაკვირველია! რატომ მეკითხებით?

— იდიოტიც რომ ვიყო, ასევე მიპასუხებდით! — ამოვიოხრე. — ხშირად ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ჩემზე ჭკვიანი ხართ, ჩემზე მეტი იცით...

— ასაკის ბრალია! — თქვა მან, — სავალალო ის იქნებოდა, თქვენზე ჭკვიანი და ჩემს თავში დარწმუნებული არ ვიყო! მაშინ ხომ თქვენ მოახდენდით გავლენას ჩემზე?

ანამ გადაიხარხარა. ნაწყენი დავრჩი.

— რა თქმა უნდა, დიდი უბედურება არ იქნებოდა.

— მართლა უბედურება იქნებოდა! — თქვა მან, მერე მსუბუქი კილო სწრაფად შეცვალა და ღრმად ჩამხედა თვალებში. თავი უხერხულად ვიგრძენი. შევიშმუშნე. დღესაც ვერ შევგუებივარ ზოგი ადამიანის ამ ჩვევას: ლაპარაკის დროს თვალებში გიყურონ, ან სულ ახლოს დაგიდგნენ, რა არის დარწმუნდნენ, ყურს უგდებთ თუ არა. სულ ტყუილად კი, რადგან ასეთ შემთხვევაში მე მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, მოსაუბრეს როგორ დავუსხლტე. „დიახ, დიახ!"-მეთქი, ვეუბნები. შემდეგ კი ყოველ ღონეს ვხმარობ, იქაურობას მოვშორდე და ოთახის მეორე ბოლოს შევაფარო თავი. ასეთი ჩაცივება, მოურიდებლობა, ცალმხრივობა მუდამ მაცოფებს. საბედნიეროდ, ანას აზრადაც არ მოსდის, ასე ჩამაცივდეს, მაგრამ თვალს მაინც არ მაშორებს და ამიტომ, როცა ვესაუბრები, მსუბუქი, უდარდელი კილოს შენარჩუნება ძალიან მიჭირს.

— იცით, რა ბოლო ელის ვებისთანა ხალხს?

გულში დავუმატე: „და მამაჩემისთანა ხალხსაც!"

— ღობის ძირას ამოხდებათ სული! — სიცილით მივუგე მე.

— მოვა ასაკი, როცა ისინი უკვე ვერც ვერავის მოხიბლავენ, როგორც ამბობენ ხოლმე, აღარც საამისო თავი ექნებათ და აღარც სმა შეეძლებათ, მაგრამ ქალებზე ფიქრს მაინც არ მოეშვებიან. ამიტომაც ფულს უხდიან საყვარლებს, ათასნაირ დათმობაზე მიდიან, ოღონდ კი მარტოობას დაალწიონ თავი; და მაინც გაბრიყვებულნი, უბედურნი რჩებიან. სწორედ მაშინ ხდებიან სანტიმენტალურნი, მომთხოვნი... ბევრი ასეთი ადამიანი მინახავს, ზღვის ღელვისაგან გადმოსროლილ ნაფოტს რომ დამსგავსებიან...

— საბრალო ვები! — ვთქვი.

თავგზა ამებნა. მამაჩემსაც ხომ ასეთი ბოლო ელოდა! ყოველ შემთხვევაში, ასეთი ბოლო ექნებოდა, ანას რომ მასზე მზრუნველობა არ ეკისრა!

— თქვენ ამაზე არც კი დაფიქრებულხართ, — თქვა ანამ და თანაგრძნობით გამიღიმა. — საერთოდ, ცოტას ფიქრობთ მომავალზე, ხომ ასეა? ახალგაზრდების უპირატესობა სწორედ ესაა.

— გეეედრებით, ჩემს ახალგაზრდობას დანაშაულად ნუ მითვლით, პირადად მე რაც შეიძლება ნაკლებ ვსარგებლობ ამ უპირატესობით. არა მგონია, რაიმე უპირატესობისა თუ პატიების უფლებას მაძლევდეს. ახალგაზრდობას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ.

— მაშ რას ანიჭებთ მნიშვნელობას? თქვენს სიმშვიდეს? დამოუკიდებლობას?

საუბრის ეს თემა მუდამ მაშინებდა, განსაკუთრებით ანასთან.

— არაფერს! — ვუთხარი. — კარგად მოგეხსენებათ, რომ საერთოდ არ ვფიქრობ.

— თქვენ და მამათქვენი, ცოტა არ იყოს, მაბრაზებთ კიდეც... თქვენ „არასოდეს არაფერზე არ ფიქრობთ... არაფერში არა ხართ გამოსადეგი.... არაფერი არ იცით..." ნუთუ თავი მოგწონთ ამ სიტყვებით?

— თავი არ მომწონს. მე არც კი მიყვარს ჩემი თავი... არც ვცდილობ,

რომ შევიყვარო... მაგრამ ზოგჯერ რომ მაიძულებთ ცხოვრება გავირთულო, მაშინ თითქმის ჯავრიც კი მომდის თქვენზე!

ანა ჩაფიქრდა და ღიღინს მოჰყვა. მელოდია მეცნაურა, მაგრამ ვერ მოვიგონე.

— ეს რა სიმღერაა, ანა? მალიზიანებს...

— არ ვიცი, — ოდნავ სასოწარკვეთით გაეღიმა. — იწექით, დაისვენეთ! მე კი წავალ და ოჯახის ინტელექტზე ანკეტას შევავსებ ისევ.

„რა თქმა უნდა, — გავიფიქრე, — მამაჩემზე არ გაუჭირდება!“ მე თითქოს კიდეც მესმოდა მისი ხმა: „არაფერზე არ ვფიქრობ, იმიტომ რომ თქვენ მიყვარხართ, ანა“. როგორი ჭკვიანიც არ უნდა იყოს ანა, შეუძლებელია ეს საბუთი სარწმუნოდ არ ჩათვალოს.

გულიანად გავიზმორე და თავი ბალიშში ჩავრგე. ძალიან ბევრს ვფიქრობდი საერთოდ, თუმცა ანასთან სულ საწინააღმდეგო ვთქვი. იგი, რასაკვირველია, მუქ ფერებში ხატავდა ყველაფერს. თხუთმეტიოდე წლის შემდეგ მამაჩემი სამოცი წლის სასიამოვნო ჭალარაშერეული მამაკაცი იქნებოდა, თუმცაღა ვისკისა და მოგონებებისაგან ცოტა არ იყოს შელახული. ჩვენ ერთად ვივლით, მე ჩემი ონავრობის ამბებს ვუამბობ, ის კი რჩევებს მომცემს. ისიც ვინიშნე, რომ ასეთ მომავალზე ფიქრის დროს ანა ჩვენ გვერდით არ იყო. არ შემეძლო, ვერასგზით ვერ მოვახერხე, ვერ მივაღწიე იმას, რომ მისთვისაც მიმეჩინა ადგილი. ჩვენ არეულ-დარეულ ოჯახში, სადაც ხან ნაღველი ისადგურებდა, ხან ყვავილების მოძალება იყო, სადაც ისმოდა უცხოური კილო, იდგა აყალმაყალი, თავდაყირა ეყარა ავეჯი, ვერ წარმომედგინა ის სიჩუმე და ჰარმონია, ანას ძვირფას სამკაულივით რომ დაჰქონდა მუდამ. მოწყენილობისა ძალიან მეშინოდა. რა თქმა უნდა, იმის შემდეგ, რაც სირილი ფიზიკურად შემიყვარდა, ეს შიში ისე ძლიერი აღარ იყო. ამ შიშმა სხვა მრავალი შიშისაგან მიხსნა. მაგრამ ყველაზე უფრო მაინც მოწყენილობა და სიმშვიდე მაკრთობდა. შინაგანი უშფოთველობისათვის მე და მამაჩემს გარეგანი მღელვარება გვჭირდებოდა. ამას კი ანა ვერასოდეს შეეგუებოდა.

IX

ჩემი აზრით, ანაზე და საკუთარ თავზე ბევრს ვლაპარაკობ, ხოლო მამაზე ცოტას. იმიტომ კი არა, რომ ამ ამბავში პატარა ადგილი ეკავა, ანდა ნაკლები ინტერესით ვეკიდებოდე, არა! მამაზე მეტად არავინ არ მყვარებია არასოდეს. ყველა იმ გრძნობათ შორის, იმ ხანებში რომ მაღელვებდა, ყველაზე უფრო ღრმა, სანუკვარი გრძნობა მისდამი მქონდა. მე მას იმდენად კარგად ვიცნობ, სიამოვნებით შემიძლია მასზე ვილაპარაკო და ვგრძნობ, რომ ძალიან ახლოსაცა ვარ მასთან. მიუხედავად ამისა, სხვაზე მეტად სწორედ მამაჩემის ბუნება უნდა დამეხასიათებინა უფრო დაწვრილებით, რათა მის საქციელს გამართლება ჰქონოდა. იგი არც პატივმოყვარე გახლდათ, არც თავკერძა. სამაგიეროდ, ისეთი ცანცარა იყო, არაფერი ეშველებოდა. ვერც იმას ვიტყვი, თითქოს ღრმა გრძნობები არ გააჩნდა ან პასუხისმგებლობის გრძნობა უცხო ყოფილიყო მისთვის. მე ისე ვუყვარდი, შეუძლებელია ეს სიყვარული თავქარიანობას მივაწეროთ, ან უბრალო მამაშვილური დამოკიდებულებით ავხსნათ. ჩემგან უფრო მეტს ითმენდა, ვიდრე სხვისგან. მე ხომ სწორედ იმახ ამა-

ფორიაქა ყველაზე მეტად, რომ საწყალი მამაჩემი საოცრად განწირული სახით იდგა და თვალს ვერ მისწორებდა?! თავისი სიამოვნების გამო არასოდეს დავუჩაგრივარ. ზოგჯერ ღამით შინ რომ მიმაცილებდა ხოლმე, ვების სიტყვებით რომ ვთქვათ, „ძალიან კარგი შემთხვევებიც გაუშვია ხელიდან!“ მაგრამ ცალკეულ გამონაკლისს თუ არ ჩავთვლით, უნდა გამოვტყდე, რომ იგი სიამოვნებას, მსუბუქ დროსტარებას არ იკლებდა, მერყევი ბუნებისა იყო, დიდი დაფიქრების თავი არ ჰქონდა. ცდილობდა ყველაფერი ფიზიოლოგიური მოვლენებით აეხსნა, რადგან, მისი აზრით, მხოლოდ ეს იყო გონივრული: „გეჯავრება შენი თავი? მეტი იძინე და ნაკლები დალიე!“ თუკი ზოგჯერ რომელიმე ქალი ცხოველ ჟინს აღუძრავდა, ამ სურვილის დაოკება ან უფრო ღრმა გრძნობად გადაქცევა აზრად არ მოდიოდა. იგი მატერიალისტი გახლდათ, ოღონდ ფაქიზი, ალღოიანი და, რაც მთავარია, ძალიან კეთილი.

ელზასადმი ლტოლვა ბევრ უსიამოვნებას აყენებდა, მაგრამ ამას თავისებურად აღიქვამდა; თავის თავს იმას კი არ უმტკიცებდა, რაკი ანას ვატყუებ, ეს იმას ნიშნავს, ნაკლებად მყვარებიაო, არამედ: „რა საწყენია, ასეთი ლტოლვა რომ გამიჩნდა ელზასადმი! რაც შეიძლება სწრაფად უნდა გამიაროს ამ გრძნობამ, თორემ ანასთან გამირთულებს საქმესო“. მიუხედავად ამისა, ანა მართლა უყვარდა, აღმერთებდა, ანას წყალობით ჩამოშორდებოდა იმ ქარაფშუტა და ჭკუამოკლე ქალებს, ბოლო წლებში რომ ხვდებოდა. ანა პატივმოყვარეობასაც უკმაყოფილებდა, ვნებასაც და მგრძნობიარობასაც, რადგან ანას კარგად ესმოდა მისი, ჭკუასა და გამოცდილებას სთავაზობდა, რათა მამაჩემს თავის შეხედულებებისა და ჩვევებისათვის შეედარებინა ისინი. ახლა, როცა მამა მიხვდა, რაოდენ ღრმა გრძნობა ჰქონდა ანას მისადმი, მე უკვე შევეჭვდი! მამას მიაჩნდა, რომ ანა იდეალური საყვარელი იქნებოდა მისთვის, იდეალური დედა—ჩემთვის, მაგრამ საკითხავია, „იდეალურ მეუღლედ“ თუ ეგულებოდა? არა მგონია. დარწმუნებული ვარ, გრძნობების მიხედვით სირილისა და ანას თვალში მამა ჩემსავით ანორმალური იყო. ეს მამას ხელს არ უშლიდა დრო ეტარებინა და მთელი ძალა ამაზე დაეხარჯა, რადგან ცხოვრებას იგი ფრიად უფერულად თვლიდა. როცა ჩვენი ცხოვრებიდან ანას გაძევება მინდოდა, მამაჩემზე არ მიფიქრია. ვიცოდი, ისევე სწრაფად დამშვიდდებოდა, როგორც ჩვეოდა ხოლმე: განშორება უფრო იაფად უღირდა, ვიდრე წესიერი ცხოვრება; ჩემი არ იყოს, მასაც მხოლოდ ჩვეულება და განაჩენის დასაბუთება აფორიაქებდა და ანადგურებდა. მე და მამა ერთი რასის წარმომადგენლები გახლდით. ზოგჯერ ვფიქრობდი, ესაა მომთაბარეთა დიდებული, წმინდა რასამეთქი. ზოგჯერ კი დარდიმანდთა გამოფიტულ და სისხლგაწყალებულ რასად მიმაჩნდა.

იმ დღეებში მამა იტანჯებოდა, ყოველ შემთხვევაში, სასოწარკვეთილი იყო. ელზა წარსული ცხოვრების, ახალგაზრდობის, განსაკუთრებით კი მისი ახალგაზრდობის სიმბოლოდ იქცა. ვგრძნობდი, ერთი სული ჰქონდა ანასთვის ეთქვა: „ჩემო ძვირფასო, ერთი დღე მაჩუქეთ! იმ გოგოსთან აუცილებლად უნდა მივიდე და დავუმტკიცო, რომ ბეხრეკი არა ვარ. ისე ვერ დავმშვიდდები, თუ მისი ვნებით მოთენთილი სხეული არ ვიგრძენი“. მაგრამ ამის თქმა არ შეეძლო; იმიტომ კი არა, ანა ეჭვიანი იყო თუ არ იყო, ან თუნდაც ამ საკითხში ვერ მოურიგდებოდა ადამიანი, არამედ იმიტომ, რომ იგი შემდე-

გი პირობით დათანხმდა მამაჩემთან ყოფნას: მსუბუქი ცხოვრების ხანა დამთავრდებოდა, ამიერიდან მოიქცეოდა არა როგორც გიმნაზიელი, არამედ როგორც მამაკაცი, ვისაც იგი თავის ბედს ანდობდა. ამიტომ მტკიცე ნებისყოფა უნდა გამოეჩინა და უნიათო კაცივით საკუთარი ჟინის მონა არ გამხდარიყო. ანას ვერავინ ვერაფერს უსაყვედურებდა, რადგან მისი მოსაზრებები სავსებით ნორმალური და ჯანსაღი გახლდათ. მიუხედავად ამისა, მამას ელზასადმი ლტოლვა მაინც არ ასვენებდა, ამ ქალს არასოდეს ასე არ აუღელვებია. ისეთი ჟინი ჰკლავდა, აკრძალული ხილის მიმართ რომ აქვთ ხოლმე.

ჰოდა, ასეთ დროს, ცხადია, საქმის მოგვარება გამიადვილდებოდა, საკმარისი იყო ელზასათვის მეთქვა, დროა დაუთმო-მეთქი მამაჩემს, ამასობაში კი ანა რაიმე საბაბით ნიცაში ან სადმე სხვაგან წამეყვანა ნახევარი დღით. დაბრუნებისას მამა უკვე დამშვიდებული დაგვხვდებოდა, კანონიერი სიყვარულით ანთებული, ანდა, ყოველ შემთხვევაში, დაბრუნებისთანავე აენთებოდა. ანა კი ვერ აიტანდა ერთ ამბავს: თვითონაც ისეთივე საყვარელი ყოფილიყო მამაჩემისა, როგორიც სხვები, ანუ დროებითი. რომ იცოდეთ, როგორ გვიშხამავდა სიცოცხლეს მისი კეთილშობილება, საკუთარი თავისადმი პატივისცემა!..

მაგრამ არც ელზასათვის მითქვამს, დანებდი-მეთქი მამას, და არც ანასთვის მითხოვნია, ნიცაში გამომყოლოდა. ჩემი მიზანი იყო, ნდობის ცეცხლი ისე წაკიდებოდა მამაჩემს, რომ დანაშაული მისი ნებით ჩაედინა. ჩემთვის აუტანელი ხდებოდა ის ზიზღი, რა ზიზღითაც ანა ჩვენს წარსულ ცხოვრებას უყურებდა, იმის ათვალწუნება, მამაჩემისა და ჩემთვის ბედნიერებას რომ წარმოადგენდა. მისი დამცირება არც მიფიქრია, მინდოდა მხოლოდ მასაც ისეთივე შეხედულება ჰქონოდა ცხოვრებაზე, როგორც ჩვენ. მას უნდა სცოდნოდა, რომ მამაჩემმა, მართალია, უღალატა, მაგრამ ამ ღალატისათვის ობიექტური მნიშვნელობა უნდა მიეცა მხოლოდ, იგი უნდა ჩაეთვალა ფიზიკურ, წუთიერ გატაცებად და არა პირადი ღირსების შელახვად, არა მისი კეთილშობილების ხელყოფად. თუ სურდა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, მის მხარეზე ყოფილიყო სიმართლე, ჩვენთვის უნდა მოეცა საშუალება, დავრწმუნებულიყავით, რომ ვცდებოდით.

მე ისე მეჭირა თავი, თითქოს მამაჩემის აფორიაქების მიზეზს ვერ ვხვდებოდი. მთავარი იყო, ჩემთვის არ გაენდო საიდუმლოება, შეთქმულების მონაწილე არ გავეხადე, რათა მოვლაპარაკებოდი ელზას და ანა სადმე გამეტყუებინა.

მე უნდა მომეკატუნებინა თავი, თითქოს მის სიყვარულს ანასადმი ისევე წმინდად ვთვლიდი, როგორც თვით ანას. უნდა გამოგიტყდეთ, იმის გაფიქრება, რომ მამა ანას უღალატებდა და შეურაცხყოფდა, კიდეც მაძრწუნებდა და კიდეც გაურკვეველი აღფრთოვანებით მავსებდა.

ჯერჯერობით კი სიამტკბილობაში ვატარებდით დღეებს. ვცდილობდი, ელზასთვის ხშირად მიმეცა შემთხვევა მამაჩემის გასაღიზიანებლად. ანას სახე სინდისის ქენჯნას აღარ იწვევდა ჩემში. ზოგჯერ კიდეც წარმოვიდგენდი, ანა თავის ხვედრს შეურიგდება და სულ მალე ცხოვრების ჩვენებურ ადათ-წესს ჩვენსავით მიუსადაგებს-მეთქი თავის გემოვნებას. ამას გარდა, სირილსაც ხშირად ვხვდებოდი და მალულად ვუალერსებდით ერთმანეთს. ფიჭვის სუნი, ზღვის ხმაური, სირილის სხეულის შეხება... სირილს სინდისი ტანჯავდა, რილი, რის გათამაშებასაც ვაიძულებდი, სძაგდა და, თუ თანხმდებოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ვარწმუნებდი, ეს აუცილებელია-მეთქი ჩვენი სიყვარულისათვის.

ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა ჩემი გაორება, შინაგანი დუმილი, სამაგიეროდ, ნაკლები დაძაბულობა და ტყუილები! როგორც გითხარით, მხოლოდ და მხოლოდ ჩემი საქციელი მაიძულებს მსჯავრი გამოვუტანო საკუთარ თავს.

ამ ხანაზე დიდხანს არ შევჩერდები. მეშინია, ძებნა-ძებნაში მოგონებებმა არ გამიყოლიოს, ისედაც მძიმედ რომ მაწევს გულზე. ისიც კმარა, ანას სიცილს, ჩემდამი კეთილგანწყობილებას რომ გავიხსენებ, მაშინვე გული მეკუმშება, რაღაც მახრჩობს, სულს მიხუთავს და საკუთარ თავს მაძულებს. ლამისაა ჩემი თავი უსინდისოდ მოვნათლო, ამიტომაც იძულებული ვარ ვიმოძრაო: ასანთი ავანთო, ფირფიტა დავუკრა, რომელიმე მეგობარს დავურეკო. ნელ-ნელა სხვა რამეზეც ვფიქრობ. მაგრამ ასეთი რამ არ მიყვარს: რა საჭიროა ფარად გამოვიყენო ჩემი მეხსიერების სიჩლუნგე, თავქარიანობა? განა არა სჯობს, იქით შევებრძოლო და მოვდრიკო?! მე მათი ალიარებაც კი არ მიყვარს, თუნდაც ამით ბედნიერად ვთვლიდე თავს!

თავი X

პირდაპირ სასაცილოა, ბედისწერას როგორ უყვარს, ულირსი ხალხი შეარჩიოს თავის მაცნედ და მაუწყებლად! იმ ზაფხულს მან ელზა აირჩია. თუმცაღა მშვენიერი ან, უკეთ, მიმზიდველი ქალი იყო! სიცილიც უჩვეულო იცოდა, გადამდები და გულიანი, სწორედ ისეთი, მოტუტუცო ხალხს რომ სჩვევია ხოლმე.

ამ სიცილის ხიბლი მალე შევამჩნიე მამაჩემს. ამიტომაც ვეუბნებოდი: „როგორც კი მე და მამაჩემს დაგვინახავთ, ხმა არ ამოიღოთ, ოღონდ გაიცინეთ“. მართლაც, ამ გულიანი სიცილის გაგონებისთანავე მამაჩემს სახე ეცვლებოდა, სიშმაგის ელდა დაჰკრავდა. მე კვლავ გატაცებული ვიყავი ჩემი როლით, რეჟისორის როლით. დადგმა ერთხელაც არ ჩამვარდნია, რადგან, როგორც კი სირილსა და ელზას ერთად დავინახავდით, მე და მამა ვფითრდებოდით, ორივეს სისხლი გვეწრიტებოდა სახეზე, მიზეზი კი ვნების აღძვრა უფრო იყო, ვიდრე ეჭვიანობით გამოწვეული გულისტკივილი. ოჰ, როცა სირილს მოვკრავდი თვალს, ელზასკენ დახრილ სირილს!.. ეს ხილვა გულს მიღრღნიდა, მის შავგვრემან, ლამაზ კეფას და ელზას გაბადრულ სახეს რომ თვალს შევასწრებდი, რას არ მივცემდი, ოღონდ ეს ცხადში არ მენახა! იმ წუთში კიდეც მავიწყდებოდა, რომ ყოველივე ჩემი სურვილით მოეწყო.

ამ ამბების გარდა, რაც ყოველდღიურ ცხოვრებას გვივსებდა, იყო კიდევ ანას ნდობა, სიფაქიზე, გული მტკივა, როცა ამ სიტყვას ვხმაროობ, ბედნიერება. მართლაც და, არასოდეს არ ყოფილა ასე ახლოს ბედნიერებასთან. იგი გვენდობოდა ჩვენ, თავკერძა ხალხს, ჩვენი უხეში სურვილები და ჩემი სულმდაბალი ხრიკები მისგან შორს იყო. სწორედ ამის იმედი მქონდა: ანას გულგრილობა, ანას პატივმოყვარეობა უნებურად შეუშლიდა ხელს ქალურ ცდუნებას აჰყოლოდა მამაჩემის მოსახიბლავად. მისთვის მართლაც უცხო იყო ყოველნაირი კეკლუცობა, თუ არ ჩავთვლით სურვილს ყოფილიყო მუდამ ლამაზი, ჭკვიანი და ალერსიანი. მისი საქციელი ნელ-ნელა გულს მიჩუ-

ყებდა. გულის აჩუყება კი სამხედრო მუსიკასავით სასიამოვნო და მიმზიდველი გრძნობაა; ამას ვერავინ გამიმტყუნებს.

ერთ მშვენიერ დილას მოახლე სახეალეწილი შემოვიდა ოთახში და ელზას ბარათი გადმომცა: „ყოველივე მოგვარდა, მოდით!“ ეს სიტყვები კატასტროფის მაუწყებლად მივიჩნიე: კვანძის გახსნა, დასასრული კი მუდამ მეჯავრებოდა. ერთი სიტყვით, ელზა ნაპირზე დამხვდა.

— ეს-ეს არის მამათქვენი ვნახე! — გამარჯვებული სახით მითხრა, — დაახლოებით ერთი საათის წინ.

— რა გითხრათ?

— მითხრა, ძალიან ვნანობ, რაც ჩვენ შორის მოხდა, ნამდვილ ხეპრესავით მოგექეცითო. მართლაც ასე იყო, არა?

მეტი რა გზა მქონდა, უნდა დავთანხმებულიყავი.

— შემდეგ ისეთი ქათინაურებით ამავსო, როგორც მხოლოდ მას შეუძლია... იცით, ამ დროს ოდნავ დაბნეული კილო აქვს, ხმადაბალი, თითქოს იტანჯებაო... ოო, ეს კილო!

იდილიურ ნეტარებას სწრაფად მოვწყვიტე:

— რაზე შეთანხმდით?

— არაფერზე... თუმცა როგორ არა... ჩაიზე მიმიპატიჟა სოფელში... იმის დასამტკიცებლად, რომ გულღვაძლიანი არა ვარ და პროგრესიული იდეები მაქვს, მეც დავთანხმდი.

ერთბაშად გამახსენდა მამაჩემის ნათქვამი წითური ქალების ევოლუციაზე და სიცილი წამსკდა.

— რა გაცინებთ? განა უნდა წავყვე იმ სოფელში?

კინაღამ ვუთხარი, რა ჩემი საქმეა, რაც გინდა ისა ჰქენი-მეთქი. მაგრამ მომაგონდა, რომ თავის მოქმედებათა წარმატების პასუხისმგებლად მე მთვლიდა; არ ვიცი, სამართლიანად თუ უმართებულოდ, მაგრამ ამან უცებ გაალიზიანა. ვიგრძენი, ვიღუპებოდი.

— არ ვიცი, ელზა, ეს უკვე თქვენზეა დამოკიდებული. ნუღარ მეკითხებით, როგორ მოვიქცეო, ვინმეს ეგონება, თითქოს მე გკრავდეთ ხელს...

— რასაკვირველია, თქვენ... მაშ ვინ? ... განა თქვენი წყალობით არ...

მისმა აღფრთოვანებულმა კილომ თავზარი დამცა.

— თუ გინდათ წადით, ოლონდ, თუ ხათრი გაქვთ, მეტს ნუღარაფერს მეტყვით ამაზე...

— კი მაგრამ... ხომ უნდა ჩამოვაშოროთ ის ქალი... სესილ?!

გავიქეცი. რაც უნდა ის გააკეთოს მამაჩემმა. როგორც უნდა ისე დაალწიოს თავი ანამ ამ ამბავს! თანაც სირილთან პაემანი მქონდა. ასე მეგონა, მხოლოდ სიყვარული მიხსნიდა იმ შემაძრწუნებელი გრძნობებისაგან, ხელ-ფეხს რომ მიბორკავდა!..

სირილმა უსიტყვოდ მომხვია ხელი და წამიყვანა. მასთან ყველაფერი ადვილად, სასიამოვნოდ მეჩვენებოდა. ცოტა ხნის შემდეგ ამ ოქროსფერ, ოფლით დანამული სხეულის გვერდით ვიწექი, გათანგული, კატასტროფის დროს გამორიყული ნაფოტივით. სირილს ვუთხარი, ჩემი თავი მეზიზღება-მეთქი. ეს მე ღიმილით ვთქვი, რადგან მართლა ასე ვფიქრობდი, ოლონდ გულისტკივილით კი არ მითქვამს, არამედ ბედს შეგუებული ადამიანის კმაყოფილებით.

ჩემი ნათქვამი სირილს სიმართლედ არც მიუღია.

— არა უშავს რა, მე იმდენად მიყვარხარ, ჩემს აზრს ძალით მოგახვევ თავს. რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ, როგორ მიყვარხარ!..

საუზმეზე სულ ეს სიტყვები მიტრიალებდა თავში: „როგორ მიყვარხარ, როგორ მიყვარხარ!..“ ამიტომაც ალბათ, თუმცა ამდენს ვცდილობ, მაგრამ იმ-დღევანდელი საუზმობა კარგად ვერ მომიგონებია.

ანას სოსანისფერი კაბა ეცვა, ზუსტად მისი თვალის უპეების, მისი თვა-ლების ფერი! მამა იცინოდა, აშკარად ეტყობოდა, მხიარულ გუნებაზე იყო: რა ენალვლებოდა, საქმე მოაგვარა! დესერტს შევექცეოდით, როცა გამოგვი-ცხადა, ნაშუადღევს სოფელში უნდა წავიდეო. გულში გამეცინა. დაღლილი ვიყავი, ბედისწერას აყოლილი. ერთადერთი სურვილი მქონდა, ზღვაში მება-ნავა.

ოთხ საათზე ნაპირზე ჩავედი. მამაჩემი სახლის ტერასაზე დამხვდა, სოფელ-ში წასასვლელად ემზადებოდა. არაფერი მითქვამს. არც ის მირჩევია, ფრთხი-ლად იყავი-მეთქი.

წყალი თბილი და წყნარი იყო. ანა არ მოსულა; იგი კოლექციებით იყო გართული, ოთახში იჯდა და ხატავდა, მამაჩემი კი ამ დროს ელზას ეკურკურე-ბოდა. ორი საათის შემდეგ, რაკი მზე აღარ მაცხუნებდა, ტერასაზე ავედი, სა-ვარძელში ჩავჯექი და გაზეთი გავშალე.

სწორედ ამ დროს გამოჩნდა ანა; ტყიდან მოდიოდა. არა, მორბოდა, ოღონდ მოუხერხებლად, იდაყვები ფერდებზე მიეკრო და ისე მორბოდა, ერთბაშად ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ვიღაც ბებერი ქალი მორ-ბოდა და საცაა დაეცემოდა. გავშეშდი: ანა სახლის უკან მიიმალა, გარაჟისკენ გაიქცა. უცბად მივხვდი და მეც გავედევნე, მინდოდა შემეჩერებინა.

მანქანაში იჯდა უკვე, ძრავაც ჩაერთო. მივირბინე და კარს მივაწყდი.

— ანა, ნუ წახვალთ, აქ რაღაც გაუგებრობაა... ჩემი ბრალია... ახლავე აგიხსნით ყველაფერს...

ყურს არ მიგდებდა, არც მიყურებდა, წინ გადახრილიყო, მუხრუჭი მო-ეშვა.

— ანა, თქვენ ჩვენ გვჭირდებით!

წელში გასწორდა, სახე შეცვლილი ჰქონდა. ტიროდა. ახლალა მივხვდი, რომ ცოცხალ, მგრძნობიარე არსებას დავესხი თავს და არა რაიმე ცნებას. ისიც ხომ იყო ოდესღაც პატარა გოგო, ოდნავ გულჩათხრობილი, მერე მო-ზარდი, შემდეგ ქალი! ახლა ორმოცი წლისას, მარტოხელას, უყვარდა მამაკაცი და იმედი ჰქონდა, ათი, იქნებ ოცი წლის განმავლობაში ბედნიერი მაინც იქ-ნებოდა. მე კი... ოო, ეს სახე, ეს სახე ჩემი ხრიკების წყალობა გახლდათ! თავზარდაცემული ვიდექი მანქანის კართან და მთელი სხეულით ვკანკალებდი.

— თქვენ არავინ გჭირდებათ, — წაიჩურჩულა მან, — არც თქვენ, არც მას, — ძრავი თუხთუხებდა. სასოწარკვეთილი ვიყავი, ასე როგორ გამეშვა?

— მაპატიეთ, გევედრებით...

— თქვენ რა უნდა გაპატიოთ?

ცრემლები ღაპაღუპით ცვიოდა, მაგრამ, ეტყობა, ვერა გრძნობდა, პირისახე გაქვავებული ჰქონდა.

— ჩემი პატარა გოგო!

წამით ხელი ლოყაზე მომისვა და წავიდა.

დავინახე, როგორ მოეფარა მანქანა სახლს. თავგზა ამებნა. ცოცხალმკვდარი ვიდექი... ყველაფერი ისე უცებ მოხდა! ოო, რა სახე ჰქონდა, რა სახე!....

ფეხის ხმა მომესმა: მამა იყო. ელზას პომადა უკვე მოეშორებინა სახიდან, ფიჭვის გირჩები — კოსტუმიდან. მოვბრუნდი, მივვარდი და დავუყვირე:

— არამზადავ! არამზადავ!

ქვითინი წამსკდა.

— კი მაგრამ, რა მოხდა? ნუთუ ანამ?.. სესილ, მითხარი, სესილ...

თავი XI

მხოლოდ საღილზე შევხვდით ერთმანეთს. ორივე შეშინებულები ვიყავით, ასე ერთბაშად რომ დაგვიბრუნდა მარტობა. არც მე, არც მას არ გვშიოდა. ორივემ კარგად ვიცოდით, რომ ანას დაბრუნება აუცილებელი იყო ჩვენთვის. პირადად მე დიდხანს ვერ გავუძლებდი მისი აფორიაქებული სახის მოგონებას, არც მის მწუხარებასა და ჩემს პასუხისმგებლობაზე შემეძლო ფიქრი. ჩემი შემპარავი ხერხები და ბრწყინვალედ შესრულებული გეგმები სულ დამავიწყდა. ახლა სულ ამოვვარდი კალაპოტიდან, უსუსური ვიყავი. რაც მთავარია, მამაჩემსაც ასეთივე უმწეობა ეხატა სახეზე.

— როგორ ფიქრობ, — მკითხა მან. — დიდი ხნით მიგვატოვა?

— უეჭველად პარიზს წავიდოდა.

— პარიზს... — წაიბუტბუტა ფიქრში წასულმა.

— ალბათ ვეღარასოდეს ვეღარ ვნახავთ...

უმწეოდ შემომხედა და ხელი მომიჭირა.

— შენ ალბათ ძალიან მიბრაზდები. თვითონ არ ვიცი, რა წერამ ამიტანა... ელზასთან ერთად ტყით ვბრუნდებოდი, იგი... ერთი სიტყვით, მოვეხვიე. ეტყობა, ანამ სწორედ ამ დროს გამოიარა და...

ყურს არ ვუგდებდი. ელვის სისწრაფით დამიდგა თვალწინ — ორი სხეული, ელზასი და მამაჩემისა, და უმალ გაქრა. იმდღევანდელი, ერთადერთი, ხორცშესხმული, უწყალოდ ხორცშესხმული ხილვა ანა იყო, მწუხარებითა და ღალატით დადაღული მისი სახე. მამას საფუთუნედან სიგარეტი ავიღე და მოვუკიდე. ამასაც ვერ იტანდა ანა, საღილობის დროს პაპიროსის მოწევა არ უყვარდა. მამას გავუღიმე.

— კარგად მესმის: სულ მთლად შენი ბრალი არაა... როგორც იტყვიან ხოლმე, ერთი გიჟური წამის ბრალია ყველაფერი... მაგრამ ანამ უნდა გვაპატიოს, ჰო, შენ უნდა გაპატიოს.

— რა ვქნათ? — მკითხა მან.

მამა საბრალოდ გამოიყურებოდა. შემეცოდა. ჩემი თავიც შემეცოდა. რად მიგვატოვა ანამ? რატომ დაგვტანჯა ასე? ეს ხომ ერთი უბრალო ხუმრობა იყო. განა არავითარ მოვალეობას აღარ გრძნობდა ჩვენდამი?

— წერილი მივწეროთ, — ვუთხარი მე, — პატიება ვთხოვოთ.

— დიდებული აზრია! — დაიყვირა მამაჩემმა, გახარებულმა, რომ რაღაც საქმე მიეცა და გულხელდაკრეფილი აღარ იჯდებოდა. სამი საათი სინდისის ქენჯნამ მართლა დატანჯა.

ჭამა არც კი დაგვესრულებინა, სუფრა და ჭურჭელი მივწიეთ, მამა ლამპის, მუდმივი კალმების, საფოსტო ქაღალდების მოსატანად წავიდა, მერე ერთ-

მანეთის პირდაპირ დავსხედით. ამ მიზანსცენის წყალობით ანას დაბრუნება იმდენად სარწმუნოდ მივიჩნიეთ, კიდეც გავულიმეთ ერთმანეთს. ოთახში ლამპრა შემოფრინდა და ფანჯრის წინ წრე შემოხაზა. მამამ თავი დახარა. წერას შეუდგა.

თუ არ მწარე დაცინვით, თუ არ რაღაც სასტიკი გრძნობით, ისე ვერ გავიხსენებ იმ მრავლისმთქმელ, ალერსიან წერილებს, იმ სალამოს რომ ანას მივწერეთ. ბეჯითი, მაგრამ უგერგილო მოწაფეებივით ვისხედით და ლამპის შუქზე უსიტყვოდ ვხსნიდით ამოუხსნელ ამოცანას, — ანა დაბრუნდეს-თქო. მიუხედავად ამისა, ორი შედევრი შევქმენით, ტკბილი სიტყვებით, ბოდიშებით და მონანიებით სავსენი. როცა დავასრულეთ, პირადად მე თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ ანა წინააღმდეგობას ვეღარ გაგვიწევდა, რომ შერიგება გარდაუვალი იყო. თვალწინ მედგა კიდეც პატიების სცენა, მოკრძალებით სავსე და ცოტა სასაცილოც. პარიზში, ჩვენს სასტუმრო ოთახში ანა შემოვიდოდა და...

ტელეფონის ზარი აწკრიალდა. ათი საათი იყო. გაოცებულებმა ერთმანეთს გადავხედეთ, შემდეგ იმედის ნაპერწკალი აგვიციალდა თვალებში! ანაა, გვირეკავს, გვატყობინებს, რომ გვაპატია და... დაბრუნდება. მამა აპარატს მივარდა და „ალო“, მხიარულად ჩასძახა.

მერე ჩაჩუმდა, ალარაფერი უთქვამს, გარდა იმისა, რომ ჩამწყდარი ხმით ბუტბუტებდა: „დიახ. დიახ... სად?.. დიახ!“ მე ავდექი. შიშმა ამიტანა. ვუყურებდი მამას და მის ხელს, სახეზე რომ ისვამდა ანგარიშმიუცემლად. ბოლოს ყურმილი ფრთხილად დაჰკიდა და მომიბრუნდა:

— დაიღუპა... ესტერილის გზაზე. დიდხანს ვერ იპოვეს თურმე მისამართი. პარიზში დაურეკიათ და აქაური ტელეფონის ნომერი მიუციათ.

ანგარიშმიუცემლად ლაპარაკობდა და მეც ვეღარ გავბედე შემეწყვეტინებინა.

— ყველაზე სახიფათო გზაზე მომხდარა ავარია. ეტყობა, იმ ადგილებში ხშირია უბედური შემთხვევები. მანქანა ორმოცდაათ მეტრზეა გადავარდნილი. სასწაული იქნებოდა, რომ გადარჩენილიყო....

ის ღამე კოშმარივით მახსოვს: ფარებით განათებული გზა, მამაჩემის გაქვავებული სახე, კლინიკის კარები... მამამ ანას ნახვა ამიკრძალა. მოსაცდელ ოთახში ვიჯექი გრძელ სკამზე და ლითოგრაფიულ სურათს ვუმზერდი. ვენეციის ხედი იყო. არაფერზე არ ვფიქრობდი. სანიტარმა ქალმა მიამბო, ამ ზაფხულს მეექვსე უბედური შემთხვევაა იმ ადგილას. მამა იგვიანებდა.

ჰოდა, აი მაშინ ვიფიქრე, თავისი სიკვდილით ანამ ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცა, რომ ჩვენგან განსხვავდებოდა. ჩვენ რომ თავის მოკვლა გადაგვეწყვიტა, — საამისო ვაჟკაცობა რომ გვყოფნოდა, — ალბათ მეც და მამაც ტყვიას დავიხლიდით თავში, განმარტებით ბარათსაც დავტოვებდით და ამით სამუდამოდ დავუფრთხობდით ძილსა და მოსვენებას იმ ხალხს, ვისაც ჩვენი სიკვდილის პასუხისმგებლად მივინიშნებდით! ანამ კი მდიდრული საჩუქარი დაგვიტოვა უკანასკნელად: ხელთ მოგვცა საშუალება იმისა, რომ ხალხს ეფიქრა, უბედური შემთხვევა მოხდაო: სახიფათო გზა, მანქანის სუსტი მუხრუჭი! მალე ისეთი უსუსურები გავხდებოდით, ამ საჩუქარსაც ვეღარ მივიღებდით. სხვათა შორის, თუკი დღეს თავის მოკვლაზე ჩამოვაგდე სიტყვა, ჩემი მხრივ

ეს დიდი რომანტიკულობა გახლავთ. განა შეიძლება ადამიანმა თავი ძოიკლას იმათთვის, როგორიც მე და მამაჩემი ვართ, ისეთი ხალხის გულისთვის, ვისაც არავინ სჭირდება, არც მკვდრები და არც ცოცხლები. გამოგიტყდებით, საუბარში მე და მამა ანას სიკვდილს მხოლოდ და მხოლოდ კატასტროფას მივაწერდით.

მეორე დღეს ნაშუადღევის სამ საათზე დავბრუნდით შინ. ელზა და სირილი კიბის საფეხურზე ჩამომსხდარიყვნენ და გველოდნენ. ჩვენს დანახვაზე ყველასაგან მივიწყებული ადამიანებივით წამოიჭრნენ ფეხზე: არც ერთი და არც მეორე არ იცნობდა ანას, არც ერთსა და არც მეორეს არ უყვარდა იგი, ორივეს გულში თავისი პატარა ბოლმა ჩაემარხა. სირილმა ჩემკენ გადმოდგა ნაბიჯი და მკლავზე მომკიდა ხელი. შევხედე: მე იგი არასოდეს მყვარებია, ოღონდ მიმაჩნდა, რომ კეთილი და მიმზიდველი ყმაწვილია-მეთქი. მხოლოდ ის სიამოვნება მიყვარდა, რასაც სირილი მანიჭებდა. ახლა ისიც არ მჭირდებოდა. სულ მალე იქაურობას გავეცლებოდი, დავტოვებდი ამ სახლს, ამ ყმაწვილს, ამ ზაფხულს. მამაჩემი გვერდით მედგა. მერე მკლავზე მომკიდა ხელი და ორივენი სახლში შევედით. სახლში ანას ხალათი, მისი ყვავილები, მისი ოთახი, მისი სურნელება დაგვხვდა. მამამ დარაბები მიხურა, მაცივრიდან ბოთლი გამოიღო და მაგიდაზე ორი ჭიქა დადგა. ეს წამალიღა გვქონდა ხელთ. ბოდიშებით სავსე ჩვენი წერილები მაგიდაზე ეყარა. ხელი გავკარი და იატაკზე გადაფრიალდნენ. მამა სავსე ჭიქით მომიახლოვდა. შეყოყმანდა, მერე გვერდი აუარა ფურცლებს, რომ ფეხი არ დაედგა. ეს ამბავი სიმბოლურად მივიჩნიე. ცუდ გემოვნებას მივაწერე. ჭიქა ხელში ავიღე და სულმოუთქმელად გამოვცალე. ოთახში ნახევრად ბნელოდა, ფანჯრის წინ მამაჩემის ჩრდილს ვხედავდი. ზღვა ხმაურით ეხეთქებოდა ნაპირს.

თავი XII

დაკრძალვის დღეს მზიანი ამინდი იდგა პარიზში. იყო ძაძები, იყო ცნობისმოყვარე ხალხი. მე და მამამ ანას მოხუც ნათესავებს მივუსამძიმრეთ. ცნობისმოყვარედ ვაკვირდებოდი საცოდავებს: ანა რომ ჩვენთან დარჩენილიყო, ალბათ წელიწადში ერთხელ ჩვენთან ჩაის დასალევად მოვიდოდნენ. ხალხი თანაგრძნობით უყურებდა მამაჩემს: ეტყობა, ვებს ბევრისთვის უამბნია მათი ქორწინების ამბავი. სირილს მოვკარ თვალი, გაფაციცებით მეძებდა გასასვლელთან. თავი ავარიდე. ჩემი ბოლმა და ბრაზი მისდამი ყოვლად გაუმართლებელი იყო, მაგრამ ვერაფერი მომეხერხებინა... ჩვენ ირგვლივ ხალხი სინანულს გამოთქვამდა ამ ბრმა, ამ საშინელი, უბედური შემთხვევის გამო და მეც სიამოვნებით ვისმენდი ამას, რადგან ჯერჯერობით კიდევ მეეჭვებოდა, იქნებ მართლა უბედური შემთხვევაა და არა თვითმკვლელობა-მეთქი.

შინ დაბრუნებისას, მანქანაში მამამ ხელი მომკიდა და მაგრად მომიჭირა. გავიფიქრე: „ჩემ გარდა შენ არავინა გყავს, მეც შენ გარდა არავინა მყავს, ორივენი მარტონი და უბედურნი ვართ!“ და პირველად ავტირდი. სასიამოვნო იყო ეს ცრემლები, არ წააგავდა იმ სიცარიელეს, იმ აუტანელ სიცარიელეს, კლინიკაში რომ ვიგრძენი ლითოგრაფიული სურათის წინ.

უსიტყვოდ, გაწამებული სახით მომაწოდა მამამ ცხვირსახოცი; ერთად ვსადილობდით, ერთად ვსაუზმობდით, შინიდან არ გავდიოდით. ზოგჯერ ანა-

ზეც ვსაუბრობდით: „გახსოვს იმ დღეს, როცა...“ მის სახელს ფრთხილად ვახსენებდით, გვეშინოდა, გული არ გვეტკინა ერთმანეთისათვის, რომელიმე ჩვენგანს არ დაგვცდენოდა ისეთი რამ, რაც საყვედურს გამოიწვევდა. ამ გაფრთხილებას ერთმანეთისას, ამ გულთბილობას თავისი ანაზღაურებაც ჰქონდა. სულ მალე ჩვეულებრივი კილოთი შევძელით ანას ხსენება, ვლაპარაკობდით, როგორც საყვარელ არსებაზე, ვისთანაც ბედნიერნი ვიქნებოდით, მაგრამ ღმერთმა წაგვართვა. ღმერთს ბედისწერის ნაცვლად ვწერ, რადგან ღმერთი ჩვენ არა გვწამს. კიდევ კარგი, რომ მსგავს ვითარებაში ბედისწერისა მაინც გვჯერა!

შემდეგ, ერთ დღეს, ჩემი მეგობრის ოჯახში მისი ბიძაშვილი გავიცანი, მომეწონა და მასაც მოვეწონე. ერთი კვირის განმავლობაში ისე ხშირად, ისე თავისუფლად დავდიოდი მასთან, როგორც ეს სიყვარულის დასაწყისისას ხდება ხოლმე; მამაც — მარტოობისათვის არც ის იყო გაჩენილი — ასევე მოიქცა; ერთი საკმარისად ამპარტავანი ახალგაზრდა ქალი გაიცნო. როგორც მოსალოდნელი იყო, ცხოვრება წინანდებურად აეწყო. როცა მე და მამა ერთმანეთს ვხვდებით, ვიცინით, პირად გამარჯვებებს ვუყვებით ერთმანეთს, ალბათ ეჭვი არ ეპარება, რომ ფილიპთან ჩემი ურთიერთობა პლატონური არაა, და მეც კარგად ვგრძნობ, რომ ახალი მეგობარი ქალი ძალიან ძვირად უჯდება. სამაგიეროდ, ორივე ბედნიერნი ვართ. ზამთარი იწურება. იმავე აგარაკს ალარ დავიქირავებთ, მაგრამ ჟუან-ლე პენთან ახლოს რამეს მოვნახავთ.

ოლონდ ესაა, როცა ლოგინში ვწვები, როცა გარიჟრაჟზე პარიზის სიმშვიდეს მანქანების ხმაურიღა არღვევს, მეხსიერება ხშირად მიმუხთლებს ხოლმე: ზაფხული მოდის, მოდის და მოაქვს მოგონებებიც! ანა! ანა! ძალიან ჩუმად, ძალიან დიდხანს ვიმეორებ ამ სახელს სიბნელეში. და აი მაშინ რალაც ლოდივით მაწვება გულზე, არ მასვენებს და მეც თვალდახუჭული ვეგებები ამ სიტყვებით: ს ა ლ ა მ ი, ს ე ვ დ ა ვ!